ვახტანგ გურული

საქართველო
და
რუსეთი
(მფარველობიდან ანექსიამდე)

თბილისი
2009

კრებულში შევიდა სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილები, სტატიები და ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება საქართველო-რუსეის ურთიერთობის ისტორიის საკითხებს. მთლიანობაში აღებული კრებული ააშკარავებს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას, რომლის მიზანი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა და საქართველოს ისტორიული ტერიტორიის რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა.

რედაქტორი: ისტორიის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი **ავთანდილ წოწკოლაური**

სიცრუის ბაზრის მოლოდინში
(წინასიტყვაობის მაგიერ)

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის კვლევა თავიდანვე პოლიტიკური დაკვეთით დაიწყო. რომანოვების იმპერიის ოფიციალური ისტორიოგრაფია რუსეთს წარმოადგენდა საქართველოს მხსნელად. რუსი ისტორიკოსები ერთი წუთითაც არ დაეჭვებულან ისე გაიზიარეს იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტში ნათქვამი სიტყვები: „столь кратно вовлекало вас в бездну золь, на краю коей и ныне вы стоите и в которую, по всем соображениям, должны бы будете низвергнуться, если мощная рука справедливой власти от падения сего вас не удержит". ალექსანდრე I ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომებს აღუთქვამდა, რომ რუსული მმართველობის შემოღება ქართველთათვის ჯილდო იქნებოდა: "Избытки и благоденствие ваше будет приятнейшею и единою для вас наградою". რუსეთის იმპერიის ოფიციალური ისტორიოგრაფია ამტკიცებდა, რომ რომანოვებმა დანაპირები შეასრულეს. ამ თვალსაზრისით ყოველგვარ ზღვარს გადავიდა საბჭოთა ისტორიოგრაფია. ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების პოზიცია ასეთი იყო: "რუსეთს საქართველო კი არ დაუპყრია, არამედ – შეიერთა და ქართველი ერი ირანისა და ოსმალეთის აგრესიისაგან იხსნა, ფიზიკური არსებობა შეუნარჩუნა!" თუ მავანი და მავანი ამის მთქმელს მოკრძალებით შეახსენებდა საქართველოში რუსეთის კოლონიური რეჟიმის თაობაზე, ასეთ პასუხს მიიღებდა: "რუსეთმა საქართველოში განათლება და კულტურა შემოიტანა და ევროპულ კულტურასაც გვაზიარა!" 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებად და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებად შერაცხა. მავანი და მავანი ამ სიცრუეზე მოკრძალებული

შენიშვნის გაკეთებასაც ვეღარ ბედავდა, რადგან საქმე უკვე ისტორიოგაფიიდან პოლიტიკაში გადადიოდა, რაც იმხანად ძალზე საშიში იყო. ეს დიდი სიცრუე ბოლოს ისტორიული მეცნარების ზღვარს გაცდა და „უფროსი ძმის" – რუსეთის – დიდმა სიყვარულმა ერთი ქართველი ასტრონომიაში დიდ აღმოჩენამდე მიიყვანა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: „საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოდის!" მერე ყველაფერი ხუხულასავით დაინგრა, თუმცა დანგრევაც რად უნდოდა: **ხელმწიფე რომ შიშველი იყო ყველა ხედავდა, მაგრამ თქმას ვერავინ ბედავდა.** მას შემდეგ, რაც ქართველებმა "გავიგეთ," რომ მზე ჩრდილოეთიდან არ ამოდის, არავის ეგონა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ისტორიის გაყალბება ისევ დაიწყებოდა და ისევ პოლიტიკური დივიდენდების დაგროვების მიზნით. ზემოთ თქმული სახუმარო თემა სულაც არ არის. **ილია ჭავჭავაძე** (1837-1907) ბრძანებდა: სიცრუე საქონელივით არის, თუ ბაზარი აქვს, კარგად საღდებაო. როგორც ჩანს, კარგი ბაზრის მოლოდინში სიცრუის გამსაღებლები საგულდაგულოდ ემზადებიან. ჩვენ არა გვგონია, რომ სიცრუეს კარგი ბაზარი დაუდგეს, მაგრამ დამშვიდებაც არ შეიძლება: **საქონელი საქონელია, ბაზარი ბაზარია! ისე კი ყველაფერი გამყიდველზე არ არის დამოკიდებული, მყიდველი უნდა იყოს ფრთხილად!**

დღეს ყველა ობიექტურად მოაზროვნე ქართველმა იცის, რომ საქართველოსა და რუსეთის შორის დაძაბული ურთიერთობა არცერთ მხარეს სიკეთეს არ მოუტანს. ეს ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს. საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის მოგვარება არ უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ხარჯზე – საქართველომ არ უნდა ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ბოლო ხანებში შეიმჩნევა ერთი მეტად საშიში ტენდენცია. მავანი და მავანი ესწრაფვის შეალამაზოს და გააყალბოს საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორია. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოგვარება ყოველთვის მოითხოვს გარკვეულ კომპრომისს, მაგრამ **ისტორიის გაყალბება კომპრომისის პირობად არ უნდა იქცეს.** არავის ძალუძს დამალოს სიმართლე. სიმართლე კი ასეთია:

პირველი. 1483 წლიდან ქართული სამეფო-სამთავროები გამუდმებით ცდილობდნენ რუსეთის დახმარებით ისლამური სამყაროს (ირანის, ოსმალეთის) აგრესიისგან თავის

დაცვას. დიდი ხნის განმავლობაში ქართველი მეფეები რუსეთისგან მხოლოდ დაპირებებს იღებდნენ, რეალური დახმარება კი არ ჩანდა. ქართველ მეფეთა პრორუსული ორიენტაციით გაღიზიანებული ირანი და ოსმალეთი კიდევ უფრო სწრაფი ტემპითა და დიდი ძალებით ცდილობდნენ საქართველოს აღგვას პირისაგან მიწისა. რუსეთისაგან მწარედ მოტყუებული დარჩნენ მეფეები: ალექსანდრე II, თეიმურაზ I, ვახტანგ VI. ალექსანდრე II ირანის შაჰმა მოაკვლევინა, თეიმურაზ I შაჰის ტყვეობაში გარდაიცვალა, პეტრე პირველისაგან ირანისა და ოსმალეთის აგრესიის პერიოდში მიტოვებული ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა და იქვე დაასრულა თავისი გამწარებული სიცოცხლე.

მეორე. 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დაიდო მფარველობითი ხელშეკრულება – გეორგიევსკის ტრაქტატი. ტრაქტატის ძალით რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფო უნდა დაეცვა ისლამური სამყაროს აგრესიისაგან. ერეკლე II რუსეთს სთავაზობდა მოკავშირეობას მახლობელ აღმოსავლეთში გეოსტრატეგიული გეგმების განხორციელების პროცესში. რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს მოკავშირედ არ განიხილავდა და მის დასაპყრობად ემზადებოდა. სწორედ ამიტომ რუსეთმა გეორგიევსკის ტრაქტატი არ შეასრულა, ქართლ-კახეთის სამეფო არ დაიცვა, მფარველობაში მიღებული ქვეყანა მტრების საჯიჯგნად მიატოვა. 1795 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობის დროს რუსეთის არმია ჩრდილო კავკასიაში იდგა და მისი სარდალი, ერეკლე II-ის მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, მშვიდად ადევნებდა თვალყურს თუ როგორ ემზადებოდა ირანის მბრძანებელი თბილისზე სალაშქროდ.

მესამე. რუსეთმა ისარგებლა ქართლ-კახეთის დასუსტებით, 1801 წელს სამეფო გააუქმა, ხოლო 1802 წელს ქვეყანაში სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი დაამყარა. ქართლ-კახეთის დაპყრობის შემდეგ რუსეთმა დანარჩენი საქართველოც დაიპყრო.

მეოთხე. ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ რუსეთმა 1811-1814 წლებში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა და შემდგომში მთელი სისასტიკით ახშობდა ავტოკეფალიის აღდგენის მცდელობას.

მეხუთე. 1801-1917 წლებში საქართველო წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის კოლონიას. კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო ქართველი ერის ასიმილაცია, საქართველოს გადაქცევა რუსეთის განუყოფელ ნაწილად. ამ მიზნიდან გამომდინარე რუსეთი სისხლში ახშობდა ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ეს იყო საფასური, რომელიც ქართველმა ერმა ირანისა და ოსმალეთის აგრესიის აღკვეთის სანაცვლოდ გაიღო.

მეექვსე. XIX საუკუნის განმავლობაში (1804-1878 წწ.) რუსეთმა ექვსი ომი გადაიხადა ირანთან და ოსმალეთთან. ამ ომებში დამარცხებულმა ირანმა და ოსმალეთმა რუსეთს დაუთმეს ადრე მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი (ჭარ-ბელაქანი, აფხაზეთი, სამცხე-საათაბაგოს ნაწილი, აჭარა და სხვ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთს ომები ირანთან და ოსმალეთთან ქართული მიწებისათვის არ უწარმოებია. რუსეთს მახლობელი აღმოსავლეთში თავისი გეოსტრტეგიული გეგმა ჰქონდა, ეს გეგმა კი სამხრეთ კავკასიიდან ირანის და ოსმალეთის განდევნის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ოსმალეთთან ომებში მოპოვებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი 1918-1921 წლებში რუსეთმა ისევ ძველ მფლობელს დაუბრუნა ანუ ქართველი ერის ნების გარეშე გაასხვისა.

მეშვიდე. 1918 წლის 26 მაისს აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რასაც რუსეთი აშკარად მტრულად შეხვდა. 1918-1921 წლებში რუსეთმა ყოველი ღონე იხმარა რათა არ დაეშვა დამოუკიდებელი ქვეყნის – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის – არსებობა. რუსეთმა კარგად ისარგებლა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარებით და 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო საქართველო.

მერვე. 1991 წელს, XX საუკუნეში უკვე მეორედ, აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამჯერად, რუსეთმა ღია აგრესია ვერ განახორციელა, მაგრამ ყოველმხრივ შეუწყო ხელი საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დამხობას, რასაც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანება მოჰყვა.

მეცხრე. საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას რუსეთი ვერ ეგუება. ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტებას რუსეთი პოლიტიკური

ხელმძღვანელობა აფხაზეთსა და შიდა ქართლში სეპარატისტული მოძრაობის წაქეზებითა და ღია მხარდაჭერით ცდილობდა. რუსეთმა მიზანს მიაღწია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქცია შეწყდა. თავისი საძრახისი ჩანაფიქრი რუსეთმა 2008 წლის აგვისტოში კვლავ ღია აგრესიითა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოკიდებლობის აღიარებით დაასრულა.

ყოველივე ამის დავიწყება არ შეიძლება. ისევე როგორც არ შეიძლება იმისი დავიწყება, რომ ირანისა და ოსმალეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ისტორიული ტერიტორიის რუსეთის შემადგენლობაში გადასვლით დაიწყო ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი. ეს პროცესი კი ვერ დაიწყებოდა ქართველი ერი სამ იმპერიას (ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს) შორის რომ დარჩენილიყო გადანაწილებული. ვერ დაიწყებოდა ბევრი სხვა პროცესიც, რომელიც აუცილებლად ითხოვდა საქართველოს ერთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ სივრცეში ყოფნას. არ შეიძლება იმისი დავიწყებაც, რომ რუსეთის განათლებისა და მეცნიერების ცენტრებში (პეტერბურგში, მოსკოვში) გასაქანი ჰპოვა ქართველთა ნიჭმა. პეტერბურგსა და მოსკოვში შეიქმნა დიდი ქართველოლოგიური სკოლები. ამ სკოლებში აღზრდილმა მეცნიერებმა შემდგომში გადამწყეტი როლი შეასრულეს თბილისის უნივერსიტეტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებაში, საერთოდ ქართული უმაღლესი სკოლისა და ქართული მეცნიერების განვითარებაში. რუსეთში დაწყებულმა ევროპეიზაციის პროცესმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა საქართველოზე.

ვინც ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოგვარებაში აუცილებელია ახსოვდეს: **საქართველოსა და რუსეთს ურთიერთობა უნდა მოგვარდეს ისტორიის გაყალბების გარეშე. აქ კომპრომისი დაუშვებელია.**

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა,”** 2009, № 65, 7 აპრილი, გვ. 3. გადაიბეჭდა: გაზეთი **„თბილისის უნივერსიტეტი,”** 2009, № 5, 20 აპრილი, გვ. 8.*

1. რუსული სამყარო

რუსული სახელმწიფოებრიობა სათავეს IX საუკუნიდან იღებს. ამ პერიოდისათვის თორმეტი სლავური ტომი (პოლიანები, დრევლიანები, დრეგოვიჩები, ტივერელები, ულიჩები, ილმენელები და სხვ.) მდინარეების: დნეპრის, დნესრტის, სამხრეთ ბუგის, პრიპიატის, ვოლხოვის აუზში სახლობდნენ. **უზარმაზარ სივრცეზე განსახლებულ სლავებს სახელმწიფოებრიობის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ.** IX საუკნის შუა ხანებისათვის სლავები პირველყოფილი საზოგადოების დონეზე იმყოფებოდნენ. დიდი სივრცე ერთი ტომის მიერ მეორე ტომის ტერიტორიის დაპყრობის აუცილებლობას გამორიცხავდა. მიწათმოქმედებით, მესაქონლეობითა და მონადირეობით დაკავებულ სლავებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რამდენი იყვნენ, რა ტერიტორია ეკავათ და რა ხდებოდა გარე სამყაროში (ბიზანტიის იმპერიაში, დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში). IX საუკუნისათვის თორმეტი სლავური ტომიდან არც ერთი არ სახლობდა დნეპრის ქვემო წელზე (შავი ზღვის სანაპიროზე, ყირიმის ნახევარკუნძულზე), მდინარე დონის აუზში და აზოვისპირეთში, მდინარე ვოლგის შუა და ქვემო წელზე, ბალტიის ზღვის სანაპიროებზე.

სლავები სახელმწიფოებრივი ცხოვრებისთვის გამოადვიძა სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან მოსულმა **ნორმანებმა (ვიკინგებმა),** რომელთაც რუსული მატიანე **ვარიაგებს** უწოდებს. IX საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ ვიკინგთა ბელადებმა დაუდეს სათავე რუსულ სახელმწიფოებრიობას.

IX საუკუნეში ნორმანებმა აქტიურად დაიწყეს **დნეპრის სანაოსნო გზის** გამოყენება. ისინი ბალტიის ზღვიდან

მდინარეებისა და ტბების საშუალებით მდინარე დნეპრის ზემო წელამდე მიდიოდნენ, საიდანაც შავ ზღვამდე აღწევდნენ და ბიზანტიის იმპერიას ძარცვავდნენ. ნორმანები სანაოსნო გზას ლაშქრობებისათვის აქტიურად იყენებდნენ. ამავე გზით მიჰქონდათ ნადავლი სამშობლოში. ყოველივე ამან წარმოშვა დნეპრის სანაოსნო გზის დაცვის აუცილებლობა – **სტაბილური სივრცის** შექმნა. ასე გაჩნდა დნეპრის ორივე ნაპირზე ვიკინგების მიერ აგებული სიმაგრეები (გრადები), მომავალი ქალაქები. ამ ქალაქებთან სლავებს არანაირი კავშირი არ ჰქონიათ, ისინი ქალაქებიდან მოშორებით ცხოვრობდნენ. დრომდე არც ნორმანები აქტიურობდნენ და სლავებთან კავშირს არ ეძიებდნენ. სლავები დნეპრის სანაოსნო გზას საფრთხეს არ უქმდნენ, რაც ნორმანებს სავსებით აკმაყოფილებდათ. ერთ-ერთი ნორმანული სიმაგრის ადგილზე აღმოცენდა ქალაქი **კიევი.** ვიკინგები განსაკუთრებით ამაგრებდნენ მდინარე **ვოლხოვის** აუზს, **ლადოგისა** და **ილმენის** ტბების გარშემო მდებარე ტერიტორიას. აქ IX საუკუნის მეორე ნახევარში ვიკინგმა **რიურიკმა** და მისმა ძმებმა – **სინეუსმა** და **ტრუვორმა** დააარსეს ქალაქები: **ნოვგოროდი, ლადოგა** და **იზბორსკი.** მოგვიანებით**,** 882 წელს ვიკინგმა **ოლეგმა** ნოვგოროდიდან კიევზე ილაშქრა, კიევი აიღო და მდინარე დნეპრის სანაოსნო გზაზე თავისი კონტროლი დააწესა. დნეპრის ნაპირებზე არსებულ ქალაქებში ასევე ვიკინგები იდგნენ თავიანთი ჯარით. ისინი ოლეგს დაემორჩილნენ. ოლეგმა თავის რეზიდენციად კიევი აქცია. ნორმანების მიერ დაარსებულ სახელმწიფოს რუსი მემატიანე **კიევის რუსეთს** უწოდებს.

კიევის რუსეთის პირველი ვიკინგი მთავრები **ოლეგი** (882-912), **იგორი** (912-945) **და სვიატოსლავი** (945-978) გამუდმებულ ლაშქრობებს აწყობდნენ ბიზანტიის წინააღმდეგ, ძარცვავდნენ ბიზანტიის სამფლობელოებს **ბალკანეთზე.** კიევის რუსეთის მთავარ სვიატოსლავს სურდა კიევის რუსეთის ცენტრი დუნაისპირეთში გადაეტანა. აქედან უფრო მოხერხებული იქნებოდა ბიზანტიის იმპერიისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიების ძარცვა. კიევის რუსეთის ვიკინგი მთავრების მიერ ორგანიზებულ ლაშქრობებში სულ უფრო დიდი რაოდენობით მონაწილეობდნენ სლავები.

კიევის რუსეთის სახელმწიფო ხაზინის ძირითად შემოსავალს ლაშქრობების დროს მოპოვებული ნადავლი შეადგენდა. ნორმანი მთავრები რუსებისგან მხოლოდ სამხედრო

ძალის ორგანიზებას ცდილობდნენ. სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებას ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ, არც სლავებისათვის ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა) აინტერესებდათ. ამიტომ იყო, რომ **კიევის რუსეთი წარმოადგენდა სახელმწიფოს, რომელსაც არმია არჩენდა.** ცენტრალური ხელისუფლების მოსახლეობასთან ურთიერთობა მხოლოდ გადასახადის (ხარკის) აკრეფით შემოიფარგლებოდა.

ამრიგად, ნორმანებმა კიევის რუსეთის სახელმწიფო კი დაარსეს, მაგრამ ისინი სლავებში სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებაზე არ ზრუნავდნენ. **კიევის რუსეთი მათთვის სახელმწიფო კი არ იყო, არამედ სტაბილური სივრცე**, რომლის გავლითაც სკანდინავიის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ნორმანები შავ ზღვას უკავშირდებოდნენ. რაც შეეხება სლავებს, ისინი ნორმანებისათვის წარმოადგენდნენ არა თანამოქალაქეებს, არამედ **მოლაშქრეთა მასას**.

კიევის რუსეთის სახელმწიფოს ხასიათი არც შემდეგი მთავრების, კეროდ კი უკვე ევროპაში ცნობილი პირველი ქრისტიანი მთავრის **ვლადიმირისა** (980-1015) და **იაროსლავ ბრძენის** (1019-1054) დროს შეცვლილა. განუვითარებელი სახელმწიფოებრიობის პირობებში ნადავლის მოპოვების მიზნით დაუსრულებელი ლაშქრობები ისევ გრძელდებოდა. ბიზანტიასთან ომები არც რუსეთის გაქრისტიანების შემდეგ შეწყვეტილა. კიევის რუსეთში სახელმწიფოებრიობის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია მომთაბარე ხალხებთან, **პაჭანიკებთან** (X-XI სს.) და **ყივჩაღებთან** (XI-XIII სს.), ხანგრძლივმა ურთიერთობამ (ომებმა). ადგილი ჰქონდა მომთაბარე ხალხებთან სლავების სისხლის მასობრივად აღრევას.

XI საუკუნის შუა ხანებიდან კიევის რუსეთის ვიკინგი მთავრები სამშობლოსთან მჭიდრო ურთიერთობას წყვეტენ. სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან ნორმანთა ახალი ტალღის შემოსვლა აღარ შეინიშნება. მართალია კიევის რუსეთის მთავრის ტახტს კვლავ რიურიკის შთამომავლები ინარჩუნებენ, ქვეყნის შიგნით ყველა დიდი ქალაქს ასევე კვლავ რიურიკის შთამომავალი უფლისწული მთავრები განაგებენ, მაგრამ ნორმანების პოზიციები მაინც შეირყა. დნეპრის სანაოსნო გზამ მნიშვნელობა დაკარგა, მეზობელი ხალხების ძარცვით მიღებულმა შემოსავალმა იკლო, ხაზინა დაცარიელდა. სუსტად განვითარებულმა სახელმწიფოებრიობამ კვდომა დაიწყო.

ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის არარსებობის პირობებში კიევის დიდი მთავრის ხელისუფლება დასუსტდა და XII საუკუნის შუა ხანებისათვის კიევის რუსეთი მრავალ სამთავროდ დაიშალა. ამ პერიოდისათვის სლავების ხვედრითი წილი კიევის რუსეთის მართვა-გამგეობაში მნიშვნელოვნად იზრდება.

XIII საუკუნის შუა ხანებიდან კიევის რუსეთის უზარმაზარი ტერიტორია **მონღოლების, ლიტველების, პოლონელების, შვედებისა** და **გერმანელების** აგრესიის ობიექტი გახდა. კიევის რუსეთს განსაკუთრებით ძლიერი დარტყმა მონღოლებმა მიაყენეს. 1240 წელს მონღოლებმა კიევი აიღეს, ხოლო 1242 წელს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (მდინარეების დნესტრისა და სამხრეთ ბუგის აუზები) დალაშქრეს. დნეპრის შუა წელი, დნესტრისა და სამხრეთ ბუგის აუზები ისე გავერანდა, რომ იქ სახელმწიფოებრიობის აღორძინება აღარ შეიძლებოდა. **კიევის რუსეთი ისტორიის კუთვნილება გახდა**.

რუსული სახელმწიფოებრიობა აღორძინებას იწყებს XIV საუკუნიდან. ახალი რუსული სახელმწიფო ყალიბდება მდინარეების: **კლიაზმის, მოსკოვისა** და **პეჩორის** აუზებში, მდინარე **ვოლგის** ზემო წელზე. ამ რეგიონში მდებარეობდა ქალაქები: **ვლადიმირი, სუზდალი, რიაზანი, კოლომნა**. ამ ტერიტორიაზე კიევის რუსეთის დაშლის შემდეგ XII საუკუნეში ჩამოყალიბდა **ვლადიმირ-სუზდალის სამთავრო**. აქვე აღმოცენდა ქალაქი **მოსკოვი,** რომელიც მოგვიანებით ახალი რუსული სახელმწიფოს ცენტრად იქცა და, დედაქალაქის სახელწოდების მიხედვით, სახელმწიფოსაც **მოსკოვის რუსეთი** წოდა. მოსკოვის რუსეთის მთავრები კიევის რუსეთის მთავრების პირდაპირი შთამომავლები იყვნენ, ანუ მოსკოვის რუსეთში გაგრ **რიურიკების ნორმალური დინასტია**. მოსკოვის რუსეთის დინასტიის ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს კიევის დიდი მთავრის **იური დოლგორუკის** ვაჟი **ანდრეი ბოგოლიუბსკი** (1157-1174).

მოსკოვის რუსეთის ჩამოყალიბების პერიოდი (XIV-XV სს.) დაემთხვა რუსეთ ი მონღოლთა ბატონობის პერიოდს, უფრო ზუსტად, **მოსკოვის რუსეთი ყალიბდებოდა მონღოლ×ა ბატონობის პირობებში.** მონღოლებმა რუსეთის ეს რეგიონები დაიპყრეს და საფუძვლიანად გაძარცვეს XIII საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში (1237 წელს მონღოლებმა ქ. რიაზანი აიღეს, ხოლო 1238 წელს ქ. ვლადიმირი).

კიევის რუსეთი იყო სახელმწიფო, სადაც **ნორმანულ-ვიკინგური** სული ბატონობდა. მოსკოვის რუსეთი იყო სახელმწიფო, სადაც **მონღოლური** სული გაბატონდა. მონღოლებთან ხანგრძლივი ურთიერთობის პერიოდში ადგილი ჰქონდა სისხლის აღრევას რუსთა და მონღოლთა შორის. მოსკოვის რუსეთის დიდი მთავრები (შემდგომში მეფეები) ტიპიური აზიელი ტირანები იყვნენ და არაფერით გამოირჩეოდნენ მონღოლი ყაენებისგან. მონღოლურმა წეს-ჩვეულებებმა დამკვიდრება იწყეს რუსეთში, განსაკუთრებით ფეოდალურ არისტოკრატიაში. მოსკოვის გარშემო რუსული მიწების გაერთიანების პროცესში აქტიურად ერეოდნენ მონღოლი ყაენები, პრაქტიკულად მათზე იყო დამოკიდებული მოსკოვის მთავრის მიერ სხვა რუსული სამთავროების შემოერთება. მოსკოვის რუსეთის ხასიათი არ შეცვლილა მონღოლთა ბატონობიდან განთავისუფლების (1480 წ.) შემდეგაც.

განუვითარებელი სახელმწიფოებრიობის პირობებში მონოლთა შემოსავლის ერთადერთ წყაროს ლაშქრობების დროს მოპოვებული ნადავლი და დაპყორბილი ხალხებისა და სახელმწიფოებისაგან აკრეფილი ხარკი შეადგენდა. სახელმწიფოს არსებობის ასეთი წესი ძლიერი არმიის ორგანიზებასა და მუდმივ ომებს ითხოვდა. **სახელმწიფოს არსებობის მონღოლური წესი ზედმიწევნით ზუსტად გადმოიღეს მოსკოვის რუსეთის დიდმა მთავრებმა (მეფეებმა).** ისინი სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებაზე დიდად არ ზრუნავდნენ, გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობდნენ არმიის გაძლიერებასა და მეზობელი ხალხებისა და სახელმწიფოების დაპყრობას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა **ივანე IV მრისხანის** (1533-1584) მმართველობის წლებში. ივანე მრისხანე ცდილობდა თავისი სახელმწიფოს საზღვრებში მოექცია **ვოლგისპირეთი** (ყაზანისა და ასტრახანის მონღოლური სახანოები), **ბალტიისპირეთი** (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი), **დასავლეთი ციმბირი** (ციმბირის მონღოლური სახანო) და **ჩრდილოეთ კავკასიის** ნაწილი (ყაბარდო, ჩერქეზეთი). ამ პერიოდისთვის მონღოლური ტიპის სახელმწიფოების არსებობის დრო დასრულებული იყო. ევროპის ქვეყნებმა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის განვითარებით, არმიის სიძლიერით რუსეთს ბევრად გაუსწრეს. **რუსეთი განწირული ჩანდა**. XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დამდეგს რუსეთმა შინაგან კრიზისსა და

ევროპის ქვეყნების (პოლონეთის, შვედეთის) შემოტევას ვეღარ გაუძლო და ლამის არსებობა შეწყვიტა. რუსეთის ისტორიის მონღოლური პერიოდი **პეტრე I-ის** (1696-1725) გამეფებით დასრულდა.

პეტრე I-მა რუსული სახელმწიფოებრიობა დაამკვიდრა ამ სიტყვის ფართო გაგებით. განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების რეორგანიზაცია, მოწესრიგდა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, მკაცრად განისაზღვრა ყველა სახელმწიფო უწყების კომპეტენცია, დაკანონდა სახელმწიფო მოხელეთა შერჩევის კრიტერიუმები, მოწესრიგდა საგადასახადო სისტემა და სახელმწიფო ხაზინა უმკაცრეს კონტროლს დაექვემდებარა, შეიქმნა ძლიერი არმია და სამხედრო ფლოტი, დიდი ყურადღება მიექცა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. **რუსეთი აზიური სამყაროდან ევროპული სამყაროსკენ დაიძრა, მაგრამ რუსეთის ევროპიზაცია ვერ შედგა.** პეტრე I უმკაცრესი მეთოდებით ცდილობდა რუსული სამყაროს ევროპულ სამყაროდ გადაქცევას. გაირკვა სავალალო ჭეშმარიტება: **რუსული სამყაროს ევროპეიზაცია არ სურდა არც საერო და არც საეკლესიო ელიტას.** პეტრე I-ს დაუპირისპირდნენ ძირძველი ფეოდალური საგვარეულოები და საეკლესიო იერარქები. რაც მთავარია, რუსული სამყარო არ ეთმობოდა მოსახლეობის უმრავლესობას – გლეხობას. პეტრე I-მა ყოველივე ეს ცხადად იგრძნო და მის მიერ ჩაფიქრებული სახელმწიფო რეფორმების განხორციელება, პირველ რიგში კი არმიისა და ფლოტის რეორგანიზაცია უცხოელებს მიანდო. პეტრე I-ის ასეთმა პოლიტიკამ გარკვეული შედეგი გამოიღო, მაგრამ ნორმანულ-ვიკინგურ-მონღოლური ფსიქოლოგია ბოლომდე სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ევროპეიზაციას.

პეტრე I-ის დროს დაწყებული რეფორმები მეტ-ნაკლები ინტენსივობით გაგრძელდა მისი მემკვიდრეების დროს, ხოლო ახალი შინაარსი შეიძინა **ეკატერინე II-ის** (1762-1796) მეფობის პერიოდში. ეკატერინე II-მ კარგად დაინახა, რომ რუსული სამყაროს სრული ევროპეიზაცია შეუძლებელი იყო. იგი რუსული და ევროპული სამყაროს ღირებულებების შერწყმის ხარჯზე რაღაც ახალი ჰიბრიდის მიღებას ცდილობდა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. პეტრე I-ისა და ეკატერინე II-ის რეფორმების საერთო შედეგები ერთმა ჭკვიანმა და განათლებულმა რუსმა ასე შეაფასა: **“პეტრე**

დიდმა ჩვენ გვაქცია ევროპის მოქალაქეებად, ეკატერინე II-მ კი შეგვახსენა, რომ ჩვენ მაინც რუსები ვართ".

XVIII საუკუნის მიწურულს ცხადი გახდა, რომ უკვე კარგად ცნობილ **აზიურ** და **ევროპულ** სამყაროს შორის ჩამოყალიბდა ახალი სამყარო **– რუსული სამყარო.** ეს სამყარო დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა და მან რუსულ სამყაროდ გადაქცევამდე ორი პერიოდი გაიარა: **ნორმანულ-ვიკინგური** ((IX-XII სს.) და **მონღოლური** (XII-XVII სს). თავისთავად რუსული სამყარო სამი საწყისისგან შედგებოდა: **ნორმანულ-ვიკინგური, მონღოლური და ევროპული.** XVIII საუკუნეში ეს სამი საწყისი გამუდმებით იბრძოდა რუსულ სულში. რუსული სამყარო არ ეკუთვნოდა არც აზიურ და არც ევროპულ სამყაროს, თუმცა ერთნაირად საშიშ იყო როგორც აზიური, ისე ევროპული სამყაროსთვის. პეტრე I-ის (1696-1725) მეფობის პერიოდში რუსეთმა **ბალტიისპირეთი** დაიპყრო; ელისაბედ I-ის (1741-1761) მეფობის პერიოდში, შვიდწლიანი ომის დროს (1757-1763 წწ.), პრუსიის არმია გაანადგურა და **ბერლინიც** დაიკავა; ეკატერინე II-ის (1762-1796) მეფობის პერიოდში **პოლონეთის** სახელმწიფო მოსპო და სამი დანაწილების შემდეგ (1795 წლისათვის) მისი უდიდესი ნაწილი დაისაკუთრა. რუსეთი, **უკრაინაში** გაბატონების შემდეგ, **ბალკანეთიდან** ოსმალეთის განდევნას ცდილობდა და სერიოზული წარმატებაც მოიპოვა; **ყაზახეთი** დაიპყრო და შუა აზიის დაპყრობისათვის ემზადებოდა. რუსეთის პოლიტიკური ელიტა **ინდოეთიდან** ინგლისის გაძევებაზე ოცნებობდა.

მიუხედავად რუსულ სახელმწიფოში სამი საწყისის ბრძოლისა, XIX საუკუნე მაინც **ევროპული საწყისის** უპირატესობის დამადასტურებელი იყო. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომ რუსეთი საფრთხეს არ წარმოადგენდა როგორც **აზიური,** ისევე **ევროპული** სამყაროსთვის. ეს საფრთხე მუდმივად არსებობდა. აზიური და ევროპული სამყარო თავს იცავდა რუსული აგრესიისაგან. ახალი ტერიტორიების შეერთებება, მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხების დაპყრობა კვლავ რუსეთის სახელმწიფოს არსებობის წესად რჩებოდა. XIX საუკუნეში რუსეთმა რამდენიმე ომი გადაიხადა, კერძოდ, ორი ომი ირანთან (1804-1813 და 1826-1828 წლებისა), სამი ომი ოსმალეთთან (1806-1812, 1828-1829 და 1877-1878 წლებისა), ერთი ომი ოსმალეთთან და ევროპული სახელმწიფოების კოალიციასთან (1853-1856 წლებისა). 1801-1864 წლებში რუსეთი ომებს აწარმოებდა

კავკასიის დაპყრობისათვის. ამ ომების შედეგად რუსეთმა დაიპყრო **სამხრეთ კავკასია** (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი), **ჩრდილო კავკასია** (ჩეჩნეთი, ინგუშეთი, დაღესტანი, ყაბარდო, ბალყარეთი, ჩერქეზეთი). რუსეთის აგრესიის მსხვერპლი გახდა **შუა აზია** (ბუხარა, ხივა, ყოყანდა), **აღმოსავლეთ ციმბირი** და სხვა ტერიტორია. რუსეთი აქტიურად ერეოდა ნაპოლეონის შემდგომი ევროპის შინაურ საქმეებში.

რუსულ სამყაროში ევროპულ საწყისზე **ნორმანულ-ვიკინგურ-მონღოლური საწყისის** გამარჯვებად შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთ-იაპონიის ომი (1904-1905 წწ.). რუსეთი იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაება, რათა შორეულ აღმოსავლეთში უზარმაზარი გავლენის სფეროსათვის ახალი ტერიტორიები მიემატებინა. რუსეთი ომში სასტიკად დამარცხდა და გავლენის სფეროს ნაწილი დაკარგა. იაპონიასთან ომში მარცხმა რუსეთში პოლიტიკური ვითარება დაძაბა, რაც რევოლუციის დაწყების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად იქცა. 1905-1907 წლების რევოლუციამ ცხადყო, რომ რუსეთი ძველებურად ვეღარ გააგრძელებდა ტერიტორიების დაპყრობისათვის ომებს, რადგან ომი უკიდურესად ძაბავდა პოლიტიკურ ვითარებას ქვეყანაში. მოსახლეობის ყველა ფენაში სწრაფად იკიდებდა ფეხს ომის საწინააღმდეგო განწყობილება. ომის საწინააღმდეგო განწყობილებამ თავი იჩინა არმიაშიც, რაც სრულიად ახალი მოვლენა იყო რუსეთისათვის. რუსული პოლიტიკური ელიტა იაპონიასთან ომში განცდილი მარცხის შემდეგაც ჭკუას ვერ მოეგო და რუსეთისათვის დამდუპველ პირველ მსოფლიო ომში ჩაება (1914 წ.). პირველი მსოფლიო ომის შედეგად რუსეთში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. გაჭიანურებულმა და მარცხიანმა ომმა რუსეთის არმიაში საბრძოლო სულისკვეთება დასცა, არმია გაიხრწნა. რუსეთის მთავრობამ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან (ინგლისიდან, საფრანგეთიდან) უზარმაზარი სესხი აიღო, რის გამოც იძულებული იყო უპერსპექტივო და დამდუპველი ომი გაეგრძელებინა. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს, რასაც სულ უფრო ამწვავებდა ომში განცდილი მარცხი, სრულიად ბუნებრივად მოჰყვა რევოლუცია. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთის იმპერიას ბოლო მოუღო. დაიწყო რუსული სახელმწიფოებრიობის არნახული კრიზისი. 1917 წლის შემოდგომიდან 1918 წლის გაზაფხულამდე

რუსეთმა დაკარგა: **ფინეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა, ჩრდილო კავკასია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, შუა აზია, დასავლეთ ციმბირი, აღმოსავლეთ ციმბირი.** რუსეთის მთავრობის იურისდიქცია მხოლოდ **ველიკოროსიაზე** ვრცელდებოდა, თუმცა ვითარება იქაც არასტაბილური იყო.

რუსულმა სამყარომ ამჯერადაც შეძლო სახელმწიფოებრივი კრიზისის დაძლევა. ახლი რუსული იმპერიის აღოძინება კვლავ **ნორმანულ-ვიკინგურ-მონღოლურ საწყისებზე** მოხდა. 1917 წლიდან ბოლშევიკებმა ჯერ საბჭოთა რუსეთის (1917-1922 წწ.), ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის (1922-1991 წწ.) სახით **რუსულ სახელმწიფოში მონღოლური სული ააღორძინეს.** რუსულმა სამყარომ პროგრესის გზაზე უკანსვლა დაიწყო. დასავლურ (ევრო-ამერიკულ) და აზიურ სამყაროს შორის მოქცეული მონსტრი ორივე სამყაროს გადასაყლაპავად ემზადებოდა. საბჭოთა იმპერიამ 1918-1922 წლებში ხელახლა დაიპყრო: **უკრაინა, მოლდოვა, ჩრდილო კავკასია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, შუა აზია, დასავლეთ ციმბირი, აღმოსავლეთ ციმბირი.** სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს: **ფინეთმა, პოლონეთმა, ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა**. 1939 წელს საბჭოთა იმპერიამ პოლონეთის აღმოსავლეთი რეგიონები დაიპყრო; 1939-1940 წლებში ფინეთის წინააღმდეგ წარმოებული ომის შემდეგ ფინეთის ტერიტორიის ნაწილი მიიტაცა, ხოლო 1940 წელს ლიტვის, ლატვიის და ესტონეთის ოკუპაცია მოახდინა. მეორე მსოფლიო ომში გერმანიისა და იაპონიის დამარცხების შემდეგ საბჭოთა კავშირმა გავლენის სფეროები გააფართოვა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები: **პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი** საბჭოთა იმპერიის გავლენის სფეროში აღმოჩნდნენ. საბჭოთა იმპერიის გავლენის სფეროები გაფართოვდა აზიაშიც **მონღოლეთისა** და **ჩრდილოეთ კორეის** ხარჯზე. საბჭოთა იმპერიის (საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა კავშირის) არსებობის პერიოდში (1917-1991 წწ.) **რუსული სამყარო** მუდმივ კონფრონტაციაში იყო დასავლურ (ევრო-ამერიკულ) და აზიურ სამყაროსთან.

რუსულმა სახელმწიფომ 1917-1991 წლებში, შეიძლება ითქვას, ვერ გადაჭრა ვერც ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკი თუ სოციალური ხასიათის პრობლემა, მაშინ როდესაც ევრო-ამერიკულმა სამყარომ ამ

თვალსაზრისით წარმოუდგენელი წინსვლა განიცადა. საბჭოთა იმპერია გამუდმებით ცდილობდა ევროპასა და აზიაში პოზიციების გამაგრებას. ყველაფერი ეს ითხოვდა უზარმაზარი არმიისა და სამხედრო ფლოტის შენახვას. პოლიტიკური ელიტა იმდენად დაჩლუნგდა, რომ აშკარად გამოკვეთილი სახელმწიფოებრიობის კრიზისის პირობებში უაზრო ომი წამოიწყო **ავღანეთში**, რომელიც დიდხანს (1979-1989 წწ.) გაგრძელდა და გააჩანაგა ქვეყვის ისედაც დასუსტებული ეკონომიკა. ეს იყო **ნორმანულ-ვიკინგური** და **მონღოლური** საწყისების გამარჯვება **ევროპულ** საწყისზე. XX საუკუნის მეორე ნახევარსა და 90-იანი წლების დამდეგს საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა, რასაც თან სდევდა სამხედრო ძლიერების შესუსტება, საბჭოთა იმპერიის ნგრევა გამოიწვია. ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეზე თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმჭიფო აღმოცენდა, მათ შორის იყო **რუსეთის ფედერაციაც**. საბჭოთა იმპერიის ნგრევამ თავისუფლება მოუტანა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს.

ამრიგად, რუსული სამყარო ვითარდება ისტორიული ციკლების სახით: **კიევის რუსეთი (პირველი ციკლი)**, **მოსკოვის რუსეთი (მეორე ციკლი)**, **რუსეთის იმპერია (მესამე ციკლი)**, **საბჭოთა იმპერია (მეოთხე ციკლი)**. ყოველი ციკლი მთავრდება სახელმწიფოებრიობის ძლიერი კრიზისით, სამხედრო ძლიერების დასუსტებით, სხვა სახელმწიფოებისაგან და ხალხებისაგან მიტაცებული ტერიტორიებისა და გავლენის სფეროების დაკარგვით.

თანამედროვე რუსეთის ფედერაციამ XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან რუსული სამყაროს **მეხუთე ციკლი** დაიწყო. რუსეთის ფედერაცია გულმოდგინედ აგრძელებს ნორმანულ-ვიკინგურ-მონღოლურ ტრადიციებს. იგი რჩება **რუსულ სამყაროდ** დასავლურ (ევრო-ამერიკულ) და აზიურ სამყაროს შორის. რუსეთის ევრო-ამერიკულ სივრცეში ინტეგრაცია უპერსპექტივოა, რადგან ეს ნიშნავს რუსული სამყაროს ტრადიციების ლიკვიდაციას. ასეთი ნაბიჯის გადადგმას თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური ელიტა არ აპირებს. ევროსაბჭოსთან, ევროკავშირთან, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობას რუსეთს ურჩევნია დასავლურ (ევრო-ამერიკულ) და აზიურ სამყაროებს შორის არსებობდეს როგორც **მუდმივი**

საფრთხე, როგორც მეზობელი სახელმწიფების ხარჯზე გავლენის სფეროს გაფართოების მისწრაფება.

რუსული სამყარო საფრთხეს უქმნის, როგორც დასავლურ (ევრო-ამერიკულ), ისევე აზიურ სამყაროს. რუსული სამყაროს არსებობის ეს წესი, როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, გარკვეულ ეტაპზე საფრთხეს შეუქმნის თვით რუსულ სახელმწიფოებრიობას, რაც აუცილებლად გადაიზრდება სახელმწიფოებიობის კრიზისში.

რუსეთმა თავის თავს უნდა დაუსვას კითხვა: **შეძლებს კი რუსეთი ყოველთვის იარსებოს როგორც დასავლური (ევრო-ამერიკული), ისევე აზიური სამყაროს მუდმივმა საფრთხემ? შეძლებს კი რუსეთი კვლავ ააღორძინოს დანგრეული სახელმწიფოებრიობა?**

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა,"** 2008, № 162, 30 აგვისტო, გვ. 5. გადაიბეჭდა: გაზეთი **„თბილისის უნივერსიტეტი,"** 2008, № 12, 28 ოქტომბერი, გვ. 5-6; ჟურნალი **„საარქივო მოამბე,"** 2008, № 3, ოქტომბერი, გვ. 80-90.*

2. რუსული საფრთხე ევროპისათვის

რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოების ურთიერთობაში ერთი შეხედვით თითქოს განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ომები, ხანმოკლე თუ ხანგრძლივი ზავები, ტერიტორიის გადანაწილება და გავლენის სფეროს დადგენა – სახელმწიფოების ურთიერთობაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყოველივე ამის მიღმა აშკარად ჩანს ერთი კანონზომიერება: **რუსეთი ევროპისათვის წარმოადგენდა საფრთხეს**. საფრთხეში, ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობთ მხოლოდ ევროპის რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიის ერთბაშად მიტაცებას ან გავლენის სფეროს მოპოვებას. საფრთხეს ქმნიდა **რუსეთის მისწრაფება გაბატონებული მდგომარეობა დაეკავებინა ევროპაში და ემართა ევროპის სახელმწიფოები**. ამ იდეის გაჩენის დროისათვის და შემდეგ საუკუნეებშიც რუსეთი პოლიტიკური, ეკონიმიკური, სოციალური და კულტურული განვითარების დონით ბევრად ჩამოუვარდებოდა ევროპის სახელმწიფოებს. ეს იმას ნიშნავდა, რომ იდეას განხორციელება არ ეწერა. რუსეთში ასე არ ფიქრობდნენ. **გაცილებით მაღალგანვითარებულ სამყაროზე ბატონობას რუსეთი დიდი არმიის საშუალებით აპირებდა**. რუსეთს შეეძლო იმოდენა ლაშქარი შეეკრიბა, რამდენსაც ორი-სამი ევროპული სახელმწიფო ერთად ვერ შეკრებდა. მიუხედავად ამისა, ევროპის ქვეყნების დაპყრობას და იქ საოკუპაციო რეჟიმის ერთბაშად დამყარებას რუსეთი ვერ შეძლებდა. სამაგიეროდ, რუსეთს შეეძლო გამუდმებული, ხანმოკლე და ხანგრძლივი, ომებით ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალური მსვლელობა დაერღვია, შეეფერხებინა ეკონომიკის

სტაბილური განვითარება, დაეძაბა ვითარება. გარკვეული პერიოდიდან რუსული სახელმწიფოებრიობა სწორედ ამ იდეის რეალიზებაზე აეწყო. ევროპისათვის ეს მეტად საშიში იყო. ევროპის სახელმწიფოები რუსული სახელმწიფოს წესით ვერ იარსებებდნენ. ევროპას ხსნის სხვა გზა უნდა ეპოვნა. ამ გზის პოვნა კი ადვილი არ აღმოჩნდა.

რუსეთი, როგორც ევროპის საფრთხე, **კიევის რუსეთის** არსებობის პერიოდში (IX-XII სს.) შეიძლება ითქვას არც არსებობდა. ეს განპირობებული იყო ორი მიზეზით: **პირველი.** კიევის რუსეთში სახელმწიფოებრიობა ის-ის იყო ყალიბდებოდა, ევროპასთან დაპირისპირებისათვის აუცილებელი ეკონომიკური სიძლიერე და მრავალრიცხოვანი არმია კიევის რუსეთს არ გააჩნდა. იმხანად მთელი ძალები ბიზანტიის წინააღმდეგ იყო მიმართული. **მეორე.** კიევის რუსეთს თავს ესხმოდნენ აღმოსავლეთიდან მოსული მომთაბარე ხალხები (პაჭანიკები, ყივჩაღები). მომთაბარეებთან მუდმივი ომები, დაძაბული ვითარება (პაჭანიკები და ყივჩაღები კიევამდე აღწევდნენ) კიევის რუსეთის დასავლეთით აქტიურობას შეუძლებელს ხდიდა. რუსეთი, როგორც ევროპისათვის საშიში ძალა, საცნაური ხდება **მოსკოვის რუსეთის** ჩამოყალიბების პერიოდიდან (XV საუკუნიდან).

რეალურ საფრთხედ გვევლინება მოსკოვის რუსეთის დიდი მთავრის **ივანე III-სა (1462-1505)** და მეფე **ივანე IV მრისხანის (1533-1584)** მმართველობის წლებში. ამ პერიოდში რუსეთმა მიზნად დაისახა: **ევროპისათვის ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის ჩაკეტვა და მისი კონტროლი.** რუსეთში კარგად იცოდნენ, რომ ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის დახურვა ევროპის სახელმწიფოებს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა. ოსმალეთის მიერ კონსტანტინოპოლის აღებისა (1453 წ.) და ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა ოსმალეთის გაბატონება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებსა და მთლიანად შავ ზღვაზე, ევროპას აზიის ქვეყნებთან ურთიერთობის გზები გადაეჭრა. ვითარება კიდევ უფრო გართულდა ხმელთაშუა ზღვაში ოსმალეთის პოზიციების განმტკიცებით. ევროპის სახელმწიფოებს აზიასთან სავაჭრო კავშირი რუსეთზე გამავალი გზებით უნდა დაემყარებინა. ერთ-ერთი ასეთი გზა **თეთრი ზღვის** სანაპიროზე, ქ. **არხანგელსკთან** იწყებოდა. გზა ჯერ ხმელეთზე გადიოდა, ხოლო შემდეგ მდ. **ვოლგით კასპიის ზღვამდე**, ქ.

ასტრახანამდე აღწევდა. კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროდან ერთი სახმელეთო გზა აღმოსავლეთით, **ინდოეთისაკენ,** მიემართებოდა, მეორე სამხრეთისაკენ, **სპარსეთისაკენ** და **არაბული ქვეყნებისაკენ.** აზიისაკენ მიმავალი მეორე გზა **ბალტიის ზღვის** ნავსადგურებთან იწყებოდა, შემდეგ გზა მდ. **ვოლგაზე** გრძელდებოდა გრძელდებოდა და **კასპიის ზღვამდე,** ქ. **ასტრახანამდე** აღწევდა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა, ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი სავაჭრო გზები რუსეთს რომ ეფექტურად აემოქმედებინა ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად განვითარდებოდა და რუსეთიც ევროპულ სამყაროს მჭიდროდ დაუკავშირდებოდა. დაიწყებოდა ორივე მხარისათვის სასარგებლო ურთიერთობა. რუსეთმა სხვა გზა აირჩია.

ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი გზის ევროპისათვის დახურვა რუსეთმა უპირველეს ამოცანად დაისახა და ამ მიზნის მიღწევისათვის შემდეგი ღონისძიებები გაატარა:

პირველი. დაიწყო ომი ბალტიისპირეთის დაპყრობისათვის. რუსეთს სურდა ბალტიის ზღვის სანაპიროების დაპყრობა და ევროპისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სავაჭრო გზის საწყისი პუნქტების ხელში ჩაგდება. მართალია ოცდახუთწლიანი ომი (1558-1583 წწ.) რუსეთის მარცხით დასრულდა, მაგრამ **ივანე IV მრისხანემ** ის მაინც შეძლო, რომ ბალტიის ზღვიდან აზიისაკენ მიმავალი გზა ევროპამ პრაქტიკულად ვერ გამოიყენა.

მეორე. რუსეთი ცდილობდა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცე სხვა მიმართულებითაც დაეცვა. ამ მიზნით რუსეთმა ბელორუსიის ტერიტორიაზე ლიტვის სახელმწიფოს შევიწროვება სცადა. 1492-1494 წლებსა და 1500-1503 წლებში ივანე III-ს ომი ჰქონდა ლიტვასთან. ომები შემდგომშიც გრძელდებოდა.

მესამე. ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის ჩაკეტვა ითხოვდა უკრაინაში პოლონეთის პოზიციების შესუსტებას და ყირიმის სახანოს ლიკვიდაციას. ეს ამოცანა XVI საუკუნეში ვერ გადაიჭრა. რუსეთმა იმას კი მიაღწია, რომ 1552 წელს ყაზანის, ხოლო 1556 წელს ასტრახანის მონღოლური სახანოები გაანადგურა და ევროპის სახელმწიფოებს უკრაინის გავლით ასტრახანამდე მიღწევისა და კასპიის საზღვაო გზის გამოყენების საშუალება მოუსპო.

ამრიგად, XV-XVI საუკუნეებში რუსეთმა შეძლო არ დაეშვა რუსეთის გავლით ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი სავაჭრო გზების ამოქმედება, რითაც ძლიერი დარტყმა მიაყენა

ევროპის ქვეყნების ეკონომიკას. ეკონომიკურად რუსეთიც ძლიერ დაზარალდა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ტრანზიტით მიღებულ შემოსავალს არ ვგულისხმობთ. ომებმა ბალტიისპირეთში, პოლონეთთან, ლიტვასთან, ყირიმისა და ასტრახანის სახანოებთან რუსეთის ეკონომიკას დიდი ზიანი მოუტანა. ამის მიუხედავად **რუსეთი, როგორც ევროპის საფრთხე, არსებობას განაგრძობდა და ამ "მისიის" გაგრძელებაზე უარის თქმას არ აპირებდა.**

ევროპის ქვეყნები, ქრისტიანულ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება რომ ვერ შეძლეს, ოსმალეთისა და სპარსეთის ხელისუფლებას მოურიგდნენ. გარკვეული პერიოდიდან ეფექტურად ამოქმედდა სავაჭრო გზა ოსმალეთისა და სპარსეთის ტერიტორიის გავლით. სავაჭრო გზამ ამ ქვეყნებმა დიდი შემოსავალი მოუტანა.

XVI საუკუნის მიწურულსა და XVII საუკუნის დამდეგს რუსეთი დასუსტდა, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა მოიშალა, ქვეყანა ქაოსმა მოიცვა. ამით ისარგებლეს **შვედეთმა** და **ჟეჩ პოსპოლიტამ** და რუსეთს ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაატოვებინეს. როგორც კი რუსეთი წელში გაიმართა, ევროპისათვის ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის ჩაკეტვა კვლავ აქტუალური გახდა. მეფე **ალექსი მიხეილის ძის (1645-1682)** მმართველობის პერიოდში რუსეთმა უკრაინის დაპყრობის მიზნით ჟეჩ პოსპოლიტას წინააღმდეგ ხანგრძლივი ომი (1654-1667 წწ.) აწარმოა და უკრაინის ნაწილი (დნეპრის მარცხენა სანაპირო) დაათმობინა ჟეჩ პოსპოლიტას.

რუსეთი, როგორც ევროპის საფრთხე, მთელი სისრულით წარმოჩნდა **პეტრე I-ის (1696-1725)** და მისი მემკვიდრეების დროს. ამ პერიოდისათვის (XVIII საუკუნის დამდეგი) ევროპას აზიის ქვეყნებთან სახმელეთო და საზღვაო გზებით ვაჭრობა შესანიშნავად ჰქონდა აწყობილი და ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე სივრცის დახურვა ევროპის სახელმწიფოებს დიდად არ აღელვებდათ. **ევროპისათვის უფრო აქტუალური იყო თვით რუსეთის ბაზარი.** რუსეთის ბაზარზე შეღწევისათვის ევროპის სახელმწიფოებს აუცილებლად ჭირდებოდათ ბალტიისა და თეთრი ზღვის სანაპიროზე არსებული ნავსადგურების ამოქმედება, **თეთრი ზღვა – ვოლგა – კასპიის ზღვა** და **ბალტიის ზღვა – ვოლგა – კასპიის ზღვა** სავაჭრო გზების ეფექტურად გამოყენება. პეტრე I-ის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ევროპის სახელმწიფოებს რუსეთის

ბაზრის ათვისების ხალისი დაუკარგა. პეტრე I ცდილობდა ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობაში აქტიური ბალანსის შენარჩუნებას, ანუ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით რუსული საქონელი გაეტანა ევროპაში და ნაკლები შემოეტანა. ამიტომ იყო, რომ რუსეთსა და ევროპას შორის ვაჭრობის მასშტაბები ძალზე შეიზღუდა. ევროპის სახელმწიფოებს რუსეთიდან მხოლოდ აუცილებელი საქონელი გაჰქონდათ და ისიც ძალზე შეზღუდული რაოდენობით.

პეტრე I არ იყო ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი. მას კონსტანტინეპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ მოსკოვის რუსეთის მიერ გაცხადებული დოქტრინის – **"მოსკოვი – მესამე რომი, მეოთხე აღარ იქნება"** – მხოლოდ პოლიტიკური (უფრო ზუსტად, სამხედრო-პოლიტიკური) ასპექტი აინტერესებდა. რეალურად "მესამე რომის" იდეის რეალიზება პეტრე I-მა დაიწყო. რუსეთის აგრესია რამდენიმე მიმართულებით განვითარდა:

1. 1696 წ. – აზოვის ციხე-სიმაგრის აღება და მდ. დონის შესართავის მიტაცება;
2. 1700-1721 წწ. – ბალტიისპირეთის დაპყრობა და შემოერთებული ტერიტორიის ათვისების დაწყება;
3. 1708-1709 წწ. – უკრაინისა და ბელორუსიის ნაწილის მიტაცება;
4. 1711 წ. – რუსეთის არმიის შეჭრა დუნაისპირეთში და ბალკანეთის დაპყრობის მცდელობა;
5. 1722-1723 წწ. – რუსეთის არმიის შეჭრა კასპიისპირეთში და სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის დაპყრობის მცდელობა.

პეტრე I-მა პრაქტიკულად რუსეთის კონტროლს დაუქვემდებარა უზარმაზარი სივრცე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე – პეტერბურგიდან აზოვის ციხე-სიმაგრემდე.

პეტრე I-ის მეფობის წლებში გამოიკვეთა სამი სტრატეგიული მიმართულება – რუსეთის მომავალი აგრესიის სფეროები:

პირველი. დასავლეთის (ბელორუსიის გავლით პოლონეთისაკენ);

მეორე. სამხრეთ-დასავლეთით (უკრაინის გავლით ბალკანეთისაკენ);

მესამე. სამხრეთით (დნეპრის ქვემო წელით ყირიმის ნახევარკუნძულისაკენ);

მეოთხე. სამხრეთ-აღმოსავლეთით (ვოლგის დელტიდან კასპიის ზღვის სანაპიროთი სამხრეთ კავკასიისაკენ).

ხსენებული ოთხი სტრატეგიული მიმართულებიდან მთავარი იყო პირველი (დასავლეთის) და მეორე (სამხრეთ-დასავლეთის). ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბალტიისპირეთში მყარად დამკვიდრებული რუსეთი ევროპაში შეჭრისათვის ემზადებოდა. რუსეთმა კარგად გამოიყენა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის არსებული დაპირისპირება. კერძოდ პრუსიის გაძლიერებით შეშფოთებულმა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა (საფრანგეთი, ავსტრია და სხვ.) დახმარებისათვის რუსეთს მიმართეს. იმპერატორმა **ელისაბედ I (1741-1761)** ანტიპრუსიულ კოალიციაში ჩაება. შვიდწლიანი ომის (1757-1763 წწ.) დროს რუსეთმა პრუსიის არმია გაანადგურა და 1760 წელს ბერლინიც დაიკავა. მართალია რუსეთმა პრუსიის ტერიტორია მალევე დატოვა, მაგრამ პრუსიამ, როგორც რუსეთის მეტოქემ ბალტიისპირეთში, სერიოზული დარტყმა განიცადა.

მალე რუსეთმა ახალი წარმატებები მოიპოვა. პრუსიასთან და ავსტრიასთან ერთად დასუსტებული ჟეჩ პოსპოლიტას სამი დანაწილებით (1772, 1793, 1795 წლები) პოლონეთის დიდი ნაწილი (ვარშავითურთ) მიიტაცა. **ეკატერინე II-მ (1762-1796)** ოსმალეთთან ომში ორგზის (1768-1774 და 1787-1791 წლებში) გამარჯვების შემდეგ ყირიმის სახანო შეიერთა და მთელ შავიზღვისპირეთში გაბატონდა. რუსეთს ბალკანეთში შეჭრის რეალური შესაძლებლობა მიეცა.

ამრიგად, პეტრე I-ის მიერ დასახული ოთხი სტრატეგიული მიმართულებიდან მისმა მემკვიდრეებმა სამი მიმართულებით (დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის) დიდი წარმატებები მოიპოვეს. რუსეთი ევროპისათვის რეალურ საფრთხედ იქცა.

რუსეთისაგან მომდინარე დიდი საფრთხე ზუსტად შეაფასა **ნაპოლეონმა** და გადამჭრელი ღონისძიებებიც გაატარა. ნაპოლეონი კარგად ხედავდა, რომ XVIII საუკუნეში რუსეთის მიერ ბალტიისპირეთის, პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილის, ბელორუსიის, უკრაინის, ყირიმის ნახევარკუნძულისა და მთელი ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა პრაქტიკულად დასავლეთ ევროპისათვის ომის გამოცხადებას მოასწავებდა. ევროპა რუსეთთან ურთიერთობაში დაშვებული შეცდომების ნაყოფს იმკიდა. ამ ურთულეს ვითარებაში ნაპოლეონმა რუსეთის ევროპული სამყაროს ნაწილად

გადაქცევის იდეა წამოაყენა. **ევროპა და რუსეთი ერთ სამყაროდ უნდა ქცეულიყო.** მხოლოდ ამის შემდეგ შეწყვეტდა რუსეთი ევროპის საფრთხედ არსებობას. ამ დიდი იდეის რეალიზებისათვის აუცილებელი იყო ერთი წინაპირობის შესრულება – ნაპოლეონს რუსეთის არმია უსწრაფესად უნდა გაენადგურებინა. 1812 წელს ნაპოლეონი რუსეთთან ომში დამარცხდა და დიდი იდეაც დასამარდა. ევროპელი მონარქები ნაპოლეონის დამარცხებას ზეიმობდნენ და ვერც კი ამჩნევდნენ, რომ გამარჯვებული რუსეთი ევროპას კიდევ უფრო დიდ საფრთხეს შეუქმნიდა. ვენის კონგრესი და **"საღვთო კავშირის"** შექმნა (1814-1815 წწ.) ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა.

"საღვთო კავშირმა", მიუხედავად იმისა, რომ მან ევროპაში რუსეთის ყოფნა დააკანონა, დადებითი როლი შეასრულა – ევროპა ასი წლის განმავლობაში (1815-1914 წწ.), ასე თუ ისე, ერთ სამყაროს წარმოადგენდა. ეს სამყარო პირველი მსოფლიო ომის დაწყებით (1914 წ.) დაინგრა. ამაში რუსეთს ვერ დავადანაშაულებთ – სხვა სახელმწიფოების ბრალი გაცილებით დიდი იყო.

1917 წელს, დიდი პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის (შემდეგში საბჭოთა კავშირის) ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა ძველი იდეის ხორცშესხმა დაიწყეს – **რუსეთი (საბჭოთა კავშირი) ევროპის საფრთხედ აქციეს.** "მსოფლიო რევოლუციის" კომუნისტური იდეა, პირველ რიგში, სწორედ ევროპის წინააღმდეგ იყო მიმართული. რუსეთისაგან მომდინარე საფრთხე ევროპაში ზუსტად აღიქვეს. 1918-1920 წლებში ევროპის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი) და ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო ძალითა და "თეთრი მოძრაობისადმი" მხარდაჭერით ცდილობდნენ რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლას, მაგრამ ამაოდ. მარცხის შემდეგ დასავლეთ ევროპის დიდი სახელმწიფოები რუსეთთან თანამშრომლობის (დე ფაქტო აღიარების) გზას დაადგნენ. ასეთი პოლიტიკა შექმნილი ვითარებით იყო განპირობებული.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების (1918 წ.) შემდეგ გარკვეული მიზეზების გამო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა დაიძაბა. ომისაგან დანგრეულ ევროპას ესაჭიროებოდა სურსათი (პირველ რიგში პური) და მრეწველობისათვის აუცილებელი ნედლეული (ნავთობი,

მანგანუმი და სხვ.). ომისაგან დანგრეული ეკონომიკის აღდგენა ევროპას შეეძლო ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით. ეს ევროპისათვის მიუღებელი იყო, რადგან დახმარების სანაცვლოდ ამერიკა ევროპას პოლიტიკურ მოთხოვნებს უყენებდა. ევროპელმა პოლიტიკოსებმა ომისაგან დანგრეული ეკონომიკის აღდგენა საბჭოთა რუსეთის დახმარებით გადაწყვიტეს, რადგან რუსეთი ევროპას ვერავითარ პოლიტიკურ მოთხოვნას ვერ წაუყენებდა. გარდა ამისა რუსეთი ხელსაყრელი პარტნიორი იყო ბაზრის სიიაფის გამოც. მაგალითად, ევროპას რუსეთიდან შეტანილი პური ამერიკიდან შეტანილთან შედარებით გაცილებით იაფი უჯდებოდა. ევროპის ეკონომიკის აღორძინება წარმოუდგენელი იყო რუსეთის ნავთობის, მანგანუმი, საუკეთესო ხარისხის ფოლადის და სხვ. გარეშე. **ევროპა-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობის დაწყება იმას ნიშნავდა, რომ ევრო-ამერიკული სამყარო საბჭოთა რუსეთის (საბჭოთა კავზშირის) საფრთხის წინააღმდეგ ვერ გაერთიანდა.** ამით ისარგებლა საბჭოთა იმპერიამ და თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ევროპასთან აქტიური სავაჭრო ბალანსით დიდი მოგება ნახა.

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) შემდეგ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ევრო-ამერიკული სამყარო გაერთიანდა. ამ ერთიანობის შედეგი იყო საბჭოთა იმპერიის დასუსტება და მისი დაშლა (1991 წ.). ამ დიდი გამარჯვების შემდეგ **ევრო-ამერიკულმა სამყარომ დიდი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა.** საბჭოთა კავშირის თხუთმეტ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დაშლამ შექმნა იმისი შთაბეჭდილება, რომ რუსეთი ევროპას საფრთხეს ვეღარ შეუქმნიდა ეს იყო ნაჩქარევად გაკეთებული დასკვნა. **იმ ძალას, რომელმაც საბჭოთა კავშირი დაშალა, შეეძლო რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე დაშლა და ციმბირის ჩამოცილება რუსეთისაგან.** ვინც ეს არ დააკეთა დღეს თავს იმართლებს: რუსეთის ავტონომიური რესპუბლიკების დონეზე დაშლა და ციმბირის რუსეთისაგან ჩამოცილება ევროპასა და აზიაში რთულ, უმართავ პროცესებს გამოიწვევდაო. ეს სავსებით სწორია. დღევანდელი ვითარება ცხადს ხდის, რომ, საშიშროების მიუხედავად, სჯობდა რუსეთის დაშლა 1991 წლის ახლო ხანებში მომხდარიყო, თუნდაც ნაწილობრივ. ბუნებრივად ისმის კითხვა: **რა აზრი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დაშლას თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთი გაბატონდებოდა და ევროპას საფრთხეს ის შეუქმნიდა?** აღიარებენ თუ არა თავის შეცდომას

დიდი პოლიტიკის მამები, მნიშვნელობა არა აქვს. ჭეშმარიტება ერთია: **რუსეთი XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს უნდა დაშლილიყო.** ევრო-ამერიკული სამყარო დღეს დიდი სტრატეგიული შეცდომის შედეგებს იმკის: მონსტრმა ძალა მოიკრიბა და თავის სიძლიერეში დარწმუნებული სამხრეთ კავკასიის, ბალტიისპირეთის, უკრაინის, მოლდოვას გადასაყლაპავად ემზადება. **ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ევროპისათვის სივრცის დახურვა რუსული სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართულებად რჩება.**

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა,”** 2008, № 171, 12 სექტემბერი, გვ. 5-6.*

3. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის შეფასებისათვის (XV-XVIII სს.)

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესწავლა რუსეთის იმპერიის ისტორიოგაფიამ (ს. ბელოკუროვი, ს. ბურნაშევი, პ ბუტკოვი, ნ. დუბროვინი და სხვ.) დაიწყო. ცხადია, იმ პერიოდში (XIX-XX სს.) შექმნილი გამოკვლევები ვერ იქნებოდა ობიექტური. ისტორიოგრაფია იმპერიის სამსახურში იმყოფებოდა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის გააზრება დაიწყო **ივანე ჯავახიშვილმა,** თუმცა შემდეგომში მას ამ მიმართულებით ფუნდამენტური კვლევა აღარ გაუგრძელებია. საქართველოში საბჭოთა (კომუისტური) წყობილების არსებობის პერიოდში (1921-1991 წწ.) საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის შესწავლას საყურადღებო გამოკვლევები მიუძღვნეს **ნიკო ბერძენიშვილმა, მიხეილ პოლიევქტორმა, იასე ცინცაძემ, ალექსანდრე ფირცხალაიშვილმა, ვალერიან მაჭარაძემ, გიორგი პაიჭაძემ, ნოდარ ნაკაშიძემ, ლევან ალექსიძემ, ნოდარ ასათიანმა** და სხვებმა. ქართველი ისტორიკოსები, ცხადია, ხარკს უხდიდნენ ეპოქას, თუმცა, ამის მიუხედავად მათ შეძლეს დიდძალი საარქივო მასალის გამოვლენა და სოლიდური გამოკვლევების შექმნა.

საბჭოთა (კომუისტური) წყობილების ლიკვიდაციისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აუცილებელი გახდა

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის (XV-XVIII სს.) ობიექტურად გააზრება და მთელი რიგი დებულებების გადახედვა. ეს გაპირობებულია ორი მიზეზით: **პირველი.** აუცილებელია რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეხედულებების გადასინჯვა; **მეორე.** დასაბუთებული, მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხი უნდა გაეცეს თანამედროვე რუს ისტორიკოსებს, რომელებიც ცდილობენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის პოლიტიკური მიზნით გაყალბებას.

***

რუსეთის მოსვლა სამხრეთ კავკასიაში და ქართული სამეფო-სამთავროების (ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები) დაპყრობა (1801 – 1810 წწ.) დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. რუსეთის სახელმწიფოს დაინტერესება ჩრდილო და სამხრეთ კავკასიით, ნელი, მაგრამ კარგად გააზრებული წინსვლა კავკასიის მთავარი ქედის მიმართულებით დაემთხვა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის უწყვეტ გაუარესებას. XV–XVI საუკუნეების მიჯნაზე ქვეყნის შიგნით დამღუპველი პროცესები განვითარდა. **პირველი.** ერთიანი ქართული მონარქია ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ დაიშალა (მოგვიანებით მათ რიცხვს მიემატა სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები); **მეორე.** ქართულ სამეფო სამთავროებს შორის დაიწყო ხანგრძლივი დაპირისპირება, რომელიც ხშირად ომებში გადაიზრდებოდა ხოლმე; **მესამე.** სამეფო-სამთავროებში დაიწყო სათავადოების წარმოქმნა და გაძლიერება, რამაც შიგნიდან დაასუსტა ცალკეული სამეფოები და სამთავროები; **მეოთხე.** იყო ცდები საქართველოს ეკლესიის ერთიანობის დარღვევისა; **მეხუთე.** საქართველოს პოლიტიკურმა დაშლამ დიდი ზიანი მიაყენა ეროვნულ ცნობიერებას. დაპირისპირება და ომები ქართულ სამეფო- სამთავროებს შორის კიდევ უფრო აღრმავებდა ამ პროცესს.

საქართველოს საშინაო მდგომარეობის გაუარესებას დაემთხვა საერთაშორისო ურთიერთობის გართულება:

პირველი. საქართველოს სამხრეთით წარმოიშვა ორი ძლიერი მუსლიმური სახელმწიფო – ოსმალეთი (თურქეთი) და ირანი (სპარსეთი). 1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. 1461 წელს ოსმალებმა ქალაქი ტრაპიზონი დაიკავეს, ხოლო 1475 წელს ჩრდილო შავიზღვისპირეთიც დაიპყრეს. **მეორე.** 1514 წელს ომი დაიწყო ირანსა და ოსმალეთს შორის. ამ ომის ერთ-ერთი მიზანი, ისევე როგორც XVI-XVII საუკუნეებში წარმოებული მრავალი ომისა, სამხრეთ კავკასიაში გაბატონება იყო. ამასიის ზავიდან (1555 წ.) მოყოლებული საქართველოს ტერიტორია რამდენჯერმე განაწილდა ირანსა და ოსმალეთს შორის. **მესამე.** საქართველოს სამხრეთით, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ირანსა და ოსმალეთის გაბატონების შემდეგ ამ ორმა ისლამურმა სახელმწიფომ შეღწევა იწყო კავკასიის მთიანეთში. ირანმა – კასპიის ზღვისპირეთიდან, ოსმალეთმა – შავი ზღვისპირეთიდან. ჩრდილო კავკასიაში დაიწყო ისლამის გავრცელება და იქაური მოსახლეობის ისლამის რჯულზე მოქცევა. ქართული სამეფო-სამთავროები მუსლიმური სახელმწიფოების რკალში აღმოჩნდნენ; **მეოთხე.** დასავლეთ ევროპის ქვეყნები ევროპაში ოსმალეთის მზარდი აგრესიის პირობებში სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებში ვერ ერეოდნენ. გარდა ამისა, ევროპის ქვეყნები ირანს ანტიოსმალური კოალიციის წამყვან ძალად განიხილავდნენ და, საქართველოს გამო ირანთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ. ასეთ ვითარებაში ქართული სამეფო-სამთავროების ევროპულმა ორიენტაციამ აზრი დაკარგა, რეალობას მოკლებული აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ დასავლეთ ევროპიდან დახმარების მიღების ცდები (საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის ელჩობა ევროპაში 1460-1461 წლებში, ქართლის მეფის ელჩობა ევროპაში 1471 წელს, კახეთის მეფის ელჩობა ევროპაში 1471 წელს) უშედეგოდ დამთავრდა. **მეხუთე.** ირანთან და ოსმალეთთან უთანასწორო ბრძოლაში მოკავშირის გარეშე დარჩენილმა საქართველომ დაკარგა თავისი ისტორიული ტერიტორიის ნაწილი: ჭარ-ბელაქანი და კაკ-ენისელი და სამცხე-საათაბაგო, აჭარა, აფხაზეთი, შავი ზღვის სანაპიროზე (სამეგრელოსა და გურიაში) არსებული სიმაგრეები.

აი, ასეთ უმძიმეს საშინაო და საგარეო ვითარებაში ქართული დიპლომატიის ისტორიაში გადაიდგა საბედისწერო ნაბიჯი. ქართველმა დიპლომატებმა მიზნად დაისახეს სამხრეთ კავკასიაში მიმდანარე მოვლენებში მესამე ძალის – **რუსეთის** –

ჩართვა. **პრორუსული** ორიენტაციის შემუშავება პირველად კახეთის სამეფოში, მეფე **ალექსანდრე I-ის (1476-1511)** კარზე მოხდა. რას ემყარებოდა კახეთის მეფის ჩანაფიქრი? ცხადია, ალექსანდრე I-ს კარგად ექნებოდა გაანალიზებული მახლობელი აღმოსავლეთის მუსლიმურ სამყაროში განვითარებული მოვლენები. კახეთის მეფეს ასევე უნდა სცოდნოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოზიცია სამხრეთ კავკასიის მიმართ. მთლად ნათელი არ არის, თუ რა წარმოდგენა ჰქონდა ალექსანდრე I-ს რუსეთში შექმნილი საშინაო ვითარებისა და, რაც მთავარია, რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ კახეთის სამეფო კარს ძალზე ზოგადი, ხშირ შემთხვევებში ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმ ქვეყნის შესახებ, რომელსაც დახმარებას სთხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ალექსანდრე I ღრმად უნდა ყოფილიყო დარწმუნებული იმაში, რომ რუსეთის დახმარებით მუსლიმური სახელმწიფოების აგრესიისგან თავის დაცვა არარეალური იყო.

კახეთის მეფის **ალექსანდრე I-ის (1476-1511)** თანამედროვე რუსეთის (მოსკოვის) მთავარი **ივანე III (1462-1505)** ქვეყნის მართვას საკმაოდ რთულ ვითარებაში შეუდგა. ოქროს ურდოს ხანი ჯერ-ჯერობით რუსეთის უმაღლეს ხელისუფლად ითვლებოდა. მართალია, რუსეთმა ოქროს ურდოსაგან ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ეს უკანასკნელი საკმაოდ სერიოზულ სამხედრო ძალას ფლობდა და შეეძლო რუსეთისათვის დიდი ზიანი მიეყენებინა. ივანე III სამი წლის განმავლობაში (1477-1479 წწ.) ომს აწარმოებდა დიდი ნოვგოროდის შემოერთების მიზნით. დიდი ნოვგოროდის რუსეთის სახელმწიფოში შესვლას ეწინააღმდეგებოდა პოლონეთ-ლიტვის მეფე **კაზიმირ IV**, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ოქროს ურდოს ხანის **აჰმედის** მიმხრობას ცდილობდა. მართალია, ივანე III-მ ნოვგოროდი შეიერთა (1479 წ.) და რუსეთში მონღოლთა ბატონობასაც ბოლო მოუღო (1480 წ.), მაგრამ მალე ტვერის სამთავროს შემოერთბისათვის მოუწია ბრძოლა (1485 წ.). 1492-1494 წლებში რუსეთი ლიტვასთან იყო ომში ჩაბმული. ამ ომმა რუსეთ-ლიტვის წინააღმდეგობა ვერ გადაჭრა. ახალი ომი კარს იყო მომდგარი.

აი, ასეთი იყო საშინაო და საგარეო ვითარება რუსეთში, როცა 1483 წელს კახეთის მეფის ელჩები მოსკოვში ჩავიდნენ. ცხადია, იმხანად რუსეთის დიდი მთავარი ივანე III კახეთის სამეფოს არა მარტო სამხედრო დახმარებას ვერ

ადმოუჩენდა, არამედ დიპლომატიურ მხადრაჭერასაც კი ვერ დაჰპირდებოდა. რუსეთში ჯერ-ჯერობით არ არსებობდა და არც შეიძლებოდა არსებულიყო კავკასიაში რუსეთის შეღწევის გეგმის მონახაზიც კი. მართალია, ოქროს ურდო დაიშალა, მაგრამ რუსეთის აქტიურობას კავკასიის მთავარი ქედის მიმართულებით ზღუდავდა **ყირიმის, ყაზანის** და **ასტრახანის** მონღოლური სახანოები. (აღსანიშნავია, რომ ივანე III-ის მოკავშირე 1492-1494 წლებში ლიტვასთან წარმოებულ ომში ყირიმის ხანი მენგლი-გირეი იყო). რასაკვირველია, ყაზანის, ყირიმისა და ასტრახანის სახანოების დაპყრობის გარეშე რუსეთი ვერც ჩრდილოეთ და , მით უმეტეს, ვერც სამხრეთ კავკასიაში რეალურ ძალად ვერ იქცეოდა.

ქართველმა დიპლომატებმა პრორუსული ორიენტაციის შემუშავებისას დაუშვეს სტრატეგიული შეცდომა. რუსეთის სამხრეთ კავკასიაში მოსვლა ნიშნავდა რუსეთ-ირან-ოსმალეთის ომების დასაწყისს. ანგარიში არ გაუწიეს იმას, რომ რუსეთის სახელმწიფოს გაერთიანებასა და გაძლიერებას (XV-XVI სს.), ბუნებრივია, მტრულად შეხვდნენ მისი დასავლელი და ჩრდილოელი მეზობლები: **პოლონეთი, ლიტვა, ლივონიის ორდენი, შვეცია.** ამის გამო XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე რუსეთი სამხრეთში აქტიურ საგარეო პოლიტიკას ვერ აწარმოებდა. **1492-1494 წლების რუსეთ-ლიტვის ომს მოჰყვა ახალი ომები ლიტვასთან (1500-1503 წწ. და 1512-1514 წწ.).**

ივანე III-სა (1462-1505) და ვასილი III-ს (1505-1533) პოლიტიკა ცვლილებებს განიცდის **ივანე მრისხანის (1533-1584)** დროს. ივანე მრისხანე უმთავრესად მიიჩნევდა რუსეთის პოზიციების განმტკიცებას ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით (ბალტიისპირეთში), რაც ლიტვასთან, პოლონეთსა და შვეციასთან ომის გარეშე შეუძლებელი იყო. ამ პრობლემის გადაჭრას ისახავდა მიზნად **ლივონიის ომი (1558-1583 წწ.).** ამავე დროს ივანე მრისხანემ შეძლო ყაზანისა (1552 წ.) და ასტრახანის (1556 წ.) სახანოების დაპყრობა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა ვერ მოახერხა ყირიმის სახანოს დაუფლება, მაინც ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ჩრდილო კავკასიაში რუსეთის გააქტიურებისათვის.

შექმნილ ვითარებაში ქართველმა დიპლომატებმა კვლავ ცადეს რუსეთის ჩართვა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში, კერძოდ, ირან-ოსმალეთის დაპირისპირებაში. ინიციატივა კვლავ კახეთის სამეფო კარმა გამოიჩინა. ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, **სტრატეგიული შეცდომა**

დაშვებული არ ყოფილა. ივანე მრისხანე სერიოზულად იყო დაინტერესებული ჩრდილო კავკასიით. ვითარება არ შეცვლილა არც მისი მემკვიდრის მეფე **თეოდორეს (1584-1598)** დროს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის რუსეთის დაინტერესების სფეროს ჩრდილო კავკასია შეადგენდა და არა სამხრეთ კავკასია. ლივონიის ომში (1558-1583 წწ.) დამარცხებული რუსეთი, რასაც ჩრდილო დასავლეთით (განსაკუთრებით ბალტიისპირეთში) რუსეთის პოზიციების შესუსტება მოჰყვა, ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში არ ჩაებმებოდა. თუ სპარსეთი და ოსმალეთი ჩრდილო კავკასიის ბარში (და არა მთიანეთში) რუსეთის შეღწევას შეეგუებოდნენ, ამ შემთხვევაშიც კი ქართველ დიპლომატთა გეგმის რეალიზება მაინც ძნელი იქნებოდა. **ყველა შემთხვევაში, რუსეთი სამხრეთ კავკასიაში არარეალურ ძალად დარჩებოდა.** სწორედ ასეთი ვითარების შედეგი იყო კახეთის სამეფოში მეფე **ლევანის (1518-1574)** დროს რუსთა ხუთასკაციანი რაზმის შემოსვლა. ივანე მრისხანემ მდინარე თერგის ხეობაში ციხე-სიმაგრეების მშენებლობა დაიწყო. თუ რუსეთი შეძლებდა კონტროლი დაეწესებინა იმ გზებზე, რომლებიც მდინარე თერგის ხეობაში არსებული ციხე-სიმაგრეებიდან კახეთის სამეფოში ჯარის გადაყვანისათვის იყო აუცილებელი, ქართველი დიპლომატების გეგმის განხორციელებაც რეალური ხდებოდა. ცხადია, შექმნილი საფრთხე დროულად შენიშნეს ირანმა და ოსმალეთმა. რუსეთი ამ ქვეყნებთან ურთიერთობის გართულებას მოერიდა (ოსმალეთის წაქეზებით ყირიმის ხანი რუსეთის საზღვრებში შეიჭრა). რუსებმა თერგის ხეობაში აგებული ციხე-სიმაგრეები დაანგრიეს. კახეთში მყოფი რუსთა რაზმიც ჩრდილო კავკასიაში დაბრუნდა.

რუსეთის კავკასიური პოლიტიკის მარცხი ვერ გაითვალისწინეს ქართველმა პოლიტიკოსებმა. მათ დაუშვეს **კიდევ ერთი სტრატეგიული შეცდომა**. კახეთის მეფე **ალექსანდრე II (1574-1605)** ირანისა და ოსმალეთის აგრესიის მოგვარებას კვლავ რუსეთის დახმარებით ცდილობდა, ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ რუსეთმა არათუ სამხრეთ კავკასია, არამედ ჩრდილო კავკასიაც ირან-ოსმალეთის გავლენის სფეროდ აღიარა. ცხადია, კახეთის სამეფო კარმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ ლივონიის ომის (1558-1583 წწ.) დასრულების შემდეგ რუსეთ-შვეციის ურთიერთობა კვლავ დაძაბული რჩებოდა. ამ უკანასკნელს

ოკუპირებული ჰქონდა რუსეთის ტერიტორიის ნაწილი. მოსალოდნელი იყო ახალი ომი შვეციასთან.

კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის მიერ მირთმეულ **„ფიცის წიგნს"** (1587 წ.) რუსეთის მეფე თევდორემ **„წყალობის სიგელით"** (1589 წ.) უპასუხა. ერთი წლის შემდეგ (1590 წ.) რუსეთ-შვეციის ომი დაიწყო. 1595 წლის ზავით რუსეთმა შვეციის მიერ მიტაცებული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი დაიბრუნა. 1590 წელს ყირიმის ხანმა **ყაზი-გირეიმ** რუსეთზე ილაშქრა და მოსკოვამდე მიაღწია. იმხანად ყირიმის ხანის დამარცხება მოხერხდა, მაგრამ ქვეყნის სამხრეთი საზღვრები კვლავ დაუცველი რჩებოდა. ეს გარემოება კი ჩრდილო კავკასიაში რუსეთს აქტიური პოლიტიკის წარმოების საშუალებას არ აძლევდა. [1]

კახეთის სამეფოს პრორუსული ორიენტაცია საბოლოოდ დაასამარა მეფე თევდორეს სიკვდილის (1598 წ.) შემდეგ რუსეთში დაწყებულმა შინააშლილობამ, დიდმა სოციალურმა ამბოხმა და **ჟეჩ პოსპოლიტასა** (პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოს) და **შვეციის** აგრესიამ (1603-1610 წ.). რუსეთის პოზიციების შესუსტება კარგად გამოიყენა ირანის შაჰმა **აბას I-მა** და სასტიკად დასაჯა კახეთის სამეფო სახლი – 1605 წელს **ალექსანდრე II** და მისი ვაჟი **გიორგი** შაჰმა მოაკვლევინა.

შინააშლილობის, დიდ სოციალური ამბოხისა და ჟეჩ-პოსპოლიტასა და შვეციის აგრესიისგან დასუსტებული რუსეთი ნელ-ნელა გაიმართა წელში და უკვე მეფე **ალექსის (1645-1676)** დროს სერიოზულ ძალად იქცა. . ამ პერიოდისათვის რუსეთის უმთავრეს ამოცანას უკრაინიდან ჩეჟ პოსპოლიტას განდევნა და შვეციის აგრესიული გეგმების აღკვეთა წარმოადგენდა. უკრაინის რუსეთთან შეერთებას (1654 წ.) მოჰყვა ხანგრძლივი ომი ჩეჟ პოსპოლიტასთან, რომელიც 1667 წელს დასრულდა. არანაკლებ მძიმე იყო ომი შვეციასთან (1656-1658 წწ.). რუსეთმა საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია: ჩეჟ პოსპოლიტას მთელი უკრაინა ვერ დაათმობინა, ხოლო შვეციას ვერ წაართვა ბალტიის ზღვის სანაპიროები. ყირიმის სახანო კვლავ დიდ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის სამხრეთ რეგიონებს.

მეფე ალექსის (1645-1676) კარზე არ შემუშავებულა არც ჩრდილოეთ კავკასიასა და, მით უმეტეს, არც სამხრეთ კავკასიაში აქტიური პოლიტიკის წარმოების გეგმა. ასეთ ვითარებაში **ქართულმა დიპლომატიამ მორიგი სტრატეგიული შეცდომა დაუშვა.** მეფე **თეიმურაზ I** (გამეფდა კახეთში 1606

წელს, ქართლ-კახეთის მეფე გახდა 1625 წელს, ქართლის ტახტი დაკარგა 1633 წელს, კახეთისა – 1648 წელს) კვლავ პრორუსული პოლიტიკით ცდილობდა ქვეყნის გადარჩენას. 1658 წელს თეიმურაზ I მოსკოვში ჩავიდა დახმარების სათხოვნელად. ამ დროს გრძელდებოდა რუსეთ-ჩეჟ პოსპოლიტის ომი, ხოლო შვეციასთან მხოლოდ დროებითი ზავი იყო დადებული. ასეთ ვითარებაში თეიმურაზ I, ცხადია, ხელცარიელი გამოისტუმრეს საქართველოში.

პრორუსული ორიენტაციის მარცხმა თავისთავად გამოიწვია პროირანული ორიენტაციის გაძლიერება პროირანულ ორიენტაციას ადგნენ: **ერეკლე I** (გამეფდა ქართლში 1688 წელს, კახეთში – 1703 წელს), **დავით II** (გამეფდა კახეთში 1709 წელს), **გიორგი XI** (პირველად გამეფდა ქართლში 1675 წელს, მეორედ – 1703 წელს).

ორსაუკუნოვანი პრორუსული ორიენტაციის შედეგი ასეთი იყო: **ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანს დარჩა, ხოლო იმერეთის სამეფო, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროები – ოსმალეთს.**[2]

ქართველი დიპლომატების მიერ პრორუსული ორიენტაციის შემუშავებისა და მისი რეალიზებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება XVIII საუკუნის 10-იანი წლების ბოლოდან. ეს მოვლენა ქართლის ჯანიშინისა და მეფის **ვახტანგ VI-ისა (1703-1724 წწ.)** და რუსეთის მეფის **პეტრე I-ის (1696-1725 წწ.)** სახელებს უკავშირდება.

ირანის შაჰის მიერ 1703 წელს ქართლის ჯანიშინად (მმართველად) დანიშნული, ხოლო 1716 წელს ქართლის მეფედ დამტკიცებული ვახტანგ VI პრორუსული ორიენტაციის აუცილებლობის აღიარებამდე ერთბაშად და ადვილად არ მისულა. ვახტანგ VI-ის წინამორბედი მეფეები, ისლამის აღმსარებელი **გიორგი XI** ირანის შაჰის სამსახურში დაიღუპა (1709 წ.). ირანის შაჰის სამსახურს შეეწირა მომდევნო მეფეც, ასევე ისლამის აღმსარებელი **ქაიხოსრო** (1711 წ.). ამის შემდეგ მეფობის ყველაზე რეალური კანდიდატი ვახტანგ VI იყო, მაგრამ ტახტზე ასვლისათვის აუცილებელი იყო წინამორბედი მეფეების მსგავსად ქრისტიანობის უარყოფა და ისლამის მიღება. 1712 წელს ვახტანგ VI ირანში გაემგზავრა. როგორც ჩანს, იგი ამ პერიოდისათვის რუსული ორიენტაციის მიღებაზე არ ფიქრობდა, თუმცა არც წინამორბედი მეფეების, გიორგი XI-ისა და ქაიხოსროს, პროირანული ორიენტაციის გაგრძელებას აპირებდა. ვახტანგ VI ცდილობდა რომის პაპისა და დასავლეთ

ევროპის დიდი ქვეყნების დახმარებით ირანის ბატონობიდან თავის დახსნას. ამრიგად, ვახტანგ VI შემდეგი არჩევანის წინაშე იდგა: **პროირანული ორიენტაციის შენარჩუნება, პრორუსული ორიენტაციის მიღება, პროდასავლური ორიენტაციის მიღება.**

ვახტანგ VI-ს კარგად ჰქონდა გააზრებული პროირანული ორიენტაციის დამღუპველი შედეგები. XVII საუკუნის ისტორია ამის ბევრ მაგალითს იძლეოდა. მაგრამ ეს არ კმაროდა პროირანული ორიენტაციის უარსაყოფად. ვახტანგ VI ხედავდა, თუ როგორ სუსტდებოდა ირანი, შაჰი რისი ვაი-ვაგლახით ახერხებდა ავღანელთა შემოტევის შეჩერებას. ყოველივე ამან ვახტანგ VI-ს უბიძგა, ზურგი შეექცია ირანისათვის.

ვახტანგ VI-ის მიერ პროირანული ორიენტაციის უარყოფა შეიძლება რეალობას მთლად მოკლებული არ ჩანდა. სამაგიეროდ, სრულიად არარეალური იყო ვახტანგ VI-ის მიერ **სულხან-საბა ორბელიანის** მეთაურობით დასავლეთ ევროპაში ირანის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად დიპლომატიური მისიის მივლინება. ტრადიციულად, ევროპაში ირანს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ განიხილავდნენ და ქართლის სამეფოს ინტერესებისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნები ირანს არ გაანაწყენებდნენ. ასეც მოხდა. 1715 წელს სულხან-საბა ორბელიანი ევროპიდან ხელცარიელი დაბრუნდა. პროდასავლური ორიენტაციის მარცხმა ვახტანგ VI იძულებული გახადა 1716 წელს ისლამი მიეღო. შაჰმა ვახტანგ VI ქართლის მეფედ დაამტკიცა, მაგრამ 1719 წლამდე ირანში დატოვა. რატომ დააყოვნა შაჰმა ირანში ვახტანგ VI? შაჰს ამისათვის სერიოზული მიზეზები ჰქონდა. ცხადია, ირანის შაჰის კარი შეიტყობდა სულხან-საბას დასავლეთ ევროპაში ვიზიტისა და იქ გამართულ მოლაპარაკებათა შესახებ. და თქმა უნდა, შაჰისათვის ცნობილი იქნებოდა ირანში მყოფი ვახტანგისა და შაჰის კარზე მივლენილი რუსეთის დესპანის ა. ვოლინსკის საიდუმლო კონტაქტების შესახებაც. ეს ორი მიზეზი სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ვახტანგ VI-ს ირანის შაჰის ნდობა დაეკარგა.

პრორუსული ორიენტაციის ვახტანგ VI საბოლოოდ სულხან-საბას ევროპიდან ხელცარიელი დაბრუნების შემდეგ (1715 წ.) გადაწყვეტდა. აუცილებელი იყო ქართლში დაბრუნება და რუსეთთან კავშირის დამყარება. სწორედ ამით

იქნებოდა განპირობებული ოთხწლიანი ყოყმანის შემდეგ ვახტანგ VI-ის მიერ ისლამის მიღება (1716 წ.). ამის შემდეგ შაჰს ვახტანგ VI-ის ირანში დაყოვნების მიზეზი აღარ უნდა ჰქონოდა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, შაჰი ვახტანგ VI-ს აღარ ენდობოდა და მისი ირანში ყოფნა მაქსიმალურად გაახანგრძლივა. 1719 წელს ქართლის მეფე სამშობლოში დაბრუნდა და რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებისათვის დაიწყო მზადება.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის მიერ პრორუსული ორიენტაციის აღიარება წარმოადგენდა **იძულებით ნაბიჯს**. ასეთი სარისკო გადაწყვეტილების მიღება განპირობებული იყო ირანის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპიდან დახმარების მიუღებლობითა და პირადად ვახტანგ VI-ის ძლიერი ანტიირანული განწყობით (მეფეს ღრმად სწამდა, რომ პროირანული ორიენტაცია სამუდამოდ დაღუპავდა ქვეყანას).

მართალია, ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაცია იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ მისი მიღება მაინც გარკვეულ გათვლებს ემყარებოდა. ქართლის მეფის ჩანაფიქრს ჰქონდა როგორც რეალური, ისე არარეალური საფუძველი.

პირველი. ვახტანგ VI სავსებით სწორად მიიჩნევდა, რომ რუსეთს სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასიიდან, კერძოდ ქართლიდან და კახეთიდან, ასევე აზერბაიჯანიდან ირანის განდევნა შეეძლო.

მეორე. ვახტანგ VI-მ ვერ გაითვალისწინა, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შეჭრას არ დაუშვებდა ოსმალეთი და რუსეთს ირანის გავლენის სფეროების ხელში ჩაგდებას არ დაანებებდა.

მესამე. ვახტანგ VI-მ ვერც ის გაითვალისწინა, რომ ირანი, და განსაკუთრებით კი ოსმალეთი, საჭიროების შემთხვევაში აქტიურად გამოიყენებდნენ ჩრდილო კავკასიელ ისლამის აღმსარებელ ხალხებს, რაც დიდ სირთულეებს შეუქმნიდა სამხრეთ კავკასიაში შეჭრილ რუსეთს.

მეოთხე. მართალია, ამ დროისათვის (1719 წ.) ჩრდილოეთის ომის მსვლელობაში (დაიწყო 1700 წ.) მოპოვებული წარმატებების შემდეგ რუსეთს პრაქტიკულად გადაჭრილი ჰქონდა უმთავრესი **გეოსტრატეგიული** ამოცანა (ბალტიის ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდება), მაგრამ სამხრეთ კავკასიაში გაბატონება ჯერ კიდევ არ ითვლებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის პირველხარისხოვან ამოცანად. რუსეთისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში განმტკიცება, **დუნაისპირეთის** ხელში ჩაგდება და **ბალკანეთში** შეჭრა. ამ გეოსტრატეგიული ამოცანის გადაჭრა **აზოვისა** და **ყუბანისპირეთიდან** ოსმალეთის განდევნითა და **ყირიმის** სახანოს დაპყრობით უნდა დაწყებულიყო. ამ რთული მიზნების განხორციელება კი ოსმალეთთან ომის გარეშე შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ დუნაისპირეთსა და ბალკანეთში რუსეთის შეჭრის წინააღმდეგ გამოდიოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ასეთ ვითარებაში რუსეთი ირანის წინააღმდეგ დიდ ომში არ ჩაებმებოდა და ქართლის სამეფოს მოკავშირედ არ გამოადგებოდა.

1722 წელს რუსეთის იმპერატორმა **პეტრე I-მა** კასპიისპირეთში ლაშქრობა დაიწყო და ირანის წინააღმდეგ ომში მოკავშირეობა მეფე ვახტანგ VI-ს შესთავაზა.

რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის წინააღმდეგი იყო ქართლის სამეფო დარბაზის უმრავლესობა, ტახტის მემკვიდრე, ირანის შაჰის გვარდიის სარდლად დანიშნული **ბაქარი.** ბაქარი მამას ურჩევდა, თუნდაც რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შენარჩუნების პირობებში ავღანელებისგან უკიდურესად შევიწროებული შაჰისათვის ქართლის ჯარის ნაწილი მიეშველებინა, რათა ირანთან ურთიერთობა საბოლოოდ არ გაეფუჭებინათ. ვახტანგ VI-მ პროირანულ ორიენტაციაზე საბოლოოდ უარი თქვა, 40-ათასიანი ჯარი შეკრიბა და პეტრე I-თან მოლაპარაკების თანახმად **განჯასთან** დაბანაკდა. ამასობაში ავღანელებმა ირანის დედაქალაქი ისპაჰანი აიღეს. რუსეთისა და ქართლის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა, ცხადია, შეაშფოთა ოსმალეთი. ოსმალეთის სულთანმა სწორად შეაფასა ვითარება: იმხანად (1722 წ.) ირანს ქართლისა და რუსეთის ერთობლივი ლაშქრობის მოგერიება არ შეეძლო. რუსეთის მიერ ირანის დამარცხების შემთხვევაში ოსმალეთს სამხრეთ კავკასიაში ძლიერი კონკურენტი უჩნდებოდა. ქართლისა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩაშლას ოსმალეთი იმით შეეცადა, რომ ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს მოკავშირეობა შესთავაზა. ვახტანგ VI-მ სწორად ამოიცნო ოსმალეთის ჩანაფიქრი – სამხრეთ კავკასიაში ძლიერი რუსეთის დამკვიდრებას ოსმალეთს ისევ სუსტი ირანის შენარჩუნება ერჩივნა. ქართლის მეფის გადაბირება ოსმალეთს სწორედ ირანის გადარჩენისთვის, ანუ რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შეჭრის შესაფერხებლად სჭირდებოდა.

მართალია, ოსმალეთის სულთნის ჩანაფიქრი ვახტანგ VI-მ კარგად ამოიცნო, მაგრამ ის კი ვეღარ გათვალა, რომ ოსმალეთის სულთნის შემოთავაზებაზე უარის თქმით სამომავლოდ ირანთან ერთად ოსმალეთიც გადაიმტერა. უფრო ზუსტად, ვახტანგ VI პოლიტიკაში ყოვლად გაუმართლებელ რისკზე წავიდა – **ქართლის ბედი მხოლოდ პეტრე I-ის მიერ ირანის წინააღმდეგ დაწყებულ ლაშქრობას დაუკავშირა და უკან დასახევი გზა, ირანთან და ოსმალეთთან მორიგების შანსი, აღარ დაიტოვა.**

პეტრე I-ს კარგად ჰქონდა გააზრებული ყველა ის გართულება, რომელიც სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ, კასპიისპირეთში რუსეთის შეჭრასა და ირანის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომის დაწყებას მოჰყვებოდა. 1722 წელს დაწყებულ ლაშქრობას **გეოსტრატეგიული** მიზნები არც ჰქონია. როგორც კი მოსალოდნელი გართულების კონტურები მოიხაზა, პეტრე I-მა დარუბანდის აღების შემდეგ ლაშქრობა შეწყვიტა. ვახტანგ VI გაღიზიანებული ირანისა და ოსმალეთის წინაშე მარტო დარჩა. **პრორუსული ორიენტაცია უკვე მერამდენედ კრახით დასრულდა.** 1724 წელს ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა.[3]

ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის წყალობით გაჩანაგებული ქვეყანა კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენლებმა **თეიმურაზ II-მ** და მისმა ვაჟმა **ერეკლე II-მ** პროირანულ ორიენტაციაზე დაბრუნებით იხსნეს. მათთვის ვახტანგ VI-ის დამღუპველი პოლიტიკის შედეგები კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ირანის შაჰმა **ნადირმაც (1736-1747)** სწორი დასკვნები გააკეთა წინამორბედი სეფიანი შაჰების მოღვაწეობიდან. ნადირ-შაჰი მიხვდა, რომ საქართველოს (ქართლისა და კახეთის) ამოგდების, ისლამის რჯულზე მოქცევის პოლიტიკამ კრახი განიცადა. გარდა ამისა, ირანის შაჰების პოლიტიკამ აიძულა ვახტანგ VI პრორუსული ორიენტაცია მიეღო, რამაც დიდი საფრთხე შეუქმნა ირანს. ნადირ-შაჰი კარგად ხედავდა, რომ სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას რუსეთი მომავალში კვლავ შეეცდებოდა. ამ შემთხვევაში ირანისაგან შევიწროებული ქართლი და კახეთი, ბუნებრივად, რუსეთის მოკავშირეებად იქცეოდნენ. გამომდინარე აქედან, ნადირ-შაჰმა მიზნად დაისახა გარკვეული დათმობების გზით ქართლისა და კახეთის სამეფოები პროირანულ ორიენტაციაზე დაეყოლიებინა, რათა რუსეთის გააქტიურების შემთხვევაში მათ მეფეები ვახტანგ

VI-ის პოლიტიკას აღარ მიბრუნებოდნენ. ამით იყო განპირობებული ნადირ-შაჰის მიერ 1744 წელს ქართლის მეფედ თეიმურაზ II-სა და კახეთის მეფედ ერეკლე II-ის დამტკიცება. მეფედ დამტკიცების პირობად ირანის შაჰს ისლამის მიღება არ წამოუყენებია. თეიმურაზი და ერეკლე ტახტზე ქრისტიანები ავიდნენ. 1745 წლის 1 ოქტომბერს თეიმურაზ II ქრისტიანული წესით ეკურთხა ქართლის მეფედ. 1632 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართლის სამეფო ტახტზე ქრისტიანი მეფე ავიდა. ნადირ-შაჰის პოლიტიკა გააგრძელა მისმა მემკვიდრემ, ირანის ტახტისათვის მებრძოლმა **ქერიმ-ხანმა**.

ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ (1747 წ.) ირანში შინააშლილობა დაიწყო, შაჰის ტახტისათვის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ირანის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით კარგად ისარგებლეს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ და თავიანთ გავლენას დაუმორჩილეს **ერევნის, განჯის, ნახჭევანისა** და **ყარაბაღის** სახანოები. ეს იყო დიდი წარმატება. ერევნის, განჯის, ნახჭევანისა და ყარაბაღის ხანები თითქმის სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ ქართლისა და კახეთის მეფეებს. ამ გამარჯვებას აუფერულებდა ის, რომ თეიმურაზმა და ერეკლემ დიდი მარცხი იწვნიეს – სპასეთის მიერ წართმეული უძველესი ქართული პროვინცია **ჭარ-ბელაქანი (საინგილო)** ვერ შემოიერთეს. ჭარ-ბელაქანში მოკალათებული დაღესტნელები გამუდმებით აწიოკებდნენ კახეთსა და ქართლს, იტაცებდნენ მოსახლეობას. დაღესტნელთა თარეშს წარმოუდგენლად დიდი ზიანი მოჰქონდა ქვეყნისათვის. მოსახლეობა პრაქტიკულად საომარ მდგომარეობაში ცხოვრობდა.

თეიმურაზ II და ერეკლე II იმთავითვე მიხვდნენ, რომ ქართველი მეფეების მიერ ჭარ-ბელაქნის დაკავება ირანისა და ოსმალეთის ინტერესებში არ შედიოდა. დაღესტნელების გამუდმებული თავდასხმები კახეთისა და ქართლის სამეფოებზე ზემოქმედების, მათი დასუსტების საშუალებად განიხილებოდა ირანსა და ოსმალეთში. დაღესტნელთა თარეშის აღკვეთას თეიმურაზი და ერეკლე რუსეთის დახმარებით შეეცადნენ. 1752 წელს რუსეთში საგანგებო ელჩობაც გაიგზავნა, მაგრამ უშედეგოდ. რუსეთის საიმპერატორო კარმა არა მარტო ჯარის გამოგზავნაზე განაცხადა უარი, არამედ ფულადი დახმარებაც შეუძლებლად მიიჩნია. პეტერბურგში სწორი დასკვნა გააკეთეს: ჭარ-

ბელაქანში (საინგილოში) რუსეთის ჯარის შესვლა ძალზე გაამწვავებდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებს.

XVIII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან და 60-იანი წლების დამდეგიდან დასრულდა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის **პროირანული** პოლიტიკა. დაიწყო ახალი, **პრორუსული** ორიენტაციის შემუშავება. ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შედეგი იყო. პრორუსული ორიენტაცია შემდეგ მოსაზრებებს ემყარებოდა: **პირველი.** თეიმურაზიცა და ერეკლეც, ცხადია, გრძნობდნენ, რომ ირანში ნადირ-შაჰისა და ქერიმ-ხანის პოლიტიკა შეიძლება ნებისმიერ მომენტში შეცვლილიყო და ქართლსა და კახეთს თავს დასტეხოდა სეფიანი შაჰებისდროინდელი აგრესია. **მეორე.** მეფეები იმასაც გრძნობდნენ, რომ ირანის მბრძანებლებს სულაც არ სიამოვნებდათ ქართლისა და კახეთის მეფეების დიქტატი ირანულ სახანოებზე (განჯაზე, ერევანზე, ნახჭევანსა და ყარაბაღზე). როგორც კი ირანში ცენტრალური ხელისუფლება ძალას მოიკრებდა, თეიმურაზისა და ერეკლეს მორჩილი სახანოები, შაქ-შირვანის ხანის ჰაჯი-ჩალაბის მსგავსად, ქართლისა და კახეთისათვის საშიშ ძალად იქცეოდნენ. **მესამე.** დაღესტნელთა ამაოხრებელი შემოსევების მოგერიება ქართლისა და კახეთის სამეფოებს თავისი ძალებით არ შეეძლოთ. საჭირო იყო ჭარ-ბელაქნის (საინგილოს), კაკ-ენისელის დაკავება და დაღესტნელთათვის კახეთში შესაჭრელად ხელსაყრელი პლაცდარმის წართმევა. ეს კი რუსეთის დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო. **მეხუთე.** თუ ირანში შინაურ ომობა არ დასრულდებოდა და ცენტრალური ხელისუფლება ვერ გაძლიერდებოდა, დასუსტებული ირანი ოსმალეთს ვერ გაუმკლავდებოდა და გამორიცხული არ იყო, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოებს ოსმალური აგრესიის საფრთხე შეექმნებოდათ.

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს სურდათ რუსეთის იმპერიის დაინტერესება, რათა მას სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) ირანის ადგილი დაეკავებინა. თუ რუსეთი დარუბანდიდან ბაქომდე კასპიის ზღვის სანაპიროს დაიპყრობდა ,ქართლისა და კახეთის სამეფოები ორ მიზანს მიაღწევდნენ – **დაღესტნელთა თარეში სამუდამოდ აღიკვეთებოდა** და ირანის **აგრესიაც საშიში აღარ იქნებოდა**. ირანული სახანოები (განჯა, ერევანი, ნახჭევანი, ყარაბაღი).

იძულებული გახდებოდნენ პროქართული ორიენტაცია ეღიარებინათ. განწირული რჩებოდა შაქ-შირვანის სახანოც. რუსეთით ზურგგამაგრებული ქართლისა და კახეთის მიმართ ახალციხის ფაშაც დამთმობი უნდა გამხდარიყო.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გათვლები სამხრეთ კავკასიით რუსეთის იმპერიის დაინტერესებისა და მის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის (კასპიისპირეთის) დაკავების შესახებ არარეალური აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, რუსეთში თეიმურაზ II-ის (1760-1762 წწ.) ელჩობის პერიოდისავის რუსეთს სულ სხვა გეოსტრატეგიული ამოცანები ჰქონდა დასახული: **პირველი.** პრუსია, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ინგლისი, ცდილობდა რუსეთის გამოდევნას ბალტიისპირეთიდან. მართალია, შვიდწლიანი ომი (1757-1763 წწ.) პრუსიის მარცხით დამთავრდა, მაგრამ ინგლისის ანტირუსული პოლიტიკა ამით არ დასრულებულა. **მეორე.** ევროპის დიდი სახელმწიფოები ემზადებოდნენ დასუსტებული პოლონეთის გადასანაწილებლად. ცხადია, პოლონეთის ხარჯზე რუსეთის გაძლიერება მიუღებელი იყო ევროპის დიდი ქვეყნებისთვის. პოლონეთის საკითხს შეიძლება სერიოზულად დაეძაბა რუსეთ-ევროპის ურთიერთობა. გამორიცხული არ იყო რუსეთის შეჯახება ევროპის სახელმწიფოთა კოალიციასთან, რომლის შექმნას საგულდაგულოდ ცდილობდა ინგლისი. **მესამე.** ევროპაში პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცების პარალელურად რუსეთისათვის უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა ოსმალეთის განდევნა ჩრდილო შავი ზღვისპირეთიდან (ყირიმის სახანოს ლიკვიდაცია), დუნაისპირეთის ხელში ჩაგდება და ბალკანეთში შეჭრა. ასეთი რთული ამოცანის გადაჭრა ოსმალეთთან ომისა და ევროპის დიდ სახელმწიფოებთან (ავსტრია, პრუსია, ინგლისი, საფრანგეთი) ურთიერთობის გართულების გარეშე შეუძლებელი იყო. ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა რუსეთი ევროპულ კოალიციას დაპირისპირებოდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ: **სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) დამკვიდრება XVIII საუკუნის 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დამდეგს რუსეთის უახლოეს გეოსტრატეგიულ ამოცანას არ წარმოადგენდა და ამდენად, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პრორუსულ ორიენტაციას განხორციელება არ ეწერა.** თეიმურაზ II-მ ეს ცხადად იგრძნო პეტერბურგში ყოფნისას.

მთელი ათწლეულის განმავლობაში (1763-1773 წწ.) ერეკლე II უნდა მიმხვდარიყო, რომ რუსეთი სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასიის მიმართ ინტერესს არ იჩენდა. იმის გამო, რომ ირანში ისეთი საგანგაშო არაფერი ხდებოდა, ქართლ-კახეთის მეფე მაინც ლოდინს ამჯობინებდა. 1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამ ერეკლე II-ს პრორუსული ორიენტაციის რეალიზების იმედი ჩაუსახა. **ერეკლე II-მ ამჯერად უკვე მეორე სტრატეგიული შეცდომა დაუშვა.** რუსეთ-თურქეთის ომი (1768-1774 წწ.) რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებითაც რომ დამთავრებულიყო, რუსეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში (კასპიისპირეთში) მაინც ვერ დამკვიდრდებოდა, რადგან სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასია ირანის გავლენის სფერო იყო და იქ ფეხის მოკიდებისათვის ირანის დამარცხება იყო საჭირო. ოსმალეთთან ომის პარალელურად კი რუსეთი, ცხადია, ირანთან ომს არ წამოიწყებდა.

ერეკლე II იმდენად იყო დაინტერესებული პრორუსული ორიენტაციის რეალიზებით, რომ რუსეთის იმპერიასთან ნაკლებადმომგებიან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირსაც დასთანხმდა. ოსმალეთთან ომის პირობებში იმპერატორი **ეკატერინე II (1762-1796)** ირანის ვასალურ ქვეყანაში ჯარს არ გამოგზავნიდა. რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა, რომ ოფიციალურად რუსეთის ჯარი იმერეთის სამეფოში გაიგზავნებოდა (იმერეთის სამეფო ოსმალეთის გავლენის სფეროდ ითვლებოდა და რუსეთი, ცხადია, იქ ჯარის გაგზავნისგან თავს არ შეიკავებდა), შემდეგ ეს ჯარი იმერეთის სამეფოს ჯართან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდოდა და რუსეთის, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ჯარები ერთად დაიძვრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის (აწყურის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის) ოსმალთა ბატონობისაგან გასათავისუფლებლად.

რას იგებდნენ რუსეთ-იმერეთ-ქართლ-კახეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირიდან ეკატერინე II, სოლომონ I და ერეკლე II? ეკატერინე II სამხრეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებების დაწყებით გარკვეულ მიზანს აღწევდა – ოსმალეთი იძულებული გახდებოდა სამცხე-ჯავახეთში ჯარისა და არტილერიის ნაწილი დაეტოვებინა. სოლომონ I-ს შანსი ეძლეოდა იმერეთში ოსმალეთის გავლენა ან საერთოდ მოესპო, ან სერიოზულად შეესუსტებინა. ერეკლე II-ს შესაძლებლობა

ეძლეოდა, სამცხე-ჯავახეთი დაებრუნებინა. ერეკლე II-ის მოქმედება არ იყო ბოლომდე ზუსტად გათვლილი: **პირველი.** ირანის ვასალი ქართლ-კახეთის სამეფო ომში ებმებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ, რაც სერიოზულად გაართულებდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობას. ოსმალეთი ირანს ურჩი ვასალის (ერეკლე II-ის) დასჯას მოსთხოვდა. **მეორე.** სამცხე-ჯავახეთიდან ოსმალეთის განდევნის შემდეგ ვის უნდა გადასცემოდა ეს ტერიტორია? ცხადია, სამცხე-ჯავახეთი ქართლ-კახეთს უნდა რგდებოდა. ასეთ გადაწყვეტილებას საზავო მოლაპარაკებაზე ოსმალეთის პროტესტი მოჰყვებოდა. ოსმალეთისთვის სამცხე-ჯავახეთის ქართლ-კახეთის სამეფოსათვის გადაცემა ამ ტერიტორიის ირანის მფლობელობაში გადასვლას ნიშნავდა, რადგან ოსმალეთ-ირანის ურთიერთობაში ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალად განიხილებოდა. ამრიგად, სამცხე-ჯავახეთის ქართლ-კახეთის სამეფოსათვის გადაცემით (თუკი ეს მაინც მოხდებოდა) ერეკლე II სამომავლოდ ოსმალეთს უპირისპირდებოდა. საბოლოოდ კი ქართლ-კახეთის სამეფო სამცხე-ჯავახეთს მაინც ვერ შეინარჩუნებდა. ვერ შეინარჩუნებდა არა მარტო ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში, არამედ მანამდეც. აღსანიშნავია, რომ ჭარ-ბელაქანში, (საინგილოში) მოკალათებული დაღესტნელების მიერ ქართლ-კახეთის ძარცვასა და იქიდან ადამიანების გატაცებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა აზრი, თუ ისინი ნაძარცვსა და ტყვეებს ახალციხის გზით ოსმალეთში გაჰყიდდნენ. ასე რომ, აწყურის, ხერთვისის, ახალციხისა და ახალქალაქის ციხეებში ქართლ-კახეთის ჯარის ჩაყენებით (ზოგადად, მდინარე მტკვრის ხეობის ნაწილზე ქართლ-კახეთის სამეფოს კონტროლის დაწესებით) დაღესტნელები გასაღების ბაზრის გარეშე რჩებოდნენ. ახალციხის გზით ტყვეთა ბაზრის მომარაგებით ოსმალეთი ძალიან იყო დაინტერესებული. ეს კი იმას ნიშნავდა, ჭარ-ბელაქნისა და სამცხე-ჯავახეთის პრობლემა ერთ პრობლემად იქცეოდა და ერეკლე II-ს დიდ თავსატეხს უჩენდა. სამცხე-ჯავახეთის შენარჩუნებისთვის აუცილებელი ეკონომიკური სახსარი და ჯარი ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა. ამ ტერიტორიის შენარჩუნება ვერც რუსთა მცირე რაზმით (1000-2000 კაცი) იქნებოდა შესაძლებელი. **მესამე.** სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემთხვევაში ერეკლე II სხვა დიდი პრობლემის წინაშეც დგებოდა: ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად ხდებოდა

ორი დიდი სახელმწიფოს – ირანისა და ოსმალეთის – დაინტერესების, ანუ აგრესიის ობიექტი. **ამრიგად, რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელსაც 1770 წელს მდინარე მტკვრის ხეობაში (აწყურის, ახალციხის, ახალქალაქის მიმართულებით) ქართველთა და რუსთა ერთობლივი ლაშქრობა მოჰყვა, წარმატების შემთხვევაშიც ქართლ-კახეთის სამეფოს სასიკეთოს არაფერს მოუტანდა.**[4]

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის სტრატეგიული შეცდომის არსი შემდეგში მდგომარეობდა: **XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთის მიზანი არ იყო ირანის დამარცხება და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში გაბატონება**.

ამ სტრატეგიული შეცდომის გამოსწორებას ერეკლე II უკვე რუსეთ-ოსმალეთის ომის (1768-1774 წწ.) მიმდინარეობის პროცესში შეეცადა. შემუშავდა ახალი სტრატეგია, რომლის არსი შემდგომში მდგომარეობდა: **ქართლ-კახეთის სამეფო უნდა შესულიყო რუსეთის იმპერიის მფარველობაში,** რაც, ერეკლე II-ის აზრით, ირანისა და ოსმალეთის აგრესიისაგან თავდაცვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

რამდენად რეალური იყო ერეკლე II-ის ახალი სტრატეგიული კურსი? ცხადია, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლა რუსეთის დიდ წარმატებად აღიქმებოდა. ირანი და ოსმალეთი ძალზე არასასურველი ფაქტის წინაშე აღმოჩნდებოდნენ – ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შესვლა ირანისა და ოსმალეთის კავკასიური პოლიტიკის მარცხის მომასწავებელი იქნებოდა. ყოველივე ამის მიუხედავად უპასუხოდ რჩებოდა კითხვა: **რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას, თუ რუსეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში შეჭრას და იქიდან ირანის განდევნას არ აპირებდა, ანუ ქართლ-კახეთს ვერც ირანის და ვერც დაღესტნელთა აგრესიისგან ვერ დაიცავდა?** ერეკლე II-ს უნდა სცოდნოდა, რომ ასეთ ვითარებაში რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს ან საერთოდ არ მიიღებდა მფარველობაში, ან თუ მიიღებდა, ვერ დაიცავდა. ამჯერადაც ერეკლე II-მ გაუმართლებელი რისკი გასწია.

მართალია, 1768-1774 წლების ომში რუსეთმა ოსმალეთი დაამარცხა, მაგრამ ეს გამარჯვება საკმარისი არ აღმოჩნდა ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან ოსმალეთის საბოლოოდ განდევნისათვის. რუსეთმა ვერც ყირიმის სახანოს ლიკვიდაცია მოახდინა და ვერც დუნაისპირეთი დაიპყრო.

ბალკანეთში რუსეთის შეჭრა სამომავლოდ გადაიადო. მართალია, პოლონეთის გადანაწილებისთვის ბრძოლა რუსეთისთვის ხელსაყრელად მიმდინარეობდა, მაგრამ თვით გადანაწილების პროცესი 1795 წლამდე გაგრძელდა. ამრიგად. XVIII საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იან წლების დამდეგს რუსეთი ორი გეოსტრატეგიული ამოცანის შესრულებისთვის იბრძოდა: ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან დუნაისპირეთის გავლით ბალკანეთში შეჭრა და პოლონეთის გადანაწილების თავის სასარგებლოდ დასრულება.

ამ ვითარებაში ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას კი მიაღწია, მაგრამ თავისი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების თვალსაზრისით რუსეთისგან ვერაფერი მიიღო. უფრო მეტიც, ერეკლე II-მ ვერ ამოიცნო დიდი საფრთხე, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის გააქტიურებას მოჰყვებოდა. არსებობდა იმის რეალური საფრთხე, რომ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ადგილი აღარ დარჩებოდა. რუსეთი სანამ ირანის წინააღმდეგ დიდ ომს წამოიწყებდა, მანამდე ქართლ-კახეთში დამკვიდრებას შეეცდებოდა. ქართლ-კახეთის სამეფო თავისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალით იმდენად უმნიშვნელო ძალას წარმოადგენდა, რომ რუსი დიპლომატები და სამხედროები მას სერიოზულ ძალად არ აღიქვამდნენ. შამაგიეროდ სამეფოს ტერიტორია ძალზე მნიშვნელოვანი იყო სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. რეკლე II-მ ვერც ის შეამჩნია, რომ გეორგეევსკის ტრაქტატის დადებით (1783 წ.) მან, როგორც პრორუსული ორიენტაციის მეფემ, რუსეთის საიმპერატორო კარის თვალში პირვანდელი მნიშვნელობა დაჰკარგა, თავისი მისია ამოწურა.

გეორგიევსკის ტრაქტატი არ იყო ის დოკუმენტი, რომელიც შეძლებდა, სამხრეთ კავკასიაში შეჭრა რუსეთისათვის გეოსტრატეგიულ მიმართულებად ექცია. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეკატერინე II-მ ჯერ ტრაქტატის დადება გააჭიანურა (1772-1782 წწ.) , ხოლო ტრაქტატის დადების შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე (1783-1796 წწ.) მისი შესრულებისთვის არაფერი გაუკეთებია.

ერეკლე II-ის მისწრაფება და რუსეთის იმპერიის გეოსტრატეგიული გეგმები წინააღმდეგობაში მოვიდა ერთმანეთთან, რამაც ერეკლე II-ის ჩანაფიქრის რეალიზება სამომავლოდ გადადო. **მფარველობის ფორმალურმა აქტმა**

(გეორგიევსკის ტრაქტატმა) ქართლ-კახეთის სამეფოს უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო, სამაგიეროდ, ძალზე გააღიზიანა ირანი და ოსმალეთი.[5]

ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაცია კრახით დასრულდა. რუსეთთან სამხერდო-პოლიტიკური კავშირით ერეკლე II-მ იმდენად შორს შესტოპა, რომ ვერც პირადად მეფე მან და ვერც მისმა მემკვიდრემ **გიორგი XII-მ (1798-1800)** პრორუსული ორიენტაცია ვედარ შეცვალეს, თუმცა ორივენი, ისევე როგორც ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრები, კარგად გრძნობდნენ დამდუპველი პოლიტიკის შედეგს. ასე მივიდა ქართლ-კახეთის სამეფო 1801 წლის კატასტროფამდე.

დიდხანს ემზადებოდა რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან ირანისა და ოსმალეთის გასაძევებლად და საქართველოსა და მთელი სამხრეთ კავკასიის დასაპყრობად. ამ შემთხვევაში **ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის პრორუსულ პოლიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა. რორუსული ორიენტაციის შეცვლის შემთხვევაშიც ირანი და ოსმალეთი ერეკლე II-ს აღარ ენდობოდნენ. ასე რომ ერეკლე II-ს სურდა თუ არ სურდა, წაგებული თამაში უნდა ეთამაშა, პრორუსული ორიენტაცია უნდა შეენარჩუნებინა.** თავიდანვე ცხადი იყო, რომ საქართველო და საერთოდ, მთელი სამხრეთ კავკასია ირან-ოსმალეთ-რუსეთს შორის დაპირისპირებაში გამარჯვებულს დარჩებოდა. გრძნობდნენ თუ არა ამ საშიშროებას ქართველი მეფე-მთავრები? ცხადია, გრძნობდნენ. მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნების სრული ინერტულობის პირობებში ქართველი ხელისუფალნი და დიპლომატები რუსეთის ფაქტორის ამოქმედებას ჯიუტად ცდილობდნენ, ქართული სამეფო-სამთავროებისა და რუსეთის სტრატეგიული ინტერესების შეუთავსებლობას ვერ ამჩნევდნენ.

სამასწლიანი მარცხიანი საგარეო პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.), ხოლო მისი ტრაგიკული გაგრძელება– ქართლ-კახეთის სამეფოს, სამეგრელოს სამთავროს, გურიის სამთავროს, იმერეთის სამეფოს დაპყრობა (1801-1810 წწ.). რუსეთი სხვა მხრივადაც კარგად იყო მომზადებული. მან ორ ომში (1804-1813 წწ. და 1826-1828 წწ.) ირანისა და ასევე ორ ომში (1806-1812 წწ და 1828-1829 წწ.) ოსმალეთის დამარცხებით ამ მუსლიმურ სახელმწიფოებს უარი ათქმევინა სამხრეთ კავკასიაზე. მეტიც, დაპყრობილ საქართველოს რუსეთმა ამ

ბრწყინვალე გამარჯვებების წყალობით ერთ დროს ირანისა და ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწებიც მიუმატა. **გულისტანისა** (1813 წ.) და **თურქმანჩაის** (1826 წ.) ზავებით რუსეთმა ირანს **ჭარ-ბელაქანი (საინგილო)** დაათმობინა, ხოლო **ბუქარესტისა** (1812 წ.) და **ადრიანოპოლის** (1829 წ.) ზავებით ოსმალეთისგან **სოხუმი, ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი** და სხვა ტერიტორია მიიღო. რუსეთის წარმატებული ბრძოლა სამხრეთ კავკასიიდან ოსმალეთის განდევნისათვის ვერც მარცხიანმა ყირიმის ომმა (1853-1856 წწ.) შეაფერხა. 1877-1878 წლების ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთის იმპერიის საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა – **სან-სტეფანოს ზავითა** (1878 წ.) და **ბერლინის კონგრესის** (1878 წ.) გადაწყვეტილებით, **რუსეთმა** ამჯერად **აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, არტანუჯი, კოლა, არტაანი, ოლთისი** მიიღო.

ქართველი მეფე-მთავრების წამგებიანმა პრორუსულმა პოლიტიკამ რუსეთის იმპერიას არა მარტო ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა გაუადვილა, არამედ ძალზე ხელსაყრელი პირობები შეუქმნა სომხეთისა და აზერბაიჯანის დაუფლებისათვის, ანუ ამ ტერიტორიიდან ირანისა და ოსმალეთის გაძევებისათვის, რაც გულისტანის (1813 წ.), თურქმანჩაისა (1828 წ.) და ადრიანოპოლის (1829 წ.) ზავებით დაკანონდა. საქართველოს დაპყრობამ რუსეთს გაუადვილა ჩრდილო კავკასიელ ხალხთა წინააღმდეგ ბრძოლა და ამ რეგიონის დაპყრობა (1864 წ.)[6]

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. **С. Белокуров.** Сношения России с Кавказом. Вып. I. 1578-1613. М., 1889; **А. Цагарели.** Сношения России с Кавказом в XVI-XVIII вв. СПБ., 1891; **ი. ცინცაძე.** ძიებანი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.). თბ., 1956; **ლევან ალექსიძე** საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVII საუკუნეებში. თბ., 1983; **ნოდარ ასათიანი.** კახეთის სამეფო XV-XVI საუკუნეებში. სადოქტორო დისერტაცია (ხელნაწერი). თბ., 1989;

2. **А. Цагарели.** Сношения России с Кавказом в XVI-XVIII вв. СПБ., 1891; **М. Полиевктов.** Посольство князя Мышецкого и дьяка Ключанова в Кахетию 1640-1643. ТБ., 1937; **ნ.**

ბერძენიშვილი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII საუკუნეების მიჯნაზე. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი I. თბ., 1944, გვ. 3-169; **Н. Накашидзе.** Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века. ТБ., 1968;

3. **А. Цагарели.** Грамоты и другие исторические Документы XVIII столетия отнасящиеся до грузии. Том 1. СПБ., 1891; **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბ., 1919; **ალ. ფირცხალაიშვილი.** საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2000; **გ. პაიჭაძე.** ვახტანგ VI. თბ., 1981; **В. Лысцов.** Персидский паход Петра I. 1722-1723. М., 1951.

4. **П. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Часть I-III. СПБ., 1869; **А. Цагарели.** Грамоты и другие исторические Документы XVIII столетия отнасящиеся до грузии. Том II. Вып. I. СПБ., 1892; Том II. Вып. II. СПБ., 1902; **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბ., 1919; **ვ. მაჭარაძე.** მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისთვის. ნაწილი I. თბ., 2007; ნაწილი II. თბ., 1968; ნაწილი III. ნაკვეთი I. თბ., 1988; ნაწილი III. ნაკვეთი II. თბ., 1997.

5. **З. Ававлов.** Присоединение Грузии к России. СПБ., 1906; **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. თბ., 1919; **ი. ცინცაძე.** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბ., 1960; **ლევან ალექსიძე** საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVII საუკუნეებში. თბ., 1983; **ვ. მაჭარაძე.** გეორგეევსკის ტრაქტატი. თბ., 1983; **გ. პაიჭაძე.** გეორგეევსკის ტრაქტატი. თბ., 1983;

6. Акты, собранные Кавказскою археографическою коммиссиею. под редакцией **А.Д. Берже.** Том I. Тиф., 1866; **Н. Дубровин.** Георгий XII, паследный царь Грузии и Присоединение ее к России. СПБ., 1897; **Н. Дубровин.** Закавказье от 1803-1806 года. СПБ., 1866; **П. Бутков.** Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. Часть III СПБ., 1869; **С. Бурнашев.** Картина Грузии. Тиф., 1896; **პ. იოსელიანი.** ცხოვრება გიორგი

მეცამეტისა. თბ., 1936; Утверждение русского владычества на Кавказе. Том I - IV. Тиф., 1901-1908.

*პირველად დაიბეჭდა: კრებულში „**დავით კაციტაძე 80.**" თბილისი, 2009, გვ. 162-186*

4. პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა

სამსაუკუნოვანი პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია XIX საუკუნის დამდეგს ქართველი ერისათვის დიდი კატასტროფით დასრულდა – ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. რატომ ცდილობდნენ ქართველი მეფეები, ქართველი დიპლომატები ასე დაჟინებით, ასე ჯიუტად პრორუსული ორიენტაციის რეალიზებას – რუსეთის დახმარებით ირანისა და ოსმალეთისაგან საქართველოს დაცვას? არსებობდა თუ არა პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა? ერთმორწმუნე რუსეთზე ორიენტაცია იყო ერთადერთი გამოსავალი თუ საბედისწერო სტრატეგიული შეცდომა? ამ კითხვებზე პასუხს ჩვენ მხოლოდ წარსულის ობიექტურად შესწავლის მიზნით არ ვეძიებთ. ყოველივე ეს მჭიდრო კავშირშია დღევანდელობასთან.

XVI საუკუნის დამდეგიდან დაიწყო ირანისა და ოსმალეთის ბრძოლა სამხრეთ კავკასიისათვის (ამიერკავკასიისათვის). სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო რეალური საფრთხის წინაშე დადგა. ეს საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ რაც ირანმა (სამხრეთ-აღმოსავლეთიდან) და ოსმალეთმა (ჩრდილო დასავლეთიდან) კავკასიის მთიანეთში შეღწევა შეძლეს და იქაური მოსახლეობა გაამაჰმადიანეს. შავ ზღვაზე გაბატონდა ოსმალეთი, კასპიის ზღვაზე – ირანი. **საქართველოს გარშემო შეიკრა მუსლიმური სახელმწიფოებისა და ხალხების წრე.** ქართველი მეფეებისა და ქართველი დიპლომატების წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა მოკავშირის პოვნის საკითხი.

რუსეთის დახმარებით მუსლიმურ სახელმწიფოთა აგრესიის მოგერიების იმედი პირველად კახეთის სამეფო

სახლს ჩაესახა. 1483 წელს (ზოგიერთი ცნობით 1491 წელს) კახეთის მეფე **ალექსანდრე I-მა (1476-1511)** მოსკოვის დიდ მთავარს **ივანე III-ს (1462-1505)** ელჩობა გაუგზავნა. რას ემყარებოდა კახეთის მეფის გათვლა და რატომ ჰქონდა მას მოსკოვის დიდი მთავრის დახმარების იმედი ჩვენთვის ცნობილი არ არის. სამაგიეროდ საკმაოდ კარგად არის ცნობილი მოსკოვის რუსეთის გარშემო შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. მოსკოვის დიდ მთავარს ივანე III-ს 1471-1479 წლებში სერიოზული ომის გადახდა მოუწია ნოვგოროდის შემოერთების მიზნით. ნოვგოროდის მოკავშირედ გამოდიოდა პოლონეთ-ლიტვის (ჟეჩ-პოსპოლიტას) მეფე **კაზიმირ IV (1427-1492)**. ომი პოლონეთ-ლიტვასა და რუსეთს შორის შეიძლებოდა ნებისმიერ დროს დაწყებულიყო. 1485 წელს ივანე III-მ ტვერის სამთავრო შემოიერთა. ტვერის მთავარი ლიტვაში გაიქცა და ლიტვის დახმარებით ცდილობდა ტახტის დაბრუნებას. დიდი ძალისხმევის მიუხედავად ივანე III-მ მოსკოვის სამთავროს გარშემო რუსეთის მიწების გაერთიანება ვერ დაასრულა – ვერ მოახერხა სმოლენსკის, ფსკოვისა და რიაზანის სამთავროების შემოერთება. რუსეთს ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან (ბალტიისპირეთიდან) გამუდმებით ავიწროვებდნენ გერმანელი რაინდები და შვეცია. უკრაინასა და ბელორუსიაში გაბატონებული პოლონეთის სამეფო და ლიტვის დიდი სამთავრო დასავლეთ რუსეთის მიწების მიტაცებას ცდილობდნენ. ომები ხან შეწყდებოდა, ხან ისევ განახლდებოდა. 1492-1494 წლებში ივანე III-ს ომი ჰქონდა ლიტვასთან. 1500-1503 წლებში რუსეთსა და ლიტვას შორის კვლავ ომი მიმდინარეობდა.[1]

დიდი საფრთხე ემუქრებოდა რუსეთს სამხრეთიდან. მართალია, 1480 წელს რუსეთი მონღოლთა (ოქროს ურდოს) ბატონობისაგან განთავისუფლდა, მაგრამ ვითარება კვლავ დაძაბული რჩებოდა. XVI საუკუნის დამდეგისათვის ოქროს ურდომ არსებობა შეწყვიტა, მაგრამ ამას რუსეთის მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. მოსკოვის სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსეთის სახელმწიფოს საზღვრები დაახლოებით ემთხვეოდა დღევანდელი მოსკოვის ოლქის საზღვრებს და მოსკოვის ოლქის გარდა მოიცავდა დღევანდელი კალუგისა და ტულის ოლქების მხოლოდ ნაწილს. უფრო სამხრეთით უზარმაზარ ტერიტორიაზე – ვიდრე ასტრახანამდე, ჩრდილო კავკასიის მიწისწინეთამდე და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირამდე (ყირიმის

ნახევარკუნძულის ჩათვლით) კვლავ მონღოლები ბატონობდნენ. ისინი სისტემატიურად შეიჭრებოდნენ ხოლმე მოსკოვის რუსეთის საზღვრებში და ქვეყანას იკლებდნენ.[2]

ასეთ ვითარებაში 1483 წელს (ან თუნდაც 1491 წელს) კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის მიერ მოსკოვის დიდი მთავრის ივანე III-ის კარზე ელჩობის გაგზავნა და დახმარების თხოვნა, ცხადია, ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანდა. **რუსეთს თავისი საქმე უჭირდა და კიდეც რომ მოენდომებინა საქართველოს მუსლიმურ სახელმწიფოებთან ბრძოლაში ვერ დაეხმარებოდა.**

ჰქონდა თუ არა რაიმე რეალური საფუძველი ქართველი მეფეებისა და ქართველი დიპლომატების პრორუსულ ორიეტაციას შემდგომ ხანებში? **მოვლენათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრორუსულ ორიენტაციას არც XVI-XVII საუკუნეებში ჰქონდა რეალური საფუძველი.**

XVI საუკუნეში **ვასილ III-ის (1505-1533)**, განსაკუთრებით კი **ივანე IV მრისხანის** დიდი მთავრობისა და მეფობის პერიოდში (1533-1584), რუსეთის სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მიუხედავად ამისა **რუსეთი სამხრეთ კავკასიაში კვლავ არარეალურ ძალად რჩებოდა.** ივანე IV-მ შესძლო ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილი **ყაზანისა** (1552 წ.) და **ასტრახანის** (1556 წ.) მონღოლური სახანოების ლიკვიდაცია, მაგრამ ვერაფერი დააკლო მესამე მონღოლურ სახანოს – **ყირიმის სახანოს.** ყირიმის ხანი 120-150 ათასიან ლაშქარს კრებდა და განუკითხავად არბევდა უზარმაზარ ტერიტორიას აზოვისა და შავი ზღვისპირეთიდან მოსკოვამდე. რამდენიმეჯერ ყირიმის ხანმა ყველა კორდონი გადალახა და მოსკოვის კედლებთან გამოჩნდა (ქალაქის ნაწილი გადაწვა). ასტრახანის დაპყრობის შემდეგ ივანე IV-მ სამხრეთში აქტიური სამხედრო ოპერაციების წარმოება შეწყვიტა. რუსეთის სახელმწიფოს სტრატეგიულ ამოცანად იქცა ბალტიისპირეთის დაპყრობა. ბალტიისპირეთისათვის წარმოებული, გაჭიანურებული და მარცხიანი **ლივონიის ომის** (1558-1583 წწ.) გამო რუსეთი კავკასიაში საერთოდ არარეალურ ძალად იქცა. რუსეთის აქტიურობას სამხრეთში ძალზე ზღუდავდა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის ძლიერი პოზიციები უკრაინასა და ბელორუსიაში. XVII საუკუნის დამდეგს რუსეთს ერთდროულად ებრძოდნენ შვეცია და პოლონეთი. ეს ომი რუსეთს ძვირად დაუჯდა – შვეციამ მიიტაცა ჩრდილო-

დასავლეთ რუსეთის მიწები, ხოლო პოლონეთმა დასავლეთისა.[3] ბალტიისპირეთიდან შვეციის, უკრაინიდან პოლონეთის, ბელორუსიიდან ლიტვის, შავი ზღვისპირეთიდან ყირიმის სახანოს მუდმივი აგრესიის მომლოდინე რუსეთი საქართველოსთვის რომ მოკავშირე და მფარველი ვერ იქნებოდა ეს ცხადად უნდა ეგრძნოთ კახთა მეფეებს **ალექსანდრე II-ს (**1574-1605**), თეიმურაზ I-ს** (1606-1648).

ცხადია, ქართველი მეფეებს, კერძოდ, ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-ის პრორუსული ორიენტაცია გარკვეული მიზეზებით იყო გაპირობებული. ამ მიზეზთაგან უმთავრესი იყო: **პირველი:** დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების, კათოლიკური სამყაროს სრული ინერტულობა, დაუინტერესებლობა სამხრეთ კავკასიით; **მეორე.** საქართველოს ჩრდილოეთით მოსკოვის დიდი მთავრის მიერ რუსული მიწების გაერთიანების დაწყება და მართლმადიდებლური სახელმწიფოს – რუსეთის გაძლიერება.

ქართველ მეფეებს, ქართველ დიპლომატებს ძალზე მცირე ინფორმაცია გააჩნდათ, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ისე რუსეთის საშინაო ვითარებისა და საგარეო პოლიტიკის, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის თაობაზე. ძალზე ზერელე და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ირან-ევროპის, ოსმალეთ-ევროპის, რუსეთ-ევროპის, რუსეთ-ირანის, რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობათა თაობაზე. ყოველივე ამან განაპირობა **საგარეოპოლიტიკური კურსის შემუშავებისას დაშვებული დიდი სტრატეგიული შეცდომა – რუსეთზე ორიენტაცია.**

პრორუსულ ორიენტაციას შეეწირა ალექსანდრე II (ირანის შაჰმა მოაკვლევინა თავისსავე გამაჰმადიანებულ შვილს) და თეიმურაზ I (ირანის შაჰის ტყვეობაში გარდაიცვალა). მარცხიანი პრორუსული ორიენტაციის შედეგი იყო ქართლის და კახეთის სამეფო ტახტებზე გამაჰმადიანებული ბაგრატიონების **როსტომის** (1632-1658), **ვახტანგ V შაჰნავაზის** (1658-1675), **გიორგი XI-ის** (1675-1709), **ერეკლე I ნაზარალი-ხანის** (1688-1709), **ქაიხოსროს** (1709-1711), **დავით II იმამყული-ხანის** დასმა შაჰის მიერ.

პრორუსული ორიენტაცია თითქოს დავიწყებას უნდა მისცემოდა. მიზეზი საკმარისზე მეტი იყო. მოხდა დაუჯერებელი რამ. 1703 წელს ქართლის სამეფოს ჯანიშინად (მმართველად) დანიშნულმა გამაჰმადიანებული გიორგი XI-ის ძმისშვილმა, მომავალმა მეფემ ვახტანგ VI-მ **პრორუსული**

ორიენტაცია ააღორძინა და მისი რეალიზებისთვის შეუპოვარი ბრძოლაც დაიწყო. ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-ის პრორუსულ ორიენტაციას ვინმემ კიდევ შეიძლება რაიმე გამრთლება მოუძებნოს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ვახტანგ VI-ზე. ვახტანგ VI-ს ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-თან შედარებით გაცილებით უკეთესი პირობები ჰქონდა იმისათვის, რომ კარგად გაეაზრებინა პრორუსული ორიენტაციის ყველა დამღუპველი შედეგი, არ გაემეორებინა წინამორბედთა დამღუპველი შეცდომები. ვახტანგ VI-ს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდა ირანის, ოსმალეთის, რუსეთის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეოპოლიტიკური კურსის, საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ძალთა თანაფარდობისა და მოვლენათა შემდგომი განვითარების, პერსპექტივის თაობაზე. გარდა ამისა ვახტანგ VI იყო უაღრესად განათლებული ადამიანი, მრავალმხრივ საყურადღებო მოაზროვნე, მკვლევარი, მეცნიერი.

პროირანული ორიენტაციის უარყოფის თაობაზე გადაწყვეტილება ვახტანგ VI-მ ირანში იძულებით ყოფნის პერიოდში (1712-1719 წწ.) მიიღო. ვახტანგ VI ახალი პოლიტიკური ორიენტაციის ორ შესაძლო ვარიანტს ამუშავებდა: **დასავლეთ ევროპულსა** და **რუსულს**. დასავლეთ ევროპის ქვეყნები იმხანად ირანის გაძლიერების პოლიტიკას ადგნენ. ასეთი პოლიტიკა განაპირობა ობიექტურმა ვითარებამ. ოსმალეთი, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, დიდ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ირანი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც აზიაში აქტიური საბრძოლო მოქმედებებით შეეძლო ოსმალეთის ძალების მიზიდვა და ამით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის მდგომარეობის შემსუბუქება.[4]

ცხადია, ასეთ ვითარებაში ირანის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში მოკავშირის ძებნა გულუბრყვილობა იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მისიით მივლინებული **სულხან-საბა ორბელიანი** 1715 წელს სამშობლოში ხელცარიელი დაბრუნდა. ამ დროიდან ჯერ კიდევ ირანში მყოფი ვახტანგ VI პრორუსულ ორიენტაციის რეალიზებაზე იწყებს ზრუნვას. პრორუსული ორიენტაციის რეალიზების გზაზე პირველი ნაბიჯი რუსეთის ელჩთან **არტიომ ვოლინსკისთან** ურთიერთობის დამყარება იყო. მეფედ დამტკიცების (1716 წ.) შემდეგ, 1719 წელს, ქართლში

დაბრუნებული ვახტანგ VI აქტიურად იღწვის რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად.[5]

შეეძლო თუ არა რუსეთს ამ პერიოდისათვის (1719-1722 წწ.) აქტიურად ჩარეულიყო სამხრეთ კავკასიის (აღმოსავლეთ ამიერკავკასიის) საქმეებში და ქართლის სამეფო ირანის ბატონობისაგან გაეთავისუფლებინა.? ჩვენი აზრით, **რუსეთი მზად არ იყო სამხრეთ კავკასიაში ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად.** ეს გაპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით:

პირველი. ჩრდილოეთის ომში (1700-1721 წწ.) გამარჯვებით მართალია რუსეთმა ბალტიისპირეთი მიიღო, მაგრამ ხანგრძლივმა ომმა ქვეყნის ეკონომიკას ძლიერი დარტყმა მიაყენა. ახალი დიდი ომის დაწყება რუსეთს აღარ შეეძლო.

მეორე. რეალურად რუსეთის იმპერიასა და ქართლის სამეფოს ერთობლივი მოქმედებით აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანის განდევნა შეეძლოთ, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გაბატონებას არასგზით არ დაუშვებდა ოსმალეთი. ოსმალეთთან ომი კი რუსეთისთვის ძნელი და ხანგრძლივი იქნებოდა.

მესამე. სამხრეთ კავკასიაში დაწყებულ რუსეთ-ოსმალეთის ომს თავის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია). ეს ომი დასავლეთის ქვეყნებს საშუალებას მისცემდათ შეესუსტებინათ რუსეთის პოზიციები ჩრდილო შავი ზღვისპირეთში, ბალკანეთში და რაც მთავარია, ბალტიისპირეთში.

მეოთხე. ჩრდილოეთის ომში (1700-1721 წწ.) გამარჯვების შემდეგ რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებებს შეადგენდა: ა) ბალტიისპირეთში განმტკიცება, ბ) მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინაში დამკვიდრება და მარჯვენა ნაპირის უკრაინის ხელში ჩაგდება, გ) ყირიმის სახანოს ლიკვიდაცია და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში დამკვიდრება, დ) ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრა. სამხრეთ კავკასია, უფრო ზუსტად მისი აღმოსავლეთი ნაწილი, არ შედიოდა რუსეთის სტრატეგიული დაინტერესების სფეროში. 1722 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარების შეჭრა კასპიისპირეთში მხოლოდ ვითარების დაზვერვას ისახავდა მიზნად და არა რეგიონიდან ირანის განდევნას.

ვახტანგ VI-ის მიერ პეტრე I-თან ირანის წინააღმდეგ სამხედრო პოლიტიკური კავშირის შეკვრა (1722 წ.) სტრატეგიული შეცდომა იყო. პროირანული ორიენტაცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის პასიური პოლიტიკის პირობებში ერთადერთი სწორი ორიენტაცია იყო. ვახტანგ VI-ს თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა ავღანელების შეტევის შედეგად ირანში შექმნილი უმძიმესი ვითარება. ქართლის მეფე კი პირიქით მოიქცა. 1722 წლის მარტში შაჰმა ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპული **როსტომის** (ვახტანგ VI-ის ძმის) ნაცვლად თავის გვარდიის სარდლად ვახტანგის ვაჟი **ბაქარი** დანიშნა და იგი ქართლის ჯართან ერთად სასწრაფოდ ირანში დაიბარა. ბაქარმა ჯარი შეკრიბა და ირანისკენ დაიძრა, მაგრამ ვახტანგ VI-მ შვილს შაჰისათვის დახმარების აღმოჩენა აუკრძალა. ბაქარი მამას კომპრომისულ ვარიანტს სთავაზობდა: ქართლის სამეფოს ჯარის ნაწილი, ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის მოლაპარაკების თანახმად, კასპიისპირეთში შეჭრილ რუსეთის ჯარს შეერთებოდა, ხოლო ნაწილი ავღანელების წინააღმდეგ ირანის შაჰს მიშველებოდა. სამეფო დარბაზის წევრთა ნაწილი რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს სახიფათოდ მიიჩნევდა და პროირანული ორიენტაციის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. ვახტანგ VI-მ რჩევა არ გაითვალისწინა. მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი პროირანული ორიენტაციის ერთხელ და სამუდამოდ უარყოფა. ამასობაში ავღაველებმა ისპაჰანი აიღეს. სეფიანი შაჰების დინასტია შეწყდა, თუმცა ქართლისათვის ამას შვება არ მოუტანია. 1722 წლის მიწურულსა და 1723 წლის დამდეგს ქართლის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ეს განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: **პირველი.** პეტრე I-მა კასპიისპირეთში დაწყებული ლაშქრობა მალევე, 1722 წელსვე, შეწყვიტა; **მეორე**. ირანის შაჰი ვახტანგ VI-ის დასასჯელად ჯარებს აგროვებდა; **მესამე.** რუსეთის გააქტიურებითა და პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირით შეშფოთებული ოსმალეთიც ქართლის სამეფოში შესაჭრელად ემზადებოდა. **მეოთხე.** პროირანული ორიენტაციის კახეთის მეფე **კონსტანტინე** ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა და ირანის შაჰის დახმარებით ქართლის ტახტის ხელში ჩაგდებას გეგმავდა; **მეხუთე.** თბილისში მდგარმა ირანის გარნიზონმა შაჰის ბრძანებით ქალაქს ცეცხლი დაუშინა; **მეექვსე.** 1723 წლის გაზაფხულზე ირანის შაჰის თანადგომით, ლეკთა, განჯისა და

ერევნის ხანების ჯარების დახმარებით კახთა მეფე კონსტანტინემ თბილისი დაიკავა; **მეშვიდე.** 1723 წლის ივნისში ოსმალეთის ჯარები თბილისს მოადგნენ და ქალაქი აიღეს. კოსტანტინემ კახეთს შეაფარა თავი.

ვახტანგ VI-ს პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის დამღუპველი შედეგები სახეზე იყო. 1724 წელს ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა. პეტრე I ამიერკავკასიის ახალ მფლობელს სწრაფად მოურიგდა. 1724 წლის 12 ივლისს, როდესაც ვახტანგ VI ჯერ კიდევ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სტამბოლში რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება დაიდო. რუსეთმა აღიარა ოსმალეთის უფლებები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. უფრო ადრე (1723 წ.) რუსეთი ირანსაც მოურიგდა.

ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ ვახტანგ VI-ის შემდეგ საქართველოში პრორუსული ორიენტაცია დავიწყებას მისცემოდა. ასეც მოხდა. 1744 წელს ირანის შაჰმა **ნადირმა (1736-1747)** ქართლის ტახტი კახთა მეფის კონსტანტინეს ძმას, თეიმურაზ II-ს, ხოლო კახეთისა თეიმურაზის ვაჟს, ერეკლე II-ს უბოძა. ნადირ-შაჰი ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. შაჰის მიზანს შეადგენდა პრორუსული ორიენტაციის აღკვეთა: **მომავალში ქართლისა და კახეთის სამეფოები რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ფორტპოსტად არ უნდა ქცეულიყო.** ამიტომ იყო, რომ ნადირ-შაჰი დათმობებზე წავიდა. შაჰმა ქართლის სამეფო ტახტი კახეთის ბაგრატიონებს უბოძა. ამასთან ერთად, თეიმურაზსა და ერეკლეს უფლება მისცა ტახტზე ქრისტიანული წესით ასულიყვნენ.

ნადირ-შაჰის შემდეგ, **ადილ-შაჰისა** და განსაკუთრებით კი **ქერიმ-ხანის** (გარდაიცვალა 1779 წ.) მმართველობის წლებში, თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაციის წყალობით დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მნიშვნელოვნად განმტკიცდა სამეფო ხელისუფლება, „ოსმალობისაგან" და „ყიზილბაშობისგან" დაქცეული ქართლი და კახეთი წელში იმართებოდა. თეიმურაზმა და ერეკლემ პრაქტიკულად საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს ირანული სახანოები (განჯის, ერევნის, ყარაბაღის, ნახჭევნის, შუშის).

პროირანული ორიენტაციის წარმატების ფონზე XVIII საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან თეიმურაზ II და ერეკლე II რუსეთის იმპერიაზე იღებენ ორიენტაციას და მუსლიმურ სახელმწიფოებისა და ხალხების აგრესიისაგან ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვას რუსეთის

სამხედრო–პოლიტიკური დახმარებით აპირებენ. ეს იყო **დიდი სტრატეგიული შეცდომა**, რომელიც ძვირად დაუჯდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და მთლიანად საქართველოს (კავკასიასაც!).

რამ განაპირობა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გადაწყვეტილება პროირანული ორიენტაციის პრორუსულით შეცვლის თაობაზე? ეს იყო სრულიად ალოგიკური, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. ისტორიოგრაფიაში ამ საბედისწერო გადაწყვეტილებას თავისი ახსნა აქვს, თუმცა ყურადღების გარეშე რჩება მეტად მნიშვნელოვანი, ჩვენის აზრით, განმსაზღვრელი მომენტი.

ქართლის დევნილმა მეფემ ვახტანგ VI-მ პოლიტიკური თავშესაფარი რუსეთში იპოვა. მეფეს რუსეთში გაჰყვა 1850 კაციანი ამალა (მეფეს 1200 კაცი უშუალოდ საქართველოდან გაჰყვა, ხოლო 650 ყიზლარში ელოდა). მათ შორის იყვნენ ცნობილი თავადური საგვარეულოების წარმომადგენლები და აზნაურები. მალე ცხადი გახდა, რომ ვახტანგ VI და მისი თანამებრძოლები რუსეთის საიმპერატორო კარს ჰაერივით სჭირდებოდა.

თეიმურაზისა და ერეკლეს წარმატებული პროირანული ორიენტაცია დიდ შეშფოთებას იწვევდა რუსეთში. ქართლისა და კახეთის სამეფოებზე რუსეთი სამხედრო-პოლიტიკურ ზემოქმედებას ვერ მოახდენდა, ეს ირანთან და ოსმალეთთან ურთიერთობის დაძაბვას გამოიწვევდა. თეიმურაზ II-ზე და ერეკლე II-ზე ზემოქმედებისათვის რუსეთის საიმპერატორო კარმა სხვა გზა არჩია. რუსმა დიპლომატებმა დაიწყეს თეიმურაზისა და ერეკლეს დაშინება ქართლის სამეფო ტახტზე მისი კანონიერი მფლობელის – ქართლის ბაგრატიონების დაბრუნების მუქარით. თეიმურაზმა და ერეკლემ კარგად იცოდნენ, რომ ქართლის თავადები ვახტანგ VI-ს დაუინებით ურჩევდნენ ქართლში ან პირადად დაბრუნებას, ან ტახტის მემკვიდრის ბაქარის გამოგზავნას. რუსეთის საიმპერატორო კარი ვახტანგ VI-სა და ქართლის თავადების თხოვნას ბუნდოვანი დაპირებებით პასუხობდა და იმავდროულად საქმის კურსში აყენებდა თეიმურაზსა და ერეკლეს.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პოზიციებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ის, რომ 1744 წლიდან მცხეთის საპატრიარქო ტახტის საჭეთმპყრობელი – კათოლიკოს-პატრიარქი – იყო ვახტანგ VI-ის ძმის იესეს შვილი **თეიმურაზ ბაგრატიონი (ანტონ I).** ახალგაზრდა კათოლიკოს-პატრიარქი

ანტონ I დიდი და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი იყო, მიღებული ჰქონდა საფუძვლიანი განათლება. ანტონ I თავიდანვე აქტიურად ერეოდა ქვეყნის საშინაო საქმეებში და საგარეო პოლიტიკაში. მას იმედის თვალით შეჰყურებდნენ, როგორც ქართლის თავადები, ისე რუსეთში გადახვეწილი ქართლის ბაგრატიონები, ვახტანგ VI-ის ამალის ცოცხლად დარჩენილი წევრები და მათი შთამომავლები. ეს ძალზე აღიზიანებდა ერეკლესა და თეიმურაზს, განსაკუთრებით თეიმურაზს. თეიმურაზსა და ერეკლეს კარგად ახსოვდათ, რომ 1747 წელს, თეიმურაზის ირანში ყოფნის პერიოდში, ანტონ I-მა მხარი დაუჭირა ქართლის ტახტისთვის მებრძოლ საკუთარ ძმას – იესეს მეორე ვაჟს **აბდულა-ბეგს.** აბდულა-ბეგის დამარცხების შემდეგ ანტონ I-მა იგი სასჯელისგან იხსნა და ერეკლესთან შეარიგა. გარდა ამისა ანტონ I-მა ირანიდან ჩამოიყვანა თავისი ნახევარძმა – იესეს მაჰმადიანი შვილი **ალექსანდრე (ისაყ-ბეგი)** თავისი ოჯახით, ყველანი მონათლა და ქართლში დაასახლა. თეიმურაზ II-ს ეჭვი ჰქონდა, რომ ანტონ I ალექსანდრე იესეს ძეს ქართლში გამეფებას უპირებდა.

თეიმურაზ II და ერეკლე II რუსეთში გადახვეწილ ქართლის ბაგრატიონებს ვერაფერს დააკლებდნენ. სამაგიეროდ, ანტონ I-ის კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადაყენებას კი მიაღწიეს. 1755 წელს ანტონ I-ს ბრალი დადეს მართლმადიდებლობის ღალატში და სულიწმიდასთან დაკავშირებით კათოლიკური დოგმატის გაზიარებაში. ეს იყო სრული სიცრუე. **კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის არასოდეს უღალატია და სულიწმიდასთან დაკავშირებით კათოლიკური დოგმატი არასოდეს გაუზიარებია.** ანტონ I-ს ცილი დასწამეს თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის მომხრეებმა. 1755 წლეს საეკლესიო კრებამ ანტონ I კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადააყენა და მღვდელმსახურება აუკრძალა. საეკლესიო კრებაზე ანტონ I მედგრად იცავდა თავს და წაყენებულ ბრალდებებს უარყოფდა. მალე ამტონ I მიხვდა, რომ მას ქართლ-კახეთში აღარ დაედგომებოდა და ტაქტიკა შეცვალა. 1756 წელს საეკლესიო კრებაზე ანტონ I-მა აღიარა „შეცდომა" და „მოინანია". ამის სანაცვლოდ მას მღვდელმსახურების უფლება აღუდგინეს და რუსეთში წასვლის ნებაც დართეს. ჩაუდენელი შეცოდების აღიარებითა და მონანიებით ანტონ I-მა თავი იხსნა

მოსალოდნელი დევნა-შევიწროებისაგან და უფრო მკაცრი სასჯელისგან.

ანტონ I-ის კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადაყენება რუსეთმა საკუთარ მარცხად მიიჩნია. ქართლის ბაგრატიონების (ვახტანგ VI-ის შთამომავლების) რუსეთში ყოფნა და ქართლის ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლის კათოლიკოს-პატრიარქობა თეიმურაზსა და ერეკლეზე ზემოქმედების (დაშინების) შესანიშნავი საშუალება იყო. რუსეთის საიმპერატორო კარი უკან დახევას არ აპირებდა. 1756 წელს ანტონ I-მა რუსეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო და მალე რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წინაშე თავიც იმართლა. ანტონ I-ს თავის მართლებაც არ სჭირდებოდა – რუსეთში კარგად უწყოდნენ მისი კათოლიკოს-პატრიარქობიდან გადაყენების ნამდვილი მიზეზი. რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა ანტონ I **არქიეპისკოპოსად** გამოარჩია და **ვლადიმირისა** და **იაროპოლის** ეპარქიის მღვდელმთავრად დაადგინა. ცხადია, ყოველივე ეს პროირანული ორიენტაციის მომხრე თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის გამოწვევას ნიშნავდა.

რუსეთში ჩასული ანტონ I დიდი სიხარულით მიიღეს მისმა ნათესავებმა – ქართლის ბაგრატიონებმა. თეიმურაზისა და ერეკლეს ოპოზიცია რუსეთში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა.

თეიმურაზ II-ის ელჩობის (1761-1762 წწ.) შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარი კვლავ განაგრძობს ქართლ-კახეთის სამეფოს პრორუსულ ორინტაციაზე საბოლოოდ დაყოლიებას. ერეკლე II-ს ამჯერადაც ქართლის ბაგრატიონების და ქართლის თავადების ოპოზიციით აშინებდნენ. **რუსეთის საიმპერატორო კარი ერეკლე II-ს არ ენდობოდა.**[6] პეტერბურგში ისიც ადიზიანებდათ, რომ თეიმურაზის რუსეთში ელჩობით შეშფოთებულ ირანის მბრძანებელ **ქერიმ-ხანთან** ერეკლე II-მ ურთიერთობის მოგვარება შეძლო. ირანსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის კარგი ურთიერთობის შენარჩუნება რუსეთის გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. ერეკლე II რუსეთისათვის ადვილი სამართავი გახდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ქართლ-კახეთის სამეფოსა და ირანს შორის ურთიერთობა დაიძაბებოდა.

ერეკლე II პოზიციებს ადვილად არ თმობდა. 1765 წელს იგი დიდი სისასტიკით გაუსწორდა რუსეთის ფარული

მხარდაჭერით ორგანიზებულ ქართლის თავადების შეთქმულებას (პაატა ბატონიშვილის შეთქმულებას).

რუსეთის საიმპერატორო კარიდან მომდინარე შანტაჟის პოლიტიკას თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ 20 წელი გაუძლეს. პირველ სერიოზულ დათმობაზე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ჯერ კიდევ 1764 წელს წავიდა – ანტონ I საქართველოში დააბრუნა. იმავე წელს ანტონ I საეკლესიო კრებამ უდანაშაულოდ ცნო და კვლავ კათოლიკოს-პატიარქად აირჩია. მომდევნო წლებში ერეკლე II კიდევ უფრო მნიშვნელოვან დათმობებზე მიდის. **ქართლ-კახეთის პროირანული ორიენტაცია დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის პერიოდში რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირით.**

უნდა აღინიშნოს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა ქართლის თავადები ძალზე გააღიზიანა. 1770 წელს აპინძასთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ერეკლე II-ის მიერ რუსეთში გაგზავნილი თავადი **ზაალ ორბელიანი** რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებას ერეკლე II-ისთვის ტახტის ჩამორთმევას სთხოვდა. ერეკლე II-ისთვის ქართლის ტახტის ჩამორთმევას სთხოვდნენ გენერალ გ. ტოტლებენს **ზაალ ორბელიანი** და **დავით ქსნის ერისთავი**. ცხადია, ამგვარი აგრესიული პოლიტიკისაგან რუსეთი წინადაც და ახლაც თავს იკავებდა, მაგრამ ერეკლე II-ის დაშინების პოლიტიკას მაინც განაგრძობდა. სავარაუდოა, რომ ქართლის თავადებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარების მითითება საქართველოში გამოგზავნილმა რუსეთის ჯარის სარდალმა გ. ტოტლებენმა პეტერბურგშივე მიიღო. ერეკლე II-სა და გ. ტოტლებენს შორის ურთიერთობის დაძაბვაში წვლილი ქართლის თავადებმაც შეიტანეს. ყოველივე ეს კარგად უწყოდა ერეკლე II-მ და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებდა. ერეკლე II-ის წინაშე დადგა საკითხი: **ქართლ-კახეთის მეფეს ან პროირანული ორიენტაცია პრორუსულით უნდა შეეცვალა ან რუსეთი კვლავინრებურად გააგრძელებდა ქართლის ბაგრატიონებისა და ქართლის თავადების მხარდაჭერას ერეკლე II-ის წინააღმდეგ. კახეთის ბაგრატიონებმა ქართლის ტახტი ირანის შაჰის წყალობით მიიღეს და გამორიცხული არ იყო ირანის დასუსტების შემთხვევაში რუსეთს ყველა ღონე ეხმარა ქართლის სამეფოს ტახტზე მისი ერთგული ვახტანგ VI-ის შთამომავლობის**

დასაბრუნებლად. ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაცია პრორუსულით შეცვალა.

ერეკლე II-ის პრორუსულმა ორიენტაციამ კატასტროფამდე მიიყვანა ქართლ-კახეთი და მთელი საქართველო. ჰქონდა თუ არა ქართლ-კახეთის სამეფოს პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა? ჩვენი აზრით ალტერნატივა არსებობდა.

XVIII საუკუნის 60-იან წლებში რუსეთმა 20 წლიანი შანტაჟის, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის ოპოზიციის (ქართლის ბაგრატიონები, ქართლის თავადები) მუდმივი წაქეზებით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II აიძულა პროირანული ორიენტაცია უარეყო და პრორუსული ორიენტაცია მიეღო. პრორუსული ორიენტაციის რეალიზება, რუსეთისგან სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მეღება იმთავითვე (1770-1771 წლებიდან) ან თუნდაც 1783 წლამდე რომ დაწყებულიყო შეიძლება ქართული სახელმწიფოებრიობა გადარჩენილიყო კიდეც. მაგრამ ამის თაობაზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. სამხრეთ კავკასიაში გააქტიურება და ქართული სამეფო-სამთავროების ირანისა და ოსმალეთისაგან დაცვა დიდ საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ევროპულ პოლოტიკას, რომელსაც საფუძველი პეტრე I-მა ჩაუყარა და რომელსაც წარმატებით აგრძელებდა **ეკატერინე II (1762-1796).** ამ პოლიტიკური კურსის განხორციელების პროცესში რუსეთმა შვიდწლიან ომში (1757-1763 წწ.) გაიმარჯვა და მნიშვნელოვნად დაასუსტა **პრუსიის** სამხედრო პოტენციალი; 1795 წლისათვის პოლონეთის მესამე დანაწილების შედეგად მიიღო პოლონეთის დიდი ნაწილი; საფუძვლიანად დამკვიდრდა ბელორუსიასა და უკრაინაში; გააუქმა ყირიმის სახანო (1783 წ.), 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომებში ოსმალეთის ორგზის დამარცხების გზით პოზიციები განიმტკიცა ჩრდილოეთ შავიძღვისპირეთში, რითაც პლაცდარმი მოამზადა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრისათვის.[7] ცხადია, ყოველივე ამას რუსეთი სამხრეთ კავკასიაზე არ გაცვლიდა. ამიტომ იყო რომ **მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში (1771-1801 წწ.) რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს რეალურად არ დახმარებია, პირიქით, წინასწარგანზრახულად, გეგმაზომიერად ასუსტებდა ქვეყანას, ამზადებდა მფარველობაში მიღებული სახელმწიფოს დაპყრობას.**

ერეკლე II-მ, როგორც აღვნიშნეთ, ვედარ გაუძლო რუსეთის ფარულ თუ აშკარა ზეწოლას და ხანგრძლივი

ფიქრის შემდეგ პრორუსულ ორიენტაციას დაადგა. პრორუსული ორიენტაციის რეალიზაციის პროცესში ერეკლე II-მ ბევრი მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. უმთავრესი ამ შეცდომათაგან იყო შემდეგი. ერეკლე II-მ, პრაქტიკულად უარი თქვა პროირანულ და პრორუსულ ორიენტაციებს შორის ლავირებაზე და ქართლ-კახეთის ხსნა მხოლოდ პრორუსულ ორიენტაციას დაუკავშირა. ეს იყო ის რაზეც ოცნებობდა რუსეთის საიმპერატორო კარი, რუსული დიპლომატია. 1771 წლიდან 1783 წლამდე რუსეთის იმპერიას თითიც არ გაუნძრევია ქართლ-კახეთის დასაცავად. ამის მიუხედავად, ერეკლე II-ს ერთხელაც არ უგრძნობინებია ეკატერინე II-თვის, რომ თუ რუსეთი ქართლ-კახეთს არ დაიცავდა, იგი იძულებული გახდებოდა პოლიტიკური ორიენტაცია შეეცვალა. პირიქით, 1783 წელს ქართლ-კახეთი ყოველმხრივ კომპრომიტირებული რუსეთის მფარველობაში შევიდა და ისედაც შეშფოთებული მუსლიმური სამყარო საბოლოოდ აიმხედრა.[8] ერეკლე II-ს არც გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადების შემდეგ გამოუჩენია სიფრთხილე. პირიქით, გეორგიევსკის ტრაქტატი ერეკლე II-მ თავის დამსახურებად მიიჩნია და რუსეთის აღმოსავლურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება გადაწყვიტა. რუსეთი ერეკლე II-ის გეგმებს მოჩვენებითი ყურადღებით ეპყრობოდა, რაც ქართლ-კახეთის მეფეს დამატებით სტიმულს აძლევდა. ერეკლე II-ის მისწრაფება, რუსეთი რაც შეიძლება მალე შემოსულიყო კავკასიაში, შეუმჩნეველი არ რჩებოდა ირანსა და ოსმალეთს. ორივე ისლამური სახელმწიფო ქართლ-კახეთის დასასჯელად ემზადებოდა. ირანი და ოსმალეთი მხოლოდ შესაფერის დროს ელოდნენ. მალე ცხადი გახდა, რომ რუსეთის იმპერია გეოერგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულებაზე არც კი ფიქრობდა. 1786 წელს ერეკლე II-მ პრორუსული ორიენტაციის შეცვლა გადაწყვიტა, მაგრამ საბოლოოდ თავი შეიკავა. 1783-1795 წლებში რუსეთმა მრავალგზის დაადასტურა, რომ გეორგეევსკის ტრაქტატის პირობებს არ დაიცავდა. ერეკლე II-მ არც ეს გაითვალისწინა და ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობის მოგვარება არ სცადა. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის სატელიტად იქცა, რაც ძალზე აღიზიანებდა ირანსა და ოსმალეთს. 1783-1795 წლებში ერეკლე II-ის დამღუპველი პოლიტიკური კურსი ასე შეიძლება განისაზღვროს: **სრული კაპიტულაცია რუსეთის წინაშე, სრული იზოლაცია ისლამური სამყაროდან (ირანიდან,**

ოსმალეთიდან). აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრობა (1795 წ.) იყო ისლამური სამყაროს პასუხი ერეკლე II-ის პრორუსულ პოლიტიკაზე. 1795 წლის შემდეგ ერეკლე II ქვეყანას პრაქტიკულად აღარ განაგებდა (დარჩენილი სიცოცხლე მან თელავში გაატარა, თბილისში აღარ დაბრუნებულა) 1795 წლის სექტემბრიდან (კრწანისის ბრძოლიდან) 1798 წლის იანვრამდე (ერეკლეს გარდაცვალებამდე) ქართლ-კახეთი, ფაქტობრივად, ერთი ცენტრიდან აღარ იმართებოდა, აღარ ფუნქციონირებდა არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი. აღა-მაჰმად-ხანის მოულოდნელმა მკვლელობამ იხსნა ქართლ-კახეთი მეორე გამადგურებელი ლაშქრობისაგან, რომლის დამღუპველი შედეგების წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს. გიორგი XII-ს (1798-1800) არანაირი საშინაო და საგარეო პოლიტიკა არ გააჩნდა. ქართლ-კახეთს რუსი რეზიდენტები (დიპლომატები და სამხედროები) მართავდნენ.

თუ შევადარებთ ერთმანეთს ირანის პოლიტიკას ქართლ-კახეთში 1744-1769 წლებში და რუსეთის პოლიტიკას ქართლ-კახეთში 1770-1801 წლებში ნათელი გახდება:

პირველი. პროირანული ორიენტაციის (1744-1769 წწ.) ქართლ-კახეთი წელში გაიმართა, განმტკიცდა მეფის ხელისუფლება, დაითრგუნა თავადური ოპოზიცია.

პრორუსული ორიენტაციის პერიოდში (1770-1801 წწ.) ქართლ-კახეთში დასუსტდა სამეფო ხელისუფლება, კვლავ იმძლავრა თავადურმა ოპოზიციამ, მოიშალა ისედაც სუსტი ეკონომიკა, დასუსტდა ჯარი, სახელმწიფო ინსტიტუტებმა, პრაქტიკულად, შეწყვიტეს ფუნქციონირება.

მეორე. პროირანული ორიენტაციის პერიოდში ქართლ-კახეთს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა ირანთან და ოსმალეთთან, ვერ მოგვარდა ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის მთიელებთან.

პრორუსული ორიენტაციის პერიოდში უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა ირანთან და ოსმალეთთან, კვლავ გრძელდებოდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა გამანადგურებელი თავდასხმები.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად ისმის კითხვა: რამდენად რეალური იყო პროირანული ორიენტაციის გაგრძელება. ვფიქრობთ, რომ პროირანული ორიენტაციის გაგრძელება სავსებით რეალური იყო. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს:

პირველი. ერელკე II-ს ირანის ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ირანულ სახანოებთან ურთიერთობის მოგვარების დიდი გამოცდილება ჰქონდა. (რუსეთის საიმპერატორო კართან და რუსეთის სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობის გამოცდილება ერეკლე II-ს არ გააჩნდა და იგი მხოლოდ გამოუცდელი ელჩების იმედად იყო);

მეორე. ერეკლე ფლობდა დიდ ინფორმაციას ირანში, ოსმალეთსა და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების თაობაზე (რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების თაობაზე ერეკლე II-ს ძალზე მწირი ინფორმაცია ჰქონდა).

მესამე. რუსეთის კავკასიის მთავარი ქედის, კასპიისპირეთისა და ჩრდილო შავიზღვისპირეთის მიმართულებით გააქტიურების პირობებში ირანისა და ოსმალეთისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი გახდებოდა პროირანულ ორიენტაციაზე მდგარი ქართლ-კახეთის სამეფო. (პრორუსული ქართლ-კახეთის სამეფო სულ უფრო საშიში ხდებოდა ირანისა და ოსმალეთისათვის).

მეოთხე. პროირანული ორიენტაციის ქართლ-კახეთს ჰქონდა შანსი ირანისა და ოსმალეთის მხარდაჭერით მოეგვარებინა ურთიერთობა ისლამის აღმსარებელ ჩრდილო კავკასიის მთიელებთან (პრორუსული ორიენტაციის ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ ირანი და ოსმალეთი მუდამ ეფექტურად გამოიყენებდა ისლამის აღმსარებელ ჩრდილო კავკასიის მთიელებს).

მეხუთე. პროირანული ორიენტაციის ქართლ-კახეთს სამეფო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფორტპოსტად ვერ გამოდგებოდა და რუსეთის იმპერიას კავკასიის (ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის) დაპყრობის დაწყება ჩრდილო კავკასიის მთისწინეთიდან მოუწევდა (პრორუსული ორიენტაციის ქართლ-კახეთის სამეფომ რუსეთის იმპერიას საშუალება მისცა ჯერ სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებულიყო და შემდეგ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ერთდროულად დაეწყო ჩრდილო კავკასიის დაპყრობა).

მეექვსე. დაკნინების, სამხედრო-პოლიტიკური დასუსტების გზაზე დამდგარი, პრაქტიკულად დაშლილი, ირანი, ასევე დაღმავლობის გზით მიმავალი ოსმალეთი გაცილებით ნაკლებად საშიში იყო, ვიდრე ნაპოლეონის მძლეველი, ოსმალეთზე და ირანზე მრავალგზის გამარჯვებული, „ევროპის ჟანდარმად" წოდებული რუსეთი.

მეშვიდე. ირანი და ოსმალეთი მუსლიმური ქვეყნები იყვნენ, რუსეთი მართლმადიდებლური. თუ ობიექტურად შევაფასებთ ჩვენს ისტორიას, შეიძლება დავასკვნათ: 1801-1917 წლებში რუსეთმა გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ეკლესიას ვიდრე ირანმა და ოსმალეთმა ერთად XVI-XVIII საუკუნეებში. ისლამმა ქრისტიანობაზე ვერ იმძლავრა. ეროვნებისა და მართლმადიდებლობის დაცვას უზრუნველყოფდა სამეფო ხელისუფლება (მეფე) და ეკლესია (კათოლიკოს-პატრიარქი). ამიტომ იყო, რომ ქართველთა გამაჰმადიანება მოხდა მხოლოდ საქართველოდან ჩამოცილებულ და ირანთან და ოსმალეთთან უშუალოდ შეერთებულ რაიონებში (ჭარ-ბელაქანში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში). ერთმორწმუნე რუსეთმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მიიტაცა საქართველოს ეკლესიის კუთვნილი უძრავი და მოძრავი ქონება, გაძარცვა ეკლესია-მონასტრები, აკრძალა ქართულ ენაზე ღვთისმსახურება, შეავიწროვა ქართველი სამღვდელოება.[9] მსგავსი რამ არც ირანსა და არც ოსმალეთს XVI-XVIII საუკუნეებში არ ჩაუდენია.

მერვე. ისლამურ სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ მოქცევა, ცხადია, ეროვნული და ეკლესიური თვალსაზრისით, დიდ საფრთხეს შეიცავდა. ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ პროირანული და პროოსმალური ორიენტაცია აუცილებლად დაგვაკარგვინებდა ენას, ეროვნებას, სახელმწიფოებრიობასა და ეკლესიას. ოსმალეთის ხანგრძლივი ბატონობის პერიოდში ბალკანეთის ხალხების ნაწილში ისლამი გავრცელდა, მაგრამ ოსმალებმა, ეროვნება და რელიგია ვერ დააკარგვინეს ბერძნებს, სერბებს, რუმინელებს, ბულგარელებს. ქართველები რატომ ვიქნებოდით გამონაკლისი? ჩვენ ხომ ეროვნების, სახელწიფოებრიობისა და ეკლესიის შენარჩუნებისთვის ბრძოლის დიდი გამიცდილება გვქონდა!

ქართველი ერის, ქართული სახელწიფოებრიობისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გადარჩენა-არგადარჩენას ქართველობის სულიერი და ფიზიკური სიმტკიცის და გამძლეობის გარდა განსაზღვრავდა საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარება, დიდი იმპერიების პერმანენტული კვდომისა და აღორძინების პროცესი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1 **К.В. Базилевич.** Внешняя политика Русского централизированного государства второй половины XV в. Москва 1952; **Н.С. Борисов.** Иван III. Москва, 2000.

2 **В.Е. Возгрин.** Исторические судьбы крымских татар. Москва 1992; **А.А. Горский.** Москва и Орда. Москва 2000; **И. Б. Греков.** Восточная Европа и упадок Золотой Орды (на рубеже XIV-XV в.в.) Москва, 1975; **А. В. Черепнин.** Образование Русского централизированного государства XIV-XV в.в. Москва, 1960.

3. **В.Д. Королюк.** Ливонская война. Ленинград, 1984. **Е.Н. Кушева.** Народы Северного Кавказа и их связи с Россией. Вторая половина XVI – 30-е гг. XVIII века. Москва, 1963. **А.А. Новосельский.** Борьба Московского государства с татарами в первой половине XVII века. Москва- Ленинград, 1948; **С.Ф. Платонов.** Очерки по истории Смуты в Московском государстве XVI-XVII вв. Москва, 1995; **Г.Л. Санин.** Сношения России и Украины с Крымским ханством в середине XVII в. Москва, 1987; **Б.Н. Флоря.** Иван Грозный. Москва, 1999.

4. Историа Ирана. Под Редакцыей **М.С. Иванова.** Москва, 1977; Историа стран зарубежной Азии в средние века. Москва, 1970; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა). **ვ. გაბაშვილის** რედაქციით. თბილისი, 1957; **დავით კაციტაძე.** ირანის ისტორია III-XVIII სს. თბილისი, 2001.

5. **გიორგი პაიჭაძე.** ვახტანგ მეექვსე. თბილისი, 1981, გვ. 105-114; **ალექსანდრე ფირცხალაიშვილი.** საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბილისი, 2000, გვ. 12-61; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად. ტომი IV. თბილისი, 1973, გვ. 413-421.

6. **ვალერიან მაჭარაძე.** მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის. ნაწილი III. ნაკვეთი II. თბილისი, 1997, გვ. 16-17.

7. **Н.Н. Молчанов.** Дипломатия Петра Первого. Москва, 1986; **А.Г. Некрасов.** Роль росии в европейской международной политике 1725-1739 гг. Москва, 1976; **О.А. Омельченко.** Законная

монархия Екатерины II. Москва, 1993; **Н.И. Павленко.** Петр Великий. Москва, 1994; **Н.И. Павленко.** Птенцы гнезда Петрова. Москва, 1994; **Н.И. Павленко.** Екатерина Великая. Москва, 1999; **Н.С. Киняпина, М.М. Блиев, В.В. Дегоев.** Кавказ и средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII–80-е годы XIX в. Москва, 1984.

8. გეორგიევსკის ტრაქტატი. გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები **ვ. მაჭარაძისა.** თბილისი, 1983.

9. **Н. Дурново.** Судьбы Грузинской церкви (По вопросу Грузинской церковной автокефалии). Москва, 1907; **Н. Дурново.** Судьбы Грузинской церкви (По вопросу Грузинской церковной автокефалии). Второе добовление. Москва, 1907; **Н. Дурново.** Мутный источник. Москва, 1909; **Н. Дурново.** Исторический очерк автокефалных церквей: Иверской и Имеретинской. Москва, 1910.

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა,”** 2007, № 110, 13 ივნისი, გვ. 5; 2009, № 111, 15 ივნისი, გვ. 5; 2007, № 112, 16 ივლისი, გვ. 5; 2007, № 113, 19 ივნისი„ გვ. 5; გადაიბეჭდა წიგნში: **ვახტანგ გურული.** ერთმორწმუნე რუსეთი. მითი და რეალობა. თბილისი, 2008, გვ. 60-73; გადაიბეჭდა კრებულში: **„მარიამ ლორთქიფანიძე 85".** თბილისი, 2007, გვ. 343-357.*

5. საქართველოს ოკუპაციის წარუმატებელი ცდა
(შეთქმულება ერეკლე II-ის წინააღმდეგ)

ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთითა და ბალკანეთის ნახევარკუნძულით რუსეთი ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დამდეგს დაინტერესდა. მართალია, **პეტრე I-მა (1696-1725)** ამ რეგიონების დაპყრობა ვერ მოახერხა, მაგრამ რუსეთის საიმპერატორო კარი უკან დახევას არ აპირებდა. ამ დროიდან დაწყებული რუსეთისა და ოსმალეთის ურთიერთობა მუდმივად დაძაბული იყო. XVIII საუკუნე რუსეთ-ოსმალეთის ომების სერიით აღინიშნა. ერთ-ერთი ომი, კერძოდ, 1768-1774 წლების ომი, საქართველოსაც შეეხო. ამ ომში რუსეთის მიზანს შეადგენდა **ყირიმის სახანოს** ლიკვიდაცია, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დაპყრობა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრისათვის პლაცდარმის მომზადება. რუსეთის საიმპერატორო კარმა ომში მოკავშირედ ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქრისტიანი ხალხებისა და სახელმწიფოების გამოყენების გეგმა შეიმუშავა. რუსი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების აზრით, იმერეთის მეფის **სოლომონ I-ის** მომხრობა ადვილი იქნებოდა, რადგან იმერეთის მეფე სულთნის ვასალი იყო და ოსმალეთს დიდი ხანია ებრძოდა. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა რუსებს საეჭვოდ მიაჩნდათ, რადგან ქართლ-კახეთსა და ოსმალეთს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა არსებობდა.

რუსეთის საიმპერატორო კარი საქართველოში ჯარის გამოგზავნისგან ომის დასაწყისში თავს იკავებდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ იმერეთის მეფის სოლომონ I-თვის ჯარი

გაეგზავნათ. 1769 წლის 27 ივნისს საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის **„მთავარ მეთაურად"** დაინიშნა რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფი გერმანელი გრაფი **გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენი**. საექსპედიციო კორპუსი არცთუ მრავალრიცხოვანი იყო: 3 ასეული (411 კაცი) და 6 ქვემეხი. ცხადია, მცირერიცხოვანი საექსპედიციო კორპუსი იმერეთის მეფეს საჭირო დახმარებას ვერ აღმოუჩენდა. 1769 წლის მარტში პეტერბურგში ჩასული სოლომონ I-ის ელჩი ქუთათელი მიტროპოლიტი **მაქსიმე აბაშიძე** რუსეთის საიმპერატორო კარს იმერეთში 5 ათასიანი ჯარის გაგზავნას თხოვდა. იმერეთის სამეფოში რუსეთის ჯარის გამოჩენა ძალზე გააღიზიანებდა ოსმალეთის სულთანს. უფრო დამაფიქრებელი იყო ის, რომ საექსპედიციო კორპუსის მეთაურად დაინიშნა სახელგატეხილი გენერალი გ. ტოტლებენი. შვიდწლიანი ომის (1753-1763 წწ.) დროს გ. ტოტლებენი რუსეთის იმპერატორის სამსახურში იმყოფებოდა და რუსეთის არმიის ერთ-ერთ კორპუსს მეთაურობდა. 1761 წელს იგი პრუსიის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით შეიპყრეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს. იმპერატორმა ეკატერინე II-მ მოღალატე შეიწყალა და რუსეთიდან გაძევება აკმარა. 1769 წელს გ. ტოტლებენმა რუსეთში დაბრუნება ითხოვა. თხოვნა შეწყნარებულ იქნა და მალე გენერალი საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის მეთაურად დაინიშნა.

მართალია, რუსეთის საიმპერატორო კარს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა საძნელო საქმედ ეჩვენებოდა, მაგრამ რუსები შეცდნენ. 1769 წლის აპრილში ომში ნეიტრალიტეტის დაცვის თხოვნით თბილისში მყოფ ოსმალეთის ელჩებთან ერეკლემ მოლაპარაკება შეწყვიტა და ელჩები ქვეყნიდან გააძევა, იმავდროულად საგანგებო საიდუმლო მისიით თბილისში ჩამოსულ რუსეთის წარმომადგენელს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე ქართლ-კახეთის მეფემ თანხმობა განუცხადა. 1769 წლის მაისში სოლომონ I თბილისში ჩამოვიდა. მეფეები ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ.

რა იყო მიზეზი იმისა, რომ პროირანული ორიენტაციის ერეკლე II ასე ნაჩქარევად, დიდი ფიქრისა და განსჯის გარეშე, ჩაება ოსმალეთის წინააღმდეგ ომში? ამ მოვლენას ერთადერთი ახსნა აქვს. ერეკლე II-მ იგრძნო, რომ

რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ქართლ-კახეთის გარეშეც შედგებოდა. ისიც ცხადი იყო, რომ რუსეთისა და იმერეთის გაერთიანებული ჯარი სამცხე-საათაბაგოზე ილაშქრებდა – **აწყურის, ხერთვისის, ახალციხისა** და **ახალქალაქის** დაკავებას შეეცდებოდა. ერეკლე II მიიჩნევდა, რომ სამცხე-საათაბაგო ქართლ-კახეთის სამეფოს ნაწილი იყო და თუ ეს ტერიტორია ოსმალეთის ბატონობისაგან გათავისუფლდებოდა, იგი ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო. ერეკლე II-მ ისიც კარგად იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარს მისი პროირანული ორიენტაცია არ მოსწონდა. ქართლ-კახეთის ნეიტრალიტეტი რუსეთის იმპერატორს კიდევ უფრო გააღიზიანებდა და გამორიცხული არ იყო, რომ ომში წარმატების შემთხვევაში სამცხე-საათაბაგო ეკატერინე II-ს იმერეთის მეფისათვის ებოძებინა.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ჩაბმა, როგორც იმერეთის მეფის სოლომონ I-ის, ისე ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მხრიდან, დიდი სტრატეგიული შეცდომა იყო. სოლომონ I-ს ომის დასაწყისისათვის უკვე მოგვარებული ჰქონდა ურთიერთობა ოსმალეთთან (იმერეთის მიმართ ოსმალეთის დამთმობი პოლიტიკა რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებითაც იყო განპირობებული). ომში ნეიტრალიტეტით იმერეთის მეფე ოსმალეთის სულთნის კეთილგანწყობილებას დაიმსახურებდა. კიდევ უფრო დიდი შეცდომა დაუშვა ერეკლე II-მ. თბილისიდან გაძევებულმა ოსმალეთის ელჩებმა შეიტყვეს, რომ ომში ნეიტრალიტეტის შესახებ მოლაპარაკების შეწყვეტისა და მათი ქვეყნიდან გაძევების მიზეზი თბილისში რუსეთის წარმომადგენლის ჩამოსვლა იყო. ამ წინდაუხედავი ნაბიჯით ერეკლე II-მ ოსმალეთთან ურთიერთობა გაირთულა. უმთავრესი კი ის იყო, რომ რუსეთის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა დიდ შეშფოთებას გამოიწვევდა ირანში და დაძაბავდა არა მარტო ქართლ-კახეთისა და ირანის ურთიერთობას, არამედ ირან-ოსმალეთის ურთიერთობასაც. არც სოლომონ I-ს და არც ერეკლე II-ს 1769 წელს არ შეიძლება ცოდნოდათ უმთავრესი: **რით დამთავრდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი.** ომში გამარჯვების შემთხვევაში ოსმალეთი იმერეთს სასტიკად ააოხრებდა, კარგი დღე არც ქართლ-კახეთს დაადგებოდა. ასე, რომ მეფეები გაუმართლებელ რისკზე მიდიოდნენ.

1769 წლის აგვისტოში რუსეთიდან საქართველოსკენ დაიძრა საექპედიციო კორპუსი – 480 კაცი და 4 ქვემეხი. 1769 წლის 12 აგვისტოს გენერალი გ. ტოტლებენი ასიოდე კაცითა და ორი ქვემეხით მოზდოკიდან საქართველოსკენ გამოემგზავრა (ჯარის ძირითადი ნაწილი ცოტა მოგვიანებით დაიძრა მოზდოკიდან). მას თან ახლდა რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში **ანტონ მოურავოვი** (1769 წლის 11 ოქტომბრისათვის საქართველოში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსში ირიცხებოდა 480 კაცი. არასწორია ცნობა , რომლის მიხედვითაც რუსეთიდან საქართველოში გამოიგზავნა 3767 კაციანი საექსპედიციო კორპუსი).

1769 წლის 29 აგვისტოს **ერეკლე II,** კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ I, გიორგი** და **ლევან** ბატონიშვილები დიდებულებთან ერთად სოფელ **ხოდაში,** სახელდახელოთ მოწყობილ ბანაკში, დიდი ზარზეიმით შეხვდნენ გენერალ გ. ტოტლებენსა და ა. მოურავოვს. 30 აგვისტოს გ ტოტლებენმა უკვე თავის ბანაკში მიიღო ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I და ლევან ბატონიშვილი. შეხვედრაზე განიხილეს ოსმალეთთან ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ჩაბმის საკითხი. ერეკლე II-მ იმერეთთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის პირობად წამოაყენა: რუსეთს საქართველოში უნდა გამოეგზავნა 5 ათასიანი კორპუსი; თუ ეს ჯარი ზამთრის დადგომამდე ვერ მოახერხებდა საქართველოში შემოსვლას, მაშინ ზამთრამდე მისი ნაწილი (1500 კაცი) მაინც უნდა გამოგზავნილიყო, ხოლო დანარჩენი (3500 კაცი) მომავალ წელს უნდა შეერთებოდა საქართველოში მყოფ რუსეთის საექსპედიციო კორპუსს. ერეკლე II-ის გათვლა აბსოლუტურად ზუსტი იყო. რუსეთის 5 ათასიანი საექსპედიციო კორპუსი, ქართლ-კახეთისა და იმერეთის ლაშქართან ერთად სავსებით საკმარისი იყო სამცხე-საათაბაგოს სტრატეგიული სიმაგრეებიდან (აწყურიდან, ხერთვისიდან, ახალციხიდან, ახალქალაქიდან) ოსმალთა განსადევნად. (1770 წლის მარტში ერეკლე II-მ 7 ათასიანი ჯარი შეკრიბა, 2 ათასი კაცის შეკრებას მეფე კიდევ ელოდა, ხოლო 4 ათასი კაცი ყარაბაღის ხანის დასახმარებლად ჰყავდა გაგზავნილი. ასე რომ ქართლ-კახეთში შესაძლებელი იყო 12-13 ათასიანი ჯარის შეკრება. თუ იმერეთის მეფე ამის ნახევარს მაინც შეკრებდა, ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარის რაოდენობა 23-24 ათასს მიაღწევდა). ერეკლე II-მ თითქმის მიაღწია მიზანს. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინე II-მ საქართველოში გამოსაგზავნი

საექსპედიციო კორპუსის რაოდენობა 3767 კაცით განსაზღვრა. ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ჯარი, ერეკლე II-ის, სოლომონ I-ისა და გ. ტოტლებენის შეთანხმებისამებრ, მტკვრის ხეობით **ახალციხისაკენ** უნდა დაძრულიყო. ამ ლაშქრობაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. 1770 წლის 24 მარტამდე გ. ტოტლებენი დაახლოებით 1200 კაცით **სურამში** იდგა. 17 მარტს ერეკლე II-ც 7 ათასი კაცითა და 3 ქვემეხით სურამში დაბანაკდა. სურამიდან ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი 24 მარტს **ქვეშხეთში** გადავიდა, ხოლო 14 აპრილს **სადგერთან** (ბორჯომის ახლოს) დაბანაკდა. 17 აპრილს ქართველთა და რუსთა ჯარი **აწყურის** ციხეს მიადგა. აწყურთან გ. ტოტლებენს ჰყავდა დაახლოებით 600-700 კაცი (დანარჩენი ჯარი გენერალმა სადგერთან დატოვა), თან ჰქონდა 8 ქვემეხი. 17 აპრილსავე დაიწყო აწყურის ციხის ალყა. 18 აპრილს გენერალი გ. ტოტლებენი თავისი ჯარით უკან გამობრუნდა და ერეკლე II ქართველთა ლაშქართან ერთად მტერს შეატოვა ხელში. მეფი თხოვნის მიუხედავად გ. ტოტლებენმა გადაწყვეტილება არ შეცვალა. ერეკლე II-მ აწყურის ციხეს ალყა მოხსნა. 1770 წლის 20 აპრილს **ასპინძასთან** გამართულ ბრძოლაში ერეკლე II-მ სასტიკად დაამარცხა ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი და ჯავახეთის გზით გამარჯვებული დაბრუნდა თბილისში.

დღემდე საპოლემიკო საკითხად რჩება გენერალი გ. ტოტლებენის მოქმედება აწყურის ციხესთან 1770 წლის 18 აპრილს. გ. ტოტლებენის მოქმედების ახსნისას ისტორიკოსებმა ოთხი ვერსია წამოაყენეს. გ. ტოტლებენი მოქმედებდა: **პირველი.** თვითნებურად, პირადი შეხედულებით; **მეორე.** უცხო ქვეყნების (ინგლისის, პრუსიის, ოსმალეთის) დაზვერვის მიერ შეთავაზებული გეგმით; **მესამე.** ქართლის თავადების წაქეზებითა და მათი თანადგომით; **მეოთხე.** რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმის თანახმად. ჩვენ მხარს ვუჭერთ ვერსიას, რომლის მიხედვითაც გენერალი **გ. ტოტლებენი მოქმედებდა რუსეთი საიმპერატორო კარის გეგმის თანახმად. გ. ტოტლებენს დავალებული ჰქონდა ქართლის თავადების მხარდაჭერით ტახტიდან ჩამოეგდო ერეკლე II და მოეხდინა ქვეყნის ოკუპაცია.**

აწყურიდან დაბრუნებულმა გ. ტოტლებენმა ქართლის მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო. **ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. გ. ტოტლებენის მიზანს ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების**

გაუქმება და ქვეყნის რუსეთის იმპერიის იურისდიქციაში შეყვანა შეადგენდა. გ. ტოტლებენსა და მის მხარეზე მყოფ ქართლის თავადებს იმედი ჰქონდათ, რომ ერეკლე II აწყურიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა, ქართველთა ლაშქარიც განადგურდებოდა და სამეფო ხელისუფლების გაუქმებას წინ ვეღარავინ აღუდგებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ჩაფიქრებული გეგმა გ. ტოტლებენმა ვერ განახორციელა, რადგან ერეკლე II-მ ასპინძის ბრძოლაში გაიმარჯვა და ლაშქართან ერთად სწრაფად დაბრუნდა თბილისში. ამავე მიზეზით სახელმწიფო გადატრიალების გეგმის ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი დღეს ჩვენთვის უცნობია.

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალიდან რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ჩაფიქრებული სახელმწიფო გადატრიალების თაობაზე შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება:

1. ქართლის მეფის თეიმურაზ II-ისა და კახეთის მეფის ერეკლე II-ის პროირანული ორიენტაცია, მეფეების კარგი ურთიერთობა **ნადირ-შაჰთან, ადილ-შაჰთან, ქერიმ-ხანთან,** ცხადია, ხელს არ აძლევდა რუსეთის საიმპერატორო კარს. პროირანულ ორიენტაციას ერეკლე II არც თეიმურაზ II-ის გარდაცვალების (1762 წ.) შემდეგ ცვლიდა. მართალია, ერეკლე II რუსეთის წინაშე ზოგიერთ დათმობებზე მიდიოდა, მაგრამ 1765 წელს მეფე სასტიკად გაუსწორდა რუსეთის წაქეზებითა და თანადგომით ორგანიზებულ ქართლის თავადების შეთქმულებას (პაატა ბატონიშვილის შეთქმულებას), რომლის მიზანს ქართლში რუსული ორიენტაციის ბაგრატიონების (ქართლის ბაგრატიონების) დაბრუნება წარმოადგენდა.

2. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების დროისათვის (1768 წ.) ერეკლე II-ის პოლიტიკა იმდენად აშკარად პროირანული იყო, რომ რუსი პოლიტიკოსები და დიპლომატები ოსმალეთის წინაღმდეგ ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ჩაბმას საეჭვოდ, საძნელო საქმედ მიიჩნევდნენ. საქმე ის იყო, რომ ოსმალეთის წინაღმდეგ ომში ქართლ-კახეთის სამეფოს ჩაბმა, რაც რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებას ნიშნავდა, დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევდა ირანში.

3. რუსეთის საიმპერატორო კარი შიშობდა, რომ პროირანული ორიენტაციის ქართლ-კახეთის მეფეს იმერეთის მეფე სოლომონ I არ დაერწმუნებინა ოსმალეთის წინაღმდეგ

ომში ჩაბმიდან მომდინარე დიდ საფრთხესა და ნეიტრალიტეტის დაცვის გონივრულობაში. თუ ერეკლე II და სოლომონ I ოსმალეთის წინაღმდეგ ომში არ ჩაებმებოდნენ, ოსმალებს საშუალება მიეცემოდათ სამხრეთ კავკასიაში განლაგებული ჯარისა და არტილერიის ნაწილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გადაესროლათ, სადაც ომის ბედი წყდებოდა.

4. 1768-1769 წლებისათვის შექმნილ ვითარებაში ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ტახტიდან ჩამოგდების თაობაზე რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში არაფერი იყო მოულოდნელი და არალოგიკური. ამ ხელსაყრელ მომენტს, ცხადია, რუსეთი ხელიდან არ გაუშვებდა – ჯარის შემოყვანა საქართველოში ყოველთვის ხომ არ იქნებოდა შესაძლებელი.

5. ერეკლე II-მ რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმები ვერ ამოიცნო, თუმცა დაეჭვებისათვის ფაქტები საკმოზე მეტი ჰქონდა.

6. გ. ტოტლებენის, ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის შეთანხმებით ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი მტკვრის ხეობით უნდა დაძრულიყო **ახალციხის** დაკავების მიზნით. ახალციხის დაკავება სტრატეგიული თვალსაზრისით ყოველმხრივ გამართლებული იყო. ერეკლე II-ისთვის ახალციხის დაკავება იმიტომაც იყო ხელსაყრელი, რომ ჭარ-ბელაქანში (საინგილოში) ჩაბუდებულ და კახეთსა და ქართლში მოთარეშე ლეკებს თავშესაფარი აღარ ექნებოდათ. ამასთან ერთად, ერეკლე II-მ შეცდომა დაუშვა ახალციხეზე ლაშქრობის მარშრუტის შერჩევისას. უმჯობესი იქნებოდა ახალციხეზე ლაშქრობა იმერეთიდან სამცხეში მიმავალი გზების გამოყენებით მომხდარიყო. იმერეთში რუსის ჯარის დაბანაკება და იქედან ოსმალეთის წინაღმდეგ საომარი ოპერაციების დაწყება დააშინებდა გურიისა და სამეგრელოს მთავრებს, რომლებიც იმერეთის მეფეს ეურჩებოდნენ. 1768-1770 წლებისთვის სოლომონ I-ის მდგომარეობა იმდენად მერყევი იყო, რომ 1770 წლის მარტ-აპრილში მეფემ ერეკლე II-ისა და გ. ტოტლებენის დასახმარებლად ქართლში ჯარი ვერ გამოაგზავნა. ასეთ მძიმე ვითარებაში იმერეთში რუსეთის ჯარის შესვლას და იმერეთიდან ახალციხეზე გალაშქრებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებოდა. თუ მაინცადამაინც აუცილებელი იყო ახალციხეზე აღმოსავლეთ საქართველოდან ლაშქრობა, მაშინ გაცილებით უკეთესი იქნებოდა ქართველთა

და რუსთა გაერთიანებული ჯარი თბილისიდან ჯავახეთის გავლით შეჭრილიყო სამცხეში და დაეკავებინა **ახალქალაქი, ხერთვისი, ახალციხე** და **აწყური.** იმერეთიდან ან ჯავახეთიდან სამცხეში შეჭრა ხელს არ აძლევდა გ. ტოტლებენს, მას ერეკლე II-ის წინააღმდეგ ქართლის თავადების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

7. ვინ უჭერდა მხარს გ. ტოტლებენს ქართლის თავადებიდან ზუსტად ცნობილი არ არის. დადასტურებულია, რომ ერეკლე II-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში აქტიურად იყო ჩართული ორი თავადი – **დავით ქსნის ერისთავი** და **ზაალ ორბელიანი.** 1770 წელს ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ერეკლე II-მ რუსეთში ელჩობა მიავლინა. ელჩობის ერთ-ერთ წევრს ზაალ ორბელიანს, როდესაც შეუტყვია, რომ ეკატერინე II უკმაყოფილო იყო ერეკლე II-ის პოლიტიკით, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში განუცხადებია: „თუ მეფე (ეკატერინე II – ვ.გ.) ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე უბოძოს ქვეყანა ან სოლომონსაო.” როგორც ვხედავთ ზაალ ორბელიანი ერეკლე II-ის ტახტიდან ჩამოგდების უშედეგო მცდელობის შემდეგაც კი არ წყვეტდა ბრძოლას.

8. რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ოფიცრებმა გენერალი გ. ტოტლებენის მოღალატური მოქმედება იმთავითვე შენიშნეს და პროტესტი გამოთქვეს. ამაში მოულოდნელი არაფერი იყო – გ. ტოტლებენის საქციელი სერიოზული ეჭვების აღმძვრელი იყო. ოფიცრების პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია, რადგან გ. ტოტლებენი რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა, ოფიცრებმა კი, ცხადია, ეს არ იცოდნენ.

9. ერეკლე II-ს პირველი ეჭვი გ. ტოტლებენის მიმართ **სადგერში** გაუჩნდა. ერეკლეს რჩევის მიუხედავად გ. ტოტლებენმა რუსული საექსპედიქიო კორპუსის ნახევარი და ექვსი ქვემეხი სადგერში დატოვა. აწყურთან რუსებს სულ 8 საველე ქვემეხი ჰქონდათ. ეს ქვემეხები სადგერიდან აწყურისაკენ ქართველებმა გადაიტანეს. რატომ დატოვა გ. ტოტლებენმა ჯარის ნახევარი და ექვსი ქვემეხი სადგერთან? ცხადია, გ. ტოტლებენი აწყურის ციხის აღებას არც აპირებდა. მის მიზანს შეადგენდა ერეკლე II-ისა და ქართველთა ლაშქრის მტკვრის ხეობაში შეტყუება, აწყურის აღებისთვის ბრძოლის დაწყება და შემდგომ ქართველთა ბრძოლის ველზე მიტოვება. გ. ტოტლებენს საკმაოდ კარგი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა, მან შესანიშნავად იცოდა თუ რა მძიმე

მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა რუსთაგან მოულოდნელად მიტოვებული ქართველთა ლაშქარი. გ. ტოტლებენის გეგმის მიხედვით, ერეკლე II ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო, უნდა განადგურებულიყო ქართლ-კახეთის ლაშქრის ძირითადი ნაწილი. ამის შემდეგ რუსის ჯარი ადვილად დაიკავებდა ქართლის სტრატეგიულ პუნქტებს და მოღალატე თავადების დახმარებით მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დააფიცებდა. ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმოსასვლელი გზა ამ დროისათვის უკვე გახსნილი იქნებოდა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ჯარის გადმოყვანა არ გაჭირდებოდა.

10. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან არ დგინდება რა გეგმები ჰქონდა რუსეთს ქართლ-კახეთში შეთქმულების წარმატების შემთხვევაში – ქართლ-კახეთის სამეფო უქმდებოდა და უშუალოდ უერთდებოდა რუსეთს, თუ ერეკლე II-ის ნაცვლად ტახტზე რუსული ორიენტაციის ბაგრატიონს (მუხრანელ ბაგრატიონს) აიყვანდნენ. არ იყო გამორიცხული ქართლის თავადების ოცნების ასრულებაც – ქართლის კვლავ ცალკე სამეფოდ გამოყოფა.

11. რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმა ვერ განხორციელდა – შეთქმულება ჩაიშალა. ასპინძის ბრძოლიდან დაბრუნებულმა ერეკლე II-მ გ. ტოტლებენის მოქმედება აღკვეთა. რუსეთის საექსპედიციო კორპუსი იმერეთში გადავიდა.

12. ერეკლე II-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. ერთის მხრივ, ერეკლე II მიხვდა, რომ პროირანულ ორიენტაციას რუსეთი აღარ აპატიებდა და ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე მისი ტახტიდან ჩამოგდებას ისევ შეეცდებოდა. თუ ერეკლე II მეფობას საერთოდ არ დაკარგავდა, ქართლის კვლავ ცალკე სამეფოდ გამოყოფა და იქ რუსეთის ერთგული ბაგრატიონების (ქართლის ბაგრატიონების) გამეფება ირანის დასუსტების შემთხვევაში რუსეთს არ გაუჭირდებოდა. მეორეს მხრივ, ერეკლე II შიშობდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან სამხედრო- პოლიტიკური კავშირით განაწყენებული ირანი და ოსმალეთი ერეკლე II-ის აღარ ენდობოდნენ. **ქართლ-კახეთის მეფეს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის უნდა გაეკეთებინა.** 1770 წელი გარდატეხის წელია ქართლ-კახეთის სამეფოსა და საერთოდ მთელი საქართველოს (მთელი კავკასიისაც!) ისტორიაში. ერეკლე II-მ

პრორუსული ორიენტაცია არჩია და მისი რეალიზების გზების ძიებას შეუდგა.

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი „**საქართველოს რესპუბლიკა,**" 2007, № 192, 5 ოქტომბერი, გვ. 7-8. გადაიბეჭდა წიგნებში: **ვახტანგ გურული.** ერთმორწმუნე რუსეთი. მითი და რეალობა. თბილისი, 2008, გვ. 74-81.*

6. რუსეთის კავკასიური პოლიტიკა და ვახტანგ VI
(ვახტანგ VI-ის პოლიტიკური ორიენტაციის შეფასებისათვის)

საქართველოს ბედი ბოლო საუკუნეების განმავლობაში სამი დიდი იმპერიის – ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირებაში წყდებოდა. XVI-XVII საუკუნეებში საქართველოში გაბატონებისთვის წარმოებულმა ირან-ოსმალეთის ომებმა ქვეყანა გააჩანაგა. XVIII საუკუნის დამდეგიდან ორ დამპყრობელს მესამე – რუსეთი მიემატა. რუსეთი სამხრეთ კავკასიაში მოვიდა ფართო ექსპანსიური გეგმებით

XVIII საუკუნის დამდეგისათვის ირანში სახელმწიფოებრიობის სერიოზული კრიზისი სახეზე იყო, რომელიც სულ უფრო ღრმავდებოდა. ოსმალეთიც თანდათან კარგავდა ძველ დიდებას, თუმცა ირანთან შედარებით გაცილებით ძლიერ სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს ფლობდა. **პეტრე დიდის** (1696-1725) ეპოქაში რუსეთი უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა, რომელსაც სათანადოდ ორგანიზებული, კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული არმია და სამხედრო ფლოტი გააჩნდა. რუსეთის იმპერიის გაძლიერება, პეტრე დიდის მემკვიდრეობის მმართველობის პერიოდში საშინაო და საგარეო პოლიტიკაში დაშვებული ზოგიერთი შეცდომის მიუხედავად, არ შეფერხებულა. **ეკატერინე II-ის** (1762-1796) დროს კი რუსეთი იქცა სახელმწიფოდ, რომლის იგნორირება საერთაშორისო ასპარეზზე უკვე შეუძლებელი იყო. ევროპის სახელმწიფოებმა რუსეთისგან მომდინარე საფრთხე იმთავითვე გააცნობიერეს. შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე უზარმაზარი

სივრცის რუსეთის აგრესიისგან დაცვა ევროპის სახელმწიფოების უპირველეს საზრუნავად იქცა. დაიწყო რუსეთის იმპერიისა და ევროპის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება. ამ დაპირისპირებამ რამდენიმე ეტაპი განვლო და იგი პრაქტიკულად დღემდე გრძელდება. სამხრეთ კავკასიაში ევროპის სახელმწიფობი რეალურ ძალას არ წარმოადგენდნენ. რეგიონში გაბატონებისათვის ერთმანეთს ირანი, ოსმალეთი და რუსეთი ებრძოდა. მეოთხე ძალა (გერმანია, ინგლისი) სამხრეთ კავკასიაში ძალზე გვიან, ორი საუკუნის შემდეგ – 1918 წლიდან გამოჩნდა.

რუსეთის სამხრეთ კავკასიაში გამოჩენის დროისათვის (1722 წ.) საქართველო სამეფო-სამთავროებად იყო დაშლილი. დასავლეთ საქართველო (იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროები) ოსმალეთის გავლენის სფეროს (სავასალოს) წარმოადგენდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო (ქართლისა და კახეთის სამეფოები) – ირანისას. სამცხე-საათაბაგო და აჭარა უშუალოდ ოსმალეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სისტემაში იყო გაერთიანებული. უშუალოდ ირანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სისტემაში შედიოდა ჭარ-ბელაქანი (ისტორიული ჰერეთის ნაწილი).

1632 წლიდან ჯერ ქართლის, ხოლო შემდეგ კახეთის ტახტებზე მხოლოდ მაჰმადიანი ბაგრატიონები ადიოდნენ. ცხადია, მათი ორიენტაციაც პროირანული იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა კახეთის მეფე **თეიმურაზ I** (1606-1648), რომელიც ტახტის დაკარგვის შემდეგაც კი ჯიუტად ადგა პრორუსულ ორიენტაციას. ქართლის ჯანიშინმა (1703 წლიდან) და მეფემ (1716 წლიდან) ვახტანგ VI-მ მიიჩნია, რომ პროირანული ორიენტაცია დაღუპვით ემუქრებოდა ქართლს. მეფემ მტკიცედ გადაწყვიტა პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა. სწორედ ამ პერიოდში სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში შემოჭრისათვის მზადებას იწყებს რუსეთი. ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ (1716-1724) სწორედ ვერ ახსნა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის გააქტიურების მიზეზი. 1722 წელს რუსეთი სამხრეთ კავკასიაში მოვიდა, როგორც მესამე ძალა, როგორც მესამე დამპყრობელი. **რუსეთის იმპერატორების მიზნები არაფერით განსხვავდებოდა ირანის შაჰებისა და ოსმალეთის სულთნების მიზნებისაგან – პეტრე დიდს სამხრეთ კავკასიის დაპყრობა და მისი რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა სურდა.** ვახტანგ VI-მ კი რუსეთი, ჩვეულებრივი დამპყრობელი,

ისლამური სახელმწიფოების აგრესიისაგან მხსნელად დასახა და მთელი პოლიტიკა ამაზე ააგო. ვახტანგ VI უგანათლებულესი ადამიანი იყო. მაშ რით იყო გაპირობებული საგარეო ორიენტაციის საკითხში დაშვებული საბედისწერო შეცდომა – პრორუსული ორიენტაციის აღიარება? ქართლის მეფე პრორუსულ ორიენტაციას მას შემდეგ დაადგა, რაც დასავლეთ ევროპაში მოკავშირის საძებნელად წასული სულხან-საბა ორბელიანი სამშობლოში ხელცარიელი დაბრუნდა (1715 წ.). ასე რომ **რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარება პრაქტიკულად იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა – ვახტანგ VI-ს არჩევანი არ ჰქონდა.** ამავე დროს ვახტანგ VI-მ ყურად არ იღო ქართლის სამეფო დარბაზის და ტახტის მემკვიდრის ბაქარის რჩევა. 1722 წელს რუსეთის ჯართან შესაერთებლად გამზადებულ ვახტანგ VI-ს სამეფო დარბაზმა ურჩია თავი შეეკავებინა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირისაგან, რადგან, წარუმატებლობის შემთხვევაში, მეფეს ირანთან ურთიერთობის მოგვარების შანსი აღარ ექნებოდა. უფრო კომპრომისულ ვარიანტს სთავაზობდა მეფეს ტახტის მემკვიდრე **ბაქარ ბატონიშვილი.** 1722 წელს ავღანელთაგან ისპაჰანის დაცვისას დაიღუპა შაჰის გვარდიის სარდალი, ვახტანგ VI-ის უმცროსი ძმა **როსტომი.** შაჰმა გვარდიის სარდლად ბაქარ ბატონიშვილი დანიშნა და ქართლის ჯართან ერთად ირანში გაიწვია. ბაქარი მამას სთავაზობდა: ქართლის ლაშქრის ნაწილი, მეფის სარდლობით, რუსეთის ჯართან შესაერთებლად დაძრულიყო, ხოლო მეორე ნაწილი, ბაქარის სარდლობით, შაჰის ბრძანების თანახმად, ირანში გამგზავრებულიყო. ვახტანგ VI თითქოს დაეთანხმა კიდეც ბაქარის წინადადებას, მაგრამ ბოლო მომენტში გადაიფიქრა და ირანში გასამგზავრებლად გამზადებული ლაშქარი უკან დააბრუნა. ამით ვახტანგ VI-მ საბოლოოდ მოიჭრა ყველა გზა, კასპიისპირეთში რუსთა ლაშქრობის წარუმატებლობის შემთხვევაში, ირანთან ურთიერთობის მოგვარებისათვის.

ვახტანგ VI-მ სწორად ამოიცნო, რომ რუსეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რეალური ძალა ხდებოდა და თუ რუსეთი რეგიონში ფეხს მოიკიდებდა, პროირანული ორიენტაცია წამგებიანი იქნებოდა. ამასთან ერთად, ვახტანგ VI-მ სწორად ვერ გათვალა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების დრო. ეს პროცესი XVIII საუკუნის 20-იანი წლების დამდეგიდან თითქმის ერთი საუკუნე გაგრძელდა, ანუ,

პრორუსულმა ორიენტაციამ ვახტანგ VI-ს და მის მემკვიდრეებს დამღუპველი შედეგები მოუტანა. ვახტანგ Vი-მ ვერ გააცნობიერა, რომ რუსეთს ქართლის სამეფო იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც ეს უკანასკნელი მას ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. მეფე იმთავითვე უნდა დაფიქრებული უმნიშვნელოვანეს საკითხზე: **ქართლის სამეფოს მხრიდან ირანის წინააღმდეგ არსებითი დახმარების შემთხვევაში, ირანის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიიდან განდევნის შემდეგ რუსეთი რას მოიმოქმედებდა? იყო კი იმისი გარანტია, რომ გამარჯვებული რუსეთი ქართლის სამეფოს (და, ცხადია, კახეთის სამეფოსაც) ისევე არ დაიპყრობდა, როგორც სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებს (ბაქოს, განჯას, ყარაბაღს, ერევანს და სხვ.)?**

ვახტანგ VI-ის შეცდომა ის იყო, რომ მას რუსეთის მეფე პეტრე I-თან უშუალოდ მოლაპარაკების დროს, ან დელეგაციების დონეზე არ დაუსვამს ორმხრივი ვალდებულების განსაზღვრის საკითხი. ქართლის სამეფოსა და რუსეთს შორის ხელშეკრულებაც კი არ დადებულა, უმნიშვნელოვანესი საკითხების შესათანხმებლად მონარქები, ან მათი ნდობით აღჭურვილი პირები ერთმანეთს არ შეხვედრიან. ვახტანგ VI პეტრე I-ის შემონათვალს ენდო. მონარქების ან ელჩების დონეზე შეთანხმებული ორმხრივი ვალდებულებების არარსებობა ხელს აძლევდა რუსეთს, ქართლის სამეფოს კი მძიმე მდგომარეობაში აგდებდა. ქართლის მეფე ვერც იმას მიხვდა, თუ რატომ აარიდა თავი რუსეთმა ორმხრივი ვალდებულებების განსაზღვრას და ქართლისა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დიპლომატიური კურიერების მიმოსვლის შედეგად შეიკრა. ვახტანგ VI არც იმაზე დაფიქრდა, თუ რატომ არ იზრუნა რუსეთმა სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანი ხალხებისგან ანტიირანული კოალიციის შექმნაზე, რომლის სათავეში, ცხადია, ქართლის სამეფო უნდა ყოფილიყო. ქართლის მეფემ ვერ ამოიცნო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი დოგმა: **რუსეთი სამხრეთ კავკასიის ხალხებს, მათ შორის ქრისტიანებსაც, მოკავშირეებად არ განიხილავდა და, აქედან გამომდინარე, არც მათ ბედზე ზრუნვას აპირებდა. სამხრეთ კავკასია რუსეთისთვის იყო გეორგაფიული სივრცე და არა ხალხები და სახელმწიფოები თავისი სასიცოცხლო ინტერესებით.**

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ VI-ს გააზრებული არ ჰქონდა თუ რა ბედი ეწეოდა ქართლის სამეფოს რუსეთის

წარმატების შემთხვევაში. უფრო მეტიც, ქართლის მეფეს არც ის გეგმა ჰქონდა მოფიქრებული, რომელიც რუსეთის მარცხის შემთხვევაში უნდა აემოქმედებინა ქვეყნის გადარჩენის მიზნით. სამაგიეროდ, რუსეთს ყველაფერი კარგად ჰქონდა მოფიქრებული. პეტრე დიდმა ზედმიწევნით კარგად იცოდა, თუ როგორ უნდა ემოქმედა, როგორც მარცხის, ისე წარმატების შემთხვევაში. ვახტანგ VI რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებამდე სერიოზულად უნდა დაფიქრებულიყო სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში შექმნილ ძალთა თანაფარდობაზე. ქართლის მეფე მართალი იყო იმაში, რომ რუსეთისა და ქართლის ლაშქარს ადვილად შეეძლო დაემარცხებინა ირანი და დაეკავებინა კასპიის ზღვის სანაპიროს საკმაოდ ფართო ზოლი დერბენტიდან ბაქომდე. რას მოუტანდა ეს ქართლის სამეფოს? პრაქტიკულად, არაფერს. ქართლის სამეფოსთვის მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის ჯარების მიერ არა დერბენტიდან ბაქომდე კასპიის ზღვის სანაპირო ზოლის დაკავებას, არამედ ირანის მიერ მიტაცებული ისტორიული ჰერეთის ნაწილისა (ჭარ-ბელაქანისა) და ქვემო ქართლის მოსაზღვრე ტერიტორიის, ასევე შაქ-შირვანის, ყარაბაღის, განჯისა და ერევნის სახანოების ტერიტორიის დაკავებას. საფრთხე ქართლისა და კახეთის სამეფოებს სწორედ, აქედან ელოდათ. პეტრე დიდს კი ეს რეგიონები საერთოდ არ აინტერესებდა, არანაირი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისთვის ამ ტერიტორიებს არ გააჩნდა. აზიისაკენ მიმავალ დიდ სავაჭრო გზაზე გასვლისათვის სწორედ კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპირო ზოლის (დერბენტი-ბაქოს ხაზის) ხელში ჩაგდება იყო აუცილებელი. **ვახტანგ VI პეტრე I-ის მიერ განსაზღვრული შეტევის მიმართულებითაც (დერბენტი-ბაქო) უნდა მიმხვდარიყო, რომ რუსეთი ისეთი გეოსტრატეგიული ამოცანის (დიდ სავაჭრო გზაზე გასვლის) გადაჭრას ცდილობდა, რომელსაც საერთო ძალიან ცოტა ჰქონდა ქართლის სამეფოს ისლამური სამყაროს აგრესიისაგან დაცვასთან.** რუსეთს რომ ქართლის სამეფოს დაცვა ჰქონოდა მიზნად დასახული, ჩრდილო კავკასიიდან ჯარს დერბენტის გზით კი არ შემოიყვანდა, არამედ დარიალის ხეობით და სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებს ქართლის ტერიტორიიდან შეუტევდა. ამ შემთხვევაში ქართლის სამეფო (და, ცხადია, კახეთის სამეფოც) დაცული იქნებოდა და რუსეთი

დერბენტი-ბაქოს ხაზზეც ადვილად გავიდოდა, ანუ, კასპიის ზღვის სანაპიროს დაიკავებდა.

ქართლის მეფეს არც ოსმალეთის ფაქტორი ჰქონდა გააზრებული. ირანის დამარცხების შემთხვევაში, რუსეთს ოსმალეთთან გაურთულდებოდა ურთიერთობა. ოსმალეთი არ დაუშვებდა ირანის დასუსტებისა და დაშლის შემდეგ მის ტერიტორიაზე რუსეთის გაბატონებას. ყველაზე დიდი, რაც შეიძლებოდა რომ ოსმალეთს რუსეთისათვის დაეთმო, ეს იყო კასპიის სანაპირო ზოლი (დერბენტი-ბაქო). ოსმალეთი, ირანის დაშლის შემთხვევაში, რუსეთს არავითარ შემთხვევაში არ დაუთმობდა ჭარ-ბელაქანს (ისტორიული ჰერეთის ნაწილს), და ქვემო ქართლის მოსაზღვრე ტერიტორიას. ოსმალეთის მიერ ამ ტერიტორიის დათმობა იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი ხელსაყრელ პლაცდარმს იგდებდა ხელში ახალციხე-ახალქალაქის მიმართულებით შეტევისათვის. თუ რუსეთი მაინც მოინდომებდა ხსენებული ტერიტორიების ხელში ჩაგდებას, ოსმალეთი ომით შეეცდებოდა მის შეჩერებას. ოსმალეთს შეეძლო რუსეთის ჯარებისთვის შეეტია მცირე აზიიდან. კიდევ უფრო საშიში იყო ოსმალეთის მიერ ყირიმის სახანოს ჯარების გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ. ყირიმის ხანს აზოვისპირეთისა და ჩრდილო კავკასიის ბარის გავლით შეეძლო კასპიის ზღვის სანაპიროზე გასვლა და დერბენტის გავლით რუსეთის ჯარების ზურგში მოხვედრა, რაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდა რუსებს. ყოველივე ზემოთქმული კარგად ჰქონდა გააზრებული პეტრე დიდს. ამიტომ იყო, რომ არც პეტრე დიდმა და არც მისმა მემკვიდრეებმა ირანის წინააღმდეგ დიდი ომი არ აწარმოეს, ხოლო ოსმალეთს ომის გარეშეც ადვილად მოურიგდნენ (1724 წ.). რუსეთს 1723-1735 წლებში ირანთან და ოსმალეთთან მოლაპარაკების პროცესში ქართლის სამეფოს ინტერესები არ დაუცავს, ირანისა და ოსმალეთისათვის არც კი მიუნიშნებია, რომ ქართლის სამეფო რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე იყო.

ამრიგად, ვახტანგ VI-ის მთავარი შეცდომა იყო ის, რომ მან რუსეთი, სამხრეთ კავკასიაში ირანისა და ოსმალეთის შემდეგ მოსულ მესამე ძალა, დამპყრობლად არ მიიჩნია და აგრესორი მხსნელად დასახა. რუსეთის წარმატების მიზეზი კი ის იყო, რომ ქართლის სამეფოს ხსნა არასოდეს დაუსახავს მიზნად. ქართლის სამეფო რუსეთს იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც იგი ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის

გააქტიურება გეოსტრატეგიული გეგმის რეალიზებას ისახავდა მიზნად და არა ქართლის სამეფოს დაცვას. სამხრეთ კავკასია პეტრე დიდისთვის და მისი მემკვიდრეებისთვის წარმოადგენდა გეოგრაფიულ სივრცეს, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად უნდა ქცეულიყო და, ცხადია, იქ რომელიმე სახელმწიფოს, თუნდაც ქრისტიანულის, არსებობა მიუღებელი იყო. ასეთ ვითარებაში ქართლის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან მხოლოდ უარყოფით შედგებს თუ მოიტანდა. **სამხრეთ კავკასიაში სამი დიდი იმპერიის – ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირებაში ქართლის სამეფო, ისევე როგორც კახეთის სამეფო, პოლიტიკური გარიგების ობიექტად იქცა.**

* * *

ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის მარცხმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო არა მარტო ქართლის სამეფო, არამედ მთელი საქართველო. მართალია 1722 წლის წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ, 1723 წელს რუსეთის ჯარმა ბაქო აიღო და ირანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილიც დაიკავა, მაგრამ ამას ქართლის სამეფოსათვის შვება არ მოუტანია. პირიქით, ირანის მარცხითა და ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციით შეშფოთებული ოსმალეთი შეტევაზე გადავიდა და 1723 წელს თბილისი დაიკავა. ქართლსა და კახეთში „ყიზილმაშობა" „ოსმალობამ" შეცვალა. ეს იყო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შემოჭრისა და ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის შედეგი.

რუსეთის შემოჭრით შეშინებული ოსმალეთი დასავლეთ საქართველოში პოზიციების გამაგრებას შეუდგა. 1723 წლისათვის ოსმალეთმა კონტროლი დააწესა შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე. ოსმალთა გარნიზონები იდგნენ: ბათუმში, ციხისძირში, ჩაქვში, ფოთში, ყულევში, ანაკოფიაში, სოხუმში, ბიჭვინთაში. იმერეთის სამეფოს უმნიშვნელოვანესი ციხეები (ქუთაისის, ბაღდათის და შორაპნის) ასევე ოსმალთა ხელში იყო. ოსმალთა შიში იმხანად უსაფუძვლო გამოდგა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დამკვიდრება რუსეთს გაუჭიანურდა, რის გამოც დასავლეთ ამიერკავკასიაში შეჭრა დღის წესრიგშიც კი არ დასმულა.

ამიტომ იყო, რომ იმერეთის მეფის ალექსანდრე I-ის (1721-1752) ელჩობა რუსეთში (1738 წ.) უშედეგოდ დასრულდა – რუსეთმა იმერეთს დახმარებაზე უარი უთხრა.

ქართლისა და კახეთის სამეფოები „ოსმალობამ" (1723-1735 წწ.) უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. ოსმალებმა და მათმა მოკავშირე ლეკებმა ქვეყანა გაავერანეს. ოსმალეთთან 1724 წლის ზავით მორიგებული რუსეთი კი მისი გავლენის სფეროდ აღიარებულ ირანის ტერიტორიაზე (კასპიის ზღვის სანაპირო ზოლი დერბენტიდან ბაქომდე, ასტრაბადისა და მაზანდარანის პროვინციები) დამკვიდრებას ცდილობდა და სულაც არ ანაღვლებდა ქართლისა და მისი დევნილი მეფის – ვახტანგ VI-ის ბედი. რუსეთის იმპერატორებს არც იმ 1850 ქართველის ბედი აინტერესებდათ, რომლებიც იძულებულნი გახდნენ მეფეს თან გაჰყოლოდნენ რუსეთში.

ირანის ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირება გრძელდებოდა. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება სულ უფრო ძნელი ხდებოდა.

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„ქართული უნივერსიტეტი,"** 2009, № 30, 10-16 სექტემბერი, გვ. 12; 2009, № 31, 17-23 სექტემბერი, გვ. 14.*

7. რუსეთის კავკასიური პოლიტიკა და ერეკლე II
(ერეკლე II-ის პოლიტიკური ორიენტაციის შეფასებისათვის)

ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის კრახმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო არა მარტო ქართლი, არამედ კახეთიც. ისლამური სამყარო (ირანი, ოსმალეთი, ჩრდილო კავკასიის ხალხები) რეალური საფრთხის წინაშე დადგნენ. რუსეთის შემოჭრა სამხრეთ კავკასიაში ვახტანგ VI-თვის ქართლის გადარჩენას ნიშნავდა, ხოლო ისლამური სამყაროსათვის უაღრესად დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ავღანელებთან ბრძოლაში დასუსტებული ირანი რუსეთს საჭირო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, რაც რეგიონში სტატუს კვოს დარღვევას გამოიწვევდა. ირანს რუსეთთან ომი არ შეეძლო. ამიტომ იყო რომ ტერიტორიული დათმობების ხარჯზე, ირანმა რუსეთთან 1723 წელს ზავს მიაღწია და მდგომარეობა დროებით იხსნა. რუსეთ-ირანის დაზავება ქართლის გაწირვას ნიშნავდა. რუსეთის წარმატებამ ძალზე შეაშფოთა ოსმალეთი. სულთანმა 1724 წლის ზავით რუსეთი აიძულა სამხრეთ კავკასიაში ფართო დაპყრობით გეგმებზე ხელი აეღო. თავისთავად დაუძლურებული ირანი პოზიციებს მაინც არ თმობდა. რუსეთისაგან მიტოვებული ვახტანგ VI-ის დასჯა ირანის შაჰმა კახეთის მეფეს, რუსეთსა და ირანში კარგად ცნობილ ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანის ძეს, გამაჰმადიანებულ **კონსტანტინეს (მაჰმად-ყული-ხანს)** დაავალა. კახეთის მეფემ 1723 წელს ლეკთა ჯარის დახმრებით თბილისი დაიკავა. იმავე 1723 წელს ქართლში ოსმალები შემოიჭრნენ, ქვეყანა დაიპყრეს და თბილისიც დაიკავეს. ასე დაწყო „ოსმალობა", რომელიც 1735 წლამდე გაგრძელდა. ვახტანგ VI-ის ძმა, გამაჰმადიანებული **იესე (ალი-ყული-ხანი)** ოსმალებს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა, რისთვისაც ქართლის

მმართველობა უბოძეს. ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას არ წყვეტდა კახეთის მეფე კონსტანტინე. 1723 წელს ოსმალებმა იგი მოსალაპარაკებლად მიიწვიეს და მოღალატურად მოკლეს. ქართლი და კახეთი ოსმალებმა და მათმა მოკავშირე ლეკებმა აიკლეს. ოსმალთა და ლეკთა თარეშისაგან გაჩანაგებულ ქვეყანას კიდევ უფრო ასუსტებდა შინა აშლილობა – თავადური პარტიკულარიზმი. შეიქმნა უმძიმესი მდგომარეობა. სახელმწიფოებრიობის კვდომის პროცესი სულ უფრო ღრმავდებოდა. ამ ძნელბედობის ჟამს ქართლისა და კახეთის სამეფოებს მხსნელად მოევლინენ კახეთის სამეფოს სახლის წარმომადგენლები – ერეკლი I ნაზარ-ალი-ხანის უმცროსი ძე **თეიმურაზი** (მომავალი მეფე თეიმურაზ II) და მისი ძე **ერეკლე** (მომავალი მეფე ერეკლე II). თეიმურაზ ერეკლეს ძე და ერეკლე თეიმურაზის ძე ქართლისა და კახეთის გადარჩენისათვის ბრძოლას სამეფო ტახტზე ასვლამდე იწყებენ. ამ ბრძოლაში მამა-შვილმა დიდი დიპლომატიური და მხედარმთავრული ნიჭი გამოამჟღავნეს.

XVIII საუკუნის 20-იან წლებში სეფიანთა ირანი ისე დასუსტდა, რომ ლამის იყო ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფოს ტერიტორია რუსეთმა და ოსმალეთმა გადაინაწილეს. ირანის დედაქალაქი ავღანელებმა აიღეს და ერთ-ერთმა ავღანელმა ბელადმა თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. მოვლენები ისე ვითარდებოდა, რომ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია ოსმალეთსა და რუსეთს უნდა დარჩენოდათ. ვითარება კარდინალურად შესცვალა სამოღვაწეო ასპარეზზე ირანის სამხედრო მინისტრის **ნადირ-ხანის** გამოსვლამ. ნადირ-ხანმა (1737 წელს იგი ირანის შაჰი გახდა) ავღანელები სასტიკად დაამარცხა, ძლიერი დარტყმა მიაყენა ოსმალეთს და რუსეთიც აიძულა წინა წლებში დაკავებული ირანის ტერიტორიები დაეტოვებინა. 1735 წელს ნადირ-ხანი სამხრეთ კავკასიაში ოსმალთა ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს განჯის ციხეს შემოადგა. თბილიში გამაგრებული ოსმალო ფაშა განჯის გარნიზონის დასახმარებლად ემზადებოდა.

თეიმურაზმა და ერეკლემ ზუსტად შეაფასეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში შექმნილი ძალთა ახალი თანაფარდობა და **პროირანული ორიენტაცია** ირჩიეს. მამა-შვილმა თბილისიდან განჯის გარნიზონის დასახმარებლად მიმავალი ოსმალთა ჯარი გაფანტეს და ნადირ-ხანს განჯის აღებაშიც დაეხმარნენ. განჯიდან ნადირ-ხანი თბილისისაკენ

დაიძრა. თეიმურაზმა და ერეკლემ ირანის სარდალს მეფური მიღება მოუწყვეს. ვახტანგ VI-ს ანტიირანული პოლიტიკით განრისხებული ირანელი სარდლისათვის თეიმურაზისა და ერეკლეს საქციელი ალბათ მოულოდნელიც იყო. ნადირ-შაჰმა კარგად უწყოდა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას კვლავაც ეცდებოდა. სწორედ ამიტომ ირანისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ვახტანგ VI-ის პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის მოწინააღმდეგეების თეიმურაზისა და ერეკლეს – მიმხრობა. **პროირანული ორიენტაციის თეიმურაზისა და ერეკლეს დახმარებას ნადირ-შაჰისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში არამარტო რუსეთის შემოჭრის შემთხვევაში, არამედ დაღესტნის დასამორჩილებლად წარმოებულ ომში.** ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინა ნადირ-შაჰმა. 1744 წელს მან თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ დაამტკიცა. მოულოდნელი იყო ის, რომ ირანის შაჰს ტახტზე ასვლის პირობად თეიმურაზისა და ერეკლესათვის ისლამის მიღება არ წამოუყენებია. ცხადია, ეს დათმობაც პოლიტიკური მიზნით იყო ნაკარნახევი. მიუხედავად ირანის შაჰის ჩანაფიქრისა, ერთი რამ ცხადია: **ნადირ-შაჰმა შესაძლებლად მიიჩნია სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფოებრიობის (ქართლისა და კახეთის სამეფოების) არსებობა ქრისტიანი ბაგრატიონებით სათავეში.**

1735 წლიდან ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ქართლსა და კახეთის სამეფოები (1762 წლიდან გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო) პროირანული ორიენტაციას ადგნენ. შედეგი სახეზე იყო: ქვეყანა წელში გაიმართა, განმტკიცდა სამეფო ხელისუფლება, დაითრგუნა თავადური ოპოზიცია, დაიწყო ლეკთა შემოსევების აღკვეთისათვის ორგანიზებული ბრძოლა, გადაიდგა ნაბიჯები ეკონომიკის აღორძინებისათვის. ირანში ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში, რასაც ადგილი ჰქონდა ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ (1747 წ.), სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებში თეიმურაზისა და ერეკლეს ავტორიტეტი ამაღლდა. განჯის, ერევნის, ყარაბაღის, ნახჭევანის, შუშის ხანები თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს ნების აღმსრულებლებად იქცნენ. ქართლისა და კახეთის მიფეებს ანგარიშს უწევდნენ ირანის შაჰის ტახტის პრეცენდენტები. თუ ყოველივე ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ სრულიად ბუნებრივად ისმის კითხვა:

რატომ შეცვალა ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაცია პრორუსულით? შევეცდებით ვუპასუხოთ ამ კითხვას.

1. პროირანული ორიენტაცია მომგებიანი იყო მაშინ, როცა ირანი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რეალურ ძალას წარმოადგენდა. ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ (1747 წ.) ირანში შინააშლილობა დაიწყო. გარკვეული პერიოდის შემდეგ შაჰობის პრეტენდენტთა შორის გამოიკვეთა **ქერიმ-ხანი**. ქერიმ-ხანმა მართალია ირანის დიდი ნაწილი თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, მაგრამ მისი ძალაუფლება მთელს ირანზე არასდროს გავრცელებულა, რის გამოც ქერიმ-ხანმა შაჰის ტიტული ვერ მიიღო. ქერიმ-ხანის მმართველობის წლებშივე (1760-1779) ნათელი გახდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ირანში შინააშლილობა ახალი ძალით გაგრძელდებოდა. თეიმურაზ II და ერეკლე II სავსებით სწორად ფიქრობდნენ, რომ ქერიმ-ხანის ირანი სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ჯერ კიდევ რეალური ძალას წარმოადგენდა, ამიტომაც პროირანული ორიენტაციის შენარჩუნება მომგებიანი იყო. ამასთან ერთად ძალზე ძნელი იყო პასუხის გაცემა კითხვაზე: შესძლებდა კი ირანი ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რეალურ ძალად დარჩენას? ირანის დასუსტება აუცილებლად გამოიწვევდა რეგიონში რუსეთის გააქტიურებას. **სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის შემოჭრის შემთხვევაში ქართლისა და კახეთის სამეფოებისათვის პროირანულ ორიენტაციაზე დარჩენა ძალზე სახიფათო იქნებოდა.** ყოველივე ეს კარგად გაიაზრეს თეიმურაზმა და ერეკლემ. გადაწყდა ირანის დასუსტების შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში გაბატონების ყველაზე რეალურ პრეტედენტთან – რუსეთთან დაეწყო ნიადაგის მოსინჯვა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში (1760- 1762 წწ.). ცხადია, თეიმურაზისა და ერეკლეს ჩანაფიქრი იმთავითვე ამოიცნეს რუსეთში – თეიმურაზსა და ერეკლეს რუსეთი მხოლოდ ირანის დასუსტების შემთხვევაში სჭირდებოდათ. ამიტომ იყო, რომ პეტერბურგში ჩასულ ქართლის მეფეს რუსებმა კარტი არ გაუხსნეს. **ნადირ-შაჰისა და ქერიმ-ხანის მოკავშირეებს – თეიმურაზსა და ერეკლეს – რუსეთის საიმპერატორო კარი აშკარად არ ენდობოდა.** რუსები დროს ელოდნენ. მათთვისაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები ირანში ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ. თეიმურაზ II-ის ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. ამასთან

ერთად, ცხადია, თეიმურაზის ელჩობას ირანის საწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევდა ქერიმ-ხანი, თუმცა ძველი ურთიერთობა ირანისა და ქართლ-კახეთის შორის მაინც შენარჩუნებული იქნა. **ქერიმ-ხანს უარი არ უთქვამს ნადირ-შაჰის პოლიტიკაზე– ირანის ახალი მბრძანებელი ეჭვის ქვეშ არ აყენებდა სამხრეთ კავკასიაში ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას.** უფრო მეტიც, ქერიმ-ხანი არც ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებას (1762 წ.) აღუდგა წინ.

2. ლოდინის ტაქტიკა ხელს აძლევდა რუსეთს, მაგრამ სრულიად მიუღებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ირანიდან შემაშფოთებელი ხმები მოდიოდა. ქერიმ-ხან ზენდი ავადმყოფობდა (იგი 1779 წელს გარდაიცვალა), ყაჯართა ტომი ზენდებზე შურის საძიებლად ემზადებოდა. ასეთ ვითარებაში 1768 წელს დაიწყო რუსეთ-ოსამალეთის ომი, რომელიც 1774 წლამდე გაგრძელდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა ოსმალეთის წინააღმდეგ ქრისტიანი მეფე-მთავრების მიმხრობის გეგმა შეიმუშავა. ოსმალეთის წინააღმდეგ მებძოლი იმერეთის მეფე **სოლომონ I** რომ რუსეთს მიემხრებოდა, ამის თაობაზე პეტერბურგში არ ეჭვობდნენ. ამასთან ერთად რუსები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქართლ- კახეთის მეფე ერეკლე II რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს არ მიემხრობოდა. ქართლ-კახეთის სამეფო ირანის სავასალოს წარმოადგენდა. ერეკლე II-ს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან და, რუსეთის საიმპერატორო კარის მოსაზრებით, ქართლ-კახეთის მეფე ამ ურთიერთობის შენარჩუნებას ეცდებოდა. გარდა ამისა, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა მიუღებელი იქნებოდა ირანისათვის. ოსამლეთი ირანს ურჩი ვასალის, ერეკლე II-ის, დასჯას მოთხოვდა. სხვაგვარად ფიქრობდა ერეკლე II. ქართლ-კახეთის მეფის აზრით რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის მიღმა ქართლ-კახეთის სამეფოს დარჩენა წამგებიანი და სახიფათოც კი იყო. ერეკლე II-ის დასკვნა შემდეგ მოსაზრებას ემყარებოდა: **პირველი.** რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის წარმატების შემთხვევაში ქართულ სამეფო- სამთავროებში და საერთოდ სამხრეთ კავკასიის ქრისტიან ხალხებში ერეკლე ლიდერის ფუნქციას კარგავდა. მის ადგილს იმერეთის მეფე სოლომონ I დაიკავებდა; **მეორე**. იმერეთის სამეფოსა და რუსეთის ჯარების მიერ ოსმალეთის დამარცხების შემთხვევაში, კონკრეტულად კი სამცხე-საათაბაგოს ციხეებიდან (აწყურის, ხერთვისის,

ახლციხის, ახალქალაქის და სხვ.) ოსმალთა გარნიზონის გაძევების შემდეგ აღნიშნული ტერიტორია რუსეთის მოკავშირეს იმერეთის სამეფოს გადაეცემოდა; **მესამე.** ოსმალეთთან ომში წარმატების და სამხრეთ კავკასიაში ფეხის მოკიდების შემთხვევაში რუსეთი შეეცდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიიდან ირანის გაძევებას. ამ დროისათვის ერეკლე II-ს რუსეთთან ურთიერთობა მოგვარებული უნდა ჰქონოდა, რათა ირანის წინააღმდეგ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეუფერხებლად განხორციელებულიყო. ერეკლე თვლიდა, რომ რუსეთი-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირისადმი მიმხრობით ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს უყრიდა საფუძველს.

3. 1769 წელს რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა, ხოლო 1770 წელს რუსეთისა და ქართლ-კახეთის ჯარებმა ერთობლივად გაილაშქრეს მდ. მტკვრის ხეობაში განლაგებული ციხეებიდან ოსმლათა განდევნის მიზნით. რუსთა საექსპედიციო კორპუსის მეთაურმა გენარალმა **ი. ტოტლებენმა** აწყურის ალყის დროს ქართლ-კახეთის ჯარი მიატოვა და უკან გამობრუნდა. ერეკლე II-ის ბრწყინვალე მხედართმთავრული ნიჭის წყალობით ქართველთა ლაშქარმა **ასპინძასთან** გამართულ ბრძოლაში მტერი დაამარცხა და გამარჯვებული დაბრუნდა თბილიში. ქართლიდან იმერეთში გადასული რუსეთის საექსპედიციო კორპუსს არც აქ გამოუჩენია თავი და საბოლოოდ 1772 წელს დატოვა კიდეც საქართველო. სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: **პირველი.** რუსეთის საიმპერატორო კარის მიზანი არ ყოფილა ძლიერი ანტიოსმალური კოალიციის (იმერეთის სამეფო, ქართლ-კახეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო) შექმნა და ოსმლეთის განდევნა საქართველოს ტერიტორიიდან; **მეორე.** რუსეთის მიზანი არ იყო სამხრეთ კავკასიაში, ოსმალეთისა და ირანის მოსაზღვრედ, მისი მოკავშირე ქართული სამეფოების (ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო) გაძლიერება და მათი დახმარებით რეგიონიდან ირანისა და ოსმალეთის განდევნა, ხოლო შემდეგ მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრა; **მესამე.** რუსეთის მიზანი იყო პირობების მომზადება საქართველოს დასაპყრობად: ქართველ მეფე-მთავართა დამოკიდებულების შესწავლა, შიდაპოლიტიკურ ვითარებაში გარკვევა, საქართველოს სამხედრო პოტენციალის

გაცნობა და სხვ.; **მეოთხე.** რუსეთს სურდა ქართლ-კახეთის სამეფოს დასუსტება, ერეკლე II-ის როგორც პროირანული ორიენტაციის, ნიჭიერი დიპლომატისა და ბრწყინვალე მხედარმთავრის თავიდან მოცილება (ტახტიდან ჩამოგდება) ანუ უკიდურეს შემთხვევასი მისი დაშინება და პრორუსულ ორიენტაციაზე დაყოლიება; **მეხუთე**. ერეკლე II-ის ოპოზიციის წაქეზება და პრორუსულ ძალთა ორგანიზება – მეხუთე კოლონის შექმნა.

4. ერეკლე II გრძნობდა, რომ პროირანული ორიენტაციის გამო იგი მიუღებელი იყო რუსეთისათვის. ცხადი იყო ისიც, რომ რუსეთი ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლას არ შეწყვეტდა და ამ ბრძოლაში ეფექტურად გამოიყენებდა რუსეთში გადახვეწილ ქართლის ბაგრატიონებს (ვახტანგ VI-ის შთამომავლებსა) და მათ მომხრე თავადებს. ირანი დღითი დღე სუსტდებოდა და დასუსტებული ირანის იმედით რუსეთის ფარული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი რ ჰქონდა, იგი ადრე თუ გვიან მაინც მარცხით დასრულდებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის შემოჭრის შემთხვევაში ერეკლეს დასუსტებული ირანი ვერას უშველიდა. ერეკლე ტახტს დაკარგავდა და მის ადგილს ქართლის ბაგრატიონები დაიკავებდნენ. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით ერეკლე II-მ გადაწყვიტა: **სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში გაბატონებისათვის ბრძოლაში ორი პრეტენდენტიდან (ირანიდან და რუსეთიდან) უპირატესობა უფრო პერსპექტიულისათვის – რუსეთისათვის – მიენიჭებინა და პროირანული ორიენტაცია პრორუსულით შეეცვალა.** საბოლოო გადაწყვეტილება ერეკლემ 1771 წლის დეკემბრის მიწურულსა და 1772 წლის იანვრის დამდეგს მიიღო.

5. 1772 წელს ერეკლე II-ის თხოვნა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების თაობაზე კათოლიკოს-პატრიარქმა **ანტონ I-მა** და **ლევან ბატონიშვილმა** ოფიციალურად წარუდგინეს რუსეთის საიმპერატორო კარს. ერეკლე II-ის თხოვნის თანახმად **რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოში „უცვალებლად" უნდა შენარჩუნებულიყო მეფისა და კათოლიკოს პატრიარქის ხელისუფლება, ანუ საერო და საეკლესიო ხელისუფლება.** ქართლ-კახეთის მეფის თხოვნას პეტერბურგში თერთმეტი წელი, 1772 წლიდან 1783 წლამდე, იხილავდნენ. რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II (1762-1796) ლოდინის ტაქტიკას ტყუილად არ ადგა: **პირველი.** დაძაბული

ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან (ბრძოლა პოლონეთის გადანაწილებისათვის) და ოსმალეთთან (ბრძოლა შავი ზღვისპირეთში გაბატონებისათვის) რუსეთს ირანთან ურთიერთობაში სიფრთხილისაკენ უბიძგებდა. რუსეთი ირანის გაღიზიანებას ერიდებოდა და ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის სავასალო ტერიტორიად, ხოლო ერეკლე II-ს ირანის ვასალად ცნობდა. ცხადია, ირანში კარგად უწყოდნენ 1772 წელს ერეკლე II-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე – ირანის ვასალი რუსეთის მფარველობაში შესვალს ითხოვდა. ირანს ერეკლე II-ის დასასჯელად მიზეზი საკმარისზე მეტი ჰქონდა. რუსეთის საიმპერატორო კარზე, ცხადია იცოდნენ, რომ ირანი ურჩი ვასალის სამაგალითოდ დასჯას შეეცდებოდა. მიუხედავად ამისა, პეტერბურგში ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველბაში მიღებას თერთმეტი წელი აჭიანურებდნენ. ეკატერინე II ვარაუდობდა: **ირანის მიერ ქართლ-კახეთის დალაშქვრის შემთხვევაში ერეკლე II უფრო დამთმობი გახდებოდა და რუსეთის მფარველობაში უფრო მძიმე პირობით შევიდოდა.** საბედნიეროდ, ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ (1779 წ.) ირანში შინაარსლილობა დაიწყო და ირანმა ერეკლე II ვერ დასაჯა.

შექმნილ ვითარებაში რუსეთი იძულებული გახდა 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულება, ზოგიერთი მუხლის გამოკლებით, ერეკლე II-ის მიერ წამოყენებული პირობების მიხედვით დაედო. ტრაქტატის მიხედვით, რუსეთი ვალდებული იყო: უცვლელად შეენარჩუნებინა საქართველოში უმაღლესი საერო (სამეფო) და სასულიერო (საეკლესიო) ხელისუფლება, ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს ეყოლებოდა მეფე ბაგრატიონთა დინასტიიდან (ერეკლე II-ის შთამომავლები) და კათოლიკოს-პატრიარქი; ახალი მეფის ტახტზე ასვლა უნდა დაედასტურებინა რუსეთის იმპერატორს; სხვა სახელმწიფოთა აგრესიისაგან დაცვის მიზნით ქართლ-კახეთში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსეთის ჯარი (ორი ბატალიონი), რომლის რაოდენობა საჭიროების შემთხვევაში გაიზრდებოდა. ქართლ-კახეთის სამეფო ვალდებული იყო, რუსეთის იმპერატორთან შეეთანხმებინა ახალი მეფის კანდიდატურა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გეორგეევსკის ტრაქტატის მიხედვით არა მარტო სამეფო ხელისუფლება რჩებოდა, არამედ კვლავაც მოქმედებდა ქართლ-კახეთის სამეფოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, ქართული სამართალი და სასამართლო

სისტემა, მიმოქცევაში რჩებოდა ქართული ფული და ზომა-წონის ერთეულები, ერეკლე II-ის ქვეშემრდომი კვლავაც რჩებოდა ქართლ-კახეთის მეფის ქვეშემრდომად და არავითარ შემთხვევაში არ ხდებოდა ეკატერინე II-ის ქვეშემრდომი. რაც მთავარია რუსეთს არ ქონდა უფლება ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებისა, რუსეთი ვერ გააუქმებდა ვერც პატრიარქობას.

რუსეთმა მეორე იძულებითი ნაბიჯიც გადადგა. 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო რუსეთ-თურქეთის ორ ომს (1768-1774 წწ. და 1787-1791 წწ.) შორის, ანუ იმ დროს, როდესაც რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება მთელი ძალით გრძელდებოდა. ამავე დროს გრძელდებოდა ევროპის სახელმწიფოების დაპირისპირება პოლონეთის ტერიტორიის გადანაწილებისათვის (პირველი გადანაწილება შედგა 1772 წელს, მეორე – 1793 წელს). ორ ფრონტზე მებრძოლ რუსეთს შეიძლებოდა ირანთანაც გამწვავებოდა ურთიერთობა, გამორიცხული არ იყო ომიც. მართალია რუსეთის საიმპერატორო კარი გარკვეულ რისკზე მიდიოდა, მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით ეს რისკი არც ისე დიდი იყო. 1783 წელს ირანში შინაარსლილობა გრძელდებოდა. არ ჩანდა შაჰობის რელური კანდიდატი. მით უფრო შორს იყო ის დრო, როცა მთელი ირანი ძლიერი შაჰის ხელისუფლებას დაექვემდებარებოდა და რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთს. გეორგიევსკის ტრაქტატით გაღიზიანებულ ირანს შეეძლო ქართლ-კახეთის სამეფო დაერბია, რაც სრულიადაც არ ენაღველბოდა ეკატერინე II-ს. **პრაქტიკულად გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით სერიოზულ რისკზე მიდიოდა არა რუსეთის იმპერია არამედ ქართლ-კახეთის სამეფო.** რისკი მრავალმხრივი იყო. ყველაზე სახიფათო იყო ირანის გაერთიანება, გაძლიერება და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის აგრესიის აღკვეთა (ისევე როგორც ეს ნადირ-შაჰმა გააკეთა). ამ შემთხვევისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს „მფარველი" რუსეთი გარკვეული ხნით კავკასიის მთავარ ქედს გადაღმა დარჩებოდა, ხოლო ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაციით გაღიზიანებული ირანი მკაცრად დასჯიდა ქართლ-კახეთის მეფეს. პრორუსული ორიენტაციით და რუსეთის მფარველობაში შესვლით უკმაყოფილო დარჩებოდა ოსმალეთიც – ერეკლესათვის შეიძლება იმერეთის მეფეს სოლომონ I-საც მიებაძა. ერეკლე II ურთიერთობას ირთულებდა ჩრდილო კავკასიის მთიელებთან, რომელთა

ინტერესებშიც ასევე არ შედიოდა რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი.

6. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ცხადია, კარგად ესმოდა ერეკლე II-ს. მაშინ რატომ გადაწყვიტა ერეკლე II-მ გეორგიევსკის ტრაქტატის დადება? **ერეკლე II-ს სჯეროდა, რომ კავკასიაში ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირება, ადრე თუ გვიან, რუსეთის გამარჯვებით დასრულდებოდა. ამიტომ უმჯობესი იყო ქართლ- კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის შემოჭრამდე შესულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვებული რუსეთი ქართლ-კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ირანულ სახანოებთან გააიგივებდა და მასაც სახანოების მსგავსად დაიპყრობდა.** ერეკლე ესწრაფოდა რუსეთთან ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შემთხვევაში ქართლ-კახეთს ირანული სახანოებიდან გამოარჩევდა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტიას მისცემდა. ერეკლე II აზროვნებდა სავსებით ლოგიკურად. გეორგიევსკის ტრაქტატის დადების წინა პერიოდისათვის, ისევე როგორც ტრაქტატის დადების დროს ქართლ-კახეთის მეფეს არ შეიძლებოდა ცოდნოდა, რომ რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკა პრინციპულად გამორიცხავდა სამომავლოდ სამხრეთ კავკასიაში ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნებას. **ერეკლე II-ს ვერ წარმოედგინა, რომ ქართულ სახელმწიფოებრიობასთან დამოკიდებულებაში რუსეთის იმპერატორი ირანის შაჰებზე და ოსმალეთის სულთნებზე გაცილებით შეურიგებელი იქნებოდა.** ნადირ-შაჰი და ქერიმ-ხანი ერეკლე II-ს სამხრეთ კავკასიის ირანული სახანოების მფლობელებთან (ხანებთან) არ აიგივებდნენ, მასში მეფურ ღირსებას ხედავდნენ. ეკატერინე II-ემ და პავლე I-მა კი ქართლ-კახეთის მონარქები განჯის, ყარაბაღის, ერევნის და ნახჭევანის ხანებთან გაათანაბრეს.

ერეკლე II ცდილობდა რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში ქართლ-კახეთის სამეფოს რაღაც ფუნქცია შეეძინა. ამიტომ იყო, რომ ერეკლე რუსეთის საიმპერატორო კარის რუსთა, ქართველთა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქრისტიანი ხალხების ჯარების დახმარებით ირანის დაკავების გეგმასა და შაჰის ტახტზე რუსეთისათვის სასურველი კანდიდატის დასმას სთავაზობდა.

7. ერეკლე II-ის მთელი მოღვაწეობა რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში ქართლ-კახეთის სამეფოსათვის რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქციის დაკისრების მიზნით სრული კრახით დასრულდა. გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დადებამდე და დადების შემდგომაც როგორც ავღნიშნეთ რუსეთის საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის სამეფოს მოკავშირედ არ განიხილავდა და კავკასიურ პოლიტიკაში არნაირ ფუნქციას არ აკისრებდა (იგივე ითქმის იმერეთის სამეფოზე, სამგრელოსა და გურიის სამთავროებზე). ამის მიზეზი იყო შემდეგი: **პირველი.** რუსეთის საიმპერატორო კარი კავკასიას (ჩრდილო და სამხრეთ კავკასია) განიხილავდა გეოგრაფიულ სივრცედ, რომელიც უნდა დაეპყრო და იმპერიის განუყოფელ ნაწილად ექცია. კავკასია (განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასია) უნდა ქცეულიყო რუსეთის იმპერიის პლაცდარმად მახლობელ აღმოსავლეთში შეტევისათვის. სწორედ ამიტომ **სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის სამეფოს (ისევე როგორც იმერეთის სამეფოს) არსებობა რუსეთის საიმპერატორო კარს დაუშვებლად მიაჩნდა.** პეტრბურგში ჩათვალეს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს შეეძლოთ გარკვეული დახმარების აღმოჩენა სამხრეთ კავკასიიდან ირანისა და ოსმალეთის განდევნაში, მაგრამ დამოუკიდებელი ქართული სამეფოების არსებობას შემდეგში შეიძლებოდა რუსეთისათვის გარკვეული სირთულეები შეექმნა. მახლობელ აღმოსავლეთში გასაჭრელ პლაცდარმზე (სამხრეთ კავკასიაში) რუსეთი რყევებს, არასტაბილურობას ვერ დაუშვებდა, რეგიონი მტკიცედ უნდა სჭეროდა. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგებოდა რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის რეალიზება. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე **გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულება რუსეთის საიმპერატორო კარს არც უფიქრია.** ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ქართლ-კახეთის დაპყრობის დროის მოხლოებისათვის ქვეყანა მაქსიმალურად ყოფილიყო დასუსტებული ჩრდილო კავკასიის მთიელებისა და ირანის თავდასხმებით. ამიტომ იყო, რომ რუსეთმა არაფერი იღონა და, უფრო მეტიც, 1795 წელს **აღა-მაჰმად-ხანი** წააქეზა კიდეც ქართლ-კახეთზე ლაშქრობისათვის. ყოველივე ზემოთ თქმულს თუ გავითვალისწინებთ, მიუხედავად ერეკლე II-ისადმი დამოკიდებულებისა, დადებითად ვაფასებთ მის მოღვაწეობას თუ უარყოფითად, სრულიად გარკვევით უნდა აღინიშნოს: **პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია და გეორგიევსკის**

ტრაქტატი იყო სტარტეგიული შეცდომა. ეს შეცდომა განპირობებული იყო არა იმით, რომ ერეკლე II ცუდი დიპლომატი იყო და ვერ ერკვეოდა კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში შექმნილ ვითარებაში, ან ირან-ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობებში, არამედ იმით, რომ კავკასიის მომავალი მპყრობელი – რუსეთი – მიუღებლად მიიჩნევდა რეგიონში როგორც ქრისტიანი, ისე ისლამის აღმსარებელი ხალხის სახელმწიფოებრიობის არსებობას. **ერეკლე II-ს, ცხადია, არ შეეძლო შეეცვალა რუსეთის იმპერიის კავკასიური პოლიტიკის არსი. ქართლ-კახეთის მეფე კავკასიის მომავალ მპყრობელს უნდა მორიგებოდა და წაგებული თამაში ბოლომდე ეთამაშა.** სწორედ ამ გზით ვარაუდობდა ერეკლე II საქართველოში რუსეთის შემოჭრით შექმნილი საფრთხის ნაწილობრივ მაინც განეიტრალებას.

8. გრძნობდა თუ არა ერეკლე II რუსეთის საიმპერატორო კარის მხრიდან ჩაფიქრებულ ღალატს 1783 წლის შემდგომ ხანებში, განსაკუთრებით 1787 წლიდან, მას შემდეგ რაც რუსეთმა ჯარი გაიყვანა ქართლ-კახეთიდან. ცხადია, გრძნობდა. ამიტომ იყო, რომ ერეკლე II გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე და დადების შემდგომაც აგრძელებდა ევროპაში (ავსტრიაში) სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის ძიებას. რუსეთის დაზვერვამ ამის თაობაზე თბილისიდან დაუყოვნებლივ აცნობა პეტერბურგს. ერეკლე II-ის მიერ ევროპაში მოკავშირის ძიება რუსეთის საიმპერატორო კარს აღიზიანებდა. ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე (1778 წლის მიწურული – 1783 წლის დამდეგი) ეკატერინე II კატეგორიულად მოითხოვდა ერეკლე II-სგან ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის შეწყვეტას.

9. ერეკლე II-ის გარდაცვალების დროიდან (1798 წ.) ქართლ-კახეთის სამეფოს პრაქტიკულად რუსეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკური დაზვერვის რეზიდენტები მართავდნენ. გიორგი XII-ის მეფობის წლებში (1798-1800) სახელმწიფოებრიობის კვდომის პროცესი სწრაფად განვითარდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფოს დასაპყრობად იმდენი ძალისხმევაც არ დასჭირვებია, რამდენიც მოგვიანებით (1804-1810 წწ.) ქართლ-კახეთის სამეფოზე გაცილებით სუსტი იმერეთის დაპყრობისათვის დასჭირდა.

ერეკლე II-ის პოლიტიკური ორიენტაციის შეფასებისას, ჩვენი აზრით უნდა გავითვალისწინოთ:

პირველი. ერეკლე II პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისშივე (1735 წ.) დადგა პროირანულ პოლიტიკურ ორინეტაციაზე და ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში (1735-1770 წწ.) წარმატებით აგრძელებდა ამ კურსს.

მეორე. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირების პირობებში პროირანული ორიენტაცია მომგებიანი იყო ძლიერი ირანის არსებობის პირობებში, ირანის დასუსტების შემთხვევაში პროირანული ორიენტაცია წამგებიანი და სახიფათო ხდებოდა.

მესამე. პროირანული ორიენტაცია პრორუსულით ერეკლე II-მ მხოლოდ 1771-1772 წლებში შეცვალა, მაშინ როცა ირანი ისე დასუსტდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში რუსეთის აგრესიას ვეღარ აღკვეთდა. ასეთ ვითარებაში პროირანული ორიენტაციის შენარჩუნება სახიფათო იყო. ერეკლე II-ს, სურდა თუ არ სურდა ანგარიში უნდა გაეწია ძალთა ახალი თანაფარდობისათვის და რეგიონში ბატონობის პრეტენზიის მქონე რეალურ ძალას – რუსეთს – მორიგებოდა. ერეკლე II-ის პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია იძულებითი ნაბიჯი იყო.

მეოთხე. დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობა რუსეთისათვის დაუშვებელი იყო, ხოლო მისი მეფე, სახელგანთქმული მხედართმთავარი და გამოცდილი დიპლომატი, ერეკლე II – მიუღებელი. ერეკლეს რუსეთის საიმპერატორო კარი არ ენდობოდა, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოს არც გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე და არც მის დადების შემდგომ მოკავშირედ არ მიიჩნევდა.

მეხუთე. ერეკლე II-ის პრორუსული ორიენტაცია არ ყოფილა ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემის მიზეზი. პროირანული ორეინტაციის შემთხვევაშიც ქართლ-კახეთის სამეფოს იგივე ბედი ელოდა. ქართული სამეფო სამთავროების ბედს არ სწყვეტდა მეფე-მთავართა პოლიტიკური ორიენტაცია. სამხრეთ კავკასია, და მათ შორის საქართველო, დარჩებოდა ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირებაში გამარჯვებულს. ეს გამარჯვება კი იმხანად რუსეთს ხვდა წილად.

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„ქართული უნივერსიტეტი,”** 2009, № 38, 5-11 ნოემბერი, გვ. 11; 2009, № 39, 12-18 ნოემბერი, გვ. 15-16.*

8. მფარველობიდან ანექსიამდე
(ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის შეფასებისათვის 1771-1801 წწ.)

1801 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში იმპერატორმა ალექსანდრე I-მა (1801-1825) ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთების თაობაზე. ასე დასრულდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, რომელიც დასაბამს 1483 წლიდან იღებდა. რუსეთის იმპერიის მიერ 1801-1802 წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს ოკუპაციასა და ანექსიას 1801-1810 წლებში იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროების ოკუპაცია და ანექსია მოჰყვა. ჩვენი მიზანია გავაშუქოთ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობის ბოლო ოცდაათწლეულში (1771-1801 წწ.) განვითარებული მოვლენები, შეფასება მივცეთ მომხდარს[1]. ხსენებული ეპოქის თაობაზე მასალები დაცულია რუსეთის არქივებში. ამ მასალების შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს რუსმა და ქართველმა ისტორიკოსებმა: პ. ბუტკოვმა, ა. ცაგარელმა, ად. ბერჟემ, ი. ცინცაძემ, ვ. მაჭარაძემ, გ. პაიჭაძემ[2]. განსაკუთრებით დიდია ვ. მაჭარაძის დამსახურება, რომელმაც რუსეთის არქივებში ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ გამოსცა დოკუმენტებისა და მასალების რამდენიმე კრებული, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: **"გეორგიევსკის ტრაქტატი"** (თბილისი, 1983). საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები და მასალები კარგა ხანია ისტორიის

კუთვნილებაა. ამ დოკუმენტებს დიდხანს საგულდაგულოდ მალავდნენ, შემდეგ ტენდენციურ ინტერპრეტაციას აძლევდნენ და ორი ხალხის ურთიერთობას შეგნებულად აყალბებდნენ. ჩვენ შევეცდებით ობიექტური შეფასება მივცეთ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობას 1771-1801 წლებში.

1771 წლის 30 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. ამ დღეს მეფემ თბილისში ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-თვის გასაგზავნ დოკუმენტს – ხელშეკრულების პროექტს, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ქართლ-კახეთის სამეფო, რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლისას, სხვა პირობებთან ერთად, უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლების **„უცვალებელად"** და **„მოუშლელად"** შენარჩუნებას ითხოვდა. სამეფო ხელისუფლების თაობაზე ხელშეკრულების პროექტში ვკითხულობთ: „კუალად ვითაც ძველად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ თქვენისა დიდებულების მოწყალებისა გამო, ეგრეთვე საუკუნოდ უცვალებლად ეგოს..." პეტერბურგში ხელშეკრულების პროექტის ეს ადგილი ასე თარგმნეს: „Из давных еще лет предки наши восприяли царское достоинство и находились царями. Из милосердия Вашего Величества всенижайше прошу дозволить и нам на вечныя времена находиться на таком же основании "[3] ასევე მკაფიო და სავსებით ნათელი იყო ერეკლე II-ის თხოვნა უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების შენარჩუნების თაობაზე: „მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად". (რუსულ თარგმანში: „Каталикос оставаться имеет всегда в своем достоинстве без всякой перемены")[4]. როგორც ვხედავთ ქართლ-კახეთის მეფე ითხოვდა ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში სამეფო ხელისუფლების უცვლელად შენარჩუნებას, ასევე სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი იერარქის – კათოლიკოს-პატრიარქის თავის უფლებებში უცვლელად დატოვებას.

რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობად ერეკლე II ასევე აყენებდა: 1) ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვის მიზნით, რუსთა ოთხი ათასიანი კორპუსის გამოგზავნას; 2) ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე ოსმალთა ტყვეობისაგან თავდახსნილ ქართველთა სამშობლოში თავისუფლად დაბრუნების

უზრუნველყოფას; 3) ქართლ-კახეთის ჯარის შესანახავად რუსეთის იმპერიის ხაზინიდან სესხის მიცამას; 4) რუსეთ-ოსმალეთის ომის (იგულისხმება იმხანად მიმდინარე 1768-1774 წლების ომი) დამთავრების შემდეგ ზავის დადებისას „ახალციხის ქვეყანა" (ე.ი. სამცხე-საათაბაგო) არ უნდა დარჩენილიყო ოსმალეთის შემადგენლობაში, „ვინაიდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანენი არიან იმათში, და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ." (რუსულ თარგმანში: „ибо сия провинция принадлежит Грузии и на грузинской земле лежит, обыватели тамошние имеют грузинский язык, и многие из них поныне христианами находятся, а некоторыя не в давных временах зделались магометанами")[5].

1772 წლის 6 იანვარს, ანუ ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგ, მცხეთაში ხელმოწერილ იქნა მეორე დოკუმენტი – ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს. ხელშეკრულების პროექტისგან განსხვავებით, რომელსაც ხელს მხოლოდ ერეკლე II აწერდა, სამეფო სახლის პირობას ხელს აწერდნენ: მეფე **ერეკლე II**, დედოფალი **დარეჯანი**, კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ I**, ბატონიშვილები: **გიორგი, ლევანი, იულონი** და **ვახტანგი.** ქართლ-კახეთის სამეფო სახლი პირობას დებდა, რომ რუსეთის იმპერატორის მფარველობაზე უარს არასოდეს იტყოდა, რის თაობაზეც ფიცს დებდა: „ეს ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა და წმინდასა სახარებასა ზედა ფიცით დამიმტკიცებია და თვით ხელითა ჩემთა დამიწერია და ეგრეთვე სახლეულთა ჩემთა ხელმოწერით და დაბეჭდვით მტკიცე მიყოფია." (რუსულ თარგმანში: „и утверждаем клятвою нашею пред всемогущим богом, пред святым евангелием и пред животворящим его крестом, и собственною мою рукою писал я сие прошение, и как я, так и все из фамилии моей каждой порознь своеручно свое имя подписали и порознь каждой приложили к сей присяге чернильную печать с изображением наших имян")[6].

ხელშეკრულების პროექტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის თაობაზე (1771 წლის 30 დეკემბერი) და ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს (1772 წლის 6 იანვარი) პეტერბურგში 1772 წელს ჩაიტანეს კათოლიკო -პატრიარქმა

ანტონ I-მა და **ლევან ბატონიშვილმა.** იმავდროულად რუსეთის იმპერატორს მფარველობაში მიღებას სთხოვდა იმერეთის მეფე **სოლომონ I.**

რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდხანს იფიქრეს ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის თხოვნაზე. 1782 წლის მიწურულსა და 1783 წლის დამდეგს (ზუსტი თარიღი უცნობია) ეკატერინე II-ის მდივანმა (1775 წლიდან) და იმპერიის საგარეო-პოლიტიკური უწყების ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა (1783 წლიდან) **ალექსანდრე ბეზბოროდკომ** კავკასიის ხაზის უფროსს **გრიგოლ პოტიომკინს** წერილობით აცნობა ეკატერინე II-ის აზრი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან დასადები ხელშეკრულებების (ტრაქტატის) თაობაზე. ევროპის სახელმწიფოებთან პოლონეთის ტერიტორიის, ხოლო ოსმალეთთან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ბალკანეთის გამო გართულებული მდგომარეობის პირობებში ეკატერინე II-ს სიფრთხილე გამოუჩენია და უბრძანებია: „ ... დაიდოს ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ტრაქტატი, ნუ უწოდებთ მათ ქვეშევრდომებს, უწოდეთ – მოკავშირეები, რომლებიც იმყოფებიან რუსეთის იმპერიის მფარველობაში" (დედანში: „ ... заключить с Грузинскими Царями союзный трактат, не именуя их подданными, но союзниками, от Империи всероссийской покровительствуемыми.") იმავდროულად, ეკატერინე II კატეგორიულად მოითხოვდა ერეკლესა და სოლომონს შეეწყვიტათ ურთიერთობა ავსტრიის იმპერატორთან, ასევე სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან (დედანში: „Отклонить всякое их знакомство с императором (იგულისხმება ავსტრიის იმპერატორი – ვ.გ..) и с другими христианскими державами") ეკატერინე II საგანგებოდ მიანიშნებდა, რომ ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორისათვის წერილიც კი არ უნდა გაეგზავნათ (დედანში: „да и писем к императору не посылать")[7]. ამრიგად, ეკატერინე II-მ მფარველობითი ხელშეკრულების დადების პირობად წამოაყენა ისეთი მოთხოვნა, რომელიც ლახავდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების სუვერენიტეტს – ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან დიპლომატიური ურთიერთობა (მიმოწერაც კი!) აეკრძალათ.

საინტერესოა ეკატერინე II-ის კიდევ ერთი პირობა: გ. პოტიომკინს უნდა დაემყარებინა მშვიდობა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს შორის.

მეფეებს შორის კვლავ უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში არბიტრის როლი რუსეთს უნდა შეესრულებინა (დედანში: „Ея Величество изволила примечать, не нужен ли под вашим руководством мир между царями Ираклием и Соломоном постановить ясный и точный, учиняя себя как ручателем оного, так и арбитром в случае взаимных вновь жалоб")[8]. ამ პირობის წამოყენების მიზანი სრულიად ნათელია: რუსეთი ეცდებოდა ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის უთანხმოების გამძაფრებას და შემდეგ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას – ქართველ მეფეთა დაპირისპირებაში არბიტრის როლის შესრულებას.

ა. ბეზბოროდკოს მიერ გ. პოტიომკინისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ეკატერინე II-ს აზრი არ გამოიუთქვამს ქართლ-კახეთის სამეფოში ეკლესიისა და კათოლიკოს-პატრიარქის უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე. სამაგიეროდ, ამ საკითხს შეეხო ა. ბეზბოროდკო. იგი გ. პოტიომკინს წერდა: ქართლ-კახეთის კათოლიკოსი რუსეთის ეკლესიის უმაღლეს იერარქთა შორის დაიკავებს ადგილსო (დედანში: „архиепископа же католикоса – то ему соборнаго, поставить степенем в Российской церкви между первыми")[9]. ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს „სიახლე" კათოლიკოს-პატრიარქის, უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობლის, მოხსენიებაში: „ архиепископа же католикоса." ეს იმას ნიშნავდა, რომ მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი, სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი იერარქი არქიეპისკოპოსს (მთავარეპისკოპოსს) გაუტოლეს. ეს ა. ბეზბოროდკოს შემთხვევით არ გაუკეთებია. იმავე წერილში ა. ბეზბოროდკო აღნიშნავდა, რომ ქართველი სამღვდელოების რუსეთის ეკლესიის სინოდისათვის დაქვემდებარებით მოიხსნებოდა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის სამისიონერო მოღვაწეობიდან მომდინარე საფრთხე (დედანში: „Когда по духовенству они привязаны будут к Синоду, то по сему примеру и римское духовенство от России же получать будет, а сим кончится сношение с императором, (австрийским – В. Г.) которому причиною мисионарии")[10]. ა. ბეზბოროდკო ამ შემთხვევაშიც სრულად გარკვეულ მიზანს ისახავდა. რუსეთის საიმპერატორო კარისათვის და რუსეთის ეკლესიის სინოდისათვის კარგად იყო ცნობილი კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ევროპული ორიენტაციის თაობაზე, მის ახლო ურთიერთობაზე საქართველოში მყოფ კათოლიკე

მისიონერებთან. ცხადია, რუსეთი დაინტერესებული იყო საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მისიების შეწყვეტით. ეს გარკვეულწილად შეაფერხებდა დასავლეთ ევროპაში სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირის ძიების საქმეს, საქართველოში ევროპული განათლებისა და მეცნიერების მიღწევების გავრცელებას.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის რუსული სიმაგრე **გეორგიევსკში** დაიდო ტრაქტატი (ხელშერულება) რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. პრეამბულის მიხედვით ტრაქტატი იყო „მეგობრობითი ხელშეკრულება" („дружественный договор"), ქართლ-კახეთის სამეფო ცნობდა რუსეთის იმპერატორის „უმაღლეს ხელისუფლებასა და მფარველობას" („верховную власть и покровительство")[11].

გეორგიევსკის ტრაქტატის **პირველი მუხლში** ანიშნულია: ერეკლე II მისი და მემკვიდრეების სახელით საზეიმოდ აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობდა ეცნო ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა. („что он не признает над собою и преемниками инаго самодержавия, кроме верховной власти и покровительства Ея Императорскаго Величества и Ея Высоких наследников и преемников престола")[12].

ტრაქტატში ასახვა ვერ პოვა ეკატერინე II-ის კატეგორიულმა მოთხოვნამ ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიან ხელმწიფეებთან ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე. როგორც ჩანს, საბოლოოდ ეკატერინე II მოერიდა ასეთი მოთხოვნის ხელშეკრულებაში შეტანას, რადგან ქრისტიან ხელმწიფეებთან ურთიერთობისას იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა რუსეთის საიმპერატორო კარს.

ტრაქტატის **მეორე მუხლში** აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერატორი მისი და მემკვიდრეების სახელით პირობას დებდა სამუდამო მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და ქვეყნის ტერიტორია დაეცვა გარეშე მტრებისაგან („Ея Величество дает Императорское свое ручательство на сохранение целости настоящих владений Его светлости Царя Ираклия Теймуразовича")[13].

ტრაქტატის **მესამე მუხლი** ადასტურებდა, რომ რუსეთის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოში

შენარჩუნებულ იქნებოდა ერეკლე II-ისა და მისი მემკვიდრეების მეფობა. ახალი მეფის ტახტზე ასვლას სამეფო ნიშნების (ინვესტიტურის) გამოგზავნით ადასტურებდა რუსეთის იმპერატორი. („постановлено, что помянутые Цари, вступая наследственно на царство их, имеют тотчас извещать о том Российскому Императорскому Двору, испрашивая чрез посланников своих Императорскаго на царство подтверждения с инвеституроюʼ)[14].

ტრაქტატი არ ეხებოდა ერეკლე II-ის უფლებას ქვეშევრდომებზე, ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას, ქართული სამართლისა და სასამართლო სისტემას, ზომა-წონის ერთეულებს, ჯარის ორგანიზაციას და ა.შ. ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომი არ ხდებოდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი. ტრაქტატის **მეექვსე მუხლში** აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერატორი: „შინაგანსა ხელმწიფებისა და მმართველობისა თანა შეუღლვილსა მსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისა დაანებეს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა" (Власть, со внутренним управлением сопряженную – суд и расправу и збор податей предоставить его светлости царю в полную его волю и пользу")[15]. რუსეთის იმპერატორი ასევე ვალდებულებას იღებდა, რომ მისი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები არ ჩაერეოდნენ ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში („запрещая своему военному и гражданскому начальству вступаться в какия-либо распоряжения")[16]. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ასევე ტრაქტატის **მეშვიდე მუხლი.** ქართლ-კახეთის მეფეს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისას უნდა გაეთვალისწინებინა კანდიდატის დამსახურება რუსეთის წინაშე: – „რათა უსაკუთრესად აჩუენოსმცა უდიდესობაი მსახურებისათვის რუსეთის იმპერიისა" („оказьвать уважение на заслуги пред Всероссийскою Империеюʼ)[17]. ცხადია, ამ მოთხოვნის ტრაქტატში შეტანა პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად უწყოდნენ, რომ ერეკლე II-ის ქვეშევრდომთა (თავადთა და აზნაურთა) შორის ყველა პრორუსული ორიენტაციის არ იყო. ტრაქტატის **მეშვიდე მუხლი** რუსეთის საიმპერატორო კარს გარანტიას აძლევდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არ დაწინაურდებოდნენ პრორუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგენი. მეშვიდე მუხლი,

ცხადია, ზღუდავდა ქართლ-კახეთის მეფის სუვერენულ უფლებებს.

გეორგიევსკის ტრაქტატში ვერ აისახა ერეკლე II-ის მიერ შემუშავებულ ხელშერკულების პროექტში (1771 წლის 30 დეკემბერი) შეტანილი მოთხოვნა კათოლიკოს-პატრიარქის უფლებების უცვლელად („მოუშლელად") დატოვების თაობაზე. ტრაქტატის **მერვე მუხლი,** რომელიც ქართლ-კახეთის ეკლესიასა და კათალიკოს-პატრიარქს ეხება, თითქმის მთლიანად ა. ბეზბოროდკოს მოსაზრების მიხედვით ჩამოყალიბდა. მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ხდებოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრი და სინოდის წევრ მღვდელმთავართა შორის იკავებდა მერვე ადგილს ტობოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ. მერვე მუხლში ვკითხულობთ: „ინებებს მისი იგი დიდებულებაი, ვითარმედ კათოლიკოზსა ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მღ დელთ-მთავათასა მერუეს შინა ხარისხსა, ესე იგი არის შემდგომად ტობოლსკისა" (чтоб католикос, или начальствующий архиепископ их, состоял местом в числе российских архиереев в осьмой степени, именно после тобольскаго")[18]. 1700 წლიდან 1817 წლამდე რუსეთის ეკლესიას პატრიარქი არ ჰყავდა, სინოდის წევრები მხოლოდ მღვდელმთავრები (ეპისკოპოსები, არქიეპისკოპოსები, მიტროპოლიტები) იყვნენ. იმხანად, ანტონ I-ის რანგის საეკლესიო იერარქი რუსეთს არ ჰყოლია. უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელი სინოდის წევრებს – რიგით მღვდელმთავრებს – გაუტოლეს. ამასთან შვიდი მღვდელთმთავარი სინოდში ანტონ I-ზე დიდი პატივით სარგებლობდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შეილახა კათოლიკოს-პატრიარქის ღირსება. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად უწყოდნენ, რომ საქმე ჰქონდათ უძველეს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასთან და მის საჭეთმპყრობელთან. ამიტომ იყო, რომ, მერვე მუხლის ძალით, ორი ქვეყნის ეკლესიათა შორის ურთიერთობა უნდა გარკვეულიყო ცალკე ხელშეკრულებით: „ამისთვის უკუე დაიწერების სხუა არტიკული" („о том составится особливый артикул")[19]. ასეთი ხელშეკრულება აღარ დადებულა.

ტრაქტატის ძირითად ტექსტთან (პრეამბულა და ცამეტი მუხლი) ერთად დამოუკიდებელ დოკუმენტად გაფორმდა

(ცალკე მოეწერა ხელი) საიდუმლო მუხლებს (ოთხ მუხლს) ანუ, **„სეპარატისა არტიკულებს"** („сепаратные артикулы").

აღსანიშნავია, რომ **პირველ სეპარატულ (ცალკე) ანუ საიდუმლო მუხლში** ასახვა ჰპოვა ეკატერინე II-ის მოთხოვნამ. ერეკლე II მეგობრულ ურთიერთობაში უნდა დარჩენილიყო სოლომონ I-თან, ხოლო მეფეებს შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში, არბიტრის როლს შეასრულებდა რუსეთის იმპერატორი, რომლის გადაწყვეტილებასაც ერეკლე II უნდა დამორჩილებოდა („ньне и впредь признает Ея Императорское Величество совершенным арбитром, подвергая распри и недоразумения между двумя владетелями, паче всякаго чаяния происходящия, ея верховному решению")[20]. ცხადია, პირველი სეპარატული მუხლი ლახავდა, როგორც ერეკლე II-ის, ისე სოლომონ I-ის სუვერენულ უფლებებს და ამავე დროს რუსეთს საშუალებას აძლევდა ჩარეულიყო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ურთიერთობაში.

მეორე სეპარატული მუხლი გვაუწყებს: „დაცვისათვის სამფლობელოისა ქართლისა და კახეთისა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მხედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა, დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღუთქ ამს შენახუად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუეითსა ოთხითა ზარბაზნითა" („Для охранения владений карталинских и кахетинских от всякаго прикосновения со стороны соседей и для подкрепления войск Его Светлости Царя на оборону Ея Императорское Величество обещает содержать в областях Его два полные баталиона пехоты с четырьмя пушками")[21].

მესამე სეპარატული მუხლის ძალით რუსეთი ვალდებული იყო ომის შემთხვევაში დამატებითი დახმარება აღმოეჩინა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და მისი მტერი ორივე ქვეყნის მტრად შეერაცხა: „დასდუას ჰაზრი შეწევნისათვის თქმულთა მათ ქუეყანათა და წინ-აღდგომისა მტერთასა მოქმედებისათვის, რომელიცა არა სხუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს" („согласить и положить на мере о защищении означенных земель и о действии против неприятеля, который не инако как за общаго врага разумеем быть должен")[22].

მეოთხე სეპარატული მუხლის ძალით რუსეთი ვალდებული იყო ომის შემთხვევაში (იგულისხმებოდა ომები ირანთან და ოსმალეთთან) ქართლ-კახეთის სამეფოს

დახმარებოდა იარადით, ამასთან ერთად, საზავო მოლაპარაკების დროს, უნდა ეცადა რათა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის დაებრუნებინა წინათ მტერთაგან წართმეული ტერიტორიები: „რათა დროსა ბრძოლისასა იხმაროსცა ყოველი შემძლებლობაი მეცადინობისა ღონითა საჭურველისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმოქცევისათვის ქუეყანასა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძველადვე სამეფოისა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა, ესენი უკუე დაშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა" („в случае войны употребить всевозможное старание пособием оружия, а в случае мира настоянием о возвращении земель и мест, издавна царству Карталинскому и Кахетинскому принадлежавших, кои и останутся во владении царей тамошних")[23].

გეორგიევსკის ტრაქტატთან ერთად ასევე ცალკე დამოუკიდებელ დოკუმენტად გაფორმდა **ფიცის ნიმუში (Образец присяги)**, რომელიც ერეკლე II-ს უნდა მიეღო ტრაქტატის რატიფიკაციის შემდეგ. დოკუმენტი იწყება ასე: „სახე, რომლისაებრ უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩი ჰყოფს ფიცითსა აღთქმასა ერთგულებასა ზედა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისასა და აღსარებასა მფარველობისა და უზენაესისა ხელმწიფებისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა" („Образец, по которому Его Светлость Царь Карталинский и Кахетинский Ираклий Теймуразович учинит клятвенное обещание на верность Ея Императорскому Величеству Самодержаще Всероссийской и на признание покровительства и верховной власти всероссийских Императоров над царями карталинских и кахетинских")[24]. ამრიგად, ფიცის ნიმუშშიც (სახეშიც) დადასტურებულია ქართლ-კახეთის მეფეებისა (და, ცხადია, სამეფოს) არსებობა.

გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო იმხანად საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ყველა წესის დაცვით (მხარეების მიერ ტრაქტატის პროექტების შედგენა და განხილვა, ტრაქტატის ტექსტის მომზადება, სრულუფლებიანი დელეგაციების დანიშვნა, მოლაპარაკება, ტრაქტატის საბოლოო ტექსტის შეთანხმება და ხელმოწერა, ტრაქტატის რატიფიკაცია და გამოქვეყნება). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტრაქტატის მეთორმეტე მუხლი. მართალია

ტრაქტატი „საუკუნოდ” სამუდამოდ („на вечнья времена”) იდებოდა, მაგრამ თუ მასში ურთიერთსასარგებლო ცვლილებების შეტანა იქნებოდა საჭირო, ეს უნდა მომხდარიყო ორივე მხარის თანხმობით: „უკეთუ განხილულ იქმნეს რაიმე საჭიროდ შეცუალებად, ანუ დართუად ურთიერთისათვის სარგებლისა, აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისა” („оное да возьмеет место по обостороннему соглашению”)[25].

გეორგიევსკის ტრაქტატის უმთავრესი პირობა იყო რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვა ისლამური სამყაროს აგრესიისგან. არც გეორგიევსკის ტრაქტატის ძირითად მუხლები და არც სეპარატული (ცალკე) მუხლები რუსეთს არასოდეს შეუსრულებია. 1787 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორია დატოვა ტრაქტატით გათვალისწინებულმა ჯარმა. ასე დაირღვა მეორე სეპარატული (საიდუმლო) მუხლი. რუსეთი არ დაეხმარა ქართლ-კახეთის სამეფოს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს (1795 წ.), რითაც დაარღვია ტრაქტატის მეორე მუხლი, ასევე მესამე და მეოთხე სეპარატული (საიდუმლო) მუხლები.

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ (1798 წლის იანვარი) მისი მემკვიდრის – ქართლ-კახეთ ს მეფე **გიორგი XII-ის** (1798-1800) ხანმოკლე მმართველობის პერიოდში სამეფოს მართვა-გამგეობაზე კონტროლი დააწესეს რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა. 1799 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთის სამეფოში დაბრუნდა 1787 წელს გაყვან ლი რუსეთის ჯარი (ერთი ბატალიონი). რუსმა რეზიდენტებმა შეძლეს გიორგი XII-ის დაპირისპირება დედოფალ დარეჯანთან, ძმებთან და ძმისშვილებთან. უფრო მეტიც, ქართლ-კახეთის მეფე უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ტახტის მემკვიდრე დავითსაც კი არ ეთათბირებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა მისთვის უხერხული გეორგიევსკის ტრაქტატის უფრო ხელსაყრელი დოკუმენტით შეცვლა. კერძოდ, რუსეთს სჭირდებოდა ისეთი დოკუმენტი, რომელიც მინიმუმამდე შეკვეცავდა ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენიტეტს, ანუ სუვერენიტეტის დაცვის თვალსაზრისით, ქართლ-კახეთის სამეფოსათვის გაცილებით უარესი იქნებოდა ვიდრე გეორგიევსკის ტრაქტატი. თუ რუსეთი ამას მიაღწევდა, ეს იქნებოდა სერიოზული წარმატება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გზაზე. გიორგი XII-ის გარშემო ინტრიგების ხლართვით, მძიმედ ავადმყოფი მეფის შანტაჟირებით (რუსები მეფეს ყოველდღე ჩასჩიჩინებდნენ, რომ მისი სიკვდილის

შემდეგ ძმები მის შვილს ტახტს წაართმევდნენ) მიაღწიეს იმას, რომ 1800 წლის 24 ივნისს გიორგი XII-მ ხელი მოაწერა ე.წ. **„სათხოვარ პუნქტებს"** (ნოტას) რუსეთის იმპერატორ პავლე I-სადმი (1796-1801). "სათხოვარი პუნქტების" თაობაზე არაფერი იცოდნენ სამეფო სახლის წევრებმა, გიორგი XII-ს საქმის კურსში არ ჩაუყენებია ტახტის მემკვიდრე, უფლისწული დავითიც კი.

ამ დროისათვის (1800 წ.) გეორგიევსკის ტრაქტატის მოქმედება შეწყვეტილი არ ყოფილა. გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები" შეიცავს ისეთ თხოვნას, რაც ისეც გათვალისწინებული იყო გეორგიევსკის ტრაქტატით:

1) გიორგი XII რუსეთის მფარველობაში მიღებას ითხოვდა პირადად მისი, მემკვიდრეების, სამღვდელოების, დიდებულებისა და ყველა ქვეშევრდომის სახელით (" ... навсегда принять подданство всероссийской Империи..."). ქართლ-კახეთის მეფე შეასრულებდა რუსეთის იმპერატორის ყველა კანონსა და ბრძანებას, ხოლო რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთში მიიღებდნენ, როგორც მემკვიდრე ხელმწიფესა და თვითმპყრობელს ("как наследственнаго (природного) своего государя и самодержца").

2) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შემდეგ გიორგი XII უნდა დარჩენილიყო ქართლ-კახეთის მეფედ, სამუდამოდ უნდა შენარჩუნებოდათ სამეფო ტახტი მის მემკვიდრეებს.

3) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის სანაცვლოდ გიორგი XII-ს რუსეთის იმპერატორისაგან უნდა მიეღო ჯამაგირი და სოფლები რუსეთში (" ... содержанье деньгами и деревни в России").

4) ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღებამდე დაუყოვნებლივ უნდა გაზრდილიყო ქართლ-კახეთში განლაგებული რუსეთის ჯარის რაოდენობა (" ... немедленно увеличить войска")[26].

ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის 1800 წლის 24 ივნისის 'სათხოვარ პუნქტებს" (ნოტას) რუსეთის საიმპერატორო კარზე სერიოზულად მოეკიდნენ. 1800 წლის 18 დეკემბრისათვის შედგენილი იქნა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების თაობაზე. სხვადასხვა გარემოებათა გამო მანიფესტი ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნდა.

პეტერბურგიდან 1800 წლის 18 დეკემბრის მანიფესტის ტექსტი, რომელიც ჯერ საიდუმლოდ უნდა დაცულიყო, გადაუგზავნეს კავკასიის ხაზის უფროსს გენერალ **კარლ კნორინგს**. უფრო ადრე კარლ კნორინგს მიღებული ჰქონდა ასევე საიდუმლო ბრძანება გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმების თაობაზე. ჩრდილო კავკასიიდან ქართლ-კახეთში დამატებით შეჰყავდათ რუსეთის ჯარი.

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების თაობაზე (ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მანიფესტის ტექსტის შედგენა დასრულდა ჯერ კიდევ 1800 წლის 18 დეკემბერს).

პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტში ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად ვხვდებით ტერმინებს: "царство Грузинское" და "Грузия".

იმპერატორი პავლე I აცხადებდა:

1) ქართლ-კახეთის სამეფო სამუდამოდ უერთებოდა რუსეთის იმპერიას;

2) ქართლ-კახეთის მოსახლეობას შეუნარჩუნდებოდა ყველა უფლება და უპირატესობა, ასევე ქონება;

3) ქართლ-კახეთის მოსახლეობა დაცული იქნებოდა გარეშე მტ რთაგან და შინაგანი არეულობისაგან[27].

1801 წლის 11-12 მარტს, ღამით, შეთქმულებმა მოკლეს იმპერატორი პავლე I. ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარება დროებით შეფერხდა.

რუსეთის იმპერატორ პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთისათვის შეერთების თაობაზე უკანონო იყო:

პირველი. გიორგი XII-ის 1800 წლის 24 ივნისის „სათხოვარი პუნქტები" არ შეიძლებოდა გამხდარიყო ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების საფუძველი, რადგან გიორგი XII სრულად გარკვევით ითხოვდა, რომ „სათხოვარი პუნქტების" შესრულების (დამტკიცების) შემთხვევაში იგი უნდა დარჩენილიყო ქართლ-კახეთის მეფედ, მეფობა უნდა შენარჩუნებოდათ მის მემკვიდრეებსაც.

მეორე. გიორგი XII ითხოვდა არა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას და მის შეერთებას რუსეთთან, არამედ ქვეყნის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას, ე.ი. გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული „მფარველობა"

(„покровительство”) უნდა შეცვლილიყო სუვერენიტეტის შეზღუდვის თვალსაზრისითს ქართლ-კახეთისთვის გაცილებით უარესი „ქვეშევრდომობით” („подданство”).

მესამე. გიორგი XII-ის 1800 წლის 24 ივნისის „სათხოვარი პუნქტები” სამართლებრივი თვალსაზრისით, უნდა ჩათვლილიყო ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის გადასინჯვის საფუძვლად, როგორც ამას ტრაქტატის მეთორმეტე მუხლი ითვალისწინებდა და არავითარ შემთხვევაში – ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების საფუძვლად. გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები” პრაქტიკულად იყო ახალი ხელშეკრულების (ტრაქტატის) პროექტი, რომელიც იგივე წესით უნდა დადებულიყო, როგორც დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი (მხარეების მიერ ტრაქტატის პროექტის მომზადება, სრულუფლებიანი დელეგაციების დანიშვნა, მოლაპარაკება, ტრაქტატის დადება, რატიფიკაცია და გამოქვეყნება).

მეოთხე. პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით უგულებელყოფილი იქნა არა მარტო გეორგიევსკის ტრაქტატის, არამედ თავად გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტების” ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა – ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნება, გიორგი XII-ისა და მისი მემკვიდრეების მეფობის გაგრძელება.

ამრიგად, პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი იყო უკანონო. მანიფესტი უხეშად არღვევდა გეორგიევსკის ტრაქტატს (1783 წ.) და უგულებელყოფდა გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტების” უმთავრეს მოთხოვნას.

პავლე I-ზე გაცილებით ფრთხილი აღმოჩნდა მისი მემკვიდრე ალექსანდრე I (1801-1825). პავლე I-ის მანიფესტმა კანონონის ძალა ვერ მიიღო. გარკვეული ფიქრისა და განსჯის შემდეგ ალექსანდრე I-მა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო მაინც გააუქმა. ალექსანდრე I შეეცადა დაესაბუთებინა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების აუცილებლობა და კანონიერება (მანიფესტში ქართლ-კახეთის სამეფოს ნაცვლად ვხვდებით ტერმინებს: “царство Грузинское” და “Грузия”).

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I ასე მიმართავდა ქართლ-კახეთის მოსახლეობას:

1) **ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობა და დაცვა ხდებოდა რუსეთის მონარქების მოვალეობა.** („Покровительство и верховная власть Российской Империи над Царством Грузинским всегда налагали на Монархов Российских и долг защиты") რუსეთის ჯარის გაწვევის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს თავს დაატყდა მრავალი უბედურება: ურწმუნოთა თავდასხმები, ქალაქებისა და სოფლების გაჩანაგება, ადამიანების გატაცება და ბოლოს დაპირისპირება სამეფო ოჯახის წევრებს შორის. **მტრები მზად იყვნენ თავს დასხმოდნენ და საბოლოოდ მოესპოთ ქართლ-კახეთის სამეფო.** (Окружающие вас хищные народы готовы были напасть на Царство Ваше и ненаказанно растерзать его остатки) **მთელ აზიაში ცნობილი ქართველთა სიმამაცეც კი ვერ იხსნიდა ქვეყანას დაღუპვისაგან.** („но даже и имя народа грузинскаго храбростью прежде столь славнаго во всей Азии, истребилось бы от лица земли").

2) რუსეთმა შეძლო ქართლ-კახეთის სამეფოს მტრების დაოკება, შეწყდა დაპირისპირება ქვეყნის შიგნით. ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთმა ითხოვა (იგულისხმება გიორგი XII-ის 'სათხოვარი პუნქტები" – ვ. გ.) ქვეყანაში უშუალოდ რუსული მმართველობის დამყარება (" ... и все вы, единодушно и торжественно воззвали власть Российскую управлять вами непосредственно").

3) როცა მე ტახტზე ავედი, უკვე გამოცემული იყო 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების თაობაზე. მე მსურდა, გამეგო, თუ შეიძლებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს პირვანდელი პირობებით რუსეთის იმპერიის მფარველობაში დარჩენა (იგულისხმება გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები – ვ. გ.). გაირკვა, რომ ქვეყანა დაღუპვის პირას იყო და იგი აუცილებლად დაიღუპებოდა, თუ მას რუსეთი არ შეიერთებდა ("столькратно вовлекало вас в бездну зол, на краю коей и ньне вы стоите, и в которую по всем соображениям должны бы будете низвергнуться, если мощная рука справедливой власти от падения сего вас не удержит"). ამ ვითარებამ და ქართველი ერის თხოვნამ გადაგვაწყვეტინა, დაგვეცვა ერთმორწმუნე ქვეყანა. თქვენი იმედები გამართლდება, თქვენ მოტყუებულნი არ დარჩებით.

4) ქართლ-კახეთის სამეფოს მართვა ჩვენ იმიტომ კი არ გადავწყვიტეთ, რომ ისედაც უზარმაზარი იმპერიის ტერიტორია გაგვეფართოებინა („Не для приращения сил, не для корысти, не для распространения пределов и так уже

обширнейшей в свете Империи, приемлем Мы на себя бремя управления Царства Грузинскаго”), არამედ იმიტომ, რომ, ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობიდან გამომდინარე, ყუ-რად ვიღეთ წამებულთა ხვეწნა-მუდარა. („и глас Грузинскаго народа, преклонили нас не оставить и не предать на жертву язык единоверный”) ქართლ-კახეთში შემოღებულმა მმართ-ვე-ლობამ ქვეყანაში უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება, კანონის დაცვა.

5) ქართლ-კახეთის მოსახლეობა შეიტყობს კეთილი მმართველობის ფასს: ქვეყანაში დამკვიდრდება მშვიდობა, მართლმსაჯულება, პირადი და ქონებრივი უსაფრთხოება; აღიკვეთება თვითნებობა; შეიქმნება პირობები პირადი, საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის; განვითარდება მიწათმოქმედება, რეწვა, ვაჭრობა. კანონი ყველას ერთნაირად დაიცავს.

6) რუსეთის იმპერატორი ქართლ-კახეთის მოსახლეობას აღუთქვამდა, რომ რუსული მმართველობის შემოღება მათთვის ჯილდო იქნებოდა (“Избытки и благоденствие ваше будет приятнейшею и единою для вас наградою”)[28].

ასე გათელა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ფეხქვეშ გეორგიევსკის ტრაქტატით გარანტირებული ქართლ-კახეთის სამეფო სახლის, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის უფლებები. ასე დასრულდა საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია.

ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი დასაბუთებულობის თვალსაზრისით, გაცილებით უკეთესადაა შედგენილი, ვიდრე პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი, თუმცა, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების აუცილებლობა და კანონიერება ალექსანდრე I-მა ვერ დაასაბუთა:

პირველი. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში ყურადღება გამახვილებულია ისლამური სამყაროდან მომდინარე საფრთხეზე და ქართლ-კახეთის სამეფოს უძლურებაზე დაეცვა დამოუკიდებლობა. ესაა უსუსური არგუმენტი. გეორგიევსკის ტრაქტატით, განსაკუთრებით მეორე, მესამე და მეოთხე სეპარატული (საიდუმლო) მუხლებით რუსეთი ვალდებულებას იღებდა საგარეო საფრთხისაგან (მტრების შემოსევისაგან) დაეცვა ქართლ-კახეთის სამეფო. სწორედ ამ მიზნით უნდა მდგარიყო ქართლ-კახეთის

ტერიტორიაზე რუსეთის ჯარი. ქართლ-კახეთის სამეფოს ისლამურ სამყაროსთან დამოუკიდებლად ბრძოლა რომ შეძლებოდა ერეკლე II, ცხადია, გეორგიევსკის ტრაქტატს არც დადებდა. რუსეთმა ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა. 1787 წელს რუსეთის ჯარმა ქართლ-კახეთი დატოვა. რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფოს არც დიპლომატიური და არც სამხედრო დახმარება არ აღმოუჩინა აღა-მაჰმად ხანის ლაშქრობის წინ და ლაშქრობის დროს (1795 წ.). რუსეთს რომ გეორგიევსკის ტრაქტატი პირნათლად შეესრულებინა ვერც ირანი და ვერც ლეკები ქართლ-კახეთის სამეფოს საფრთხეს ვერ შეუქმნიდნენ. ასე რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გარე ძალამ (ირანმა და ლეკებმა) საფრთხე შეუქმნა რუსეთის მოდალატური პოლიტიკის წყალობით – რუსეთის მხრიდან გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შეუსრულებლობის გამო.

მეორე. 1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და მალე მთელი საქართველო დაიპყრო. ამის შემდეგ რუსეთმა წარმატებით დაიცვა, როგორც ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს, ისე საქართველოს მთელი ტერიტორია, ისლამური სამყაროს აგრესიისაგან – 1804-1813 წლების ომში სასტიკად დაამარცხა ირანი, ხოლო 1806-1812 წლების ომში წარმატებით აღკვეთა ოსმალეთის რევანშისტული მისწრაფებანი და არ დაუშვა იმერეთში, გურიაში სამეგრელოსა და აფხაზეთში ოსმალეთის პოზიციების აღდგენა. მაშინა რა უშლიდა ხელს რუსეთს იგივე მოემოქმედებინა 1783-1801 წლებში – არ დაეშვა ქართლ-კახეთის სამეფოს გაჩანაგება ირანისა და ლეკების მიერ? ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარი წინასწარგანზრახვით მოქმედებდა და გეგმაზომიერად ასუსტებდა ქართლ-კახეთის სამეფოს, რათა მისი დაპყრობა გაეადვილებინა.

მესამე. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში ყურადღება გამახვილებულია ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილ სახელმწიფოებრივ კრიზისზე, რაც თითქოს შეუძლებე ს ხდიდა სახელმწიფოს შენარჩუნებას. ცხადია, ესეც უსუსური არგუმენტია. სახელმწიფოებრივი კრიზისი ქართლ-კახეთის სამეფოში არ არსებობდა 1770 წლისათვის – რუსეთ-ქართლ-კახეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადებამდე. ერეკლე II-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან საფრთხეს უქმნიდა ისლამურ სამყაროს. მალე რუსეთმა ყოფილი მოკავშირე მიატოვა და ბედის ანაბარა დააგდო. შეიქმნა უმძიმესი მდგომარეობა. ამიტომ იყო, რომ

1772 წლიდან ერეკლე II დიდის მონდომებით ცდილობდა რუსეთის მფარველობაში შესვლას, რათა თავი დაეხსნა მოსალოდნელი საგარეო საფრთხისგან. რუსეთი კი ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ რაიმე კონკრეტული ვალდებულების აღებას 1783 წლამდე აჭიანურებდა. ერეკლე II გამოუვალ მდგომარეობაში იყო. წარუმატებელმა საგარეო პოლიტიკამ თავისთავად შეუწყო ხელი ქვეყნის შეგნით კრიზისის დაწყებას და შემდგომ მის გაძლიერებას. საშინაო და საგარეო მდგომარეობის სტაბილიზაციის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ.). ეს ას ხვ მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის იმპერიამ ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა. ასე რომ სახელმწიფოებრივი კრიზისი ქართლ-კახეთის სამეფოში მეტწილად გამოწვეული იყო რუსეთის იმპერიის ვერაგული პოლიტიკით, რომლის მიზანი იყო ქვეყნის დასუსტება შემდგომში მისი ადვილად დაპყრობის მიზნით.

ამრიგად, ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი, როგორც ისტორიული, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით უსუსური დოკუმენტი იყო. მანიფესტის შემდგენლებმა ვერ დაასაბუთეს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების ვერც გარდაუვალობა და ვერც კანონიერება. მსგავსი უსამართლობა მანამდეც და შემდგომშიც ხდებოდა მსოფლიოში, მაგრამ ეს ჩვენ – დღევანდელ ქართველობას არ გვართმევს იმის უფლებას რომ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის უსამართლობა ვამტკიცოთ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეტის იმპერიას შორის არსებული დიპლომატიური სამხედრო პოლიტიკური ურთიერთობების შეფასება მოცემულია ბოლო წლებში ჩვენს

მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში: **ვ.გურული.** ერთმორწმუნე რუსეთი (თბილისი, 2008), **ვ.გურული.** საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1801) (თბილისი, 2009) და სხვ.

2. **П. Бутков.** Матерялы для новой истории Кавкваза. Ч. I-III. СПБ., 1869; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Пад редакции **А.А. Цагарели.** Том II, Выпуск II. СПБ., 1901; Акты собраннье Кавказскою археографическою коммиссею. Пад редакцией **А. Д. Берже.** Том I. Тифлис, 1866; **ი. ცინცაძე** 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი. თბილისი, 1960; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983; **გ. პაიჭაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი 1983.

3. **Архив внешней политики России**, ф Сн. России с Грузией, 1769-1776 гг., оп 110/2, д.12, лл. 462,482; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 59,61.

4. **АВПР**, ф Сн. России с Грузией, 1769-1776 гг., оп 110./2, д. 12, лл. 462,482; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 59,61.

5. **АВПР**, ф Сн. России с Грузией, 1769-1776 гг., оп 110./2, д. 12, лл. 480, 484 об.-485; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 60-62.

6. **АВПР**, ф Сн. России с Грузией, 1769-1776 гг., оп 110./2, г. 12, лл. 459, 457; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 62-63.

7.**АВПР,** ф Сн. России с Грузией, 1776-1804 гг., оп 110./2, г. 18, л. 66; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 64.

8. **АВПР,** ф Сн. России с Грузией, 1776-1804 гг., оп 110./2, г. 18, л. 66; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 64.

9. **АВПР,** ф Сн. России с Грузией, 1776-1804 гг., оп 110./2, г. 18, л. 67; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 65.

10. **АВПР,** ф Сн. России с Грузией, 1776-1804 гг., оп 110./2, г. 18, л. 67 об.; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 65.

11. **АВПР,** фТрактаты, оп 2 (466 а), д. 178, лл. 3,9; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 67,73.

12. **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 68,74.

13. იქვე, გვ. 68, 74.
14. იქვე, გვ. 68, 74.
15. იქვე, გვ. 69, 75.
16. იქვე, გვ. 69, 75.
17. იქვე, გვ. 69, 75.
18. იქვე, გვ. 69, 75.
19. იქვე, გვ. 69, 75.
20. იქვე, გვ. 70-71, 76.
21. იქვე, გვ. 71, 77.
22. იქვე, გვ. 71, 77.
23. იქვე, გვ. 71, 77.
24. **АВГР,** фТрактаты, оп 2 (466 а), д. 178, л. 8; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 72,73.
25. **АВГР,** фТрактаты, оп 2 (466 а), д. 178, лл. 5 об; 12; **ვ. მაჭარაძე.** გეორგიევსკის ტრაქტატი. თბილისი, 1983, გვ. 76.
26. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. Под редакции **АА. Цагарели.** Том II, Выпуск II. СПБ., 1901, стр. 292-294.
27. Акты, собраннье Кавказскою археографическою коммиссею Под редакцией **А. Д. Берже.** Том I. Тифлис, 1866, стр 121.
28. Акты, собраннье Кавказскою археографическою коммиссею Под редакцией **А. Д. Берже.** Том I. Тифлис, 1866, стр 132-133.

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა,”** 2009, №190-192, 24 სექტემბერი, გვ. 4; 2009, № 194, 29 სექტემბერი, გვ. 5; 2009, № 195 – 197, 30 სექტემბერი, გვ. 6.*

9. რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა?

წერილის სათაურში გამოტანილი კითხვა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა **ნიკო ბერძენიშვილმა** დასვა. კითხვას თავადვე უპასუხა: **რუსეთი მოდიოდაო.** იქვე მკვლევარმა ასეთი შენიშვნა გააკეთა: რუსეთის პოლიტიკა ზოგიერთ ისტორიკოსზე უკეთესად მთავარმართებელ **ალექსი ერმოლოვს** ესმოდაო. ნიკო ბერძენიშვილი ჭეშმარიტებას ბრძანებდა!

საქართველოში პრორუსული ორიენტაცია ერეკლე II-ს არ შეუმუშავებია, იგი ერეკლეს გამეფებამდე კარგა ხნით ადრე შემუშავდა. რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური დახმარებით, ისლამური სამყაროს (ირანის, ოსმალეთის) აგრესიისგან დაცვის პირველი მცდელობა კახთა მეფე **ალექსანდრე I-ს (1476-1511)** ეკუთვნის. პრორუსული ორიენტაციით ქვეყნის ხსნას ცდილობდნენ კახთა მეფეები **ლევანი (1518-1574)** და **ალექსანდრე II (1574-1605).** პრორუსული ორიენტაცია ძვირად დაუჯდა კახეთის სამეფო სახლს. ირანის შაჰმა, როგორც კი იგრძნო, რომ რუსეთის მეფე კახეთის დაცვისთვის თავს არ გამოიდებდა, 1605 წელს ალექსანდრე II და მისი ვაჟი გიორგი ვერაგულად მოაკვლევინა. ამის მიუხედავად, ალექსანდრე II-ის შვილიშვილი მეფე **თეიმურაზ I (1606-1663)** არა მარტო პრორუსულ ორიენტაციას აგრძელებდა, არამედ, პირადად გაემგზავრა რუსეთში სამხედრო-პოლიტიკური დახმარების დასაჩქარებლად. პრორუსული ორიენტაცია თეიმურაზ I-საც ძვირად დაუჯდა.

XV-XVIII საუკუნეებში ქართველი მეფეების პრორუსული ორიენტაციის მარცხი იმით იყო გაპირობებული, რომ ამ პერიოდში რუსეთი სამხრეთ კავკასიაში რეალურ ძალას არ წარმოადგენდა. რუსეთის მეფეები სამხრეთ კავკასიისთვის ირანთან და ოსმალეთთან ომების დაწყებას არ აპირებდნენ.

სამხრეთ კავკასიაში პოზიციების მოპოვება პირველად **პეტრე I-მა (1689-1725)** სცადა. 1796 წელს რუსეთი აზოვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნას შეეცადა. 1696 წელს

რუსებმა აზოვის ციხე აიღეს. ამის შემდეგ ომი შეწყდა, მაგრამ საზღვაო ხელშეკრულება მხოლოდ 1700 წლის 3 ივლისს დაიდო სტამბოლში. საზავო ხელშეკრულების პრეამბულაში, პეტრე I-ის ტიტულატურაში სხვა ტიტულებთან ერთად ვკითხულობთ: **„ივერიის ქვეყნის, ქართლისა და საქართველოს მეფეების მბრძანებელი და ხელმწიფე"** („повелитель и государь Иверской земли, Карталинских и Грузинских цареи"). ცხადია, პეტრე I-ის ტიტულატურაში საქართველოს მოხსენიებას ოსმალეთი იმიტომ დაეთანხმა, რომ **„ივერიაში", „ქართლსა"** და **„საქართველოში"** რუსები და ოსმალები გულისხმობდნენ არა დასავლეთ, სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (იმერეთის სამეფოს„ სამცხე-საათაბაგოს, აჭარას, სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებს), რომელიც ოსმალეთს ეკუთვნოდა, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლისა და კახეთის სამეფოებს), რომელიც ირანს ეკუთვნოდა.

აზოვისპირეთში მოპოვებული წარმატებების შემდეგ, 1722 წელს, პეტრე I-მა, დარუბანდის გავლით, კასპიისპირეთში შეჭრა და ირანის პროვინციების დაკავება სცადა. პეტრე I-ის სამხედრო მოკავშირედ გამოვიდა ქართლის მეფე **ვახტანგ VI.** 1722 წელს პეტრე I-მა დარუბანდი აიღო, მაგრამ ლაშქრობა აღარ გაუგრძელებია. რუსეთისგან მიტოვებული ვახტანგ VI მისი პრორუსული ორიენტაციით აღშფოთებული ისლამური სამყაროს (ოსმალეთის, ირანის) წინაშე მარტო დარჩა და ტახტიც დაკარგა (რუსეთში გადაიხვეწა). პეტრე I-მა ირანთან ომი გააგრძელა. 1723 წელს რუსემბა დაიკავეს **ბაქო** და მტკვრის შესართავი – **სალიანი.** რუსეთ-ირანის 1722-1723 წლების ომი საზავო ხელშეკრულებით დასრულდა, რომელიც 1723 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში დაიდო. შინაარსლილობით დასუსტებულმა ირანმა რუსეთს დაუთმო ტერიტორიის ნაწილი: **დარუბანდი, ბაქო, გილიანის, მაზანდარანისა** და **ასტრაბადის** პროვინციები.

პეტერბურგის ზავის პირობებით (რუსეთის მიერ ირანის ტერიტორიის ნაწილის მოტაცებით) დიდად უკმაყოფილო დარჩა ოსმალეთი. ცხადი იყო, რომ XVIII საუკუნის დამდეგიდან სამხრეთ კავკასიაში გაბატონებისთვის მიმდინარე ირან-ოსმალეთის ომებში რუსეთი ჩაერია და სერიოზულ წარმატებებსაც მიაღწია. ოსმალეთი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ დასუსტებული ირანი მისთვის სერიოზულ მეტოქეს აღარ წარმოადგენდა, რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიის საქმეებში ჩარევამ კი

ოსმალეთს საქმე გაურთულა. 1724 წლის 12 ივნისს სტამბოლში დაიდო რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება. ოსმალეთმა აღიარა რუსეთის მიერ ირანის ტერიტორიის ნაწილის მიტაცება. სამაგიეროდ, რუსეთმა ცნო ქართლისა და კახეთის ირანის მფლობელობიდან ოსმალეთის მფლობელობაში გადასვლა. 1724 წლის 12 ივნისის რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება მეტად მნიშვნელოვანია იმითაც, რომ პრაქტიკულად, მხარეები შეთანხმდნენ მთლიანად არ დაეპყროთ ირანის ტერიტორია. რუსეთი უნდა დაკმაყოფილებულიყო გილიანის, მაზანდარანისა და ასტრაბადის პროვინციებით (ცხადია, დარუბანდიც და ბაქოც რუსეთს რჩებოდა). ირანის ტერიტორიის ნაწილი ოსმალეთს ერგო. ეს, პრაქტიკულად, გავლენის სფეროების გაყოფას ნიშნავდა. რუსეთ-ოსმალეთის ეს გარიგება ჩაშაილა სამოღვაწეო ასპარეზზე ირანის ცნობილი სარდლისა და მომავალი შაჰის **ნადირის** გამოსვლის შემდეგ.

ამრიგად, 1723-1724 წლებში სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შეჭრა და ირანის ტერიტორიების მიტაცება ორი საერთაშორისო ხელშეკრულებით – პეტერბურგისა და სტამბოლის ხელშეკრულებებით – დადასტურდა. ერეკლე ამ დროისათვის 3-4 წლის ბავშვი იყო!

ირანმა გადაწყვიტა რუსეთის განდევნა მის მიერ მიტაცებული ტერიტორიებიდან, მაგრამ რუსებმა ირანის ჯარის დამარცხება შეძლეს. ამის მიუხედავად, რუსეთი დათმობებზე წავიდა. 1729 წლის 13 თებერვალის **რეშტის** საზავო ხელშეკრულებით რუსეთს ირანისათვის უნდა დაებრუნებინა მაზანდარანისა და ასტრაბადის პროვინციები, მაგრამ ინარჩუნებდა მიტაცებულ ტერიტორიებს კასპიისპირეთში.

რუსეთის აგრესიული მოქმედება ირანის სარდალმა **ნადირმა** აღკვეთა. 1732 წლის 21 იანვრის რუსეთ-ირანის **რეშტის** ხელშეკრულების ძალით, რუსეთს ირანისათვის უნდა დაებრუნრბინა გილიანისა და არტრაბადის პროვინციები. ამასთან ერთად რუსეთმა პირობა დასდო, რომ მომავალში ირანს დარუბანდსა და ბაქოს დაუბრუნებდა. ნადირმა რუსეთი აიძულა, რომ დანაპირები შეესრულებინა. 1735 წლის 10 მარტის რეშტის ხელშეკრულებით, რუსეთმა ირანს მართლაც დაუბრუნა დარუბანდი და ბაქო. ამრიგად, 1722-1735 წლებში რუსეთი აქტიურად ცდილობდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში დამკვიდრებას, სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ირანის ტერიტორიულ მთლიანობას. ამ შემთხვევაშიც

„რუსეთის მოყვანაში” ერეკლეს ვერ დავადანაშაულებთ. რუსეთი სამხრეთ კავკასიისთვის ბრძოლას იწყებდა. რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას კი განსაზღვრავდა რუსეთის იმპერიის ინტერესები და არა ქართველ მეფე-მთავართა პრორუსული ან ანტირუსული ორიენტაცია.

1735 წელს მამა-შვილმა თეიმურაზმა და ერეკლემ (არც ერთი ამ დროისათვის მეფე არ ყოფილა) გააკეთეს უაღრესად სწორი დასკვნა: **სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში ირანი რეალურ ძალას წარმოადგენდა, მას ოსმალეთი და რუსეთი წინააღდეგობას ვერ გაუწევდა.** ამ რეალობიდან გამომდინარე, თეიმურაზმა და ერეკლემ გადაწყვიტეს: **ოსმალთა და ლეკთა თარეშისგან გაჩანაგებული ქართლი და კახეთი ირანის სამხედრო-პოლიტიკური დახმარებით ეხსნათ.** ერეკლე და თეიმურაზი რომ პრაგმატისტი პოლიტიკოსები არ ყოფილიყვნენ და მხოლოდ რუსეთის ერთმორწმუნეობის იმედი ჰქონოდათ, მაშინ ისინი პრორუსულ ორიენტაციას აირჩევდნენ და არა პროირანულს. კახეთის სამეფო სახლი ამ შემთხვევაში სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში არსებულ ძალთა თანაფარდობას უწევდა ანგარიშს. სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია კი ყოველთვის გარესამყაროში შექმნილი ძალთა თანაფარდობიდან უნდა გამომდინარეობდეს.

პროირანულმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ შედეგი გამოიღო. ქართლსა და კახეთში ოსმალთა და ლეკთა გამაჩანაგებელი თარეში შეწყდა. 1744 წელს ნადირ-შაჰმა თეიმურაზს ქართლის, ხოლო ერეკლეს კახეთის ტახტი უბოძა. მეფეები ტახტზე ქრისტიანები ავიდნენ.

მომგებიანი პროირანული ორიენტაცია თეიმურაზ II-ს და ერეკლე II-ს არც ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდეგ (1747 წ.) შეუცვლიათ. მამა-შვილმა ირანის ახალ მბრძანებელთან **ქერიმ-ხანთან** კიდევ უფრო კარგი ურთიერთობა დაამყარეს. ოცდაათი წლის განმავლობაში ქართლისა და კახეთის მეფეები, თეიმურაზ II და ერეკლე II, რუსეთს სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირედ არ განიხილავდნენ. ქართლისა და კახეთის სტრატეგიული პარტნიორი ირანი იყო. ამავე დროს თეიმურაზი და ერეკლე მშვიდობიან ურთიერთობას ინარჩუნებდნენ ოსმალეთთან. პროირანული ორიენტაციის პრორუსულით შეცვლა მოგვიანებით მოხდა. ეს გაპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით.

პირველი. ირანი თანდათან სუსტდებოდა. თავის დროზე ქერიმ-ხანმა ირანი ვერ გააერთიანა და შაჰის

ტიტულიც ვერ მიიღო. ირანის დასუსტების პირობებში, პროირანულ ორიენტაციაზე დარჩენა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის წამგებიანი იქნებოდა. ერეკლე II-ს უნდა ამოეცნო: ირანის დასუსტების შემთხვევაში სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია ვის დარჩებოდა – რუსეთს თუ ოსმალეთს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალზე ძნელი იყო. ქართლ-კახეთის დაზვერვასა და დიპლომატიას თითქმის არავითარი ცნობები არ ჰქონდა რუსეთისა და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკურ გეგმებზე. ერეკლე მხოლოდ საკუთარი ინტუიციის იმედად უნდა ყოფილიყო. ვითარების გარკვევას ისახავდა მიზნად თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში (1760-1762). თეიმურაზ II-ს რუსეთის საიმპერატორო კარმა თავისი გეგმების შესახებ, ცხადია, არაფერი გაანდო. კიდევ უფრო ძნელდებოდა ვითარების გარკვევა ოსმალეთის სულთნის კარზე.

მეორე. 1768 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი, რომელიც 1774 წელს რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. რუსეთის საიმპერატორო კარი ვარაუდობდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმებოდა იმერეთის სამეფო, რადგან სოლომონ I-ს ოსმალეთთან ომები ჰქონდა და ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. პეტერბურგში ფიქრობდნენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მიმხრობა გაჭირდებოდა, რადგან ერეკლე II-ს ოსმალეეთთან იმ დროს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა და შეეცდებოდა ეს ურთიერთობა შეენარჩუნებინა. გარდა ამისა, ერეკლე II-ს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმას არც ირანის მბრძანებელი ქერიმ-ხანი მოუწონებდა. ქართლ-აკხეთის სამეფო ირანის ვასალად ითვლებოდა და ერეკლე II-ის ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა გაართულებდა ირან-ოსმალეთის ურთიერთობას. მიუხედავად ამისა, ერეკლე II-მ ჩათვალა: ნეიტრალიტეტის შენარჩუნებით იგი ოსმალეთს კი მოიმადლიერებდა (ოსმალეთის ელჩები თბილისში ჩამოვიდნენ ნეიტრალიტეტის დაცვის თხოვნით), მაგრამ რუსეთს გაანაწყენებდა. თუ რუსეთი ოსმალეთთან ომში გაიმარჯვებდა და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიაში შეჭრასაც ეცდებოდა, ნეიტრალიტეტი ერეკლეს შეიძლება ძვირად დაჯდომოდა. არ იყო გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფო სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ირანული სახანოების რანგში განეხილა, ანუ, მტრულ ძალად მიეჩნია. ოსმალეთის წინააღმდეგ ომში რუსეთს რომ მიემხრო, ერეკლეს

კონკრეტული მიზანიც ამოძრავებდა. საქართველოში შემოსული რუსეთის საექსპედიციო კორპუსის დახმარებით ერეკლე სამცხე-საათაბაგოს განთავისუფლებას გეგმავდა. 1768-1769 წლებში ერეკლე II-ს არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყებას არ აპირებდა და იმხანად მის გეგმებში სამცხე-საათაბაგოს განთავისფლება არ შედიოდა. ზემოხსენებვული მიზეზების გამო, ერეკლე II-მ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის გადაწყვეტილება მიიღო – ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მოკავშირე გახდა.

ერეკლე II-ის სტრატეგია, ანუ პროირანული ორიენტაციის პრორუსულით შეცვლა ლოგიკური იყო. ამასთან ერთად ერეკლე II-მ ვერ გათვალა რამდენიმე კონკრეტული საკითხი: 1) ირანის დასუსტების და მისი დაშლის ტემპები; 2)რუსეთის მიერ სამხრეთ-კავკასიიდან ირანისა და ოსმალეთის გაძევების ზუსტი ვადები. შეეძლო თუ არა ერეკლე II-ს ამ ყველაფრის ზუსტად განსაზღვრა? ცხადია არა. ერეკლე II-ს, ქართლ-კახეთის სამეფოს დაზვერვასა და დიპლომატიას ასეთი რთული საკითხების გასარკვევად აუცილებელი ინფორმაცია არ გააჩნდა. რუსეთის მოსვლა სამხრეთ-კავკასიაში დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა რუსეთ-ევროპის ურთიერთობა (ბრძოლა ჟეჩ-პოსპოლიტას გადანაწილებისათვის), რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა (ბრძოლა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ბალკანეთისათვის) და ა.შ. ერეკლე II-ს არც ირანში მიმდინარე შიდა პროცესების ზუსტი პროგნოზირება შეეძლო.

საბოლოოდ, რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შემოჭრა დაახლოებით ოცდაათი წლით შეფერხდა. ქერიმ-ხანის გარდაცვალების (1779 წ.) შემდეგ ირანის დაშლა დროებით შეაჩერა აღა-მაჰმად-ხანმა და ქვეყნის მნიშვნელოვანმ ნაწილზე თავისი ძალაუფლება გაავრცელა. ეს ორი მოვლენა (რუსეთის შეფერხება და ირანის გაერთიანება) გახდა ქართლ-კახეთის სამეფოს დაღუპვის მიზეზი.

ყოველივე ამას დაემატა რუსეთის ვერაგული პოლიტიკა. რუსეთის საიმპერატორო კარი ერეკლე II-ს ჭკვიან დიპლომატად და გამოცდილ მხედართმთავრად მიიჩნევდა. რუსეთი ანგარიშს უწევდა იმას, რომ ერეკლეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მთელს კავკასიაში, ირანსა და ოსმალეთში. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს

და მომდევნო წლებში რუსეთის საიმპერატორო კარის შეხედულება იცვლება. რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა სერიოზულად შეისწავლეს ქართლ-კახეთის მდგომარეობა და დაასკვნეს: ქვეყნის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იყო, დემოგრაფიული ვითარება – კატასტროფული, რაც გავლენას ახდენდა ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობაზე. ერეკლე II-ს, ქართლის თავადების სახით, ქვეყნის შიგნით ჰყავდა დიდი ოპოზიცია, რომელიც მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა. რუსებს არც სამეფო კარზე არსებული დაპირისპირება დარჩენიათ შეუმჩნეველი. რუსეთის საიმპერატორო კარმა უაღრესად ზუსტად შეაფასა არსებული ვითარება და პეტერნურგში ქართლ-კახეთის სამეფოსათვის საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღეს: **სამხრეთ კავკასიიდან ირანისა და ოსმალეთის გაძევებისათვის მომავალ ომებში ერეკლე II სერიოზულ მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ადგილი აღარ რჩებოდა.**

სწორედ, ზემოხსენებული გადაწყვეტილების გამო იყო, რომ რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას 1772 წლიდან 1783 წლამდე აჭიანურებდა. ერეკლე II ინტუიციით ხვდებოდა, რომ რუსეთი ვალდებულების აღებას ერიდებოდა. ერეკლე ყოველ ღონეს ხმარობდა მფარველობითი ხელშეკრულება დროზე გაეფორმებინა. ერეკლე II ცდილობდა ცდილობდა რუსეთის დაინტერესებას და საიმპერატორო კარს ქართულ-რუსული ჯარით ირანის ტერიტორიის დაკავებას სთავაზობდა. ერეკლეს სურდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის კავკასიური პოლიტიკის რეალიზებაში არსებითი როლი შეესრულებინა – რუსეთის მოკავშირედ გამოსულიყო. რუსეთი ერეკლეს ინიციატივას არად აგდებდა და, როგორც აღვნიშნეთ, ქართლ-კახეთის სამეფოს მოკავშირედ არ განიხილავდა, სამხრეთ-კავკასიაში გაბატონებას ერეკლეს დახმარების გარეშე აპირებდა. გეორგეევსკის ტრაქტატის (1783 წ.) პირობები ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის მისაღები იყო. **ცუდი და მიუღებელი ის იყო, რომ რუსეთი ტრაქტატის შესრულებას არ აპირებდა.** ასეთი გადაწყვეტილება რუსეთის საიმპერატორო კარზე შემთხვევით არ მიუღიათ, იგი 1783 წელსვე იყო ცნობილი. რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლით (გეორგეევსკის ტრაქტატით) ერეკლე II ქართლ-კახეთის გადარჩენასა და გაძლიერებას, საუკუნეების განმავლობაში მტრის მიერ მიტაცებული

ტერიტორიების დაბრუნებას აპირებდა. **ცხადია, 1783 წლისათვის ერეკლე II-ს არ შეიძლება სცოდნოდა, რომ რუსეთი მას მოკავშირედ აღარ განიხილავდა და, აქედან გამომდინარე, არც გეორგეევსკის ტრაქტატის შესრულებას აპირებდა.** რუსეთი დაადგა მფარველობაში მიღებული სამეფოს დასუსტების გზას, მისი შემდგომი დაპყრობის მიზნით. ამიტომ იყო რომ, **ეკატერინე II-ს (1762-1796), პავლე I-ს (1796-1801)** და **ალექსანდრე I-ს (1801-1825)** ტრაქტატის არც ერთი პირობა არ შეუსრულებიათ. 1784 წელს თბილისში შემოსული რუსეთის ჯარის მცირე კონტინგენტი 1787 წელს უკანვე გაიწვიეს და მხოლოდ ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1799 წელს, შემოიყვანეს. რუსეთმა საქართველო არ დაიცვა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს 1795 წელს. 1783 წლიდან (გეორგეევსკის ტრაქტატის დადებიდან) 1798 წლამდე (ერეკლე II-ის გარდაცვალებამდე) ქართლ-კახეთი ისე დასუსტდა, რომ რუსეთმა მისი დაპყრობა უმტკივნეულოდ მოახერხა. 1799 წელს თბილისში შემოსულ რუსეთის ჯარს მიზნად ჰქონდა არა გეორგეევსკის ტრაქტატის პირობების დაცვა, არამედ დასუსტებული ქვეყნის დაპყრობა ტრაქტატის დადებით ერეკლე II-მ რუსეთის მხრიდან ქართლ-კახეთის სამეფოს მიმართ სერიოზული ვალდებულებების აღიარების მიაღწია. ამაზე მეტის გაკეთება ერეკლე II-ს არ შეეძლო. დიდი და პატარა ქვეყნების ურთიერთობა იმ ეპოქაში ყველგან ერთი და იგივე სცენარით ვითარდებოდა.

რა მოხდებოდა, რომ ერეკლე II რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს რუსეთის სამხედრო მოკავშირედ არ გამოსულიყო? რა მოხდებოდა, რომ ერეკლე II-ს 1783 წელს გეორგეევსკის ტრაქტატი არ დაედო? შეინარჩუნებდა თუ არა ქართლ კახეთის სამეფო დამოუკიდებლობას? ამ კითხვებზე ჩვენი პასუხი ასეთია. **ქართლ-კახეთის სამეფო, მთელი საქართველო და სამხრეთ კავკასია დარჩებოდა იმას, ვინც ირან-ოსმალეთ-რუსეთის ხანგრძლივ დაპირისპირებაში გაიმარჯვებდა.** ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ ორიენტაციას, ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. დიდ პოლიტიკას დიდი სახელმწიფოები განსაზღრავენ, პატარა ქვეყნები შედეგს ელოდებიან და, ადრე თუ გვიან, უმეტეს შემთხვევაში, არსებულ რეალობას ეგუებიან. ასე მოხდა ბალტიისპირეთში, აღმოსავლეთ ევროპაში, ბალკანეთზე, სამხრეთ კავკასიაში, მსოფლიოს ბევრ სხვა რეგიონში. ეს დიდი პოლიტიკის კანონზომიერებაა. **ერეკლე II-ს**

შთამომავლობა პატივს უნდა მიაგებდეს იმის გამო, რომ მთელი თავის ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, დიდი პოლიტიკისაგან განწირული სამშობლოს გადარჩენას ცდილობდა.

პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა,"** 2008, № 198, 22 ოქტომბერი, გვ. 5.

10. ერეკლე II

ერეკლე II-მ საქართველოს გამოხსნისა და აღორძინებისთვის ბრძოლას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. ადრეული ჭაბუკობიდან, ჯერ კახეთის, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე ცდილობდა ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენას სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში. იმ რეგიონში, რომლის დაუფლებისთვისაც ბრძოლა ჰქონდა გაჩარებული სამ დიდ იმპერიას – ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს. მეფე ერეკლე, ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი, პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის ნიჭით უხვად დააჯილდოვა ღმერთმა. ქვეყნის გადარჩენისთვის ერეკლემ იმაზე მეტი გააკეთა ვიდრე შესაძლებელი იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს დაცემა და შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა შედეგი იყო დიდი პოლიტიკისა. საქართველო დარჩებოდა იმას, ვინც ირან-ოსმალეთ-რუსეთის ხანგრძლივ დაპირისპირებაში გაიმარჯვებდა. ეს გამარჯვება რუსეთს ერგო.

ერეკლე II დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს თელავში. ერეკლეს მამა **თეიმურაზი** იყო შვილი ერეკლე I ნაზარალიხანისა, დედა – **თამარი** – ვახტანგ VI-ის ასული. ერეკლეს ბავშვობისა და სიყმაწვილის პერიოდში ქართლისა და კახეთის სამეფოები უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა.

XVII საუკუნის 20-30-იანი წლებისათვის გამწვავდა ირან-ოსმალეთს-რუსეთის ბრძოლა სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. 1722 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა ლაშქრობა დაიწყო და დარუბანდი დაიკავა, მაგრამ შემდგომ ლაშქრობა აღარ გაუგრძელებია. პეტრე I-ის ამგვარმა მოქმედებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ირანის წინააღმდეგ რუსეთის მოკავშირე, ქართლის მეფე ვახტანგ VI. ამ დროისათვის ირანი მძიმე მდგომნარეობაში იმყოფებოდა – დედაქალაქს ავღანელბი უტევდნენ. 1723 წლის მაისში კახეთის გამაჰმადიანებულმა მეფემ, ერეკლე II-ის უფროსმა ბიძამ კონსტანტინემ ირანელთა დახმარებით თბილისი დაიკავა. ამის საპასუხოდ ოსმალეთმა ირანთან დადებული ზავი დაარღვია და 1723 წლის ივნისში თბილისი აიღო. გააქტიურდა რუსეთიც. 1723 წლის ივლისში რუსებმა

ბაქო აიღეს. 1723 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგში რუსეთსა და ირანს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც დარუბანდი და ბაქო, ასევე გილიანის, ასტრაბადისა და მაზანდარანის პროვინციები რუსეთს დარჩა. 1724 წლის 12 ივნისს სტამბოლში ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება. რუსეთმა აღიარა ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალეთის ხელში გადასვლა. ქართლისა და კახეთის სამეფოების ოსმალეთის ხელში გადასვლა დადასტურდა ირან-ოსმალეთის 1731 წლის ჰამადანის ზავით.

ოსმალთა და ლეკთაგან აკლებულ კახეთში სამეფო ოჯახს აღარ დაედგომებოდა. თეიმურაზი ოჯახითურთ ფშავში გაიხიზნა. მალე მამამ თხუთმეტი წლის ერეკლე ალავერდში გაგზავნა, რათა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას ჩასდგომოდა სათავეში. ერეკლემ ჯარი შეკრიბა, 1735 წელს ქიზიყიდან მომავალ ლეკებს **ნეიშინის** ველზე შეებრძოლა და სასტიკად დაამარცხა. ლეკთა უმრავლესობა ბრძოლაში დაიღუპა. ერეკლემ მტერს დიდძალი ტყვე (სოფლებში მოტაცებული ქართველები) და ნადავლი დაატოვებინა. ნეიშინის ველზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით დაიწყო ერეკლეს მიერ გადახდილი ომების სერია.

ირანის დასუსტებით ისარგებლეს ოსმალეთმა და რუსეთმა, რომლებიც ირანის ტერიტორიის გადასანაწილებლად ემზადებოდნენ. ირანისთვის ამ საბედისწერო ჟამს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ირანის შაჰის სარდალი ნადირი. 1729 წელს ნადირმა ისპაჰანთან სასტიკად დაამარცხა ავღანელები, ხოლო 1730 წელს ისინი საერთოდ განდევნა ქვეყნიდან. ამის შემდეგ ნადირმა რამდენიმეჯერ დაამარცხა ოსმალები და 1735 წლისათვის ისინი ირანიდან განდევნა. კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენლებმა თეიმურაზმა (მომავალმა მეფემ თეიმურაზ II-მ) და მისმა ვაჟმა ერეკლემ (მომავალმა მეფემ ერეკლე II-მ) ოსმალთა და ლეკთა თარეშისაგან ქართლისა და კახეთის სამეფოების

დახსნა ირანის დახმარებით გადაწყვიტეს და ნადირს მიეხმარნენ. 1735 წელს ნადირმა თეიმურაზის დახმარებით ოსმალები თბილისიდან განდევნა. საქართველოდან წასვლის წინ ნადირმა თბილისში ქართლის სამეფოს განმგებლად სეფი-ხანი დატოვა, ხოლო თელავში კახეთის სამეფოს განმგებლად – თეიმურაზის ძმის, კონსტანტინეს, გამაჰმადიანებული ვაჯი – ალი-მირზა, ანუ ალექსანდრე ბატონიშვილი. 1736 წელს ნადირმა თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. სახელგანთქმული

სარდალი ინდოეთში სალაშქროდ ემზადებოდა. სეფი-ხანმა და ალი-მირზამ ქვეყანაში წესრიგი ვერ დაამყარეს. ხალხის ძლიერი უკმაყოფილება სეფი-ხანმა ქართველებს დააბრალა. მან თეიმურაზი, გივი ამილახვარი და სხვები გორში მიიწვია, ყველანი ღალატით შეაპყრობინა და ბორკილდადებული ირანში გაგზავნა. თეიმურაზი ნადირ-შაჰის რისხვას შედარებით ადვილად გადაურჩა. შაჰმა იგი ავღანეთში სალაშქროდ წაიყვანა, ხოლო შემდეგ კახეთიდან მისი შვილების, **ერეკლესა** და **ქეთევანის** დაბარება მოსთხოვა. ყანდაღარის ციხის აღების შემდეგ ნადირ-შაჰმა თეიმურაზი საქართველოში გამოაბრუნა, ხოლო ერეკლე ინდოეთში სალაშქროდ მიმავალმა თან იახლა. მძიმე და ხანგრძლივი ლაშქრობის დროს ნადირ-შაჰს ერეკლე მუდამ თან ახლდა. ერეკლემ მრავალ ბრძოლაში გამოიჩინა თავი. ინდოეთში ლაშქრობის დასრულების შემდეგ, შაჰმა ერეკლე უხვად დააჯილდოვა და ამალასთან ერთად საქართველოში გამოისტუმრა. ერეკლე საქართველოში 1739 წლის დეკემბერში დაბრუნდა.

1741 წლის გაზაფხულზე ნადირ-შაჰმა დაღესტანზე ილაშქრა. ირანის ჯარს სურსათ-სანოვაგით ქართლ-კახეთის მოსახლეობა ამარაგებდა, რაც ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა. მალე ქართლში, **გივი ამილახვარის** წინამძღოლობით, დიდი აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებს ოსმალეთის სულთანმა ჯარი მიაშველა. გივი ამილახვარმა და ოსმალო ფაშამ **გორსა** და **რუისს** შორის დაამარცხეს თეიმურაზისა და თბილისში მყოფი ირანის ხანის ჯარები. თეიმურაზმა და ირანის ხანმა გორის ციხეს შეაფარეს თავი. გივი ამილახვარმა და უსუფ-ფაშამ დაღესტნიდან დამხმარე ჯარის გადმოყვანა განიზრახეს. ეს ამბავი თეიმურაზმა შეიტყო და მაშინვე თელავში მყოფ ერეკლეს აცნობა. ერეკლემ სასწრაფოდ შეკრიბა ჯარი, შეიერთა თბილისში მყოფი ირანელთა ჯარი და დაღესტნიდან მომავალი ლეკთა ლაშქარი **საგურამოსთან** სასტიკად დაამარცხა. ნადირ-შაჰი მიხვდა რომ ქართლ-კახეთის დაწყნარებას მისი ხანები ან გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილები ვერ შეძლებდნენ. 1744 წელს შაჰმა ქართლის მეფობა თეიმურაზს, ხოლო კახეთის მეფობა ერეკლეს უბოძა. ქრისტიანი ბაგრატიონების ქართლისა და კახეთის მეფეებად დასმით ნადირ-შაჰმა უარყო სეფიანი შაჰების პოლიტიკა. 1632 წლიდან ქართლისა და კახეთის სამეფოთა ტახტი ირანის შაჰებს ქრისტიანი ბაგრატიონებისთვის არ უბოძებიათ. ნადირ-შაჰი დათმობაზე, ცხადია, გარკვეული პოლლიტიკური

მიზნებით მიდიოდა. ირანის შაჰმა კარგად იცოდა, რომ რუსეთის იმპერიამ სამხრეთ-აღმოსავლეთი ამიერკავკასიისათვის ბრძოლა დროებით შეწყვიტა. ხელსაყრელ ვითარებაში რუსეთი ისევ შეეცდებოდა ირანის შევიწროვებას კასპიისპირეთში. ნადირ- შაჰს სურდა რუსეთისა და ირანის მომავალ დაპირისპირებაში ქართლისა და კახეთის მეფეებს ვახტანგ VI-ისათვის არ მიებაძათ და პროირანულ ორიენტაციაზე დარჩენილიყვნენ. ცხადია, ქართლისა და კახეთის მეფეების მიმხრობა ირანის მხრიდან გარკვეულ დათმობებს ითხოვდა. თავის დროზე სეფიანი შაჰები ამ დათმობებზე არ წავიდნენ. ნადირ-შაჰმა ვითარება ზუსტად შეაფასა და წინამორბედების შეცდომა არ გაიმეორა. **თეიმურაზ II** და **ერეკლე II** ტახტზე ქრისტიანები ავიდნენ.

ნადირ-შაჰის ლაშქრობები ძალზე ძვირად უჯდებოდა ირანის ხაზინას. ხაზინის შევსების მიზნით, შაჰმა დაპყრობილ ხალხებსა და ვასალურ ქვეყნებს ახალი გადასახადები შეაწერა. ქართლისა და კახეთის მეფეებს თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს 200000 თუმანი უნდა გადაეხადათ. ქართლი და კახეთი ისე იყო გაპარტახებული, რომ ამოდენა გადასახადის გადახდა შეუძლებელი იყო. თეიმურაზ II-მ გადაწყვიტა ნადირ-შაჰს განდგომოდა. მეფე თბილისიდან აიყარა და არაგვის ხეობაში (ანანურში) გამაგრდა. მას თან გაჰყვნენ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I სამღვდელოებითურთ, დიდებულები და თბილისის შეძლებული მოქალაქეები. ერეკლე II-მ მამის მსგავსად უარი თქვა გადასახადის გადახდაზე. მეფემ კახეთის მოსახლეობის ნაწილი მთებში გახიზნა, ნაწილმა ციხეებს შეაფარა თავი. შაჰმა ქართლსა და კახეთში ჯარის გამოგზავნა გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და თეიმურაზსა და ერეკლეს ურჩობა აპატია. შაჰმა საქართველოსკენ დაძრული ჯარი უკან გაიწვია, ერეკლე კი ირანში დაიბარა მოსალაპარაკებლად. თეიმურაზს შვილის ირანში გაშვება სახფათოდ ეჩვენა და ისპაჰანში თავად გაემგზავრა. თეიმურაზმა ნადირ-შაჰს ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრო. 1747 წელს შეთქმულებმა ნადირ-შაჰი მოკლეს. ირანში შინააშლილობა დაიწყო.

ირანში გამგზავრების წინ თეიმურაზ II-მ ქართლის გამგებლად ვახტანგ VI-ის გამაჰმადიანებული ძმის იესეს შვილი არჩილი, გამაჰმადიანებული აბდულა-ბეგი (კათოლიკოს=პატრიარქ ანტონ I-ის ძმა) დატოვა. აბდლა-ბეგი იმხანად სამშვილდის ციხეში ცხოვრობდა. ნადირ-შაჰის

მოკვლისა და ირანში დაწყებული შინააშლილობის ამბავი რომ გაიგო, აბდულა-ბეგმა 1747 წელს სამშვილდის ციხე გაამაგრა, ციხეში ლეკთა რაზმები შეიყვანა და რამდენიმე თავადიც მიიმხრო. აბდულა-ბეგმა მხარდაჭერის გარანტია მიიღო თბილისში მდგარი ირანის გარნიზონისაგან. ამის შემდეგ მან წერილი მისწერა ერეკლეს: კახეთს არ გეცილები, ქართლს ნუ შემედავები, ჩემი სამკვიდროაო. ერეკლემ აბდულა- ბეგთან თბილელი მიტროპოლიტის მეშვეობით მოლაპარაკება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ერეკლემ ჯარი შეკრიბა და სამშვილდეს მიადგა, მაგრამ ვერ აიღო. სამშვილდიდან ერეკლე თბილისში დაბრუნდა. ამით ისარგებლა აბდულა-ბეგმა, ციხიდან გამოვიდა, აზერბაიჯანის მმართველ ასლან-ხანთან მივიდა და 1000 ავღანელი ჯარისკაცი გამოთხოვა ერეკლეს წინააღმდეგ საბრძოლველად. აზერბაიჯანიდან დაძრული აბდულა-ბეგი სოფელ კოდასთან შეჩერდა. კრიტიკულ ვითარებაში, ქართლის თავადებმა, ქვემო ქართლის თავადების გარდა, ერეკლეს დაუჭირეს მხარი. ერეკლეს დაიჭირა მხარი კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა. ერეკლესა და აბდულა-ბეგს შორის ბრძოლა **სოლოლაკის** მთის ფერდობზე გაიმართა. აბდულა-ბეგი დამარცხდა და ბრძოლის ველიდან გაიქცა. იგი სამშვილდის ციხეში გამაგრდა, ლეკთა ახალი რაზმები დაიქირავა და ბრძოლისათვის მოემზადა. აბდულა-ბეგის დამარცხების შემდეგ ერეკლემ თბილისიდან ირანელთა გარნიზონის განდევნა გადაწყვიტა. დიდი ბრძოლების შემდეგ მეფემ თაბორისა და ნარიყალას ციხეები აიღო. ირანელთა გარნიზონმა იარაღი დაჰყარა. თბილისის ირანელთა გარნიზონის კაპიტულაციამ აბდულა-ბეგი ისე შეაშინა, რომ წინააღმდგობა შეწყვიტა და სამშვილდის ციხე ჩააბარა. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის მეშვეობით, ერეკლე II-მ აბდულა-ბეგი შეირიგა და საუფლისწულო მამული უბოძა.

ირანში მიმდინარე შინააშლილობით კარგად ისარგებლეს თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ და ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური გავლენის სფერო გააფართოვეს. ირანში მყოფმა თეიმურაზმა, თავისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით, მიაღწია იმას, რომ ირანის შაჰმა ქართლის მეფეს **ყაზახი** უბოძა. შინააშლილობის პერიოდში ბევრი ავანტურისტი გამოჩნდა ასპარეზზე. ერთ-ერთი მათგანი იყო მაჰმად-ხანი, რომელიც ერევნის სახანოს ტერიტორიას არბევდა. 1750 წელს ერევნის ხანმა დახმარებისთვის თეიმურაზსა და ერეკლეს მიმართა. მაჰმად-

ხანის დასასჯელად გაგზავნილი ქართველთა ჯარი, ჯერ კიდევ ყაზახსაც არ გასცილებოდა, რომ თეიმურაზთან და ერეკლესთან განჯის ხანის ელჩი მოვიდა თხოვნით: განჯის სახანოს ყარაბაღის მფლობელი ფარა-ხანი არბევს და გვიშველეთო. თეიმურაზმა და ერეკლემ ჯერ ერევნის სახანოზე ილაშქრეს. მეფეებმა მაჰმად-ხანი სასტიკად დაამარცხეს, 1700 კაცი დახოცეს და ტყვედ აიყვანეს, ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი. მაჰმად-ხანის დამარცხებამ შეაშინა ფარა-ხანი. თეიმურაზისა და ერკლეს მოთხოვნით, მან განჯის სახანო დატოვა. მფარველობის სანაცვლოდ მეფეებმა ერევნისა და განჯის სახანოებს ხარკი დააკისრეს. ფარა-ხანმა პირობა დაარღვია და განჯის ციხეს მიადგა. განჯის ხანმა თბილისში ძმა გამოგზავნა და დახმარება ითხოვა. თბილისში დახმარების სათხოვნელად ჩამოვიდა სომეხთა ეპისკოპოსიც, რომელიც ყარაბაღის ხანისგან ქრისტიანთა დაცვას ითხოვდა. ყარაბაღის სახანოს გაძლიერება საშიში იყო ქართლისა და კახეთის სამეფოებისთვის. 1750 წელს ქართველთა ჯარი,

თეიმურაზისა და ერეკლეს სარდლობით, განჯისკენ დაიძრა. ფარა-ხანმა ბრძოლას ამჯერადაც თავი აარიდა, განჯის ციხეს ალყა მოხსნა და გაიქცა. განჯიდან ქართველთა ჯარი ყარაბაღის სახანოს ტერიტორიაზე შეიჭრა. ფარა-ხანი წინასწარ მომზადებულ პოზიციაზე 6000 კაცით გამაგრდა. ყარაბაღელებმა ქართველთა შეტევას ვერ გაუძლეს და სასტიკი მარცხი იწვნიეს. ფარა-ხანის ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა, ქართველებმა ხელთ იგდეს დიდი ნადავლი. თეიმურაზმა და ერეკლემ მტრის დევნა განაგრძეს. ქართველთა ლაშქარმა მდინარე არეზამდე მიაღწია, მდინარის ორივე მხარე მოარბია, დიდი რაოდენობით ტყვე და ნადავლი იგდო ხელთ. ქართველთა ჯარის მიერ მოპოვებულ გამარჯვებას დიდი რეზონანსი მოჰყვა. თავრიზის ბეგლარ-ბეგმა და მისმა ხელქვეითმა ხანებმა თეიმურაზსა და ერეკლეს გამარჯვება მიულოცეს და საჩუქრები მიართვეს.

ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ განჯის ხანმა **შამშადილუ** დათმო. ყაზახ-მაშმადილუს შეერთების შემდეგ ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვარმა მდ. **ძეგამის** ხეობიას მიაღწია. თეიმურაზისა და ერეკლეს მიერ მოპოვებულმა გამარჯვებებმა და ქართლის სამეფოს საზღვრების გაფართოებამ გავლენა იქონია ნახჭევანის ხანზე. ჯერ კიდევ ყარაბაღის ხანი საბოლოოდ დამარცხებული არ იყო, როცა ნახჭევანის ხანმა თეიმურაზსა

და ერეკლეს მფარველობა სთხოვა. ქართველთა ჯარის შესვლამ ნახჭევანში კიდევ უფრო აამაღლა თეიმურაზისა და ერეკლე ავტორიტეტი. ქართლისა და კახეთის სამეფოების გავლენის სფეროს საზღვარმა მდ. **არეზის** ხეობამდე მიაღწია.

ერევნის, განჯისა და ნახჭევანის სახანოების ქართლისა და კახეთის სამეფოების გავლენის სფეროდ გადაქცევამ ირანის შაჰის ტახტის მაძიებელთა ყურადღება მიიპყრო. 1750 წლისათვის ტახტისთვის ბრძოლაში ორი პრეტენდენტი გამოიკვეთა: ქერიმ-ხანი (ისპაჰანში) და აზატ-ხანი (თავრიზში). შაჰის ტახტისთვის ბრძოლაში თეიმურაზსა და ერეკლეს შეეძლოთ მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ. მოულოდნელად, ქართლისა და კახეთის სამეფოების სტაბილური მდგომარეობა შაქ-შირვანის მფლობელმა ჰაჯი-ჩალაბმა შეარყია. მან ქართლისა და კახეთის სამეფოების წინააღმდეგ კოალიცია შექმნა. ჰაჯი-ჩალაბმა თავდაპირველად დაახლოებით 8000 მ,ებრძოლს მოუყარა თავი, რომელთა შორის შირვანელების გარდა ჭარელი ლეკები და სომხებიც იყვნენ. თეიმურაზსა და ერეკლეს უნდოდათ ჰაჯი-ჩალაბი მისი კოალიციის კიდევ უფრო გაზრდამდე დაემარცხებინათ. 1752 წელს ქართველთა ჯარი ყაზახ-ბორჩალოეილი თათრებისა და განჯის ხანის ლაშქართან ერთად ალაზანზე გადავიდა და ნუხის სახანოს ტერიტორიაზე შეიჭრა. პირველსავე ბრძოლაში ქართველთა ლაშქრის მოწინავე რაზმებმა (ქიზიყელებმა და ქვემო ქართლელებმა) ლეკთა ცხენოსანი ჯარი დაამარცხა და უკუაქცია. მოულოდნელად ჰაჯი-ჩალაბის ქვეითი ჯარი სანგრებიდან გამოვიდა და ქართველთა ჯარის მარცხენა ფლანგი (ქსნისა და არაგვის საერისთაოს რაზმები) უკუაქცია. მარცხენა ფლანგის ზურგში განჯის-ხანის ჯარი იდგა, რომელმაც წინააღმდეგობის გარეშე დატოვა ბრძოლის ველი. განჯელების ღალატის შემდეგ ერეკლემ ქართველთა ჯარის მოწინავე რაზმებისა და მარცხენა ფლანგის თავდაცვის ორგანიზება ვეღარ შეძლო. ქართველებმა უწესრიგო უკანდახევა იწყეს. ბრძოლაში მრავალი ქართველი დაიღუპა, კიდევ უფრო მეტი უკან დახევისას ალაზანში დაიხრჩო. მტერს დიდძალი ალაფი დარჩა.

ჰაჯი-ჩალაბის მიერ ქართველთა დამარცხებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დაღესტნისა და ირანის სახანოების მაჰმადიანებზე. განჯისა და ერევნის სახანოებში, ასევე ყაზახ-ბორჩალოში თავი იჩინა საქართველოდან განდგომის ტენდენციამ. მთელს ქართლ-კახეთს ლეკთა რაზმები მოედვნენ.

ქართლისა და კახეთის ამ მეტად კრიტიკულ მომენტში გააქტიურდა ირანის შაჰის ტახტის მაძიებელი აზატ-ხანი. აზატ-ხანის ჯარმა გადმოლახა მდ. არეზი, დაიკავა ნახჭევნის სახანო და იქედან გააძევა თეიმურაზისა და ერეკლეს ქვეშევრდომი ხანი, დაარბია ერევნის სახანოს ტერიტორია და ალყა შემოარტყა ერევნის ციხეს. 1752 წელს ერეკლე ქართლისა და კახეთის ჯარით ბამბაკის გზით ერევნისაკენ დაიძრა. აზატ-ხანმა ერეკლეს მიახლოების ამბავი რომ გაიგო, ერევნის ციხეს ალყა მოხსნა და უკან დაიხია. ერეკლემ **ყირხბულახთან** დაიკავა პოზიციები. აზატ-ხანმა 18000 კაცს მოუყარა თავი, მდ. არეზი გადმოლახა და საბრძოლო პოზიციები დაიკავა. ბრძოლის პირველ დღეს აზატ-ხანმა ქართველთა მარცხენა ფლანგს შეუტია. თავდაპირველად ქართვლებმა გაიმარჯვეს, მაგრამ შემდეგ უკან დაიხიეს და ახალ პოზიციებზე გამაგრდნენ. ძალები აშკარად არათანაბარი იყო. ერეკლეს უკან დახევასაც კი ურჩევდნენ. მეფემ რჩევა არ მიიღო და ბრძოლა გააგრძელა. გადამწყვეტ დღეს მეფემ ხერხი იხმარა. ერეკლე და მისი ჯარი (5 000 კაცი) ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ და მტრისაკენ გაემართნენ. მოწინააღმდეგეებს სულ მცირე მანძილი აშორებდათ ერთმანეთისგან. აზატ-ხანმა იფიქრა, ალბათ, ქართველები ტყვედ მბარდებიანო. ერეკლეს ნიშანზე ქართვლებმა, მოულოდნელად, ცეცხლი გახსნეს, შეტევაზე გადავიდნენ და მტერი უკუაქციეს. ქართველთა ჯარმა 40 კილომეტრის მანძილზე სდია მტერს და დიდი ნადავლი იგდო ხელთ (1761 წელს ერეკლემ აზატ-ხანი კვლავ დაამარცხა დაატყვევა და ქერიმ-ხანს გაუგზავნა).

აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ ერეკლეს და თეიმურაზის მორიგ ამოცანას ჰაჯი-ჩალაბისა და მისი მოკავშირე ლეკების ალაგმვა წარმოადგენდა. მეფეები ქართველთა ჯარით განჯაში მივიდნენ, სადაც მათ განჯის, ერევნისა და ყარაბაღის ხანები შეუერთდნენ თავიანთი ჯარებით. ხანები ორპირ პოლიტიკას აწარმოებდნენ, მათ საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული ჰაჯი-ჩალაბთან. ქართველმა მეფეებმა ეს გაიგეს და მაჰმადიანი ხანები დაატუსაღეს. ამან არევ-დარევა გამოიწვია ერეკლესა და თეიმურაზის ჯარში. რითაც ჰაჯი-ჩალაბმა მოხერხებულად ისარგებლა 1752 წელს და ქართვლები ხელახლა დაამარცხა. უკან გამოქცეულ ქართულ ლაშქარს გზა გადაუღობეს შამშადილუელებმა და დიდი ზიანი მიაყენეს. 1752 წელს მძიმე მდგომარეობაში მყოფმა თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ ელჩობა

გაგზავნეს რუსეთში, მაგრამ ვერანაირი დახმარება ვერ მიიღეს. ერეკლე იძულებული გახდა 1752 წელს ჩერქეზეთიდან დაქირავებული ჯარი გადმოეყვანა. ამ ჯარის ერთ-ერთი ნაწილი მან ქართლ-კახეთის ჯარს შეუერთა და ჰაჯი-ჩალაბისა და მისი მოკავშირე განჯის ხანის წინააღმდეგ გაილაშქრა. ქართველებმა **შამშადილუში** სასტიკად დაამარცხეს მტრის ჯარი, რომელსაც ჰაჯი-ჩალაბის შვილი მეთაურობდა, და მას განჯის ციხის გალავნამდე სდიეს. ერეკლეს ასეთმა წარმატებამ აზატ-ხანი აიძულა ზავი დაედო მასთან. ქართლ-კახეთის განდგომილი ვასალები ისევ მორჩილების გზას დაადგნენ, ხოლო შირვანის დამოუკიდებელმა მფლობელებმა ქართველ მეფეებს მეგობრული კავშირი შესთავაზეს.

ამრიგად, ერეკლე II-მ გონივრული პოლიტიკისა და ენერგიული საომარი მოქმედებების შედეგად დაამარცხა მის წინააღმდეგ მიმართული კოალიცია, ჰეგემონია მოიპოვა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ქართლ-კახეთის აღმოსავლეთის საზღვრებზე კარგა ხნით მშვიდობიანობა დაამყარა.

ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა ლეკების ალაგმვა. მარტო 1755 წლის განმავლობაში მათ, გარდა წვრილი თარეშებისა, სამჯერ შემოესივნენ ქართლ-კახეთს. ხუნძახის მფლობელმა ნურსალ-ბეგმა დიდი ჯარით ფარულად გადმოიარა შიდა კახეთზე, დაარბია არაგვის ხეობა და, ბოლოს, **მჭადისჯვრის** ციხეს მიადგა. მართალია, იქ მას თეიმურაზმა და ერეკლემ მიუსწრეს და გაქცეს, მაგრამ იმავე 1755 წელს მან ავარიაში კიდევ უფრო მეტ ჯარს მოუყარა თავი, მიიმხრო ჭარელებისა და შაქ-შირვანელების ძლიერი რაზმები და **ყვარლის** ციხეს ალყა შემოარტყა. ყვარელის ციხის ალყა თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა, ციხის გარნიზონი საკვებისა და ტყვია-წამლის ნაკლებობამ დიდად შეაწუხა. მაშინ ერეკლე მეფემ დიდი ჯილდო აღუთქვა მათ, ვინც მონაწილეობას მიიღებდა ალყის გარღვევაში. ასეთი რაზმი სასწრაფოდ შედგა ქიზიყში. რაზმში ორასმა ვაჟკაცმა მოიყარა თავი. ეს რაზმი მოულოდნელად თავს დაესხა ლეკთა მოალყე ჯარს, ხმალდახმალ ბრძოლით გაარღვია ალყა, შევიდა ციხეში და პროდუქტი და ტყვია-წამალი მიაშველა ციხის დამცველებს. იმავე დროს ერეკლემ ჯარი შეუსია ჭარ-ბელაქანს, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. ჭარელების რაზმები ყვარლიდან აიყარნენ და შინ დაბრუნდნენ. ამან გაბოროტება გამოიწვია დარჩენილ მოალოყეებში. ისინი

ჭარელებს დაერივნენ შურის საძიებლად. ამრიგად, ალყა მოიშალა და ყვარლის ციხე განთავისუფლდა.

1760 წელს თეიმურაზ II რუსეთში გაემგზავრა, რათა დახმარების თაობაზე პირადად ეთხოვა რუსეთის იმპერატორისათვის. რუსეთი არანაირი ვალდებულების აღებას არ აპირებდა, რის გამოც მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. 1762 წლის იანვარში თეიმურაზ II პეტერბურგშივე გარდაიცვალა. ერეკლე II გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე გახდა.

ერეკლე II საოცრად მკაცრ საშინაო პოლიტიკას ატარებდა და თავადების თვითნებობას ვერ ითმენდა. ერეკლეს მტკიცე ხელი და მისი მკაცრი დამოკიდებულება თავადებისადმი ამ უკანასკნელთა უკმაყოფილებას იწვევდა. თავადების ნაწილმა ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულების მზადება დაიწყო. შეთქმულებს ერეკლეს ნაცვლად ტახტზე ვახტანგ VI-ის უკანონო შვილის პაატა ბატონიშვილის აყვანა უნდოდათ. შეთქმულება შემთხვევით გამჟღავნდა. 1765 წელს შეთქმულების მონაწილენი შეიპყრეს. ერეკლემ შეთქმულთა გასასამართლებლად სამეფო დარბაზის საგანგებო სხდომა მოიწვიეა. პაატა ბატონიშვილი, ელიზბარ თაქთაქიშვილი, დავით აბდულა-ბეგის ძე სიკვდილით დასაჯეს. თავად ციციშვილს ენა მოკვეთეს,ხოლო ალექსანდრე ამილახვარს ცხვირი მოჭრეს და კოჭის ძარღვები გადაუჭრეს. შეთქმულთა მკაცრი დასჯა იმით იყო განპირობებული, რომ სასჯელი სამაგალითო ყოფილიყო მეფის ყველა მოწინააღმდეგისათვის.

1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. რუსეთის მოკავშირედ ამ ომში იმერეთის მეფე სოლომონ I და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II გამოვიდნენ. სოლომონი და ერეკლე რუსეთზე დიდ იმედებს ამყარებდნენ: იმერეთის მეფე ოსმალეთის ბატონობისაგან განთავისუფლებას, ხოლო ქართლ-კახეთის მეფე სამცხე-საატაბაგოს შემოერთებას ვარაუდობდა. სამწუხაროდ, რუსეთს სულ სხვა გეგმები ჰქონდა. როდესაც საქართველოში ჯარს აგზავნიდა, რუსეთის საიმპერატორო კარს არ აწუხებდა არც ქართლ-კახეთის და არც იმერეთის ბედი. რუსეთისათვის მთავარი იყო, რომ ოსმალეთს სერიოზული პრობლემები შექმნოდა კავკასიაში და, აქედან გამომდინარე, შეესუსტებინა ოსმალეთის არმიის ბრძოლისუნარიანობა მთავარ ფრონტზე – ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. იმპერატორმა ეკატერინე II-მ

საქართველოში გამოგზავნილი ჯარის სარდლად დანიშნა გენერალი გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენი.

ერეკლემ ტოტლებენს **ახალციხეზე** ლაშქრობა შესთავაზა. ქართველებისა და რუსების გაერთიანებული ჯარი მართლაც დაიძრა ახალციხისაკენ, მაგრამ **აწყურის** ციხესთან ტოტლებენმა მიატოვა ერეკლე და ქართლში დაბრუნდა (თავად გენერალი, შემდგომში, ამ გადაწყვეტილებას სურსათის ნაკლებობით ხსნიდა). მართალია, ერეკლემ 1770 წლის 20 აპრილს **ასპინძასთან** სასტიკად დაამარცხა თურქებისა და დაღესტნელების გაერთიანებული ლაშქარი, მაგრამ მაინც იძულებული გახდა თავადაც ქართლში დაბრუნებულიყო. ამის მიზეზი ტოტლებენის საქმიანობა იყო. იგი დაუკავშირდა ერეკლეს მოწინააღმდეგე თავადებს, დაიწყო ციხეების დაკავება და ხალხის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება. როგორც ირკვევა, ტოტლებენის ზრახვები უფრო შორსაც მიდიოდა. ტოტლებენს ერეკლე II-ის ტახტიდან გადაყენებაც კი ჰქონდა ჩაფიქრებული. გარკვეული მიზეზების გამო, საბოლოოდ, გენრალმა ამ განზრახვაზე ხელი აიღო. საეჭვოა, რომ ტოტლებენის მთელი საქმიანობა მხოლოდ პირადი ინიციატივა იყო. 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა ქართლ-კახეთს ვერავითარი შედეგი ვერ მოუტანა, ერეკლეს ომში მონაწილეობამ ირანი და ოსმალეთI კი გააღიზიანა.

რუსეთის ჯარის ყოფნამ არავითარი სარგებელი არ მოუტანა ერეკლეს. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქართველებმა უშუალოდ ნახეს რეგულარული ჯარი და შეიტყვეს რა უპირატესობა ჰქონდა

მას. რეგულარული ჯარის შექმნის საშუალება ერეკლე არ ჰქონდა, მაგრამ მეფემ საინტერესო გამოსავალი მოძებნა. 1774 წელს დაწედა **მორიგე ჯარი.** ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა მამაკაცი – არ ჰქონდა მნიშვნელობა იყო ის ბატონიშვილი, თავადი, აზნაური, გლეხი, ხელოსანი, თუ სხვა ვინმე – ვალდებული იყო წელიწადში ერთი თვით წასულიყო ჯარში. ამან საშუალება მისცა ერეკლეს მუდმივად მზად ჰყოლოდა 5000 მოლაშქრე. „მორიგე ჯარმა" განსაკუთრებით კარგი შედეგი გამოიღო დაღესტნელების მარბიელი ლაშქრობების წინააღმდეგ. „მორიგე ჯარის" სულისჩამდგმელი და სარდალი იყო ერეკლეს ძე **ლევანი.** ამიტომ ერეკლესა და მთელი სამეფოსათვის დიდი დარტყმა იყო ლევან ბატონიშვილის უეცარი გარდაცვალება. ლევანი ძალიან ჭკვიანი და ენერგიული მოღვაწე იყო. იგი ყოველთვის მამის

გვერდით იდგა და ბევრ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს აგვარებდა.

რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის პერიოდში, კერძოდ 1771-1772 წლებში ერეკლე II საგარეო პოლიტიკის კურსს ცვლის. ერეკლეს სტრატეგია, ანუ პროირანული ორიენტაციის პრორუსულით შეცვლა ლოგიკური იყო. ამასთან ერთად ერეკლე II-მ ვერ გათვალა რამდენიმე კონკრეტული საკითხი: 1) ირანის დასუსტების და მისი დაშლის ტემპები; 2)რუსეთის მიერ სამხრეთ-კავკასიიდან ირანისა და ოსმალეთის გაძევების ზუსტი ვადები. შეეძლო თუ არა ერეკლე II-ს ამ ყველაფრის ზუსტად განსაზღვრა? ცხადია არა. ერეკლე II-ს, ქართლ-კახეთის სამეფოს დაზვერვასა და დიპლომატიას ასეთი რთული საკითხების გასარკვევად აუცილებელი ინფორმაცია არ გააჩნდა. რუსეთის მოსვლა სამხრეთ-კავკასიაში დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა რუსეთ-ევროპის ურთიერთობა (ბრძოლა ჟეჩ-პოსპოლიტას გადანაწილებისათვის), რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა (ბრძოლა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ბალკანეთისათვის) და ა.შ. ერეკლე II-ს არც ირანში მიმდინარე შიდა პროცესების ზუსტი პროგნოზირება შეეძლო.

საბოლოოდ, რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შემოჭრა დაახლოებით ოცდაათი წლით შეფერხდა. ქერიმ-ხანის გარდაცვალების (1779 წ.) შემდეგ ირანის დაშლა დროებით შეაჩერა აღა-მაჰმად-ხანმა და ქვეყნის მნიშვნელოვანმ ნაწილზე თავისი ძალაუფლება გაავრცელა. ეს ორი მოვლენა (რუსეთის შეფერხება და ირანის გაერთიანება) გახდა ქართლ-კახეთის სამეფოს დაღუპვის მიზეზი.

ყოველივე ამას დაემატა რუსეთის ვერაგული პოლიტიკა. რუსეთის საიმპერატორო კარი ერეკლე II-ს ჭკვიან დიპლომატად და გამოცდილ მხედართმთავრად მიიჩნევდა. რუსეთი ანგარიშს უწევდა იმას, რომ ერეკლეს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მთელს კავკასიაში, ირანსა და ოსმალეთში. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დროს და მომდევნო წლებში რუსეთის საიმპერატორო კარის შეხედულება იცვლება. რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა სერიოზულად შეისწავლეს ქართლ-კახეთის მდგომარეობა და დაასკვნეს: ქვეყნის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში იყო, დემოგრაფიული ვითარება – კატასტროფული, რაც გავლენას ახდენდა ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობაზე. ერეკლე II-ს, ქართლის თავადების

სახით, ქვეყნის შიგნით ჰყავდა დიდი ოპოზიცია, რომელიც მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა. რუსებს არც სამეფო კარზე არსებული დაპირისპირება დარჩენიათ შეუმჩნეველი. რუსეთის საიმპერატორო კარმა უადრესად ზუსტად შეაფასა არსებული ვითარება და პეტერნურგში ქართლ-კახეთის სამეფოსათვის საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღეს: **სამხრეთ კავკასიიდან ირანისა და ოსმალეთის გაძევებისათვის მომავალ ომებში ერეკლე II სერიოზულ მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა. კავკასიის პოლიტიკურ რუკაზე ქართლ-კახეთის სამეფოსათვის ადგილი აღარ რჩებოდა.**

სწორედ, ზემოხსენებული გადაწყვეტილების გამო იყო, რომ რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას 1772 წლიდან 1783 წლამდე აჭიანურებდა. ერეკლე II ინტუიციით ხვდებოდა, რომ რუსეთი ვალდებულების აღებას ერიდებოდა. ერეკლე ყოველ ღონეს ხმარობდა მფარველობითი ხელშეკრულება დროზე გაეფორმებინა. ერეკლე II ცდილობდა ცდილობდა რუსეთის

დაინტერესებას და საიმპერატორო კარს ქართულ-რუსული ჯარით ირანის ტერიტორიის დაკავებას სთავაზობდა. ერეკლეს სურდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის კავკასიური პოლიტიკის რეალიზებაში არსებითი როლი შეესრულებინა – რუსეთის მოკავშირედ გამოსულიყო. რუსეთი ერეკლეს ინიციატივას არად აგდებდა და, როგორც აღვნიშნეთ, ქართლ-კახეთის სამეფოს მოკავშირედ არ განიხილავდა, სამხრეთ-კავკასიაში გაბატონებას ერეკლეს დახმარების გარეშე აპირებდა. **გეორგიევსკის ტრაქტატის** (1783 წ.) პირობები ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის მისაღები იყო. გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შედიოდა: ქართლ-კახეთში სამეფო დინასტია უცვლელად უნდა შენარჩუნებულიყო, მეფის ტახტზე ასვლას ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი; რუსეთი არ ერეოდა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში; [საქართველოში უნდა მდგარიყო რუსეთის 2 ბატალიონი 4 ზარბაზნით. ომის შემთხვევაში კი გამოიგზავნებოდა დამატებითი ძალები. რუსეთი ეცდებოდა დაებრუნებინა მტრის მიერ მიტაცებული საქართველოს ტერიტორიები.

ცუდი და მიუღებელი ის იყო, რომ რუსეთი ტრაქტატის შესრულებას არ აპირებდა. ასეთი გადაწყვეტილება რუსეთის საიმპერატორო კარზე შემთხვევით არ მიუღიათ, იგი

1783 წელსვე იყო ცნობილი. რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლით (გეორგეევსკის ტრაქტატით) ერეკლე II ქართლ-კახეთის გადარჩენასა და გაძლიერებას, საუკუნეების განმავლობაში მტრის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას აპირებდა. **ცხადია, 1783 წლისათვის ერეკლე II-ს არ შეიძლება სცოდნოდა, რომ რუსეთი მას მოკავშირედ აღარ განიხილავდა და, აქედან გამომდინარე, არც გეორგეევსკის ტრაქტატის შესრულებას აპირებდა.** ამიტომ იყო რომ 1784 წელს ქართლ-კახეთში შემოსული რუსის ჯარი, 1787 წელს, რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის დაწყების შემდეგ, უკან იქნა გაწვეული. რუსეთის ჯარი საქართველოში 1799 წლამდე აღარ შემოსულა და ქართლ-კახეთი ისლამური სამყაროს წინააღმდეგ მარტო დარჩა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას ქართლ-კახეთის მეზობელი მაჰმადიანური სახანოები თავიდანვე შიშით შეხვდნენ. მალე ეს შიში აგრესიით შეიცვალა. ტრაქტატის დადებამ ყველას დაანახა, რომ ერეკლე რუსეთის მოკავშირე იყო. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გამოჩენა ხელს არ აძლევდა არა მარტო ოსმალეთსა და ირანს, არამედ ევროპის დიდ სახელმწიფოებს – ინგლისსა და საფრანგეთს.

პირველი სერიოზული დარტყმა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფომ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ მიიღო, დაღესტნელთა შემოსევა იყო. 1785 წელს ომარ-ხანის წინამძღოლობით დაღესტნელთა ლაშქარი ქართლ-კახეთს შემოესია. რუსეთმა ერეკლე II-ს რეალური დახმარება არ აღმოუჩინა. ქართლ-კახეთის მეფემ ომარ-ხანს ფაქტობრივად ხარკის გადახდა აღუთქვა და ამ გზით სცადა ქვეყნის უსაფრთხოების მოპოვება.

1790 წელს ერეკლე II-ის მდივნის **სოლომონ ლიონიძის** ძალისხმევით დაიდო „ტრაქტატი ივერიელ მეფეთა და მთავართა." ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს, იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს სამთავროსა და გურიის სამთავროს მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით მოქმედებას ითვალისწინებდა.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში ერეკლე II-მ ორი ბრძანება გამოსცა, რომლებმაც საკმაოდ გაართულა ვითარება ქვეყნის შიგნით. 1791 წელს მირებული ტახტის მემკვიდრეობის შესახებ კანონის მიხედვით, მეფობა უნდა გადასულიყო ძმიდან ძმაზე. კანონი ერეკლეს ყველა ვაჟს უფლებას აძლევდა მეფობა მოეთხოვა. ეს კი სამეფოში მუდმივი არეულობის მიზეზი

იქნებოდა. მეორე ბრძანებით, მეფემ თავის ვაჯებს საუფლისწულოები გამოუყო. ამით, ფაქტობრივად, დაიშალა ქართლ-კახეთის სამეფოს ერთიანობა, რადგან ბატონიშვილები საუფლისწულოებში ჩაიკეტნენ და აღარავის ემორჩილებოდნენ.

XVIII საუკუნეში, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, განათლების და კულტურის ძირითად კერებს წარმოადგენდნენ ეკლესია-მონასტრები, სამეფო კარი, ცალკეული ფეოდალების ციხე-დარბაზები თუ სასახლეები. ერეკლე II დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლა განათლებას. 1755 წელს თბილისში, ანჩისხატის ტაძრის ეზოში, გაიხსნა **სასულიერო სემინარია.** მისი ხელმძღვანელი იყო **ფილიპე ყაითმაზაშვილი.** სემინარიაში ასწავლიდნენ: გრამატიკას, ლიტერატურეს, გალობას, ლოგიკას, ფიზიკას, მათემატიკას. 1758 წელს სემიანრია გაიხსნა თელავშიც, რომელიც 1782 წელს ადაკეთდა **ფილოსოფიურ სემინარიად.** მისი პირველი რექტორი იყო **გაიოზი.** გაიოზმა თავდაპირველი განათლება თბილისის სემინარიაში მიიღო. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ ანტონ I და ფილიპე ყაითმაზაშვილი. გაიოზი იყო თელავის სემინარიის შექმნის ინიციატორი და პირველი რექტორი. გაიოზი 1783 წელს რუსეთში მოღვაწეობდა. იგი ხელმძღვანელობდა ოსეთში ქრისტიანობის გამავრცელებელ კომისიას, შემდგომში იყო ასტრახანისა და სტავროპოლის მთავარეპისკოპოსი.გაიოზის კალამს ეკუთვნის, როგორც ორიგინალური, ისე ნატარგმნი ნაწარმოებები. გაიპზის შემდეგ თელავის სემინარიას ხელმძღვანელობდა **დავით ალექსი-მესხიშვილი.** მას ეკუთვნის რამდენიმე სახელმძღვანელო, წერდა ლექსებს, იყო შესანიშნავი კალიგრაფი და არაერთI ნაწარმოები აქვს გადაწერილი. ქართლ-კახეთის სამეფოში არსებობდა კერძო სკოლებიც. იყო კათოლიკეთა კერძო სკოლაც (სკოლა დაიხურა 1755 წელს, როცა თეიმურაზ II-მ კათოლიკეები გაასახლა).

ქერიმ-ხან ზენდის სიკვდილის (1779 წ.) შემდეგ ირანში სამოქალაქო ომი დაიწყო. მის ახლო ნათესავებსა და ტახტის სხვა პრეტენდენტებს შორის ატყდა ულმობელი ბრძოლა, რომელიც მათ მიერ ურთიერთგაჟლეტით დასრულდა. შაჰის ტახტისათვის ბრძოლაში უპირატესობა მიოპოვა ყაჯართა ტომის ბელადმა აღა-მაჰმად-ხანმა, რომელმაც ირანის დიდი ნაწილი გააერთიანა. აღა-მაჰმად-ხანი ერეკლე II-ს გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმებას ურჩევდა. ერეკლე პრორუსულ პოლიტიკას აგრძელებდა, რაც აღა-მაჰმად-ხანის გაღიზიანებას იწვევდა. ირანის გაერთიანების შემდეგ აღა-

მაჰმად-ხანს შეეძლო 70-75 ათასიანი ლაშქრის შეკრება, რაც ქართლ-კახეთისათვის სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენდა. ერეკლე II ყურადღებით ადევნებდა თვალს აღა-მაჰმად ხანის მოქმედებას. 1789 წელს ერეკლე შეხვდა ფათ-ალ-ხანს. გადაწყდა, რომ ერთობლივათ ემოქმედათ აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ. 1795 წლის ივნისში ერეკლემ **ალექსანდრე ბატონიშვილის** სარდლობით, აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ჯარი მიაშველა ერევნისა და შუშის ხანებს. ქართველებმა მტერი დაამარცხეს. ამის შემდეგ ერეკლე და იმერეთის მეფე სოლომონ II ჯარით შევიდნენ ირანის ჩრდილოეთ რაიონებში, რათა აღა-მაჰმად-ხანის ძალები შეეფასებინათ და მისი სამოქმედო გეგმა ამოეცნოთ. გარკვეულ პერიოდამდე აღა-მაჰმად-ხანი რუსეთის შიშით თავს იკავებდა ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმისაგან. 1795 წლის სექტემბერში, მას შემდეგ რაც აღა-მაჰმად-ხანი დარწმუნდა, რომ რუსეთი ქართლ-კახეთს სამხედრო ძალით არ დაეხმარებოდა, თბილისზე სალაშქროდ დაიძრა. 11 სექტემბერს **კრწანისის** ველზე, გმირული წინააღმდეგობის შემდეგ, ქართლ-კახეთის ჯარი დამარცხდა. ერეკლე II ძალით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით ქართველებს იმ პერიოდში აღა-მაჰმად-ხანის დამარცხება და ირანიდან მომდინარე საფრთხის ლიკვიდაცია არ შეეძლოთ. ერეკლე II-ს ძალუძდა კიდევ ერთი ან ორი ბრძოლის მოგება (ისევე როგორც 10 სექტემბერ შეძლო აღა-მაჰმად-ხანის დამარცხება), მაგრამ ირანთან მარტოდმარტო გამკლავება ქართლ-კახეთის სამეფოს ძალებს აღემატებოდა. კრწანისის ბრძოლაში მარცხი განაპირობა სამმა მიზეზმა: აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრის დიდმა რიცხობრივმა უპირატესობამ, რუსეთის ღალატმა და ქართლ-კახეთის სამეფოს შინაგანმა სისუსტემ. ერეკლე II-ს, როგორც სარდალს, არც კრწანისის ბრძოლის წინ და არც ბრძოლის დროს არსებითი შეცდომა არ დაუშვია. ერეკლემ, როგორც პოლიტიკოსმა, ვერ ამოიცნო (არც შეეძლო ამოეცნო) რუსეთის ვერაგული გეგმები. ერეკოლე გამოდიოდა იქედან, რომ სამხეთ კავკასიაში აღა-მაჰმად-ხანის გაბატონება ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს და ამდენად რუსეთი წინ უნდა აღდგომოდა აღა-მაჰმად-ხანის აგრესიას ქართლ-კახეთში.

1796 წელს რუსეთის ჯარებმა ირანზე ლაშქრობა დაიწყო, რომელიც მოულოდნელად 1797 წელს შეწყდა. აღა-მაჰმად ხანმა აღარ დააყოვნა. 1797 წელს მან თავისი მხედრობით მდ. არეზი გადმოლახა და ყარაბაღს შეესია.

ქართლ-კახეთი იხსნა აღა-მაჰმად-ხანის მოულოდნელმა მკვლელობამ 1797 წლის 4 ივნისს.

კრწანისი ბრძოლოს შემდეგ თელავში მოხუცმა ერეკლემ მხოლოდ სამ წელიწადს იცოცხლა. ბოლოს მეფე მძიმედ დასნეულდა წყალმანკით, რამაც მას სიცოცხლე მოუსწრაფა. ერეკლე II გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს. მეფე იმავე დარბაზსა იმავე საწოლში გარდაიცვალა სადაც დაბადებული იყო.

ერეკლე II-ის გარდაცვალების დროს თბილისსა და ქართლის უმეტეს რაიონებში 1795 წელს გაჩენილი შავი ჭირი მძვინვარებდა. ამიტომ იყო, რომ მეფის ცხედარი თელავიდან თბილისის გვერდის ავლით მცხეთაში გადაასვენეს და **სვეტიცხოველში** დაკრძალეს. მცხეთაშიც შავი ჭირი მძვინვარებდა. მცხეთამდე მეფის ცხედარი სულ რამდენიმე ადამიანმა მიაცილა. დაკრძალვას არც სამეფო სახლის წევრები და არც დიდებულები არ ესწრებოდნენ. ერეკლე II-ს პანაშვიდი გადაუხადა და რამდენიმე ბერთან ერთად უკანასკნელი პატივი მიაგო მცხეთელმა მღვდელმა **ქრისტეფორე ბადრიძე-კეჟერაშვილმა.**

I. IX. 2008

11. ღვთით ბოძებული უფლების ხელყოფა
(რუსეთი და საქართველოს ეკლესია 1771-1814 წწ.)

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების შეზღუდვას რუსეთის საიმპერატორო კარი **გეორგიევსკის ტრაქტატის** (1783 წ.) მომზადების პერიოდში შეუდგა. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ორი საპატრიარქო არსებობდა: **მცხეთისა** (აღმოსავლეთ საქართველოსი) და **აფხაზეთისა** (დასავლეთ საქართველოსი). **მცხეთის საპატრიარქო ტახტის** იურისდიქციაში შედიოდა ქართლ-კახეთის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (ფშავი, ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი, თუშეთი და სხვ.), კათალიკოს-პატრიარქი იყო **ანტონ I ბაგრატიონი (1744-1755; 1764-1788). აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საპატრიარქო ტახტის** იურისდიქციაში შედიოდა იმერეთის სამეფო, სამეგრელოს, გურიის, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები, კათალიკოს-პატრიარქი იყო **მაქსიმე II აბაშიძე (1776-1795).** მეფეებთან, ერეკლე II-სთან და სოლომონ I-თან, ერთად რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კათოლიკოს-პატრიარქები – **ანტონ I** და **მაქსიმე II.**

1771 წლის 30 დეკემბერს თბილისში ერეკლე II-მ ხელი მოაწერა ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დასადები **ხელშეკრულების პროექტს.** პროექტში ჩამოყალიბებული იყო ის პირობები, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ხელშეკრულების პროექტი პეტერბურგში ჩაიტანა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობამ ბატონიშვილ **ლევანისა** და კათოლიკოს-პატრიარქ **ანტონ I-ის** ხელმძღვანელობით. ერეკლე II იმპერატორ ეკატერინე II-ს თხოვდა ქართლ-კახეთში მეფობის **„საუკუნოდ უცვალებლად** შენარჩუნებას. ხელშეკრულების პროექტში საგანგებო ადგილი ეთმობოდა კათოლიკოს-პატრიარქის უფლებების შენარჩუნების აუცილებლობას: **„მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად.**" ხელშეკრულების პროექტის ეს ადგილი

პეტერბურგში ასე თარგმნეს: „Каталикос оставаться имеет всегда в своем достоинстве без всякой перемены’

ე.ი. რუსეთის საიმპერატორო კარმა ერეკლე II-ის სათხოვარი სწორად გაიგო.

1772 წლის 6 იანვარს, ე.ი. ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფო სახლმა დაამტკიცა რუსეთის საიმპერატორო კარისათვის გასაგზავნი **პირობის** ტექსტი. ქართლ-კახეთის სამეფო სახლი პირობას დებდა, რომ რუსეთის უზენაესობის აღიარებაზე არასოდეს აიღებდა ხელს. ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობას ხელს აწერდნენ: **ერეკლე II,** დედოფალი **დარეჯანი,** კათოლიკოს-პატრიარქი **ანტონ I,** ბატონიშვილები: **გიორგი, ლევანი, იულონი, ვახტანგი.** ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა (1772 წ. 5 იანვარი) ხელშეკრულების პროექტთან (1770 წ. 30 დეკემბერი) ერთად წარედგინა რუსეთის იმპერატორს.

ქართლ-კახეთის სამეფოსთან ხელშეკრულების დადება რუსეთის საიმპერატორო კარმა დიდხანს გააჭიანურა. საბოლოოდ ეკატერინე II-მ გადაწყვიტა ხელშეკრულება ერთდროულად დაედო ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან. იმპერატორის აზრი ხელშეკრულების თაობაზე ვიცე- კანცლერმა გრაფმა **ა. ა. ბეზბოროდკომ** აცნობა კავკასიის ხაზის უფროსს თავად **გ.ა. პოტიომკინს.** ეს დოკუმენტი 1782 წლის ბოლოს ან 1783 წლის დამდეგსაა შედგენილი. ეკატერინე II გრიგოლ პოტიომკინს უბრძანებდა: ერეკლე II-სთან და სოლომონ I-თან დასადებ ხელშეკრულებაში მეფეები მოეხსენებინათ არა **„ქვეშევრდომებად”** არამედ **„მოკავშირეებად”**. ეკლესიის საკითხს ეკატერინე II არ შეჰხებია. სამაგიეროდ თავისი აზრი, ცხადია, იმპერატორთან შეთანხმებით გამოთქვა ა. ა. ბეზბოროდკომ: „и чтобы более сей народ призявать к России, то бы весьма полезно иерархию их привязать к нашему Синоду, а знатнейшим фамилиям дать право Российскаго дворянства; архиепископа же каталикоса – то ему соборнаго, поставить степенем в Росиической церкви между первьми.” ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ა. ა. ბეზბოროდკო უგულებელყოფდა ერეკლე II-ის მიერ 1771 წლის 30 დეკემბერს ხელმოწერილ ხელშეკრულების პროექტის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას – კათოლიკოს-პატრიარქის უფლების უცვლელად შენარჩუნების თაობაზე. გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) შესაბამის მუხლს

(არტიკულს) სწორედ ა. ა. ბეზბოროდკოს მოსაზრება დაედო საფუძვლად.

1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ქ. გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის **მერვე მუხლი (არტიკული)** აშკარად ლახავდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის უფლებებს. მცხეთის საპატრიარქო ტახტის საჭეთმპყრობელი, კათოლიკოს-პატრიარქი ხდებოდა რუსეთის იმპერიის უწმიდესი სინოდი წევრი და იგი რუსეთის ეპისკოპოსებს შორის სინოდში იკავებდა მერვე ადგილს – ტობოლკის ეპისკოპოსის შემდეგ: **„და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა, ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაი, ვითარმედ კათოლიკოზსა ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მღუდელთ-მთავართასა მერუესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა."** რუსულ დედანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „и народам его и для вящаго соединения с Росиею сих единоверныx народов ея имрераторское величество соизволяет, чпоб каталикос, или начальствующий архиепископ их, состоял местом в числе российских архиереев в осьмой степени, именно после Тобольского."

გეორგეევსკის ტრაქტატის დადების მომენტისათვის (1783 წ.) რუსეთში პატრიარქობა გაუქმებული იყო, აღარ იწვევდნენ საეკლესიო კრებებს. რუსეთის ეკლესიას განაგებდა **უწმიდესი სინოდი.** უწმიდესი სინოდი წარმოადგენდა სახელმწიფო (საერო) ხელისუფლებას დაქვემდებარებულ **სასულიერო უწყებას**. სინოდის წევრები იყვნენ მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, მაგრამ სინოდს სათავეში ედგა საერო პირი – **ობერ-პროკურორი**. უწმიდესი სინოდის ყველა დადგენილებას (გადაწყვეტილებას) სინოდის ობერ-პროკურორის წარდგინებით ამტკიცებდა იმპერატორი. უწმიდესი სინოდის წევრთაგან ვერც ერთი რანგითა და ღირსებით ვერ უტოლდებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის საჭეთმპყრობელს – კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს. მიუხედავად ამისა, კათოლიკოს-პატრიარქის ღირსება შეილახა და იგი გაუთანაბრეს რუსეთის ეკლესიის ეპარქიების მმართველ იერარქებს (მიტროპოლიტებს, არქიეპისკოპოსებსა და

ეპისკოპოსებს). უფრო მეტიც, სინოდში ანტონ I-ზე მეტი პატივით სარგებლობდა შვიდი იერარქი.

გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ქართლ-კახეთის საეკლესიო მმართველობისა და უწმიდეს სინოდთან ურთიერთობის თაობაზე ცალკე შეთანხმება უნდა მომხდარიყო. ამ ხასიათის შეთანხმება შემდეგში აღარ დადებულა.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ (1783 წ.) პეტერბურგში გაემგზავრა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობა **გარსევან ჭავჭავაძის** ხელმძღვანელობით. ელჩობაში შედიოდა ერეკლე II-ის ვაჟი ბერი **ანტონი** (ერისკაცობაში თეიმურაზი), იეროდიაკონის ხარისხით. 1784 წელს ერეკლე II-ის თხოვნით, იეროდიაკონი ანტონი რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მიერ ხელდასმული იქნა **არქიეპისკოპოსად** და **ნინოწმინდის ეპარქიის მღვდელმთავრად.** ცერემონიალი ჩატარდა ცარსკოე სელოს კარის ეკლესიაში ეკატერინე II-ისა და სამეფო ოჯახის წევრების თანდასწრებით. ანტონის რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მიერ არქიეპისკოპოსად (მთავარეპისკოპოსად) კურთხევა არ ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო სამართალსა და ტრადიციას. თუმცა ამისათვის ერეკლე II-ის თხოვნა საკმარისი არ იყო. ამ შემთხვევაში უწმიდესი სინოდისათვის თხოვნით უნდა მიემართა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს. რაც შეეხება ანტონის ნინოწმინდის ეპარქიის მღვდელმთავრად ხელდასხმას, რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის მხრიდან მეორე სახელმწიფოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) ავტოკეფალური ეკლესიის საქმეში უხეშ ჩარევად უნდა მივიჩნიოთ. ეპარქიის მღვდელმთავრად ხელდასხმა კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ისა და საეკლესიო კრების პრეროგატივას შეადგენდა. გარდა ამისა, ანტონის არქიეპისკოპოსად ხელდასხმა მოხდა ისე, რომ იგი მანმადე ხელდასხმული არ ყოფილა მღვდლად. ანტონი არქიეპისკოპოსად ხელდასხმის დროს (1784 წ.) ოცდაორი წლისა იყო (დაიბადა 1762 წ.). რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1104 წ.) ძეგლისწერის მიხედვით ეპისკოპოსად ხელდასხმა უნდა მომხდარიყო ოცდათხუთმეტი წლის ასაკში. რით უნდა აიხსნას ერეკლე II-ის გადაწყვეტილება ანტონის არქიეპისკოპოსად და ეპარქიის მღვდელმთავრად რუსეთში ხელდასხმის შესახებ? რუსეთის საიმპერატორო კარი, ერეკლე II-ზე გავლენის მოხდენის მიზნით, კარგად იყენებდა რუსეთში გადახვეწილ ქართლის ბაგრატიონებს (მუხრანბატონებს) –

ვახტანგ VI-ის შთამომავლებს. ქართლის თავადები რუსეთის საიმპერატორო კარს ქართლის სამეფოს აღდგენას და ტახტზე ვახტანგ VI-ის შთამომავლის დასმას თხოვდნენ. ყოველივე ეს კარგად იცოდა ერეკლე II-მ. კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ქართლის ბაგრატიონების (მუხრანბატონების) შტოს ეკუთვნოდა – ვახტანგ VI-ის ძმის იესეს შვილი იყო. ანტონ I ძალზე პოპულარული იყო საქართველოში, მას კარგად იცნობდნენ რუსეთის პოლიტიკურ და საეკლესიო წრეებში. ერეკლე II-მ არ იცოდა როგორ განვითარდებოდა მოვლენები: რას მოიმოქმედებდნენ ქართლის ბაგრატიონები და მათი ერთგული თავადები, რა პოზიციას დაიკავებდა რუსეთი. ანტონ I ჭკვიანი, განათლებული და მებრძოლი ადამიანი იყო. თუ იგი პოლიტიკაში ჩაერეოდა, ერეკლე II-ს შეიძლებოდა დიდი სირთულეები შეჰქმნოდა. ამიტომ ერეკლე II-მ გადაწყვიტა ანტონ I-ის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქად ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელი აღარ აერჩიათ. ერეკლე II ანტონ I-ისა და საეკლესიო კრების იმედად ვერ იქნებოდა და მზადება წინასწარ დაიწყო. ცარსკოე სელოში ერეკლე II-ს ვაჟის – რიგითი დიაკონის არქიეპისკოპოსად და ეპარქიის მღვდელმთავრად ხელდასხმამ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის პოზიციები გარკვეულად შეასუსტა. ქართლის თავადებსა და რუსეთში მცხოვრებ ქართლის ბაგრატიონებსაც შესაბამისი დასკვნები უნდა გამოეტანათ. ერეკლე II დასახული მიზნისაკენ თანმიმდევრულად მიიწევდა. 1784 წელსვე, ჯერ კიდევ რუსეთში მყოფი, ნინოწმინდელი ეპისკოპოსი ანტონი საქართველოში დაუსწრებლად იქნა ხელდასხმული **ალავერდელ მიტროპოლიტად.** 1788 წელს, ანტონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, მიტროპოლიტი ანტონი კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხეს **ანტონ II-ის** სახელით. ეს ერეკლე II-ის გამარჯვების მაუწყებელი იყო.

ქართლ კახეთის უკანასკნელი მეფის **გიორგი XII-ის** (1798-1800) გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის აპრილში, პეტერბურგში ჩასულმა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩებმა რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას წარუდგინეს ნოტა, რომელიც ქართლ-კახეთის მმართველობას ეხებოდა. ნოტის **მეექვსე პუნქტი** სრულიად გარკვევით ითხოვდა კათოლიკოსობის შენარჩუნებას და ანტონ II-ს კათოლიკოს-პატრიარქად დატოვებას. ეს მუხლი ასე იწყება: „Как первенствующая нине в грузии по духовенству особа есть сын царя Ираклия –Антоний, имеющий по древнему тамошнему

положению титло католикоса, и посвящен в царствование блаженния памяти императрицы Екатерины II в сан архиепископа в Царском селе и туда (ქართლ-კახეთის სამეფოში – ვ.გ.) отправлен для управления тамошнык (ქართლ-კახეთის – ვ.გ.) духовенств, то и оставить его при том достоинстве и звании.” ნოტის მეექვსე მუხლი კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობის შენარჩუნებასთან ერთად ითხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოს მთელი სამღვდელოების უფლებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას: „ равно как и всех прочих, в епархиах своих, пребьвающих, митрополитов архиепископов и епископов, также архимандритов и игуменов с их причтом, протоиереев, иереев, дяконов и прочих церковнослужителей – каждаго при своем звании и мест, о коих – кто имянно, и сколько их есть”

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩების ნოტის მეექვსე პუნქტი მთელი კატეგორიულობით აყენებდა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შემდეგ ეკლესიის ავტოკეფალიის შენარჩუნების საკითხს.

პავლე I-ის 1801 წლის 18 იანვრისა და ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტებში, რომელთა ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ერთი სიტყვითაც არაა ნათქვამი მცხეთის ავტოკეფალური საპატრიარქოს (ქართლ-კახეთის ეკლესიის) რუსეთის ეკლესიასთან შეერთებასა ან მისდამი დაქვემდებარების თაობაზე. პირიქით, ალექსანდრე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის მოსახლეობას აუწყებდა: „каждый пребудет при преимуществах состояния своего, при свободном отправлении своей веры и при собственности своей неприкосновенно.” მანიფესტის ქართულ თარგმანში ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: „დავაწესო საქართველოსა შინა მმართებლობა, რომელსაცა ეძლოსცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თითოეულსა დაცვა სჯულისა.” 1801 წლის 12 სექტემბერის მანიფესტი მოითხოვდა ქართლ-კახეთის მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებას, რაც რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებას ნიშნავდა. მანიფესტში აღნიშნული იყო, რომ დაფიცების პროცესში „Духовенство, яко пастьри душевнье, первье должны дать пример” ქართულ თარგმანში: „სამღვდელოთა, ვითარცა მწყემსთა სულისა თანა, პირველად შვენისთ მიცემა მაგალითისა.”

1801 წლის 12 სექტემბერს ალექსანდრე I-მა მანიფესტთან ერთად ხელი მოაწერა კიდევ ორ დოკუმენტს – **„რესკრიპტს"** და **„მოწოდებას ქართველი ხალხისადმი"** 12 სექტემბერსვე იმპერატორმა დაამტკიცა **„საქართველოს შინაგანი მმართველობის დადგენილება."** ამ დოკუმენტებში გაუქმებული ქართლ-კახეთის სამეფოს ეკლესიის მმართველობის ან მისი რეორგანიზაციის შესახებ არაფერი ყოფილა ნათქვამი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შემდეგ ეკლესია (მცხეთის ავტოკეფალური საპატრიარქო) ინარჩუნებდა თავის უფლებრივ მდგომარეობას – ადგილს მსოფლიოს მართლმადიდებელ საპატრიარქოთა შორის. თავისი უფლებებით აღჭურვილი რჩებოდა **კათოლიკოს-პატრიარქი** და **საეკლესიო კრება,** ძველებურად განაგრძობდა ფუნქციონირებას ყველა **ეპარქია, ეკლესია** და **მონასტერი.** ეკლესიის საკუთრებაში რჩებოდა მთელი **უძრავი** და **მოძრავი ქონება.** კათოლიკოს-პატრიარქსა და საეკლესიო კრებას კვლავინდებურად უნდა ეხელმძღვანელა მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში მიღებული სამართლებრივი ნორმებით (კანონებით) – საეკლესიო სამართლით და ქართული სამართლით (ვახტანგ VI-ის სამრთლით).

მართალია, 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა თავი შეიკავა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად არ გააუქმა სამეფოს ტერიტორიაზე არსებული მცხეთის საპატრიარქო. ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. რუსეთის საიმპერატორო კარი და რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი არ დაუშვებდნენ ისტორიითა და ტრადიციით რუსეთის ეკლესიაზე ბევრად აღმატებული ივერიის (მცხეთის) საპატრიარქო ტახტის სუვერენიტეტის შენარჩუნებას ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე.

1810 წლისათვის რუსთის იმპერიამ დაასრულა დასავლეთ საქართველოს – სამეგრელოს სამთავროს, აფხაზეთის სამთავროს, გურიის სამთავროს, იმერეთის სამეფოს – დაპყრობა. კავკასიის მთავარმართებელს გენერალ **ალექსანდრე ტორმასოვს** დაევალა საქართველოს ტერიეორიაზე არსებული ორივე საპატრიარქოს (მცხეთისა და აფხაზეთის) გაუქმება. ამისათვის, პირველ რიგში, საჭირო იყო კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ის საქარველოდან რუსეთში გაწვევა (აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქი მაქსიმე II-ს 1795 წელს გარდაიცვალა). 1810 წლის 3 ნოემბერს რუსეთის

საიმპერატორო კარის მოთხოვნით ანტონ II რუსეთში გაემგზავრა. ანტონ II-მ წინააღმდეგობა ვერ გასწია, თუმცა კარგად იცოდა რისთვის იწვევდნენ რუსეთში (კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოში ვეღარ დაბრუნდა, 1827 წელს რუსეთში გარდაიცვალა). ალექსანდრე ტორმასოვმა ქართლ-კახეთის ეკლესიის მმართველობის პროექტის შედგენა მიტროპოლიტ **ვარლამს** (ერისთავს) დაავალა. ეს პროექტი დაედო საფუძვლად ა. ტორმასოვის მოხსენებას უწმიდესი სინოდისადმი. 1811 წლის 12 თებერვალს გენერალი **ა. ტორმასოვი** რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ოპერ-პროკურორ თავად **ალექსანდრე გოლიცინს** წერდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II სამართლიანი და იშვიათი თვისებების მქონე ადამიანია. ა. ტორმასოვის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა იმპერატორის შესაბამისი ბრძანება, საქართველოს ეკლესიის მმართველად უნდა დაენიშნათ **ეგზარქოსი,** ხოლო კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I დატოვებული ყოფილიყო რუსეთში და მას საქართველოს ეკლესიის შემოსავლიდან დანიშვნოდა პენსია 6 ათასი მანეთის ოდენობით. **ა. ტორმასოვის** მოხსენების შემდეგ პეტერბურგში ბევრი აღარ უფიქრიათ. ამ მოხსენების საფუძველზე სინოდის ოპერ-პროკურორმა ა. გოლიცინმა 1811 წლის 21 ივნისს შეადგინა **„მმართველი სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება.”** მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში (ქართლ-კახეთში) რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქობა უქმდებოდა და კათოლიკოს-პატრიარქის ადგილს იკავებდა რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს დაქვემდებარებული **ეგზარქოსი.** იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 30 ივნისს „მმართველი სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება” უცვლელად დაამტკიცა. ალექსანდრე I-ის ბრძანების თანახმად, დაპყრობილი ქართლ-კახეთის სამღვდელოება უნდა დამორჩილებოდა **„მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტს”**, რომელიც იქნებოდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრი და ამავე დროს ექნებოდა **„საქართველოს ეგზარქოსის”** ტიტული. საქართველოს პირველ ეგზარქოსად დაინიშნა ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი, მიტროპოლიტი **ვარლამი.**

ასე გაუქმდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ივერიის (მცხეთის) საპატრიარქო, ხოლო გაუქმებული საპატრიარქოს მთელ ტერიტორიაზე (ეპარქიებზე, ეკლესიებზე, მონასტრებზე)

გავრცელდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის იურისდიქცია. უწმიდეს სინოდს დაქვემდებარებული ეგზარქოსი საქართველოში უმაღლეს იერარქად ითვლებოდა.

მმართველი სინოდის 1811 წლის 21 ივნისს **„უქვეშევრდომილეს მოხსენებაში"** მცხეთის ავტოკეფალური საპატრიარქოს გაუქმების ერთადერთ მიზეზად ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე რუსული მმართველობის დამყარება იყო დასახელებული. ეს კი ეწინააღმდეგებოდა **ეფესოს წმიდა III მსოფლიო საეკლესიო კრების** (431 წ.) მერვე კანონს. ამ კანონის მიღების საფუძველი გახდა ანტიოქიის ეკლესიის მცდელობა თავისი იურისდიქციისათვის დაემორჩილებინა კვიპროსის ეკლესია და, შესაბამისად, კვიპროსის ეკლესიისათვის ჩამოერთმია ავტოკეფალური უფლებები, რომლითაც იგი ძველთაგანვე სარგებლობდა. რადგან კვიპროსის ეკლესია ძველთაგანვე ავტოკეფალურად იყო აღიარებული, III მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაიცვა კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალია.

ივერიის (მცხეთის) უძველესი ავტოკეფალური მართლმადიდებელი საპატრიარქოს გაუქმებისათვის აუცილებელი იყო შემდეგი:

პირველი. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს უნდა მოეწვია საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა მიეღო დადგენილება ავტოკეფალური უფლების დათმობისა და ავტოკეფალიის გაუქმების თაობაზე. ასეთი საეკლესიო კრება მოწვეული არ ყოფილა.

მეორე. ლიკვიდირებული ივერიის (მცხეთის) საპატრიარქოს რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში შესვლის თაობაზე თანხმობა უნდა მიეცა რუსეთის საეკლესიო კრებას. იმხანად რუსეთში საეკლესიო კრებას აღარ იწვევდნენ, ხოლო უწმიდესი სინოდი საეკლესიო კრებას ვერ შეცვლიდა.

მესამე. მსოფლიოს უძველესი ივერიის (მცხეთის) ავტოკეფალური საპატრიარქოს გაუქმებისათვის აუცილებელი იყო მსოფლიო მართლმადიდებელი საპატრიარქოების (იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის) და, პირველ რიგში, კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქის თანხმობა. ასეთი თანხმობა რუსეთს არ უთხოვია და, ცხადია, არც მიუღია.

ამრიგად, 1801 წლის 12 სექტემბრის უკანონო აქტს, რომლის ძალითაც გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო, მოჰყვა მეორე – 1811 წლის 30 ივნისის უკანონო აქტი, რომლის ძალითაც გაუქმდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი

ავტოკეფალური საპატრიარქო – ივერიის (მცხეთის) საპატრიარქო.

1814 წლის 30 აგვისტოს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც საქართველოში საეკლესიო მმართველობის სისტემამ ცვლილება განიცადა. თბილისში დაარსდა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის **საქართველო-იმერეთის სინოდარული კანტორა.** უმაღლესი საეკლესიო იერარქი **საქართველოს ეგზაქოსი** იყო, რომლის ძალაუფლებაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. საქართველო-იმერეთის სინოდარული კანტორის შექმნასთან დაკავშირებით ქუთათელ მიტროპოლიტ **დოსითეოსს (წერეთელს)** აეკრძალა აფხაზთა საკათალიკოსოს საქმეთა განგება (მიტროპოლიტ დოსითეოსს კათოლიკოსობა უბოძა იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ, მაგრამ კურთხევა არ მომხდარა. სწორედ ამიტომ მიტროპოლიტი დოსითეოსი საბუთებში ასე იხსენიება: **„ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ და განმგე საკათალიკოზისი.**") 1814 წლის ბოლოდან მიტროპოლიტი დოსითეოსი მხოლოდ ეპარქიის მღვდელმთავარია და აფხაზეთის საკათალიკოსოს საქმეებს აღარ განაგებს. აფხაზეთის კათოლიკოს-პატრიარქისა და აფხაზეთის საკათოლიკოსოს იურისდიქცია შეწყდა და ყოფილი საკათოლიკოსოს ტერიტორია საქართველო-იმერეთის სინოდარულ კანტორასა და საქართველოს ეგზარქოსს დაექვემდებარა.

1811-1814 წლებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება იმ პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომლის მიზანსაც საქართველოს რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადაქცევა შეადგენდა.

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა,"** 2007, № 88, 9 მაისი, გვ. 4; 2007, № 89, 11 მაისი, გვ. 5.*

12. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება
(1920 წლის 7 მაისი)

1920 წლის 7 მაისს მოსკოვში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მომზადდა და დაიდო ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა რუსეთის პოზიციას. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას რუსეთი აშკარად მტრულად შეხვდა. უმძიმეს სამოქალაქო ომში ჩაბმულ რუსეთს იმხანად არ შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ან დიპლომატიური სანქციები გამოეყენებინა. ამას, გარკვეულწილად, უნდა გაეადვილებინა საქართველოს დამოუ-კიდებლობის საერთაშორისო აღიარება. მიუხედავად ამისა, ქართული დიპლომატიის მცდელობას, გაერდვია მოჯადოებული წრე, წარმატება არ მოჰყოლია. 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოკავშირის გარეშე დარჩა. ამიერიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უკვე ომში გამარჯვებულ ანტანტაზე იყო დამოკიდებული. ანტანტაში წამყვან როლს ინგლისი ასრულებდა, ინგლისის მხრიდან კეთილგანწყობის იმედი კი პროგერმანულ ორიენტაციაზე მდგომ საქართველოს არ უნდა ჰქონოდა.

1918-1920 წლებში, სამოქალაქო ომის პერიოდში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩრდილოეთ კასპიისპირეთსა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში საბჭოთა რუსეთის იურისდიქცია შეწყდა. ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ შავისპირეთს დიდი ხნით დაეპატრონა მოხალისეთა არმია (სარდალი გენერალი ანტონ დენიკინი). 1920 გაზაფხულისათვის

წითელმა არმიამ მოხალისეთა არმია დაამარცხა. მოხალისეთა არმიამ ყირიმის ნახევარკუნძულს შეაფარა თავი. ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენამ და საქართველოს საზღვრებთან წითელი არმიის მოახლოებამ კარდინალურად შეცვალა ანტანტის პოლიტიკა. ანტანტის ქვეყნები ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის საბოლოო დამარცხებას აღარც კი დაელოდნენ და 1920 წლის 12 იანვარს **დე-ფაქტო** ცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ინგლისი სასწრაფოდ შეუდგა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დაცვის შესაძლო ვარიანტების დამუშავებას იმ შემთხვევისათვის, თუ სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთი შეიჭრებოდა. ანტანტის პოლიტიკის შეცვლა წინასწარვე იგრძნო საბჭოთა რუსეთის დიპლომატიამ. რუსეთმაც დიპლომატიურ მანევრს მიმართა. ჯერ კიდევ ანტანტის მიერ საქართველოს დე-ფაქტო ცნობამდე, 1920 წლის 6 იანვარს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ა. დენიკინის წინააღმდეგ სამხედრო ხელშეკრულების დადება შესთავაზა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ნეიტრალიტეტის მომიზეზებით, სამხედრო ხელშეკრულების დადებაზე უარი განაცხადა, თუმცა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარების მიზნით მოლაპარაკების დაწყება მიზანშეწონილად მიიჩნია.

ინგლისის მზადებას ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დასაცავად პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. საბჭოთა რუსეთმა კი არ დააყოვნა და თურქეთთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს წითელმა არმიამ ბაქო დაიკავა. აზერბაიჯანის დამოუკიდებელმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ეს ანტანტის პოლიტიკის სერიოზულ მარცხს მოასწავებდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ ანტანტის დაპირების იმედად დარჩენა სახიფათო იყო. აუცილებელი გახდა საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარება, რასაც, პირველ რიგში, რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უნდა მოჰყოლოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას რომ იწყებდა, ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა: **პირველი**. თუ სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ანტანტის პოზიციები შესუსტდებოდა, საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით გაღიზიანებულ

რუსეთთან ჩვენს ქვეყანას ურთიერთობის მოგვარება აღარ გაუჭირდებოდა და სამხედრო დაპირისპირების (ომის) თავიდან აცილებასაც შეძლებდა; **მეორე**. თუ ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა მსოფლიოს ქვეყნების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-იურე აღიარებისათვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადება განაპირობა კიდევ ერთმა ფაქტორმა. პარიზის კონფერენციაზე (გაიხსნა 1919 წლის იანვარში) საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარება არ შედგა. ანტანტის ქვეყნებმა (ინგლისმა, საფრანგეთმა) საქართველოს დელეგაციას პირდაპირ განუცხადეს, რომ საქართველოს დე-იურე ცნობა შესაძლებელი გახდებოდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთი დე-იურე სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს დელეგაციას ასევე განუცხადეს, რომ პარიზის კონფერენციას შეეძლო საქართველოს მხოლოდ დე-ფაქტო ცნობა. ამრიგად, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებაზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას უბიძგა პარიზის საზავო კონფერენციამ. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან მცდარია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა რუსეთთან ხელშეკრულების დადებით ომის თავიდან აცილებას ესწრაფოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში კარგად ესმოდათ, რომ ხელშეკრულება საქართველოს რუსეთის აგრესიისაგან ვერ დაიცავდა, ხელშეკრულება, როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელი იყო ევროპის ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე-იურე აღიარებისათვის.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნაწილი მხარს უჭერდა აზერბაიჯანის შემდეგ საქართველოს დაპყრობას. მიუხედავად ამისა, ვ. ლენინმა ჩათვალა, რომ შექმნილ ვითარებაში ომი საქართველოსთან სახიფათო იქნებოდა. არც საგარეო და არც საშინაო ვითარება ომისათვის ხელსაყრელი არ იყო. ომს საქართველოს წინააღმდეგ შეიძლებოდა ანტანტასთან და, კერძოდ, ინგლისთან ურთიერთობის გამწვავება მოჰყოლოდა. გამორიცხული არც ომის დაწყება იყო. ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხების მიუხედავად, სამოქალაქო ომი რუსეთში კვლავ გრძელდებოდა. 1920 წლის მარტში სამხრეთ რუსეთში

დარჩენილ მოხალისეთა არმიას სათავეში ჩაუდგა გენერალი **პეტრე ვრანგელი**. წითელმა არმიამ პ. ვრანგელის არმიის ყირიმის ნახევარკუნძულზე შეკავება ვერ შეძლო. პ. ვრანგელის პირველმა წარმატებებმა სამხრეთ რუსეთში კვლავ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭოთა წყობილებას. დაძაბული ვითარებით ისარგებლა პოლონეთმა. 1920 წლის 17 აპრილს პოლონეთის არმიამ კიევზე შეტევა წამოიწყო. პოლონელებთან ერთად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაება უკრაინის დირექტორიის არმია **სიმონ პეტლურას** სარდლობით. უკრაინაში განლაგებული წითელი არმიის ნაწილები მდ. დნეპრისაკენ იხევდნენ. 6 მაისს პოლონელებმა **კიევი** დაიკავეს და ბრძოლები დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადაიტანეს. საბჭოთა რუსეთს საბოლოოდ პოლონეთის არმიის დამარცხება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მოსკოვს აშინებდა პოლონეთისადმი ანტანტის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა, რომლის მასშტაბების ამოცნობა იმხანად შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოლაპარაკებას დასთანხმებოდა და დროებით უარი ეთქვა სამხრეთ კავკასიაში დაპყრობითი ომის გაგრძელებაზე.

საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები მოსკოვში დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა დამფუძნებელი კრების წევრი **გრიგოლ ურატაძე**, ხოლო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელით – საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გიორგი ჩიჩერინის, მოადგილე **ლევ კარახანი (კარახანიანი)**. გრიგოლ ურატაძე მოსკოვში 1920 წლის აპრილის ბოლოს ჩავიდა და წინასწარი კონსულტაციების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს ოფიციალური მოლაპარაკებაც დაიწყო. 6 მაისს მოლაპარაკება დამთავრდა, ხოლო 7 მაისს გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას.

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება მოსკოვში დაიწყო იმ დროს, როცა სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) დიდი ქვეყნების (ინგლისის, თურქეთის, რუსეთის) ინტერესები გამიჯნული არ იყო. ანტანტასა და პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ თურქეთს შორის დადებული **მუდროსის ზავით** (1918 წლის ოქტომბერი) სამხრეთ კავკასია (ამიერკავკასია)

ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ინგლისის ჯარები 1918 წლის დეკემბრიდან განლაგდნენ და იმთავითვე აქტიურად დაიწყეს ჩარევა როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში. ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხების შემდეგ რუსეთმა არად ჩააგდო მუდროსის ზავის პირობები და 1920 წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანი დაიპყრო. რუსეთის შეჭრას აზერბაიჯანში წინ არ აღუდგა მუდროსის ზავით უკმაყოფილო თურქეთი. აზერბაიჯანის დათმობის სანაცვლოდ თურქეთმა რუსეთისაგან ანტანტის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში თანადგომის გარანტია მიიღო. გამორიცხული არ იყო, რომ ანტანტის წინააღმდეგ მხარდაჭერის სანაცვლოდ თურქეთს რუსეთისათვის საქართველოც დაეთმო. გასარკვევი იყო მხოლოდ ინგლისის პოზიცია. ინგლისის პოზიცია კი მანამდე არ გაირკვეოდა, სანამ არ დამთავრდებოდა ომი გენერალ პეტრე ვრანგელის არმიასა და წითელ არმიას შორის, სანამ არ გამოიკვეთებოდა გამარჯვებული რუსეთ-პოლონეთის ომში.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და თექვსმეტი მუხლისაგან. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღესვე, 1920 წლის 7 მაისს, გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს – "Особое секретное дополнение к договору между Россией и Грузией", რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, 1920 წლის 12 მაისს, ხელმოწერილი იქნა კიდევ ერთი დოკუმენტი – "Дополнительное соглашение к мирному договору между Россией и Грузией от 7 мая 1920 года", რომელიც პრეამბულისა და სამი მუხლისაგან შედგებოდა. ორივე დოკუმენტი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად იქნა გამოცხადებული. ამრიგად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ორივე დამატებასთან ერთად შედგება ოცდაერთი მუხლისაგან. სამივე დოკუმენტს გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი ცალ-ცალკე მოაწერეს.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების **პირველი მუხლი** უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, ქვეყნის საერთაშორისო აღიარებისათვის. ხელშეკრულებაში აღნიშნულია: "Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского Государства и отказьвается доброволно от всяких суверенньх прав, кои принадлежали России в отношении к

грузинскому народу и земле". რა შეფარული მიზნებიც უნდა ჰქონოდა ხელშეკრულების დადების მომენტში რუსეთს, ყოველივე ამის აღიარება მაინც ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ.

ქართული დიპლომატიის უდავო წარმატებად აღიქმება ასევე ხელშეკრულების **მეორე მუხლიც**: "Россия обязуется отказаться от всякого рода вмешательства во внутренние дела Грузии".

მოლაპარაკების პროცესში რუსეთს საქარ-თველოს მიმართ მნიშვნელოვანი ტერიტორიული პრეტენზიები არ წამოუყენებია. სახელმწიფო საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების **მესამე მუხლის პირველი პარაგრაფით** ასე განისაზღვრა: "Государ-ственная граница между Грузией и Россией проходит от Черного моря по реке Псоу до горы Ахахча, через гору Ахахча и гору Аганета и по северной границе бывших губерний Черноморской, Кутаисской и Тифлисской до Закатальского округа и по восточной границе этого округа до границы с Армений".

თუ ზოგადად შევაფასებთ, ხელშეკრულების მესამე მუხლი, კერძოდ, მისი მეორე, მესამე და მეოთხე პარაგრაფები საქართველოსათვის გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა. კერძოდ, მესამე მუხლის მეორე პუნქტით საქართველოს ეკრძალებოდა კავკასიონის გადასასვლელების გამაგრება: "Все перевалы на означенной пограничной линии до первого января тьсяча деватьсот двадцать второго года признаются нейтральными. Они не могут быть занимаемы войсками ни одной из обеих договаривающихся сторон и не могут быть ни одной из них укрепляемы". კავკასიონის გადასასვლელებიდან ყველაზე მნიშვნელოვანის – დარიალისა და მამისონის – გადასასვლელების შესახებ ხელშეკრულების მესამე მუხლის მესამე პუნქტში აღნიშნული იყო: "На Дарьяльском перевале указанная в пункте 2 настоящей статьи нейтрализация будет распространена на протяжении перевала от Балты до Коби, на Мамисонском перевале от Зарамага до Они, а на всех прочих перевалах на пятиверстие в обе стороны от пункта прохождения границы расстояния". როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების მესამე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების წყალობით რუსეთთან ომის შემთხვევაში საქართველო ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა – რუსეთის არმია კავკასიონის

გადასასვლელებს, მათ შორის სტრატეგიულად არსებითი დანიშნულების მქონეთ, ადვილად გადმოლახავდა.

ხელშეკრულების მესამე მუხლის მეოთხე პუნქტი გარკვეულწილად აქარწყლებდა იმავე მუხლის პირველ პუნქტს რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენის თაობაზე. მეოთხე პუნქტი რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის გავლების მიზნით შერეული კომისიის შექმნას ითვალისწინებდა: "Точное проведение государственной границы между обоеми договаривающимися сторонами будет произведено особой смешанной пограничной комиссией с одинаковым числом членов от обеих сторон. Результаты работы этой комиссии будут закреплены в особом договоре между обоеми договаривающимися сторонами". ცხადია, რუსეთი ეცდებოდა სახელმწიფო საზღვრის დადგენის პერიოდში გარკვეული პრეტენზიები წამოეყენებინა საქართველოსათვის და უკან წაეღო ის, რაც დათმო ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველი პუნქტით.

საქართველოსათვის ძალზე ხელსაყრელი იყო ხელშეკრულების **მეოთხე მუხლი**, რომლის პირველი პუნქტის ძალითაც "Россия обязуется признать безусловно входящими в состав Грузинского государства, кроме отходящих к Грузии в силу пункта I статьи III настоящего договора частей Черноморской губернии, нижеследеующие губернии и области бывшей Российской Империи – Тифлисскую, Кутаисскую и Батумскую со всеми уездами и округами, составляющими означенный губернии и области, а также округа Закатальский и Сухумский". ძირძველი ქართული ტერიტორია, ჭარ-ბელაქანი (საინგილო), იგივე ზაქათალის ოკრუგი, საქართველოს კუთვნილ ტერიტორიად ცხადდებოდა, რასაც საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან სასტიკი პროტესტი მოჰყვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო **მეოთხე მუხლის** მეორე პარაგრაფიც, რომელიც სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის ხარჯზე საქართველოს ტერიტორიის გაზრდის შესაძლებლობას იძლეოდა. კერძოდ, მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული იყო: "Впоследствии, по мере выяснения взаимоотношений между Грузией и другими кроме России государственными образованиями, существующими или имеющими создаться и сопредельными с Грузией по другим границам, чем та, которая описана в предшествующей статье III настоящего договора, Россия выражает готовность признать входящими в

состав Грузии те или инье части бьвшего Кавказского Наместника, которье отойдут к ней на основании заключенньк с этими образованиями договоров”.

ძალზე არახელსაყრელი, საშინლად მძიმე იყო საქართველოსათვის ხელშეკრულების **მეხუთე მუხლი**, რომელით ათი პუნქტისაგან შედგებოდა. მეხუთე მუხლი საქართველოს ავალდებულებდა: 1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუყოვნებლივ უნდა დაეპატიმრებინა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობისამდი მტრულად განწყობილი და რუსეთში არსებული ხელისუფლების დამხობის მოსურნე სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილები, ასევე იმ პოლიტიკურ და სამხედრო ძალთა წარმომადგენლები, რომლებიც თავს აცხადებდნენ რუსეთის მთავრობად, ან რუსეთის რომელიმე ნაწილის მთავრობად; 2) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუყოვნებლივ უნდა განეიარაღებინა საქართველოს ნავსადგურებში მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა კუთვნილი გემები, ხოლო ეკიპაჟის წევრები საკონცენტრაციო ბანაკებში მოეთავსებინა; 3) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დაუყოვნებლივ, ყოველგვარი პირობის გარეშე უნდა გადაეცა რუსეთისათვის საქათრველოს ტერიტორიაზე განიარაღებული საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო და პოლიტიკურ ძალთა მთელი ქონება, მათ შორის სამხედრო ქონებაც (სამხედრო გემები, არტილერია, ავიაცია და სხვ.); 4) რუსეთი პირობას დებდა, რომ სიკვდილით არ დასჯიდა საქათრველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ რუსეთისათვის გადაცემულ პირებს; 5) საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის ტერიტორიიდან უნდა გაეძევებინა ყველა სახის სამხედრო შენაერთი, რომელიც არ შედიოდა ქართული ჯარის შემადგენლობაში; 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მომავალშიც არ უნდა დაეშვა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ისეთი სამხედრო შენაერთების არსებობა, რომლებიც არ შედიოდნენ ქართულ ჯარში; 7) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ქართულ ჯარში არ უნდა მიეღო, მათ შორის მოხალისედაც, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და

საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო შენაერთებში მომსახურე პირები, რადგან ისინი ეროვნებით ქართველები არ იყვნენ; 8) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე არ უნდა გაეჩერებინა ისეთი ძალები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საბჭოთა რუსეთში არსებული წყობილების დამხობას. ამასთან ერთად, ამ ძალებისათვის არ უნდა მიეცა უფლება, საქართველოს ტერიტორია გამოეყენებინათ იმ ტვირთის გადასატანად, რომელიც რუსეთთან ომში იქნებოდა გამოყენებული; 9) ის ჯგუფები და პირები, რომლებიც არ შეასრულებდნენ მერვე პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეპატიმრებინა; 10) მეხუთე მუხლის მეხუთე პუნქტის შესრულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას უნდა დაეწყო დაუყოვნებლივ და რაც შეიძლება მალე დაესრულებინა.

ხელშეკრულების მეხუთე მუხლი, გარდა იმისა, რომ უხეშად თელავდა ფეხქვეშ ქვეყნის სუვერენიტეტს, საქართველოს მთავრობას აიძულებდა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი სადამსჯელო ღონისძიებანი გაეტარებინა.

იმ უზარმაზარი ვალდებულებების სანაცვლოდ, რაც ხელშეკრულების მეხუთე მუხლმა საქართველოს დააკისრა, რუსეთი **მეექვსე მუხლით** ძალზე ზოგად ვალდებულებას კისრულობდა: "Россия обязуется не допускать на своей территории пребывания и деятельность всякого рода групп и организаций, претендующих на роль правительства Грузии или части ее, а также всякого рода групп и организаций, имеющих своей целью низвержение правительства Грузии. Россия обязуется оказать все свое влияние из союзные ей государства с целью недопущения на их территории указанных в настоящей статье групп и организаций".

ხელშეკრულების **მეცხრე მუხლი** ეხებოდა მოქალაქეობის საკითხს. მეცხრე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული იყო: "Лица грузинского происхождения, проживающие на территории России и достигшие восемнадцати лет от роду, вправе оптировать Грузинское гражданство. Равным образом лица негрузинского происхождения, проживающие на территории Грузии и достигшие указанного возраста, вправе оптировать российское гражданство".

ხელშეკრულების **მეათე მუხლი** უკვე აშკარად ხელყოფდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს და საქართველოს აყენებდა მეტად მძიმე მდგომარეობაში. კერძოდ, მეათე მუხლი ასე გამოიყურებოდა:

"Грузия обязуется освободить от наказания и от дальнейшего преследования, судебного или административного, всех лиц, подвергшихся на территории Грузии таковому преследованию за деяния, совершенные в пользу Российской Социалистической Федеративной Советской Республики или в пользу Коммунистической партии.

Прим: "Грузия обязуется немедленно осовободить лиц, находящихся в тюремном заключении за деяния указанного выше рода". ხელშეკრულების მეათე მუხლი პრაქტიკულად ძალადაკარგულად აცხადებდა ხელშეკრულების მეორე მუხლს, რომლის ძალითაც რუსეთი პირობას დებდა, რომ არ ჩაერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში.

ხელშეკრულების მეთორმეტე მუხლი ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხებოდა და თავისთავად ხელსაყრელი იყო საქართველოსათვის:

"1. Обе договаривающиеся стороны в основу торговых взаимоотношений кладут принцип наибольшего благоприятствования.

2. Товары, идущие из или по назначению одной из договаривающихся сторон не должны облагаться другой стороной никакими транзитными пошлинами или сборами".

ხელშეკრულების **მეთოთხმეტე მუხლის** ძალით საქართველოსა და რუსეთს შორის უმოკლეს ვადაში უნდა დამყარებულიყო დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობა.

ხელშეკრულების **მეთხუთმეტე მუხლი** ითვლისწინებდა ორმხრივი კომისიის შექმნას, რომლის კომპეტენციაში შედიოდა:

"1. Составление торгового договора и иных соглашений экономического характера.

2. Разрешение вопросов относительно выдела из бывших центральных учреждений архивов и делопроизводства судебных и административных депозитов и актов гражданского состояния.

3. Определение вопроса о порядке пользования, владения и распоряжения нефтепроводом Батум-Баку, в той части его, которая в силу статьи IV настоящего договора будет находиться на территории Грузии. Вопрос этот будет закреплен

затем путем особого соглашения между обеими договаривающимися сторонами".

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, როგორც **მეთექვსმეტე მუხლში** იყო აღნიშნული, ძალაში შედიოდა ხელმოწერის დღიდან და რატიფიკაციას არ საჭიროებდა. ცხადია, ამ მუხლით რუსეთი თავს იზღვევდა, რადგან ხელშეკრულების რატიფიკაციას საქართველოს დამფუძნებელ კრებაში შეიძლებოდა დიდი ვნებათაღელვა მოჰყოლოდა.

1920 წლის 7 მაისსვე გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების **საიდუმლო დამატებას**, რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. საიდუმლო დამატების პირველი მუხლი კიდევ ერთხელ თელავდა ფეხქვეშ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენიტეტს. პირველი მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული:

"Грузия обязуется признать за находящимися на территории Грузии коммунистическими организациями право свободного существования и деятельности, в частности, право свободного устройства собраний и право свободного издательства (в том числе органов печати).

Вовсяком случае не могут быть принимаемы никакие репрессии ни против частных лиц, как судебные, так и административные, вытекающие лишь из публичной пропаганды и агитации за коммунистическую программу или деятельности лиц и организаций, основанных на коммунистической программе". საიდუმლო დამატების მეორე მუხლი ამ დამატებას ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად აცხადებდა.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების საიდუმლო დამატება ხელყოფდა საქართველოს სუვერენიტეტს, ქვეყანაში აკანონებდა რუსეთის მეხუთე კოლონას და მას საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ლეგალური ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოების უფლებას აძლევდა. ეს უფლება რუსეთის მეხუთე კოლონამ კარგად გამოიყენა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ რუსეთს საქართველო ადვილად დაეპყრო.

1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების საიდუმლო დამატებაც ძალაში რატიფიკაციის გარეშე შედიოდა ხელმოწერის მომენტიდან. იგი საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იყო.

1920 წლის 12 მაისს გ. ურატაძისა და ლ. კარახანის მიერ ხელმოწერილი **დამატებითი შეთანხმება** მიზნად ისახავდა საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დადგენას. დამატებითი შეთანხმების პირველ მუხლში აღნიშნული იყო: "Вопрос о спорныхъ местностях на границе между Грузией и Азербаиджаном и в Закатальском округе передается на разрешение смешанной Комиссии, образуемой из представителей Правительств Азербайджана и Грузии в равном количестве, под председетельством представителя Р.С.Ф.С.Р. Все решения этой Комиссии будут признаваться для себя обязательньми Правительствами Азербайджана и Грузии". ცხადია, შერეული კომისიის მუშაობის პერიოდში საბჭოთა რუსეთი საბჭოთა აზერბაიჯანს დაუჭერდა მხარს და სასაზღვრო ხაზიც აზერბაიჯანის სასარგებლოდ დადგინდებოდა. საბჭოთა რუსეთს რომ ასეთი სურვილი არ ჰქონოდა, მაშინ 1920 წლის 12 მაისს დამატებით შეთანხმებას ხელი არც მოეწერებოდა, რადგან ძირითადი ხელშეკრულების მეოთხე მუხლით ზაქათალის ოკრუგი (საინგილო) საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიად ცნო და ამ საკითხის ხელახალი განხილვა საჭირო აღარ იყო. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ის, რომ 12 მაისის დამატებითი შეთანხმება აზერბაიჯანის პროტესტის შემდეგ გაფორმდა. სულ მალე, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისთანავე (1921 წელს), ზაქათალის ოკრუგი (საინგილო) მოსკოვის მოთხოვნით აზერბაიჯანს გადაეცა.

ამრიგად, საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, 7 მაისის საიდუმლო დამატებითი და 12 მაისის დამატებითი შეთანხმებით არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს. ხელშეკრულების მნიშვნელობას განსაზღვრავდა ორი მომენტი:

პირველი. რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტო და დე-იურე ცნობა იყო უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა და ხელს უწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებას;

მეორე. ხელშეკრულება რუსეთს საშუალებას აძლევდა: 1) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ომის შემთხვევაში დიდი წინააღმდეგობის გარეშე გადაელახა კავკასიონის უღელტეხილები და მოეპოვებინა სტრატეგიული უპირატესობა. იგივე უპირატესობით ვერ ისარგებლებდა

საქართველო, რადგან იგი რუსეთის დასაპყრობად არ ემზადებოდა და, რაც მთავარია, არც ამისი შესაძლებლობა გააჩნდა; 2) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ომის შემთხვევაში აქტიურად გამოეყენებინა მეხუთე კოლონა, რომლის ხელშეუხებლობის გარანტიას ხელშეკრულება იძლეოდა.

1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებას საქართველოსათვის ჰქონდა კიდევ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა. **თუ რუსეთი საქართველოს დაიპყრობდა, მის მიერვე დე-ფაქტო და დე-იურე ცნობილი ქვეყნის დაპყრობით სამომავლოდ საერთაშორისო ასპარეზზე ბევრ უხერხულობას შეიქმნიდა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ეს დოკუმენტი ძლიერი სამართლებრივი არგუმენტი იქნებოდა.**

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„ქართული უნივერსიტეტი,"** 2004, № 12, 5-15 მაისი, გვ. 3-4, 7. რუსული ვარიანტი: газета „Свободная," 2004, № 74, 6 мая, стр. 5.*

13. ყარსის ხელშეკრულება (1921 წლის 13 ოქტომბერი)

XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის დამკვიდრებამ სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) და რუსეთთან ომებში თურქეთისა და ირანის მარცხმა XIX საუკუნის პირველ მესამედში ცხადი გახადა, რომ რეგიონში სტატუს ქვო დაირღვა. ამ მოვლენამ დაუყოვნებლივ გამოიწვია დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნების (ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის) მკვეთრად უარყოფითი რეაქცია. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებას, რაც მახლობელ აღმოსავლეთში გაჭრისათვის პლაცდარმის მომზადებასაც ნიშნავდა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ხელი ვერ შეუშალეს. 1877-1878 წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის გაჩაღებულ ომში კვლავ რუსეთმა გაიმარჯვა. **სან-სტეფანოს ხელშეკრულებითა** (1878 წლის მარტში) და **ბერლინის კონგრესის** გადაწყვეტილებით (1878 წლის ივლისში) დამარცხებულმა თურქეთმა აჭარა რუსეთს დაუთმო. 1903 წელს აჭარის ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობა **ბათუმის ოლქის** შექმნით დამთავრდა. ბათუმის ოლქი, რომელიც **ბათუმისა** და **ართვინის** ოკრუგებისაგან შედგებოდა, ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს (რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში ცალკე ერთეულებს წარმოადგენდა **არტაანისა** და **ყარსის** ოკრუგები).

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ (1914 წ.) სამხრეთ-დასავლეთი საქართველო კვლავ მოექცა დიდი პოლიტიკის ყურადღების ცენტრში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის რუსეთი **ანტანტის** სამხე-დრო-პოლიტიკური ბლოკის წევრი იყო, ხოლო თურქეთი – **სამთა კავშირისა.** ამრიგად, სამხრეთი კავკასია და, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ფრონტისპირა რეგიონად იქცა. თურქეთის არმიის ცდები – დაეკავებინა თბილისი და ბათუმი – რუსეთის კავკასიის არმიამ 1914-1915 წლებში წარმატებით აღკვეთა, ხოლო შემდეგ საკუთრივ თურქეთის ტერიტორიის ნაწილი (აღმოსავლეთ ანატოლია) დაიკავა.

სამხრეთ კავკასიაში ვითარება კარდინალურად შეიცვალა რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ. რუსეთის დროებითმა მთავრობამ თავისი არსებობის პერიოდში (1917 წლის მარტი-ოქტომბერი) შეძლო სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) თავისი იურისდიქციის შენარჩუნება. ბოლშევიკების მიერ დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ (1917 წლის ოქტომბერში) ხელისუფლების

სათავეში მოსულმა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კი სამხრეთ კავკასიაში იურისდიქცია ვედარ შეინარჩუნა – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურმა ძალებმა საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს და 1917 წლის ნოემბერში შექმნეს სამხარეო ხელისუფლების ორგანო – **ამიერკავკასიის კომისარიატი** (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი). მიუხედავად საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოცილებისა, ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შექმნილა, რის გამოც საერთაშორისო ასპარეზზე ამიერკავკასია (სამხრეთ კავკასია) ისევ რუსეთის ტერიტორიად აღიქმებოდა. თუმცა იყო ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი: რუსეთის კავკასიის არმია საბჭოთა რუსეთის მთავრობას არ ცნობდა, მის განკარგულებებს არ ასრულებდა და რეგიონს თურქეთის აგრესიისაგან იცავდა.

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ საბჭოთა რუსეთს ომის გაგრძელება აღარ შეეძლო. ვ. ლენინი ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. ასეთ ვითარებაში საბჭოთა რუსეთმა გადაწყვიტა, გერმანიასა და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთსა, თურქეთსა და ბულგარეთთან) სეპარატიული ზავი დაედო. ზავს 1918 წლის 3 მარტს **ბრესტ-ლიტოვსკში** მოეწერა ხელი. ზავის სანაცვლოდ საბჭოთა რუსეთმა დიდი ტერიტორია დათმო. ეს შეეხო სამხრეთ კავკასიასაც. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მეოთხე მუხლში აღნიშნული იყო: "Россия сделает все от нее зависящее, чтобы обеспечить скорейшее очищение провинций Восточной Анатолии и их упорядоченное возвращение Турции". ეს რაც შეეხებოდა საკუთრივ თურქეთის ტერიტორიას, რომელიც ზავის დადების მომენტისათვის რუსეთის ჯარებს ეკავათ. იმავე, მეოთხე მუხლის ბოლო აბზაცი უკვე რუსეთის ტერიტორიას ეხებოდა. კერძოდ, მასში ნათქვამია: "Округа Ардагана, Карса и Батума также незамедлительно очищаются от русских войск. Россия не будет вмешиваться в новую организацию государственно–правовых и международно–правовых отношений этих округов, а предоставит населению этих округов установить новый строй в согласии с соседними государствами, в особенности Турцией". როგორც ვხედავთ, ფაქტობრივად, საქმე ეხებოდა **ბათუმის, არდაგანისა (არტაანისა)** და **ყარსის** ოკრუგების ტერიტორიაზე მოსახლეობის ნების გამოსავლენად **რეფერენდუმის** ჩატარებას. ისიც ცხადი იყო, რომ რეგიონში რუსეთთან შედარებით თურქეთმა უპირატესობა მიიღო. 1918

წლის მარტშივე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა სრულიად რუსეთის საბჭოების IV ყრილობამ.

ამიერკავკასიის კომისარიატმა არ ცნო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მუხლი, რომელიც ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგებს ეხებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით 1918 წლის მარტში **ქ. ტრაპიზონში** გაიმართა თურქეთისა და ამიერკავკასიის კომისარიატის დელეგაციათა მოლაპარაკება. ტრაპიზონის კონფერენციაზე თურქეთი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის უპირობო შესრულებას ითხოვდა და ამიერკავკასიის დელეგაციის (მეთაური აკაკი ჩხენკელი) მოთხოვნებს ორ ძლიერ არგუმენტს უპირისპირებდა: 1) ამიერკავკასია არ იყო ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი მხარე; 2) ამიერკავკასია არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, იგი რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. ტრაპიზონის კონფერენცია შეწყდა და თურქეთმა ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგების დაკავების მიზნით საომარი მოქმედებები დაიწყო. 1918 წლის მარტ-აპრილში თურქეთმა მთელი აჭარა დაიპყრო. მართალია, 1918 წლის აპრილში ამიერკავკასიის სეიმმა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, მაგრამ ამან საქმეს მაინც ვერ უშველა. 1918 წლის მაისში თურქებისაგან ოკუპირებულ **ბათუმში** ერთმანეთს შეხვდნენ ამიერკავკასიისა და თურქეთის დელეგაციები. ბათუმის კონფერენციაზე თურქებმა მოთხოვნები კიდევ უფრო დაამძიმეს (ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობებს მათ კიდევ ერთი დაუმატეს: ომის შემთხვევაში თურქეთს უნდა მისცემოდა ამიერკავკასიის რკინიგზით ჯარების გადაყვანის უფლება).

ასეთ ვითარებაში 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ დღისათვის აჭარა თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული. მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, აჭარა თურქეთისათვის დაეთმო. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მეორე მუხლში აღნიშნული იყო, რომ საზღვარი თურქეთსა და საქართველოს შორის მდინარე **ჩოლოქზე** გადიოდა. თურქეთი

მოპოვებული უპირატესობის განმტკიცებას შეუდგა. 1918 წლის ივლისში მის მიერვე ოკუპირებული ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოკრუგების ტერიტორიაზე თურქეთმა რეფერენდუმი ჩაატარა და გამოაცხადა, რომ ამ ოკრუგების მოსახლეობამ თურქეთის შემადგენლობაში გადასვლა ისურვა. ეს იყო დიდი სიცრუე, რადგან რეფერენდუმი უხეში ძალმომრეობისა და შანტაჟის პირობებში ჩატარდა. ამის შემდგომ მოვლენები თურქეთისათვის არახელსაყრელად წარიმართა. პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულმა თურქეთმა **მუდროსის ზავით** (1918 წლის ოქტომბერი) ბათუმი და მთელი აჭარა დატოვა. აჭარა ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. ინგლისის სამხედრო კრეისერები ბათუმში 1918 წლის დეკემბერსა და 1919 წლის იანვარში შემოვიდნენ. ინგლისელები აჭარაში 1920 წლის ივლისამდე დარჩნენ.

აჭარაში თურქთა ბატონობის (1918 წლის აპრილი-დეკემბერი), ისევე როგორც ინგლისელთა საოკუპაციო რეჟიმის არსებობის პერიოდში (1918 წლის დეკემბერი – 1920 წლის ივლისი) მიმდინარეობდა ქართული ორიენტაციის ძალების დევნა. უაღრესად არახელსაყრელ ვითარებაში **მემედ-ბეგ აბაშიძემ** შეძლო პროქართული განწყობის მქონეთა გაერთიანება და 1919 წლის აგვისტოში ბათუმში ქართველ მაჰმადიანთა ყრილობაც მოიწვია. 31 აგვისტოს ყრილობამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. ქართველი მუსლიმები **‘ღვთისა და ქვეყნის წინაშე“** აცხადებდნენ: ‘ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლით და ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები ვართ, მუსლიმანი ქართველები, და ტერიტორიულად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა სამშობლოს საქართველოს განუყრელ ნაწილს შეადგენდა“. ყრილობის დადგენილებაში აღნიშნულია: **‘ამიერითგან და სამარადისოთ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამულისმანო საქართველოს ფართე ავტონომიის ნიადაგზე...“** 1919 წლის 11 სექტემბრის საგანგებო მიმართვაში ზემო აჭარის დელეგაციისადმი **ნოე ჟორდანიამ** დაადასტურა, რომ აჭარას საქართველოს შემადგენლობაში მიეცემოდა ავტონომია. თუმცა აჭარიდან ინგლისის საოკუპაციო ჯარების გასვლის შემდეგ (1920 წლის ივლისი) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დანაპირები აღარ გახსენებია და ბათუმისა და ბათუმის ოლქის მართვა-გამგეობა **საგანგებო**

კომისარიატს (კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი) ჩააბარა. ქართველ მუსლიმთა ყრილობის დადგენილების უგულვებელყოფას აჭარაში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. მალე მდგომარეობა გამოსწორდა. დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის მეთერთმეტე თავი ასეა დასათაურებული: **'ავტონომიური მმართვე-ლობა".** კონსტიტუციის 107-ე მუხლით საქართველოს განუყოფელ ნაწილებს აფხაზეთს (სოხუმის ოლქს), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოლქს) და საინგილოს (ზაქათალის ოლქს) ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა მიენიჭათ. კონსტიტუციის 108-ე მუხლის თანახმად, ავტონომიური მმართ-ველობის დებულებანი ცალკე კანონით უნდა განსაზღვრულიყო.

1921 წლის 11-12 თებერვალს ღამით დაიწყო საბჭოთა რუსეთის აგრესია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. 25 თებერვალს რუსეთის მე-11 წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა. მანამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება და მთავრობა ბათუმში გადავიდა. საქართველო-რუსეთის ომის პარალელურად მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მოლაპარაკება, რაც 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებით დასრულდა. საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მოლაპარაკებას ორი პრინციპული შეთანხმება დაედო საფუძვლად. **პირველი.** თურქეთი უარს ამბობდა სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ყოველგვარ ტერიტორიულ პრეტენზიაზე; **მეორე.** რუსეთი აღარ ითხოვდა, რომ თურქეთს ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ბერლინის კონგრესის (1878 წ.) მიერ დადგენილ სასაზ-ღვრო ხაზამდე გადაეწია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია მოსკოვის მოლაპარაკებებში არ მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ხელშეკრულების პირველ მუხლში თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ აღნიშნული იყო: "Северо–восточная граница Турции определяется: линией, которая начинаясь у деревни Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедисмга, линией водораздела горы Шавшет – горы Канны-даг, она следует затем по северной административной границе Ардаганского и Карсского санджаков..." ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის მთავრობის თანხმობის გარეშე, რომელიც 1921 წლის 17 მარტის საღამომდე ბათუმში, ე. ი. ქვეყნის ტერიტორიაზე, იმყოფებოდა, რუსეთმა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი თურქეთის ტერიტორიად აღიარა.

რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება სხვა მხრივაც შეეხო საქართველოს. ხელშეკრულების მეორე მუხლში აღნიშნულია:

"Турция соглашается уступить Грузии суверенитет над портом и городом Батумом и территорией, лежащей к северу от границы, указанной в статье первой ньнешнего Дрговора, и составлявшей часть Батумского округа, при условии, что

1) население местностей, указанньх в настоящей статье, будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурнье и религиознье права, и население будет иметь возможность установить земельньй закон, соответствующий его пожеланиям

2) Турции будут обеспечен свободньй транзит всяких товаров, отправляемьх в Турцию или из нее, через Батумский порт, безпошлинно, без учинения каких–либо задержек и без обложения их какими бы то ни было сборами, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портов без звимания за то специальньх сборов".

რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულება შეეხო აზერბაიჯანსაც. ხელშეკრულების მესამე მუხლში აღნიშნულია: "Нахичеванская область... образет автономную территорию под протекторатом Азербайджана, при условии, что Азербайджан не уступит сего протектората третьему государству".

1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაცია საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის 20 ივლისს მოახდინა, ხოლო თურქეთმა – 1921 წლის 31 ივლისს. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა შედგა ქ. ყარსში 1921 წლის 22 სექტემბერს.

1921 წლის მარტისათვის საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, თუმცა ფორმალური თვალსაზრისით სამივე ქვეყანა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ჯერ-ჯერობით არც ამიერკავკასიის ფედერაცია და არც საბჭოთა კავშირი

შექმნილი არ იყო, მაგრამ არსებობდა გეგმა ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნისა. იმხანად გაურკვეველი იყო, ახალ საბჭოთა იმპერიაში რა ფორმით შევიდოდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ასეთ ვითარებაში რუსეთმა გადაწყვიტა თავისი პოზიციების განმტკიცება სამხრეთ კავკასიაში და თავის მთავარ კონკურენტთან, თურქეთთან, ყველა საკითხის მოგვარება. 1921 წლის 23 სექტემბერს ქალაქ **ყარსში** დაიწყო თურქეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოლაპარაკება. ყარსის კონფერენციაში სრულუფლებიანი მხარის სახით მონაწილეობდა საბჭოთა რუსეთი. ოფიციალურ რუსულ გამოცემებში 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში დადებული ხელშეკრულება ასეა დასათაურებული: "Дрговор о дружбе между Армянской ССР, Азербайджанской ССР и Грузинской ССР, с одной стороны, и Турцией — с другой, заключенный при участии РСФСР в Карсе". ხელშეკრულების **პრეამბულაში** აღნიშნულია, რომ სომხეთმა, აზერბაიჯანმა, საქარ-თვე-ლომ და თურქეთმა "решили приступить к переговорам при участии Российской Социалистической Федеративной Советской Республики". საქართველოს მხრიდან ყარსის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა **შალვა ელიავამ,** საგარეო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარმა **ალექსანდრე სვანიძემ,** ხოლო საბჭოთა რუსეთის მხრიდან – **იაკობ განეცკიმ (ფიურსტენბერგმა)**, რომელიც იმხანად საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი იყო. თურქეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს **კიაზიმ კარაბეკირ-ფაშამ, ველი-ბეიმ, მუხტარ-ბეიმ, მემდუხ შევკეტ-ბეიმ;** სომხეთის მხრიდან – **ასკანაზ მრავიანმა, პოღოს მაკინზიანმა;** აზერბაიჯანის მხრიდან – **ბეხბუდ შახტახტინსკიმ.**

ყარსში დაწყებულ მოლაპარაკებას იგივე პრინციპები დაედო საფუძვლად, რაც რუსეთ-თურქეთის მოსკოვის მოლაპარაკებას – უცვლელი დარჩა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი.

ყარსის ხელშეკრულების **პირველი მუხლი** ძალადაკარგულად აცხადებდა ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც ამიერკავკასიას (სამხრეთ კავკასიას) ეხებოდა. ეს არ ეხებოდა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებას. **მეორე მუხლში** კი აღნიშნული იყო, რომ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს არ უნდა ეცნოთ არცერთი ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა თურქეთს,

მაგრამ არ სცნეს თურქეთის მთავრობამ და თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ. თავის მხრივ, თურქეთი ვალდებულებას იღებდა, არ ეცნო არც ერთი საერთაშორისო აქტი, თუ მას არ ცნობდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ყარსის ხელშეკრულების **მეოთხე მუხლით** დადგინდა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. კერძოდ, ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ეს საზღვარი "начинается у деревнии Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедис–мга, линию водораздела горы Шавшет – гору Канны–даг; она следует затем по старым северным административным границам Ардаганского и Карсского санджаков..."

ყარსის ხელშეკრულების **მეექვსე მუხლი** ეხებოდა აჭარას. კერძოდ, ეს მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული:

"Турция соглашается уступить Грузии сюверенитет над городом и портом Батуми и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. 4 настоящего Дрговора и составляющей часть Батумского округа, при условии, что:

1) население местностей, указанных в настоящей статье будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и население будет иметь возможность установить в указанных местностях земельный закон, соответствующий его пожеланиям;

2) Турции будет обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспошлинно, без учинения каких–либо задержек и без обложения их каким бы то ни было сборам, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без взимания за то специальных сборов.

Для праведения в жизнь этой статьи будет немедленно после подписания настоящего Дрговора образована Комиссия из представителей заинтерессованных сторон".

ხელშეკრულების **მეშვიდე მუხლში** აღნიშნული იყო, რომ მხარეები შეთანხმდნენ "облегчить жителям пограничной зоны переход границы, при условии соблюдения таможенных, полицейских и санитарных правил, которые будут установлены по этому поводу Смешанной Комиссией".

როგორც ვხედავთ, ყარსის ხელშეკრულებამ თითქმის უცვლელად გაიმეორა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლები.

უცვლელად განმეორდა მოსკოვის ხელშეკრულების მესამე მუხლიც ნახჭევანის ავტონომიური ტერიტორიის შესახებ. ყარსის ხელშეკრულების მეხუთე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ნახჭევანის ოლქი წარმოადგენს "автономную территорию под покровительством Азербайджана".

ყარსის ხელშეკრულების ოცი მუხლიდან ექვი მუხლი ძალაში შევიდა ხელმოწერის დროიდან (1921 წლის 13 ოქტომბრიდან), მათ შორის იყო მეექვსე მუხლი, რომელიც აჭარას ეხებოდა. რაც შეეხება ხელშეკრულების დანარჩენ მუხლებს, ისინი ძალაში შევიდოდნენ რატიფიკაციის შემდეგ. ხელშეკრულების **მეოცე მუხლი** ხელისმომწერ მხარეებს ავალდებულებდა, რაც შეიძლება მოკლე დროში გაეცვალათ სარატიფიკაციო სიგელები.

ყარსის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა შედგა **ერევანში** 1922 წლის 11 სექტემბერს.

ყარსის ხელშეკრულებას არ ჰქონია საიდუმლო მუხლები. ხელშეკრულებას დაერთო სამი დამატება, რომელთაგან არც ერთი საიდუმლო არ ყოფილა და სამივე მრავალჯერ იქნა გამოქვეყნებული. პირველ დამატებაში დაწვრი-ლებით არის აღწერილი **თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარი,** მეორე დამატებაში აღწერილი იყო **თურქეთის საზღვარი არპა-ჩაის ზონასა და მდინარე არაქსის ზონაში.** მესამე დამატება ადგენდა **ნახჭევნის ავტონომიის** საზღვრებს. ყარსის ხელშეკრულების სამივე დამატებას ხუთივე ქვეყნის წარმომადგენლებმა ცალ- ცალკე მოაწერეს ხელი.

ყარსის ხელშეკრულება ხუთ ეგზემპლარად – ქართულ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გაფორმდა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული არ ყოფილა.

1992 წლის 30 ივლისს თბილისში გაფორმდა საქართველო-თურქეთის ხელშეკრულება. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. შევარდნაძემ, თურქეთის მხრიდან – პრემიერ-მინისტრმა ს. დემირელმა. ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ მხარეები დაიცავენ მათ შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებას და შეთანხმებას დაწყებული 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებიდან.

საქართველო-თურქეთის 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება ათი წლის ვადით დაიდო. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ თუ მხარეებმა ათწლიანი ვადის

ამოწურვამდე სამი თვით ადრე არ განაცხადეს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მაშინ ხელშეკრულება ავტომატურად გრძელდება კიდევ მომდევნო ხუთი წლით. ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგ (2002 წ.) არც საქართველოს და არც თურქეთს 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებიათ, ე. ი. ხელშეკრულება კიდევ ხუთი წლით – 2007 წლამდე გაგრძელდა.

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„ქართული უნივერსიტეტი,"** 2004, № 7, 31 მარტი – 6 აპრილი, გვ. 3, 7, 4; რუსული თარგმანი: газета „Свободная грузия", 2004, №45, 18 марта, стр. 2.*

14. საქართველო, რუსეთი, ევროპა

სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთ-ირანის დაპირისპირება XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიამ დაიპყრო. ის ილუზია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ერთმორწმნე

(მართლმადიდებლური) რუსეთის იმპერიის გუბერნიად გადაქცევა ქართველი ერისთავის **‘ნაკლები ბოროტება“** იყო, მალე დაისმხვრა. რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ ნათელი გახადა ის დიდი ეროვნული საფრთხე, რომელიც ერთმორწმუნე რუსეთს ‘თავშეფარებულ“ უძველს ქრისტიან ერს დაემუქრა. რუსეთის საიმპერატორო კარმა ზედმიწევნით ზუსტად გაანალიზა საქართველოს დაპყრობისათვის ბრძოლაში სპარსეთის შაჰებისა და ოსმალეთის სულთნების მიერ დაშვებული შეცდომები. სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით რუსეთმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა კოლონიურ პოლიტიკას. მეფობისა და კათოლიკოს-პატრიარქობის გაუქმებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქართველი ერი. ავტოკეფალიის გაუქმებას მოჰყვა კიდევ უფრო საშიში მოვლენა – საქართველოს ეკლესიის რუსიფიკაცია, ანუ ეროვნული სულის ჩაკვლის მცდელობა ეკლესიაში (ღვთისმსახურების რუსულ ენაზე დაწყება, ქართული საეკლესიო საგალობლების აკრძალვა, ეკლესიებში ფრესკების კირის ხსნარით გადაღებვა, სასულიერო განათლების რუსიფიკაცია და სხვ.). მითი ‘ერთმორწმუნე რუსეთის“ შესახებ მკაცრმა სინამდვლემ შესცვალა. რა დარჩა ორ მართლმადიდებელ ერს – დამპყრობელსა და დაპყრობილს – საერთო? წმიდა წერილი, საეკლესიო სამართალი, საეკლესიო ტრადიცია და მართლმადიდებლობის შეუბღალავად დცვის მისწრაფება. ყოველივე ეს აშკარა იყო. და იყო კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი რამ, რაც **ცუდსა (რუსეთსა)** და **უარესს (სპართეთს, ოსმალეთს)** შორის არჩევანის სასარგებლოდ მეტყველებდა: **შანსი რუსეთის მეშვეობით ქართველი ერის, საქართველოს დასავლურ სამყაროსთან დაკავშირებისა და იმ დიდი ტრადიციის აღდგენისა, რომელიც ოსმალეთის მიერ ბიზანტიის დაპყრობის (1453 წ.) შემდეგ დაიკარგა.**

იყო თუ არა რეალური რუსეთის მეშვეობით დასავლურ სამყაროსთან (ევროპასთან) დაკავშირება? რა როლი შეეძლო ეთამაშა რუსეთს საქართველორს ევროპეიზაციის პროცესში? რამდენად რეალური იყო თვით რუსეთის ევროპეიზაცია? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში, ცხადია, არავის შეეძლო. რუსეთსა და ევროპაში უახლეს ათწლეულებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადად დაადასტურა, რომ პასუხის გაცემა ზემოთ დასმულ კითხვებზე ნახევარი საუკუნის შემდეგაც ძნელი იქნებოდა.

რუსეთის ევროპეიზაცია **პეტრე I-ის (1696-1725)** ეპოქაში დაიწყო. პეტრე I-ის შემდგომ, მისი მემკვიდრეების მმართველობის წლებში, ეს პროცესი მეტნაკლები ინტენსივობით გაგრძელდა. რუსეთის ევროპეიზაციის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმპერატორ **ეკატერინე II-ს (1762-1796).** ვერც პეტრე I-ის და ვერც ეკატერინე II-ის დროს რუსეთი **ევროპული სივრცის, ევროპული სამყაროს** ნაწილი ვერ გახდა. სლავური სამყაროდან რუსეთის გამოყვანა ძალზე ძნელი აღმოჩნდა. პეტრე I რუსეთს განაგებდა როგორც ტიპიური აზიელი დესპოტი. ეკატერინე II, ევროპის მონარქებისა და განმანათლებლების წინაშე კეკლუცობის მიუხედავად, ასევე დესპოტური მეთოდებით განაგებდა რუსეთს. ამ პერიოდში (XVIII საუკუნეში) რუსეთი არა მარტო ევროპული სივრცის ნაწილი ვერ გახდა, არამედ ევროპისათვის მუდმივ და რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა (ჩრდილოეთის ომი, შვიდწლიანი ომი, პოლონეთის სამი დანაწილება და სხვ.). ვითარება იცვლება ნაპოლეონის შემდგომ ეპოქაში.

რუსეთის იმპერატორი **ალექსანდრე I (1801-1825)** ნაპოლეონის შემდგომი ეპოქის ევროპის მოწყობის მთავარი არქიტექტორი იყო. 'საღვთო კავშირის" შექმნით (1815 წ.) წარმოიშვა **საერთოევროპული სივრცე,** რომლის ნაწილიც რუსეთის იმპერია გახდა. რუსეთის ევროპეიზაციას თითქოს ხელს ვერაფერი შეუშლიდა. ევროპეიზაციის პროცესი შეფერხდა ალექსანდრე I-ის უცნაური გარდაცვალებისა და დეკაბრისტთა ამბოხების შემდეგ (1825 წ.). ახალმა იმპერატორმა **ნიკოლოზ I-მა (1825-1855)** ჩათვალა რომ დეკაბრისტთა იდეები (მონარქიის შეცვლა კონსტიტუციური მონარქიით ან რესპუბლიკური წყობილებით) ევროპული სინამდვილიდან იღებდა სათავეს. რუსეთის იმპერია 1825 წლის შემდეგაც ევროპული სამყაროს ნაწილად რჩებოდა, მაგრამ ამჯერად რუსეთმა 'საღრთო კავშირის" პრინციპებიდან გამომდინარე რევოლუციებისაგან ევროპის სახელმწიფოების დაცვა იდო თავს. 1830 წლისა და 1848 წლის რევოლუციების დროს ევროპის მონარქებს რუსეთის მხარდაჭერა მართლაც სჭირდებოდათ, მაგრამ რუსეთის მეტისმეტი აქტიურობა, ცხადია, არ მოსწონდათ. ნიკოლოზ I ევროპის ქვეყნებში რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას თითქმის რუსეთის საშინაო საქმედ მიიჩნევდა. 1830 წელს იმპერატორს თავისი ოფიცრებისათვის ასე მიუმართავს: 'ბატონებო! შეკაზმეთ ცხენები, პარიზში რევოლუციაა!" ცხადია, ყოველივე ეს

ადიზიანებდა ევროპას. საერთო ჯამში ევროპის სახელმწიფოების შინაურ საქმეებში რუსეთის ჩარევას ვენაში, პარიზში, ლონდონსა და ბერლინში არასასურველ, საშიშ მოვლენად განიხილავდნენ და რუსეთის დასასჯელად ემზადებოდნენ. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) რუსეთის დასჯის გეგმა ნაწილობრივ სისრულეში მოიყვანეს – მახლობელ აღმოსავლეთსა და ბალკანეთში რუსეთის პოზიციები შესუსტდა. რუსეთისა და ევროპის მოსალოდნელი კონფრონტაციის თავიდან აცილება მხოლოდ ნიკოლოზ I-ის მოულოდნელი გარდაცვალების (1855 წ.) წყალობით გახდა შესაძლებელი. ახალმა იმპერატორმა **ალექსანდრე II-მ (1855-1881)** რუსეთის ევროპეიზაციის ახალი, დიდი გეგმა შეიმუშავა და ენერგიულად შეუდგა მის რეალიზებას.

საბოლოო ჯამში XIX საუკუნის პირველ ნახევარში **საქართველო რუსეთის მეშვეობით ევროპულ სამყაროს ვერ დაუკავშირდა, ევროპეიზაციის გზაზე სერიოზული ნაბიჯი ვერ გადადგა წინ.** მთლიანობაში აღებული (იშვითა გამონაკლისს არ ვგულისხმობთ) საქართველოსთვის მიუწვდომელი დარჩა ევროპული განათლება, მეცნიერება და კულტურა (მწერლობა, მხატვრობა, მუსიკა, ქანდაკება, არქიტექტურა). **საქართველოს ევროპეიზაციის ხარისხი საკუთრივ რუსეთის ევროპეიზაციის ხარისხზე გაცილებით დაბალი იყო.** საქართველო, ჩამორჩენილი რუსეთის კოლონია, კიდევ უფრო ჩამორჩენილი იყო. საქართველოსა და კავკასიის ცენტრი თბილისი ტიპიურ აზიურ ქალაქად რჩებოდა. კულტურული წინსვლის თვალსაზრისით ქართულმა საზოგადოებამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში გარკვეული პროგრესი განიცადა, მაგრამ ეს რუსეთის გზით საქართველოს ევროპეიზაციის შედეგი არ ყოფილა. ყოველივე ეს რუსეთის გარეშეც მოხდებოდა, რადგან მას საფუძველი XVIII საუკუნეში დაედო. მოგვიანებით მავანი და მავანი საქმეს ისე წარმოაჩენს, რომ თითქოს ევროპა ქართველი ერისათვის რუსეთმა აღმოაჩინა. არადა ევროპასთან პოლიტიკური და კულტურული კავშირები საქართველოს უკვე სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე ჰქონდა. ეს კავშირები ოსმალეთის მიერ ბიზანტიის იმპერიის განადგურებისა (1453 წ.) და ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ თანდათან სუსტდება და ქრება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა **იდეის კვდომას.** იდეის რეალიზება XVIII საუკუნის

დამდეს სცადა ვახტანგ VI-მ. განცდილი მარცხის მიუხედავად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ევროპა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაზრისით საქართველოში, განსაკუთრებით ქართლ-კახეთის სამეფო კარზე, ცხოველ ინტერესს იწვევდა. იდეის რეალიზება რომ ვერ მოხერხდა ეს შექმნილი პოლიტიკური ვითარებით იყო გაპირობებული.

რუსეთი ასე თუ ისე ეზიარა ევროპულ კულტურას, მაგრამ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით (კაპიტალიზმის დამკვიდრების თვალსაზრისით) რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის უფსკრული იყო. პრაქტიკულად რუსეთი ფეოდალურ ქვეყანას წარმოადგენდა, ანუ ევროპას ჩამორჩებოდა 100-150 წლით. ფეოდალური ქვეყანა იყო საქართველოც. ფეოდალიზმი და ევროპეიზაცია კი თავსებადი ცნებები არ არის, უფრო ზუსტად ნაწილობრივ თავსებადია. **ევროპეიზაცია უპირველეს ყოვლისა გულისხმობს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის იდენტურობას.** რუსეთსა და, ცხადია, საქართველოშიც ამისი ნიშნებიც კი არ არსებობდა.

ალექსანდრე II-მ რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის რეფორმა და ევროპულთან მისადაგება გადაწყვიტა. ბატონყმობის გაუქმებით (1861 წ.) იმპერატორმა საფუძველი გამოაცალა ფეოდალიზმის სოციალურ და ეკონომიკურ სისტემას, ხოლო უაღრესად დემოკრატიული სასამართლო რეფორმით (1864 წ.), ასევე ადგილობრივი (საერობო, სასოფლო, საქალაქო) მმართველობისა (1864-1870 წწ.) და სამხედრო (1874 წ.) რეფორმებით რუსეთის განახლებისა და აღორძინებით დიდი გეგმის რეალიზება დაიწყო. რუსეთში კონსტიტუციის შემუშავება და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის ძირეული გარდაქმნა არც თუ ისე შორეული მომავლირს საქმე იყო. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ რუსეთის ევროპეიზაცია შედგა. საქართველოსათვის ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ალექსანდრე II-ის გეგმა განუხორციელებელი დარჩა. ეს გაპირობებული იყო შემდეგი მიზეზით. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში დამკვიდრებულმა სტაბილურმა პოლიტიკურმა, ეკონომიურმა და სოციალურმა სისტემამ ასპარეზი არ მისცა სოციალისტური მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობებს, მემარცხენე-ექსტრემისტურ ძალებს. სოციალისტებს სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების

იმედი გადაეწურათ. პარიზის კომუნა (1871 წ.) იყო უკანასკნელი **‘სოციალისტური ექსპერიმენტი“** დასავლეთ ევროპაში. ევროპული დემოკრატია გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე სოციალისტთა საერთაშრისო გაერთიანება ‘პირველი ინტერნაციონალი“ (შეიქმნა 1864 წ.). საბოლოო ჯამში პირველი ინტერნაციონალი გაკოტრდა (დაიშალა 1876 წელს). **დასავლეთ ევროპაში პარტიულ-კლანურ-სექტანტურ აზროვნებაზე სახელმწიფოებრივმა აზროვნებამ გაიმარჯვა.** ევროპაში გაკოტრებულმა სოციალისტებმა თვალი რუსეთს მიაპყრეს და გადაწყვიტეს ‘სოციალისტური ექსპერიმენტი“ სწორედ რუსეთში გადაეტანათ. ცხადია, ეს ხელს აძლევდა ევროპის სახელმწიფოთა ხელისუფალთ. ეს ის პერიოდია (XIX საუკუნის 60-70-იანი წლები), როცა რუსეთში ალექსანდრე II-ის რეფორმები ხორციელდებოდა ანუ რუსეთის ევროპეიზაციის ბედი წყდებოდა. ევროპაში გაკოტრებული სოციალისტები, ცხადია, მიხვდნენ, რომ თუ რუსეთში დასავლეთ ევროპის ტიპის პოლიტიკური, ეკონომიკური და სახელმწიფო სისტემა ჩამოყალიბლებოდა, მაშინ მათ რუსეთშიაც აღარ ექნებოდათ პერსპექტივა. რუსეთში ‘სოციალისტური ექსპერიმენტის“ გადატანა აუცილებელს ხდიდა იქ მიმდინარე რეფორმების ჩაშლას, რუსეთში სოციალური დაძაბულობის შექმნას და მის მუდმივად შენარჩუნებას. დასავლეთ ევროპიდან მართულმა რუსმა სოციალისტებმა (ნაროდნიკებმა) რუსეთში მანამდე არნახული დესტრუქციული საქმიანობა გააჩაღეს. ნაროდნიკების აგენტურამ შეაღწიეს თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში, მათ შორის უპირველეს ძალოვან უწყებაში – ჟანდარმერიაში. საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციები აღმოცენდა რუსეთის იმპერიის თითქმის ყველა რეგიონში. რუსეთს ტერორის ძლიერმა ტალღამ გადაუარა. 1881 წლის 1 მარტს, რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ნაროდნიკებმა იმპერატორი ალექსანდრე II მოკლეს. ახალმა იმპერატორმა **ალექსანდრე III-მ (1881-1894)** რუსეთის ხსნა დემოკრატიული რეფორმების შეჩერებასა და პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრებაში დაინახა. ნაროდნიკებსაც სწორედ ეს უნდოდათ. რუსეთში დაიწყო ომი ხელისუფლებასა და ნაროდნიკებს შორის. ნაროდნიკებმა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს იმპერატორ ალექსანდრე III-ს, თუმცა მისი სისრულეში მოყვანა ვერ შესძლეს. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები და ნაროდნიკების დაწყებული საქმე კიდევ უფრო

ფართო მასშტაბით და, რაც მთავარია, უფრო ორგანიზებულად გააგრძელეს. **ასე დაიწყო რუსეთის დიდი ტრაგედია.**

ყოველივე ამის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ რუსეთის ევროპეიზაცია ვერც XIX საუკუნის მეორე ნახევარში შედგა. **XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის თვალსაზრისით რუსეთი წარმოადგენდა სახელმწიფოს, რომელიც სადღაც, ევროპასა და აზიას შუა, ჩარჩა.** პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონით რუსეთსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოეს შორის უფსკრული იყო. ევროპეიზაცია დაეტყო მხოლოდ **განათლებას, მეცნიერებასა** და **კულტურას.** ამ თვალსაზრისით რუსეთი ტოლს არ უდებდა ევროპას, ხშირ შემთხვევაში კი უსწრებდა კიდეც. სხვა მხრივ ჩამორჩენა აშკარა იყო. რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა სუსტი და არასტაბილური აღმოჩნდა. ხელისუფლებისა და სოციალისტების ბრძოლა რუსეთში სახელმწიფოებრიობის კრიზისში გადაიზარდა. **ნიკოლოზ II-ის (1894-1917)** მმართველობის წლებში ეს კრიზის დღითი-დღე ღრმავდებოდა და შეუძლებელს ხდიდა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და ოციალური სისტემის განახლებას. პერმანენტული კრიზისი 1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის იმპერიის ნგრევით დამთავრდა. 'სოციალისტური ექსპერიმენტი" შედგა, ხელისუფლების სათავეში მემარცხენე-ექსტრემისტული ძალა, თავისი **პარტიულ-კლანურ-სექტანტური** აზროვნებით ცნობილი სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკები) მოვიდნენ.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არსებობის ასი წლისთავზე ქართველი ერისათვის ევროპეიზაცია ასეთ სურათს იძლეოდა: XIX საუკუნის განმავლობაში იმპერიის დიდ სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწეობდნენ მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი მეცნიერები, რომელთაც დიდი ღვაწლი დადეს რუსული მეცნიერების, რუსეთის განათლების სისტემის ევროპეიზაციას. რას წარმოადგენდა ამ დროისათვის საქართველო? **მეცნიერებისა და განათლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ევროპეიზაციაზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა.** საქართველოში არ არსებობდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები (ინსტიტუტები), უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამედიცინო ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია, უმაღლესი სამხედრო

სასწავლებელი (სამხედრო აკადემია), უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი (სასულიერო აკადემია). **ყოველივე ეს ჰქონდა მეტროპოლიას (რუსეთს) და არ ჰქონდა მის კოლონიას (საქართველოს).** უფრო მეტიც, უნივერსიტეტები საკუთრივ რუსეთის (ველიკოროსიის) გარდა არსებობდა რუსეთის იმპერიის მიერო დაპყრობილ **ესტონეთში (ტარტუში), უკრაინასა (კიევში, ოდესაში)** და **პოლონეთში (ვარშავაში).** საქართველოსათვის გამონაკლისი არ იქნა დაშვებული. მაშინ, როდესაც უნივერსიტეტი, თუნდაც რუსულენოვანი, ევროპეიზაციის, ევროპული განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დამკვიდრების შესანიშნავი კერა იქნებოდა. ასეთი კერა (თბილისის უნივერსიტეტი) ძალზე დაგვიანებით, რუსეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ – 1918 წელს შეიქმნა. მრეწველობის განვითაოებით, ქალაქის ინფრასტრუქტურით, გზებითა და სატრანსპორტო ქსელით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, ჯანმრთელობის დაცვის სისტემით საქართველო ევროპის ქვეყნებს კი არა რუსეთსაც ბევრად ჩამორჩებოდა. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო სოფლად. 1917 წლისათვის საქართველოს სოფელში კიდევ იყვნენ გლეხები, რომლებიც დროებით ვალდებული გლეხების კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ, ანუ ბატონყმობის გაუქმებით ვერ ისარგებლეს და მემამულისაგან მიწა ვერ გამოისყიდეს. სოციალური ურთიერთობა, მიწით სარგებლობის წესი XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგის დონეზე გაიყინა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, უფრო ზუსტად მიწის დამუშავების საშუალებანი, პრიმიტიული იყო, თანამედროვე აგრონომიული ცოდნის გამოყენება ძალზე მცირე მასშტაბით წარმოებდა. სოფელსა და ქალაქს შორის სასაქონლო ურთიერთობა კაპიტალიზმის განვითარების პირველი სტადიის დონეს ვერ გასცდა.

XX საუკუნის დამდეგიდან 1917 წლამდე ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით წინსვლას ადგილი არ ჰქონია. საქართველოს ევროპეეიზაცია უპერსპექტივოდ გამოიყურებოდა. რუსეთ-იაპონიის ომმა (1904-1905 წწ.), 1905-1907 წლების რევოლუციამ, პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918 წწ.) საქართველოს ეკონომიკა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. რომანოვების იმპერიის აღსასრულისათვის (1917 წლის მარტი) ცხადზე უცხადესი გახდა: **რუსეთის მეშვეობით საქართველოს ევროპეიზაცია მითი იყო.** რუსეთის საიმპერატორო კარს, რუსეთის მთავრობას

საქართველოს ევროპეიზაცია დაუშვებლად მიაჩნდა. რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას საქართველოს ევროპეიზაცია იმ დონითაც კი არ სურდა, რა დონითაც თვით რუსეთის (ველიკოროსიის) ევროპეიზაცია მოხდა. რუსეთს არ სურდა საქართველში განათლების ევროპული სისტემის შექმნა, არ სურდა მეცნიერების კერების დაარსება, ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობის განვითარება და გაღრმავება. საბოლოო ჯამში ასეთი შედეგი მივიღეთ: **რუსეთის იმედად აზიური სამყაროდან ევროპული სამყაროსაკენ თითქოსდა დაძრული ქართველი ერი, საქართველო იმედგაცრუებული დარჩა, ევროპეიზაციის ნაცვლად უზარმაზარი იმპერიის 'განაპირა მხარის", კოლონიის ხვედრი გვერგო.** ამის შეცნობისათვის 117 წელი გახდა საჭირო.

ზემოთ თქმულის მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მეშვეობით საქართველოს ევროპეიზაციის იმედი მთლიანად უსაფუძვლო არ აღმოჩნდა. XX საუკუნის დამდეგს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა, რუსეთის საუნივერსიტეტო ცენტრებში აღზრდილმა, ევროპული მეცნიერების მიღწევებს დაუფლებულმა ქართველმა მეცნიერებმა ივანე ჯავახიშვილმა, პეტრე მელიქიშვილმა, კორნელი კეკელიძემ, აკაკი შანიძემ, ივანე ბერიტაშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, დიმიტრი უზნაძემ, ალექსანდრე ჯანელიძემ საფუძველი ჩაუყარეს ქართულ (თბილისის) უნივერსიტეტს. **თბილისის უნივერსიტეტი სასწავლო და სამეცნიერო პროცესის ორგანიზებისა და აკადემიური დონით ევროპული უნივერსიტეტი იყო.** ხსენებულ მეცნიერთა ძალებით დაარსდა 1940 წელს **საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.** ევროპული კულტურის სასიკეთო გავლენა განიცადა XX საუკუნის დამდეგის ქართულმა კულტურამ (მწერლობამ, მხატვრობამ, მუსიკამ, ქანდაკებამ, არქიტექტურამ). **ყოველივე ეს, ერთი შეხედვით, არც ისე ცოტაა, მაგრამ ძალზე ცოტაა იმის გათვალისწინებით, რა საფასურიც გადაიხადა ყოველივე ამაში ქართველმა ერმა XIX საუკუნის დამდეგს. ძალზე ცოტაა იმიტომაც, რომ XX საუკუნის მიწურულს, ორი საუკუნის დაგვიანებით, ჩვენ იგივე გზის გავლა ხელახლა დავიწყეთ, ოღონდ ამჯერად ურუსეთოდ.**

*პირველად დაიბეჭდა: გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა"**, 2008, № 110, 17 ივნისი, გვ. 5-6.*

15. გაყალბებული ისტორია აგრესორის სამსახურში

(ბოლოსიტყვის მაგიერ)

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა **ვლადიმირ პუტინმა** ჩ -ის კორესპოდენტთან საუბრისას გააკეთა განცხადება, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: **პირველი.** რუსეთის შემადგენლობაში არსებობდა ერთიანი ოსეთი (ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი). იოსებ სტალინმა ერთიანი ოსეთი დაშალა, "სამხრეთ ოსეთი" საქართველოს გადასცა და იქ ავტონომიური ოლქი შექმნა; **მეორე.** იოსებ სტალინის ნებით აფხაზეთის ტერიტორია რუსეთმა საქართველოს გადასცა, ამ ტერიტორიაზე შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ცხადია, ვლადიმირ პუტინი თვლის, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობით, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის (ისტორიული შიდა ქართლის ნაწილი, აფხაზეთი) ოკუპაციით, იოსებ სტალინის მიერ ჩადენილი უსამართლობას მოუღო ბოლო.

ერთიანი ოსეთიდან (ე.ი. რუსეთიდან) "სამხრეთ ოსეთის" გამოყოფა, ამ ტერიტორიის საქართველოსათვის გადაცემა და საქართველოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის პუტინისეული ვერსია მცდარია იგი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება:

1. სიცრუეა ოსი და რუსი ისტორიკოსების მტკიცება იმის თაობაზე, რომ თითქოს რუსეთსა და ოსმალეთს(თურქეთს) შორის 1774 წელს დადებული **ქუჩუკ-კაინარჯის ზავით** ერთიანი ოსეთი (ჩრდილო და სამხრეთ ოსეთი) რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. ერთიან ოსეთში ისინი ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილსაც გულისხმობენ. ეს ის ტერიტორიაა, სადაც მოგვიანებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა. ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი (მომავალი სამხრეთ ოსეთის ავტომიური ოლქი) ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლის სამეფოს და ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოს განუყოფელი ნაწილი იყო. 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის დადებულ **გეორგიევსკის ტრაქტატს** თან ახლავს ნუსხა ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა. ამ ნუსხაში შედიან შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული სათავადოების მფლობელები, ქართლის თავადები: **მაჩაბლები, ერისთავები, ფალავანდისშვილები** და სხვები თავიანთი აზნაურებით. ე.ი. 1783 წლისათვის ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთით მდებარე პროვინცია **დვალეთის** ჩათვლით

ქართლ-კახეთის სამეფოს ეკუთვნოდა, იქაური თავადები ერეკლე II-ის ქვეშემრდომები იყვნენ.

2. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროისათვის (XIX საუკუნის დამდეგი) შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი დვალეთთან ერთად ჯერ **საქათველო-იმერეთის გუბერნიაში,** ხოლო შემდეგ **თბილისის გუბერნიაში** (გორის მაზრაში) შედიოდა. 1858 წელს კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის ბრძანებით ისტორიული **დვალეთი** თბილისის გუბერნიის გორის მაზრას ჩამოაჭრეს და "კავკასიის ლინიის (ხაზის) მარცხენა ფრთის" **ოსეთის სამხედრო ოკრუგს** გადასცეს ანუ ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთეს. როგორც ვხედავთ, 1858 წელს ჩრდილოეთ ოსეთს შეუერთდა მხოლოდ შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი – დვალეთი და არა შიდა ქართლის ის ტერიტორია, სადაც მოგვიანებით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა.

3. რუსეთის იმპერიის ნგრევისა (1917 წ.) და საქართველოს დემოკრატრიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ.) შემდეგ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილი დვალეთითურთ საქართველოს შემადგენლობაში (გორის მაზრაში) შედიოდა. ოსი სეპარატისტები საბჭოთა რუსეთს სთხოვდნენ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის (მათი ტერმინოლოგიით "სამხრეთ ოსეთის") ჩრდილოეთ ოსეთთან, ე.ი. რუსეთთან შეერთებას. საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი ისე დადგინდა, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილი, ანუ მომავალი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია, საქართველოს საზღვრებში დარჩა. ამ ტერიტორიის სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხს მოლაპარაკებისას პოლემიკა არ გამოუწვევია, რადგან საქართველო-რუსეთის საზღვრად ამ რეგიონში აღიარებული იქნა ყოფილი თბილისის გუბერნიის ჩრდილოეთ საზღვარი.

4. 1921 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო, ოსი სეპარატისტები კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ისინი კვლავ ითხოვდნენ "ორი ოსეთის" (სეპარატისტთა ტერმინია!) გაერთიანებას. ამჯერად ოსმა სეპარატისტებმა "სამხრეთ ოსეთის" გეოგრაფიული საზღვრები გააფართოვეს და მასში დღევანდელი **ცხინვალის, ახალგორის, ყორნისისა** და **ჯავის** რაიონების გარდა გულისხმობდნენ **კასპის, გორისა** და **ქარელის** რაიონების მნიშვნელოვან

ნაწილს, ასევე **ონისა** და **საჩხერის** რაიონების ნაწილს **საჩხერითურთ**. იოსებ სტალინმა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებისა და "ერთიანი ოსეთის" რუსეთის შემადგენლობაში არსებობის იდეას მახარი არ დაუჭირა. ჩრდილოეთ ოსეთმა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიიღო და რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. 1922 წელს სამხრეთ ოსეთმა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსი მიიღო. ამ პერიოდისათვის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ოსები მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ. ოს სეპარატისტებს უარი ეთქვათ ტერიტორიულ პრეტენზიებზე. ავტონომიური ოლქის ტერიტორია განისაზღვრა დღევანდელი **ცხინვალის, ახალგორის, ყორნისის** და **ჯავის** რაიონებით. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს შეუერთეს მხოლოდ საჩხერის რაიონის რამდენიმე სოფელი.

სიმართლის ნასახი არ არის რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიის საქართველოსათვის გადაცემის პუტინისეულ ვერსიაში:

1. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროისათვის (XIX საუკუნის დამდეგი) **აფხაზეთის სამთავრო** ოსმალეთს (თურქეთს) ჰქონდა მიტაცებული. ომში დამარცხების შემდეგ, 1812 წლის **ბუქარესტის ზავით**, ოსმალეთმა აფხაზეთი რუსეთს დაუთმო. აფხაზეთის სამთავროს ტერიტორია ერთი დამპყრობლიდან (ოსმალეთიდან) მეორე დამპყრობლის (რუსეთის) ხელში გადავიდა. მოგვიანებით აფხაზეთის სამთავროს ტერიტორია **ქუთაისის გუბერნიში** შევიდა **სოხუმის ოკრუგის** სახით.

2. 1904 წელს კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილება მოხდა. სოხუმის ოკრუგის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი **გაგრითურთ** ქუთაისის გუბერნიას ჩამოაშორეს და შავი ზღვის გუბერნიას (ყუბანის ტერიტორია) გადასცეს. ცხადია, აფხაზეთის ტერიტორიის ორ გუბერნიას შორის გადანაწილება წინასწარ განზრახული ნაბიჯი იყო.

3. რუსეთის იმპერიის ნგრევის (1917 წ.) შემდეგ საბჭოთა პოლიტიკური ხელძღვანელობის წაქეზებით აფხაზმა სეპარატისტებმა საქართველოდან აფხაზეთის ჩამოცილებისათვის დაიწყეს ბრძოლა. აფხაზი სეპარატისტები კიდევ უფრო გააქტიურდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წლის 26 მაისი) შემდეგ.

1918 წელს ეს რეგიონი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გენერალ **ანტონ დენიკინის** მოხალისეთა არმიას შორის დავის საგანი გახდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მოხალისეთა არმიის სარდლობის ტერიტორიული პრეტენზიები უსაფუძვლოდ ცნო.

4. 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებით 1904 წელს დადგენილმა საზღვარმა ძალა დაკარგა. საქართველო-რუსეთის საზღვარი მდინარე **ფსოუზე** გავიდა და ამდენად, აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, აფხაზი სეპარატისტების სურვილის საწინააღმდეგოდ, საქართველოს შემადგენლობაში დარჩა.

5. 1921 წლისათვის, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროისათვის, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო და ამდენად, იოსებ სტალინის მიერ საქართველოსათვის აფხაზეთის ტერიტორიის გადაცემის საჭიროება არ არსებობდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა იმ ტერიტორიაზე შეიქმნა, რომელიც საბჭოთა რუსეთმა საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით.

აგრესიული პოლიტიკის, სხვისი ტერიტორიების მიტაცების გაყალბებული ისტორიით გამართლება ბევრმა ხელისუფალმა სცადა, თუმცა სიმართლე საბოლოოდ მაინც არ იჩქმალება და აგრესორიც ისტორიაში თავისი ნამდვილი სახელით მოიხსენიება.

პირველად დაიბეჭდა: газета **Свободная Грузия**,2009, № 78-79, 10 октября, стр. 8-9; 2009,№ 80 -81, 17 октября, стр. 8.

შინაარსი

სიცრუის ბაზრის მოლოდინში (წინასიტყვაობის მაგიერ) ----- 3
1. რუსული სამყარო ---------- 8
2. რუსული საფრთხე ევროპისათვის ---------- 19
3. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიის შეფასებისათვის ---------- 28
4. პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა ---------- 51
5. საქართველოს ოკუპაციის წარუმატებელი ცდა ---------- 70
6. რუსეთის კავკასიური პოლიტიკა და ვახტანგ VI (ვახტანგ VI-ის პოლიტიკური ორიენტაციის ეფასებისათვის) ---------- 80
7. რუსეთის კავკასიური პოლიტიკა და ერეკლე II ---------- 88
8. მფარველობიდან ანექსიამდე ---------- 101
9. რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა? ---------- 121
10. ერეკლე II ---------- 130
11. ღვთით ბოძებული უფლების ხელყოფა ---------- 147

12. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება (1920 წლის 7 მაისი) ---------- 157
13. ყარსის ხელშეკრულება (1921 წლის 13 ოქტომბერი) -------- 170
14. საქართველო, რუსეთი, ევროპა ---------- 180
15. გაყალბებული ისტორია აგრესორის სამსახურში (ბოლოსიტყვის მაგიერ) ---------- 189

ტექსტი ააწყო, დააკაბადონა და გარეკანი გააფორმა
პაპუნა გურულმა